

ნაწი ხანთაშვილი



აღაშიანის გასხივოსნება



ნაზი ხანიაშვილი

ადამიანის გასხივოსნება



თბილისი 2021

UDC (უაკ) 39(=3531)+902(479.22)+1(479.22)+141.331.5+
+2-264+130.3

ბ-227

წიგნში წარმოდგენილია ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების მცირე ნაწილი, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი კვლევები და 35 წლის ჩემი მრავალმხრივი მოღვაწეობა, რის საფუძველზეც წარმოვაჩინე, თუ რა არის ადამიანის კოსმიური მეტაფიზიკური სულიერი და აზროვნებითი „გასხივოსნება“.

წინა ცხოვრებაში, დაახლოებით 4000 წლის წინ, ვიყავი ბორჯომის ხეობის ქურუმი ქალი, რაც დროში ემთხვევა ქართველთა მეფე ფარნავაზის მეფობის პერიოდს – ძვ.წ. 2288 წელს.

ჩემს მიერ გამოქვეყნებულ 200-ზე მეტ სტატიასა და 16 წიგნში წარმოჩენილია ისტორიულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე სიმბოლოებით ასახული მსოფლიოს ხალხთა და ქართველთა უშორეს წინაპართა საკრალური საიდუმლო ცოდნა სამყაროს მეტაფიზიკური მოწყობის შესახებ - „კაბალა“, რომელიც აისახება მხოლოდ ქართულ ანბანში.

წიგნში ასახულია დაუსრულებელი კვლევები და რჩევები მომავალ თაობებს ამ საკითხებზე შემდგომი მოღვაწეობისათვის.

ნაზი ხანიავშილი

ISBN 978-9941-8-3046-4

© ნაზი ხანიავილი. თბილისი 2021.

ყდაზე გამოსახულია: ბორჯომის ხეობის ქურუმი ქალის გულსაკიდი დისკო.

რა არის გასხივოსნება?!

გულზედ მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა
ვაჟა-ფშაველა

ამერიკის შეერთებულ შტატებში იბეჭდება ჟურნალი „რა არის გასხივოსნება?!“ (ინგლ. ენაზე), რომლის დამაარსებელია ამერიკაში და მსოფლიოში ცნობილი სულიერი მასწავლებელი (გურუ) ენდრიუ კოენი. გასხივოსნების თემას ასევე იკვლევდნენ ცნობილი ფსიქოლოგები მასლოუ, ვილბერი, იუნგი და სხვები.

ინტერნეტში განთავსებული მასალის მიხედვით გაზეთ „ნათება“-ში (2004წ. №2) გამოქვეყნდა სტატია „რა არის გასხივოსნება?!“, მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება ომო რაჯნიში აღწერს თუ როგორ ეზიარა 1953 წლის 21 მარტს გასხივოსნებას. მისი აზრით, როდესაც პირველად შედიხარ ცნობიერების მიღმა სამყაროში, ყველაფერი სხვანაირად გეჩვენება. ამ თემაზე სხვადასხვა რელიგიური შეხედულებები არსებობს. ყველა რელიგია მოგვიწოდებს, რომ მიღმა სამყაროში შესაღწევად აუცილებელია სულიერი მასწავლებლის ყოლა, რომელიც დაგეხმარება გაიგო ის, რასაც გონებით ვერ მისწვდები. მე მასწავლებელი არასოდეს მყოლია, ვეძებდი მაგრამ ვერ ვპოულობდი. მთელი წელი მძიმე მდგომარეობაში ვიყავი. დიდი ძალისხმევა მჭირდებოდა რომ ცოცხალი დავრჩენილიყავი, საჭმელს თითქმის ვერ ვიღებდი, მადა მქონდა დაკარგული, სხეული უგრძობი გამიხდა. ჩემი სამოსი დახეული ნაჭერი იყო, საწოლის ნაცვლად ბამბუკის ქილოები მქონდა დაგებული. იმისთვის, რომ განყვეტილიყო კავშირი ჩემს საკუთარ „მე“-სთან, დავბრძოდი დილას და საღამოს 5-8 მილს, ვცდილობდი არავისთან მესაუბრა, ყველაფერი მავინწყდებოდა, არა-

ფრის კეთება არ მინდიდა, ყველაფრისადმი ინტერესი დაკარგე. წლობით ვმედიტირებდი, ვიჯექი და არაფერს ვაკეთებდი. ყველაფერი გამოვცადა რაც კი შეიძლებოდა, მაგრამ არაფერი გამომივიდა, მხოლოდ ძალისხმევით და სურვილით არაფერი გამოვა. ყველაფერს თავი დავანებე და ჩვეულებრივად დავიწყე ცხოვრება.

1953 წლის 21 მარტს ჩემში საიდანლაც ახალი ენერჯია დაიბადა, რომელსაც არ ჰქონდა წყარო და ყველგან ვრცელდებოდა, იყო ყველგან და ყველაფერში. მე მას ძალზე შორს ვეძებდი და თურმე რა ახლოს ყოფილა. ვიყურებოდი სადღაც შორს ჰორიზონტის მიღმა და ვერ ვხვდებოდი იმას, რაც ჩემს გვერდით იყო. ამ დღეს ჩემში გაქრა სწრაფვა და სურვილები. თავი უსუსურად და სასონარკვეთილად ვიგრძენი. საკუთარ თავში ჩავღრმავდი და იქ ვნახე სიცოცხლე. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ჩვენ ყველა ღვთაებრივები ვართ, არ არის საჭირო სრულყოფილების მიღწევა. ჩვენ უკვე სრულყოფილებად ვართ შექმნილები. როდესაც გასხივოსნებას ვეზიარე, ვერ გამოვთქვამ იმას, რაც განვიცადა. გამიჩნდა რალაც ახალი შეგრძნებები, თავს ერთგვარად ბედნიერად ვგრძნობდი და ნეტარებას განვიცდიდი, რაც წარსულთან და საკუთარ თავთან მაკავშირებდა, სადღაც ქრებოდა. თითქოს ორად გავიხლიჩე – სხეულად, რომელსაც ეძინა და შეგნებად, რომელსაც მაქსიმალურად ეღვიძა, ეს იყო ერთდროულად ცხადი და სიზმარი. ეს იყო ის წამი, როცა ერთმანეთს ერწყმიან შემოქმედი და ქმნილება. მოდის ახალი განცდები, ახალი წარმოდგენები, უკვე სულ სხვა ხარ. იმ დღიდან სულ სხვა სამყაროში შევაბიჯე. ეს სამყარო და ღმერთი იგივეა – ისინი ერთიანი არიან. არსებობს მხოლოდ ღმერთი და იგი ყველაფერშია. არანაირი ძაფი ჩემს ყოფილ თავთან აღარ მაკავშირებდა.

გასხივოსნებას თან ახლავს ნერვული ჩავარდნა, ამის გარეშე გასხივოსნება შეუძლებელია. გასხივოსნებისთვის დამახასიათებელია სიჩუმე. იგი გასაოცარ საკუთარ თავში დარწმუნ-

ნებულობას ასხივებს, ვერავინ და ვერაფერი ვერ დაარღვევს ამ თვისებას მასში. **მისთვის კითხვაში აღარ არსებობს და ასეთ სიჩუმეში დაუფიქრებლად შეუძლია ვასუსი განცან ყველა კითხვას. მან წინასწარ არ იცის რომელ კითხვას რა ვასუსი მოჰყვება, ვასუსები თავისთავად მოაღინება მის გონებაში, რამაც შეიძლება ზოგჯერ მთქმელიც გააოცოს. აქვს უნარი მყისვე ჩანსწვდეს მოვლანათა და საკითხთა არსს, განცანს შესაძლებელი ნათელი ვასუსი.**

გასათვალისწინებელია გასხივოსნების ინდივიდუალურობა და უნიკალურობა.

ასე აღწერს მსოფლიოს ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება ოშო რაჯნიში თუ როგორ მოხდა მისი გასხივოსნება.

ბუდიზმი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგიაა და შეიქმნა ძვ.წ. VI-Vსს-ში ჩრდილო ინდოეთში. მის შემქმნელად ითვლება სიდჰართა გაუტამა, რომელმაც შემდგომში მიიღო ბუდას – „გასხივოსნებული“-ს სახელი. იგი იყო გაუტამას ტომის მეფის შვილი. 29 წლისამ უარყო ფუფუნებითი ცხოვრება, მიატოვა სასახლე, ერთხანს ლელვის ხის ქვეშ ცხოვრობდა და ეწეოდა იოგურ ცხოვრებას. მაგრამ გასხივოსნებას მაინც ვერ მიაღწია. ბოლოს დაბრუნდა თავის სასახლეში, დაიწყო ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრება და სამყაროს არსის რეალობაში ჩაღრმავება და ჭვრეტა. 36 წლისას „გონება გაუნათდა“ – დაიწყო ქადაგება, როგორც სხივმოსილმა, შემოიკრიბა მოწაფეები, იოგები, შექმნა რელიგიური ძმობა სანგხი. ის ამ რელიგიას მთელს ინდოეთში ავრცელებდა. ასეთია ბუდა გაუტამას გასხივოსნების გზა.

როგორც ზემოთ განხილულიდან ჩანს, ბუდა გაუტამას და ოშო რაჯნიშის გასხივოსნების გზა ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

ადამიანის სულიერი გასხივოსნების საკითხთან დაკავშირებით ვეცდები საზოგადოებას ჩემი აზრები გავუზიარო.

30 წელზე მეტია ვიკვლევ დედამიწის პირველ ადამიანთა დანატოვარ მეტაფიზიკურ ცოდნას მრავალგანზომილებიანი

სამყაროს გენეტიკური მოწყობის შესახებ. გამოქვეყნებული მაქვს 200-ზე მეტი სტატია 20-ზე მეტი დასახელების ჟურნალ-გაზეთში, ვარ 16 ნიგნის ავტორი, არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე. ჩემს მიერ წარმოჩენილი ყველა საკითხი საზოგადოებისთვის უცნობია და ასეთი გააზრებით პირველად არის წარმოდგენილი. ამ საკითხების კვლევაში მეხმარება ხილვები – გამოცხადებები, რომლებიც კოსმიურ ინფორმაციას მანვდიან. ეს საკითხი საუბრის დიდი თემაა.

მხოლოდ ქართულ ენაზე მაქვს აზროვნებითი ინფორმაციული და ზოგჯერ ხილვითი კონტაქტი მიცვალებულებთან, ადამიანების ორგანიზმის უჯრედებთან, ვარსკვლავებთან, პლანეტებთან. ვატარებ ავადმყოფთა დიაგნოსტიკას – მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. მრავალი წლის განმავლობაში ვმკურნალობდი ავადმყოფებს. კოსმოსი მთლიანად ცოცხალი ორგანიზმია. სამყაროში ყველა და ყველაფერი ერთმანეთთან აზრებით ლაპარაკობს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ესტონეთის ქ. ტარტუს უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფი პროფ. აილი პაიუს ხელმძღვანელობით 1983-87 წლებში იკვლევდა ჩემს ფენომენს და მეტაფიზიკურ შესაძლებლობებს. ჩატარდა ბევრი ექსპერიმენტი. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს დასკვნის სახით მითხრეს: მოვა დრო გააცნობიერებ თუ რისთვის მოგეცა ეს ყველაფერი, რის შემდეგაც შეასრულებ შენს მისიას ანუ იმ დავალებებს, რომელსაც მიიღებ ღმერთისგან. ასეთ ადამიანებს ღმერთი ანიჭებს მეტაფიზიკურ უნარჩვევებს, უხსნის კოსმოსის საიდუმლო ცოდნის კარს. ეს წინასწარმეტყველება აღსრულდა!

წარმოგიდგინე ჩემს მიერ 35 წლის განმავლობაში დამუშავებულ, წარმოჩენილ და გამოქვეყნებულ ძირითად საკითხებს, სადაც განხილულია პირველ ადამიანთა აქამდე უცნობი უდიდესი მეტაფიზიკური საიდუმლო კოსმიური ცოდნა: მსოფლიოს უდიდესი მოაზროვნეები ქართული გენის, ქართული ენის და

ანბანის შესახებ; ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია; კაბალას ცოდნა თავის სამშობლოს – საქართველოს დაუბრუნდა; მანათობელი სფერო ჩემი ინფორმაციის წყაროა; ადამის და იბერიის ცივილიზაციების არსი; ქართული ანბანი მსოფლიოს ძველი ცივილიზაციის ყველა ხალხის კუთვნილებაა; ანბანი ქართველებს 8000 წლის წინ ჰქონდათ; სამყაროს შექმნის 6 დღე; მეტაფიზიკური დრო და განზომილება; არს-თა წრებრუნვის კოსმიური სურათები – „ღმერთის ბეჭდები“; სამყარო ქართულ ენაზე ლაპარაკობს; რატომ აცვეს ანდრია პირველწოდებული დიაგონალურ ჯვარზე; ქართული ანბანი სომხების შექმნილი არ არის; დავათის სტელა ქართული ანბანით და მისი პარალელები ჩინეთის „დაო“-ს ფილოსოფიასთან; საქართველოს მთის ხალხთა უძველესი კოსმოგონიური აზროვნება; ქალი – მარადიული კოსმიური საიდუმლო; ქართველთა კოპალა-იახსარის მითი შუმერების ქვის ბეჭედზე; გონიო-მართლმადიდებლობის სიმბოლო; ოქროს სანმისი – ორი მზის საიდუმლო; თრიალეთის ოქროს და ვერცხლის თასები; ზოგიერთ სიმბოლოთა კოსმიური არსი; სამყაროს ოთხი სანყისი – მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი, სფინქსის ფენომენი საქართველოში; ვინ არის მიჯაჭვული ამირანი; სამოთხე – სამყაროს დედის უძველესი გამოსახულებები, გული და გულისგული; „ალვანეთი“ კავკასიის ალბანეთის ისტორიული სახელია; შავი ხვრელი – პარალელურ სამყაროში გასასვლელი სარკმელი; კონტაქტი მიცვალებულებთან; კოსმოსი ქართულ ენაზე ლაპარაკობს – ვანგას გამოცხადება; ვინ იბადება საქართველოში?! – სალვადორ დალის „გეოპოლიტიკოსის“ მიხედვით; ყაჩაღანის ჯვარი – ადამიანის სამყაროს შექმნა; საქართველო – „შუმერთა უფლის წმინდა გულით არჩეული დიდებულ წესთა ქვეყანა“; ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი-მამა გიორგი (ბასილაძე); კეთილისა და ბოროტის არსი ადამის ცივილიზაციაში; შეიცანი თავი შენი და შეიცნობ სამყაროს; გენეტიკური კოდის სამი სპირალი; ქრისტიანობა – მართლმადიდებლობა კაცობრიო-

ბის მარადიული და საყოველთაო რელიგიაა; ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებით ბოლო ჟამის მოვლენებიდან მხოლოდ საქართველო გადარჩება; ინდიგო ბავშვები – ახალი ტიპის ადამიანები; რა ელოდება დედამიწას; ხვთაებრივი გონის კოსმიური მისია; ვეფხისტყაოსანი და მეტაფიზიკა; სვეტიცხოვლის უძველესი ისტორია (კოსმოსიდან მიღებული ინფორმაცია); „შესხმაჲ ქართველთაჲ და ქართველთა ენისაჲ“; მითოლოგია და არქეოლოგია გლობალური დათბობის შესახებ; ქართველები შუმერთა წინაპრები; ქართული წელთაღრიცხვები: ქართულ ადამს აქათ – 8000 წელი, დასაბამითგან (წარღვნიდან) – 7600 წელი, ქორონიკონით – 7600 წელი; იოვანე – ზოსიმეს „ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველება; სული მარადიული, დროსა და სივრცეში გარდასახვადი ღვთაებრივი პირველსაწყისია; ადამიანის მეორე „მე“ ანუ კოსმიური ჩრდილი; უკუღმა წაკითხული ფესტოსის დისკო; უსულო ადამიანები; გრაკლიანის ასო-ნიშნები ქართულია; სად არის ისტორიული კოლხეთი; ქურუმი ქალი ბორჯომის ხეობიდან; 15 მაისი რუსთაველის დღეა; კავკასიის იბერია აღმოსავლეთი საქართველოა და არა სამეგრელო; გარეჯი – 2 მილიონ წელზე ადრეული ქრისტიანობის კვალი საქართველოში; ვარძია, უფლისციხე, გარეჯი – ადამიანთა პირველსაცხოვრისები კავკასიაში; არიული თეთრი რასა ქართველები და საქართველოა. **(სტატიის ბამოქვეყნება გრკელზე).**

ჩემს ოჯახში გადაღებულ ფოტოსურათებზე არაერთხელ დაფიქსირდა თვალისთვის უხილავი სავსე მთვარის მსგავსი დიდი მანათობელი სფერო. ექსპერტთა კვლევების დასკვნებით ის ცოცხალი არსებაა. ერთ-ერთ ფოტოზე დაფიქსირდა მისი გადაადგილება (ნახეთ; ნ.ხ. – ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან, 2012 წ., გვ. 21). თანამედროვე მათემატიკოსებმა გონიერი არსებების ყველაზე ოპტიმალური ფორმის მოძებნა რომ გააკეთეს, აღმოჩნდა, რომ „სუფთა აზროვნების ყველაზე იდეალური ფორმა სფეროა“.

მანათობელი სფეროს კვლევების პროცესში შევხვდი იო-

გებს, რომლებმაც გამოთქვეს აზრი, რომ ის, რასაც ვნერ და ვაქვეყნებ შესაძლოა ამ მანათობელ სფეროსთან იყოს დაკავშირებული. თანდათან დავრწმუნდი, რომ თვალისთვის უხილავი მანათობელი სფერო ჩემი ინფორმაციის წყაროა. ჯერ კიდევ მსოფლიოს უძველეს ხალხებს ჰქონდათ ამ საკითხის აღქმა და მას ისტორიულ ძეგლებზე გამოსახავდნენ.

იოგებთან ერთ-ერთი ვიზიტის დროს იოგი ინსტრუქტორი ვახტანგ რატიშვილი თავის მოწაფეებთან ვარჯიშების სეანსს იწყებდა. ორი სიტყვით ვუთხარი მისვლის მიზეზი. მთხოვა სეანსის დამთავრებამდე იქვე სკამზე დავმჯდარიყავი და თვალეები დამეხუჭა. მე არ დავემორჩილე და თვალეებზე ხელი ავიფარე. ინსტრუქტორმა რალაც მომენტში დამსწრე მოსწავლეებს უთხრა, რომ გული და თირკმელები ენერგეტიკულად შეეერთებიან. ამ დროს ჩემი შუბლის ცენტრიდან გამოვიდა ხასხასა მწვანე ფერის სხივი, რომელმაც თვალეებზე აფარებულ ჩემს ხელის გულზე მოხაზა სამკუთხედი წვეროთი ზემოთ, რომელიც თან ინფორმაციას მაძლევდა, რომ სამკუთხედის ზედა წვერო ჩემი გულის ადგილზე მიაწიწებდა, ხოლო ქვედა ორი წვერო შეესაბამებოდა თირკმელებს. გაოცებულმა ხმამალა დავიწყე ამ სურათის აღწერა, ყველა მისმენდა. შემდეგ სამკუთხედის ზედა წვეროდან თანდათან ამოვიდა ის მანათობელი სფერო, რომელიც ჩემს ოჯახში გადაღებულ სურათებზე ფიქსირდებოდა. როცა სფერო სამკუთხედის ზედა წვეროზე მთლიანად გამოჩნდა, უცებ ოდნავ მოყვითალო ფერი მიიღო და ყველა მიმართულებით აფრქვევდა სხივებს ანუ მზედ გარდაისახა. სეანსი მალე დასრულდა. გაოცებული ინსტრუქტორი მეუბნება: იოგებმა სულიერების იმ მდგომარეობას რომ მიაღწიონ, რომ ნახონ ის, რაც თქვენ ნახეთ, მთელი ცხოვრების მანძილზე ძალისხმევას არ ზოგავენ და კიდევ ვერ აღწევენ ამას, ეს იშვიათი შემთხვევაა. თქვენ კი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობთ, ამ ფენომენის შესახებ წარმოდგენაც კი არ გაქვთ, მაგრამ თქვენმა სულიერებამ ამ მაღალ საფეხურს

მიაღწიაო. ამით დავასრულეთ შეხვედრა. უხილავი მანათობელი სფერო ჩემს ოჯახში სურათებზე აღარ დაფიქსირებულა მას შემდეგ, რაც ის ჩემი გულის ადგილას ვიხილე, რომელიც მზედ გარდაისახა.

რამოდენიმე წლის შემდეგ იოგების სხვა ჯგუფმა სრულიად სხვაგან მიმიწვია ლექციის ჩასატარებლად. როცა ვახტანგ (ტატო) იზხნელის მანქანით მის მეგობარ ქალთან ერთად სახლში ვბრუნდებოდით, დამებადა სურვილი ზემოთ მოყვანილი შემთხვევის შესახებ მათთვის მომეყოლა თუ რა ვიხილე ჩემი გულის ადგილას. გაოცებულებმა შემომხედეს და განმმარტეს, რომ მე ჩემი „გასხივოსნება“ მინახავს.

ჩემს შესახებ ძალიან ბევრ ადამიანს ჰქონდა ხილვა ან სიზმარში გამოცხადება. გაგაცნობთ ერთ მეტად საინტერესო შემთხვევას. არქეოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელმა პროფ. ბესო მაისურაძემ 2006 წლის 30 მარტს მიმიწვია და წარმადგინა 12 მეცნიერის წინაშე, სადაც წარმოვაჩინე ჩემი კვლევები დავათის სტელას შესახებ. ამ შეხვედრას ესწრებოდა დავათის სტელას აღმომჩენი არქეოლოგი პროფ. რამინ რამიშვილი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას მიანოდა საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია: 2006 წლის 29 მარტს იყო მზის სრული დაბნელება. იმავე ღამეს ნახა სიზმარში მზის დაბნელება – მზის დისკოში ჩაჯდა სავსე მთვარე, რომელშიც ჩაიხატა ჩემი სახის გამოსახულება ირგვლივ მზის შარავანდედით.

კიდევ ერთი გამოცხადების შესახებ მინდა გესაუბროთ, რომელიც, მქონდა 2004 წლის შემოდგომაზე, სამების ტაძრის კურთხევამდე ორი კვირით ადრე: აღმოვჩინდი სამების ტაძრის ეზოს მთავარი შესასვლელის დიდ კართან, რომლის ორივე ფრთა ღიაა. უცებ, რაღაც ძალამ მიწიდან დაახლოებით ერთი მეტრით ჰაერში ამწია და ამ მდგომარეობაში დავინწყე გადაადგილება. ვგრძნობ, იმავე ძალას მივყავარ სამების ტაძრის მთავარი შესასვლელისკენ. აქაც კარის ორივე ფრთა გახსნილია. როგორც კი შემიყვანეს ტაძარში, დავინწყე გადაადგილება ტა-

ძრის ჭერისკენ – აღსავლის კარის ზემოთ თაღისკენ. როცა ჩემი თმები შეეხო თაღის ცენტრს, დავინახე, რომ აღსავლის კარის თავზე ვარ ზემოთ ჰაერში. გადავიხედე საკურთხეველში. როცა ეს ყველაფერი კარგად აღვიქვი, 180-ით შემომატრიალეს ისე, რომ თავით ისევ თაღის ჭერს ვეხებოდი. შიგნით ტაძარს ზემოდან დავყურებ. მომლოცველი ადამიანები ძალიან პატარები ჩანან და ტაძარში მიმოდიან. უცებ, ჩემს სხეულზე ვიხედები, რომელსაც კოპტური ჯვრის ფორმა აქვს: ჯვრის ზედა წრე ჩემი თავი და სახეა, ვერტიკალური ნაწილი – ჩემი სხეული, ხოლო ჯვრის ჰორიზონტალური ნაწილი – მხრები. ისევ ზემოდან დავყურებ ტაძრის შიდა მხარეს, გოცებულნი ვარ მისი გიგანტური მასშტაბებით (მე ხომ მშენებელ-ინჟინერი ვარ). უცებ, რაღაც „ხმა მეკითხება“ (აქ მიდის მხოლოდ ქართულ ენაზე აზრებით საუბარი): „ხომ არ გეშინია?“ მე ვპასუხობ: „არ მეშინია“. ისევ მახედებენ ჩემს სხეულზე: ვხედავ, თეთრი ქართული კაბა მაცვია, აქა-იქ ვერცხლისფერი ძაფები კიაფობს ქსოვილში, წელზე ქართული კაბისთვის დამახასიათებელი დიდი სარტყელი მიკეთია, თავზე არაფერი არ მახურავს, ჩემი თმები ისევ აღსავლის კარის ზემოთ განთავსებულ თაღის ცენტრს ეხება. უცებ, ამ შეხების წერტილიდან დაიწყო ძლიერი, მთლიანი და წყვეტილი ნათელი ენერგეტიკული სხივების გადმოფრქვევა, რომელიც ქმნიდა კონუსს წვეროთი ზემოთ და იწყებოდა იმ წერტილიდან, სადაც ჩემი თმები ეხებოდა აღსავლის კარის ზემოთ განთავსებულ თაღის ცენტრს. მთელი სხეულით ვიმყოფებოდი ამ ენერგეტიკულ კონუსში. იგივე უხილავი ხმა მეუბნება: „სამების ტაძარში შემოსული ხვთიური ენერგია შენს გონებაში, გულში და სხეულში გავლით იფრქვევა სამების ტაძარში. ახლა ხდება სამების ტაძრის კურთხევა და შენ ამ რიტუალის უშუალო მონაწილე ხარ“.

სამების ტაძრის კურთხევასთან დაკავშირებით ყველაფერი დავწერე და მეორე დღეს საქართველოს პატრიარქს ილია II-ს შევუგზავნე. რამდენიმე დღეში ტელევიზიის საინფორმაციო

გადაცემაში საზოგადოებას აცნობეს, რომ სამების ტაძრის კურთხევა უკვე მოხდა და დათქმულ დღეს ტაძრის ირგვლივ დაგეგმილი ასაშენებელი 12 ეკლესიიდან მოხდება მხოლოდ მე-12-ე ეკლესიის საძირკვლის კურთხევა.

დაახლოებით 25 წლის წინ მქონდა გამოცხადება ცაზე



ორსახა ღმერთი. შუმერი
(ძვ. წ. 3400 წ.)

ღრუბლებით, რაც გახდა საფუძველი „ოქროს საწმისის“ საკითხის სრულად გაცნობიერების და შესწავლის. სამსახურში შესვენების დროს, ჩემს კაბინეტში ვისვენებდი. უცებ ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ იმ წუთში ცაზე რაღაც უნდა მეხილა, რაც მომცემდა მნიშვნელოვან ინფორმაციას. ცა იყო, ნათელი, მზიანი, მშვიდი, ხეზე ფოთოლიც კი არ ირხეოდა, აქა-იქ პანია ღრუბლები მოჩანდა. გავოცდი, როდესაც ღრუბლები დაიძრა, შეგროვდა ჩემი მზერის არეში, თან ბრუნავდა. როცა გამოსახულება გაჩერდა, თვალებს არ ვუჯერებდი – ეს იყო ჩემი პროფილი, მხრები და თავი, სახით მარცხნივ, წელზემოთ. შემდეგ მარცხენა საფეთქელთან თმაზე გამოჩნდა პატარა მზე – თითქოს შიგნიდან გამოვიდა, რომლის

სხივები ისეთი ძლიერი იყო, რომ ამ მზიან ამინდში თვალის-მომჭრელად აფრქვევდა სხივებს. გამოსახულებამ რამდენიმე წუთის შემდეგ ბრუნვა დაიწყო. მოძრაობა რომ დაასრულა, თეთრწვერიანი მამაკაცის სახე მიიღო, ოდნავ აწეული სახით ცისკენ იცქირებოდა, საიდანაც ღრუბლებისაგან წარმოქმნილი თეთრი ცხენი გამოჩნდა და თეთრწვერა მამაკაცის ახლოს

გაჩერდა. ჩამომიყალიბდა აზრი, რომ მე ვიხილე ერთარსება, თავისა და მხრების მარცხენა მხარე იყო ჩემი გამოსახულება, ხოლო მარჯვენა მხარე – თეთრწვერიანი მამაკაცისა, რომელთანაც მივიდა თეთრი ცხენი. წლების მანძილზე ვცდილობდი ამეხსნა ამ ხილვის საიდუმლო. ახლა უკვე შემიძლია განვაცხადო: მე მაჩვენეს, თუ რა არის სინამდვილეში „ოქროს სანმისი“. (ნახეთ: ნ.ხ. – „ოქროს სანმისი – ორი მზის საიდუმლო“, 2010წ.). „ოქროს სანმისის“ – ტყუპი და-ძმის თემა მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის მითოლოგიაშია. ჩემი კვლევებით, „ოქროს სანმისი“, „ნოეს კიდობანი“, „გრაალის თასი“, ბაბელონის გოდოლი“, „არგოს ნავი“, თვით კაცთა მოდგმის ადამიანია – უფლის შესაქმის გვირგვინი.

წინა ცხოვრებაში – 4000 წლის წინ ვცხოვრობდი საქართველოში და ვიყავი ბორჯომის ხეობის ქურუმი ქალი, რომლის გულსაკიდი დისკო დღესაც ჩემი ბედისწერის დისკოა, რაც თითოეული ადამიანისთვის ინდივიდუალურია. ამ პერიოდში – ძვ.წ. 2288 წელს საქართველოში მეფობდა ქართული ანბანის დამფუძნებელი მეფე ფარნავაზი. მაშინაც და დღესაც ჩემი ძირითადი კვლევის თემაა პირველ ადამიანთა გენეტიკური ცოდნა ქართული ანბანის შესახებ.

მაგონდება 2015 წლის ოქტომბერი, ჩემი დაბადების დღე რამოდენიმე წლის უკან, როცა ჩემმა ექვსი წლის შვილთაშვილმა დაჩიმ მაჩუქა თავისი დახატული ჩემი პორტრეტი კაბალას-ტაროს 22-ე არკანის სახით, რომლის თავიდანაც ამოდის ერთგვარად მოყვითალო ფერის ნათელი დისკოს ფორმის მზის გამოსახულება.

1998 წელს, ერევანში სტუმრობისას, ჩემი მეგობრის შვილს ლილით ვარდუმიანს, რომელიც პროფესიით მხატვარია და სომხეთის საპატრიარქოს დავალებით ასრულებს ძველ სომხურ ხელნაწერებში განთავსებული ნახატების ასლებს, ვთხოვე სამახსოვროდ ჩემთვის მისი სურვილით რაიმე ნახატი დაეხატა. ჩემი წამოსვლის შემდეგ განმარტოვდა თავის ოთახ-

ში და შეასრულა ნახატი ქალის გამოსახულებით, რომელიც ამ სტატიაშია განთავსებული. როდესაც დედამისს უნახავს ეს ნახატი, შვილისთვის უკითხავს, შენ ამ სურათზე ნაზი დეიდა



მხატვარი ლილით ვარლუშიანი (1998 წ.)

გამოსახეო? ამ მომენტისათვის მან ჩემი მოღვაწეობის შესახებ არაფერი იცოდა. ალბათ დამეთანხმებით, რომ საკმაოდ საინტერესო ნახატია.

2008 წლიდან ფსიქოლოგი ქალბატონი ნატო შანიძე 2008 წლიდან კოსმოსიდან შთაგონებით იღებს ინფორმაციას ჩემი კოსმიური მისიის შესახებ. დღემდე საკმაოდ დიდი მასალაა ამ საკითხთან დაკავშირებით დაწერილი. მან რამოდენიმე წლის წინ მომმართა ამის შესახებ, ეს მასალა სახლში მომიტანა, ნაწილობრივ გამაცნო, მაგრამ სრულად მისი გაცნობის უფლება არ მომცა, ვინაიდან ამისი დრო ჯერ არ დამდგარაო. ის რამდენჯერმე მესტუმრა სახლში. ყოველ ჯერზე მყარდებოდა კოსმოსთან კონტაქტი და საკმაოდ დიდი და საინტერესო ინფორმაცია ჩემს შესახებ ჩემი თანდასწრებით დაიწერა. ვიმედოვნებ, რომ მომავალში ქალბატონი ნატო სრულად გამოაქვეყნებს ჩემი კოსმიური მისიის შესახებ კოსმოსიდან შთაგონებით მიღებულ ინფორმაციას.

ზემოთ განხილული საკითხით ვეცადე წარმომეჩინა თუ რა არის ადამიანის „გასხივოსნება“. **გონების მეტაფიზიკური აზროვნების გახსნა და კავშირის დამყარება მიღმა სამყაროსთან არის ადამიანის გასხივოსნება.** ოპო რაჯნიში ზუსტად და კარგად აღწერს ასეთი ადამიანების სულიერ, ფიზიკურ და მეტაფიზიკურ მდგომარეობას. „გასხივოსნებულ“ ადამიანებს ყველას თავისი კოსმიური მისია აქვს თუ რა საკითხებზე უნდა იმუშაოს, გააცნობიეროს და საზოგადოებასთან მიიტანოს.

გასხივოსნებულ ადამიანებს კოსმოგონიური აზროვნება ეძლევათ არა მხოლოდ მისი საკუთარი „მე“-დან, რომელიც მის გულშია, არამედ ნებისმიერი მიკრო და მაკრო სამყაროს კოსმიური ცენტრიდან – გულიდან. სამყაროში ყველა და ყველაფერი ცოცხალია. შეუძლიათ ინფორმაციის მიღება, შენახვა, გადაცემა, ამისთვის მანძილს მნიშვნელობა არა აქვს და ეს ყველაფერი ხდება ქვეცნობიერი აზროვნების დონეზე. სამყარო ერთ ენაზე ლაპარაკობს და ეს არის ქართული ენა.

ღმერთის მიერ შექმნილ კაცთა მოდგმის სამყაროში ყველაფერში ამა თუ იმ სახით შემოქმედი ღმერთია გაცხადებული. იგი არის ხვთაებრივი მეტაფიზიკური დროის კოსმიური ცვა-

ლებადობა წარმოჩენილი ქართული ანბანის გენეტიკური კოდით და მის გვერდით მინერული ციფრებით. ქართული ანბანი არის შემოქმედი ღმერთის კოდირებული გენეტიკური გზა არსებული ცივილიზაციის პერიოდში. ამ საკითხზე პირველ ადამიანთა კოსმიური ცოდნა წარმოჩენილია „ბიბლიურ კაბალაში“, რომლის სამშობლოც აღმოსავლეთი საქართველოა.

გასხივოსნებულ ადამიანს უზენაესი კოსმიური ცოდნა ეძლევა სრულიად მოულოდნელად უზენაესისგან ბოძებული მეტაფიზიკური ხედვით. თითოეულ გასხივოსნებულ ადამიანს აქვს ღმერთისგან ინფორმაციის განდობის ინდივიდიალური, მოულოდნელი და განუმეორებელი გამოცხადება, აღქმა. ეს საუბრის დიდი თემაა. გასხივოსნებული ადამიანი ამა თუ იმ ფორმით მაინც ახერხებს კოსმიური მისიის შესრულებას და ამ ყველაფერთან ერთად იცვლება მისი სულიერი მდგომარეობა, მისი რწმენა-წარმოდგენები სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ ორგანიზმზე. სამყაროს შემეცნების გზა უსასრულოა.

ღმერთი გასხივოსნებულ ადამიანებს გაანდობს და აძლევს ისეთ დავალებებს რისი მიმღეობის და შესრულებისთვისაც არის მზად. ადამიანი თუ გასხივოსნებულია, ეს ბედისწერით დაბადებიდანაა განპირობებული, მხოლოდ ამას ადამიანი მოგვიანებით აცნობიერებს. ისევე როგორც ბედისწერა, ასევე გონებრივი და სულიერი გასხივოსნების გზა, ყველა ადამიანისთვის ინდივიდიალურია. გასხივოსნებული ადამიანები მთელი კოსმოსისთვის ასრულებენ განსაკუთრებულ კოსმიურ მისიას. მათი ცხოვრების გზა სამყაროს ყველა განზომილებაში უზენაესი შემოქმედის მიერ წინასწარაა დაგეგმილი და განსაზღვრული თუ როდის და სად უნდა განსხეულდეს მისი სული და რა მისია უნდა შეასრულოს. ღმერთი ყველაფერშია და ყველაფერი მასშია.

ურთულესი და მოწამეობრივია გასხივოსნებული ადამიანის მინიერი ცხოვრება. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა ღმერთის, ერის, კაცობრიობის და კოსმოსის წინაშე. შეიცანი თავი შენი

და შეიცნობ სამყაროს, ვინაიდან შენ ხარ შემოქმედი ღმერთის შესაქმის გვირგვინი.

ჩემს მიერ ჩატარებულმა სამეცნიერო კვლევებმა, გამოქვეყნებულმა წიგნებმა და სტატიებმა შექმნა ისეთი კოსმიური ენერჯია, რომელმაც კაცთა მოდგმის იბერიის ცივილიზაციის ქართულ გენს დაუმკვიდრა გზა მარადისობისკენ.

და მაინც, რა არის გასხივოსნება?!...

მანათობელი სფერო კოსმოსიდან


თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე დავიწყე მუშაობა თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში პედაგოგად. სამშენებლო სპეციალობის ჯგუფებს 23 წელი ვუკითხავდი ლექციებს საგნებში „სამშენებლო კონსტრუქციები“ და „სამშენებლო მექანიკა“, როგორც დასწრებულ ისე დაუსწრებელ განყოფილებაზე. მყავდა დიპლომანტები, ვიყავი სამშენებლო ფაკულტეტის სადიპლომო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი, მთელი ტექნიკუმის მასშტაბით სადიპლომო დაცვის ციკლობრივი კომისიის თავმჯდომარე და ასევე სამშენებლო საგნების ციკლობრივი კომისიის თავმჯდომარე.

1984 წლის ივლისის თვეში სამსახურიდან მოსწავლეთა ერთი ჯგუფი წაყვანილი გვყავდა გორის რაიონის სოფელ ტყვიავში. პირველად და შემთხვევით მოვხვდი იმ პედაგოგთა შორის, რომელიც დირექტორის ბრძანებით გააყოლეს ამ ჯგუფს 10 დღით. ვცხოვრობდით სკოლის შენობაში, საკმაოდ დიდი ეზოთი და მაღალი ხეებით. ჩემი ვიზიტი ამ სოფელში და ამ დროს შემთხვევითი არ აღმოჩნდა – ეს ჩემი ბედისწერა იყო.

ერთ საღამოს ჩემს ოთახში შემოცვივდნენ ძალიან ალეღვებული მოსწავლეები, სასწრაფოდ გაგვიყვანეს ეზოში და მიგვანიშნეს ცაზე მომხდარ დიდ სასწაულზე: ხის კენწეროებს შორის კოსმოსში მოჩანდა სავსე მთავრის მსგავსი მანათობელი პატარა სფერო, რომელიც ძალიან სწრაფად იზრდებოდა და დიდი სისწრაფით უახლოვდებოდა დედამიწას. ყველა ძალიან ღელავდა. შეგვეშინდა, რაიმე სარაკეტო ბომბი ხომ არ იყო. მალე უფრო ნათელი გახდა, რომ ეს იყო მანათობელი გამჭირვალე სფერო, რომლის გამჭოლად ჩანდა ვარსკვლავები. ამან ცოტა დაგვამშვიდა და ახლა უკვე დავიწყეთ დაკვირვება თუ როგორ განვითარდებოდა ეს მოვლენა. იგი თანდათან გადიდ-

და და მთლიანად დაფარა ცის ნახევარი. ამ მასით დაფარული ცის ნაწილი დიდად განსხვავდებოდა ცის მეორე ნაწილისაგან – იყო მკვეთრად ნათელი და ვარსკვლავებიც ნაკლებად კიაფობდნენ, ვიდრე ცის დაუფარავ ნაწილზე, რომელიც ასევე თანდათან იფარებოდა და ბოლოს მთელი ცა დაფარა მანათობელმა სფერომ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ დედამიწას თეთრი გამჭირვალე საფარებელი გადაეფარა. მეორე დღეს მთელი რაიონი ამ საკითხზე საუბრობდა.

დღემდე ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ დედამიწას ახლაც აქვს გადაფარებული ის ნათელი საფარებელი, რომელიც 1984 წელს ვიხილეთ სოფ. ტყვიავში ყოფნის დროს. ამიტომ მას შემდეგ ღამით ცის კაბადონი აღარ არის მოჭედილი ხასხასა მბრწყინავი ვარსკვლავებით და ცას თეთრი გამჭირვალე ბურუსის თხელი ფენა აქვს გადაკრული. ამკარაა, რომ **ღმერთმა დედამიწა განათავსა რალაც კოსმოსურ ენერგეტიკულ სფეროში**. მოგვიანებით ერთ-ერთ მითში წავიკითხე, რომ უზენაესი ღმერთი ზევსი-იუპიტერი დედამიწას, როგორც თავის საცოლეს – პატარძალს ჩუქნის თეთრ გამჭირვალე საფარებელს.



მანათობელი სფერო

ამ მოვლენას უკავშირდება 1984 წელს დაწყებული ჩემი პარაფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური მეტაფიზიკური აზროვნება და მოღვაწეობა, ავადმყოფ ადამიანთა დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ასეთი მანათობელი თვალით უხილავი

დიდი სფეროები ამ პერიოდიდან ჩემს ოჯახში გადაღებულ ფოტოსურათებზე 15 წლის განმავლობაში შვიდჯერ დაფიქსირდა. ერთ ფოტოზე სფეროს გადაადგილება აღბეჭდილი. ამ ამბავმა ჩემი ოჯახის წევრები სერიოზულად შეაშფოთა და გადაწყვიტეთ ამ საკითხის სერიოზული გამოკვლევა.



სფეროს გადაადგილება

მივმართეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრს, წარვადგინეთ ფოტო მასალა, ფოტოლენტები, ის ფოტოაპარატი, რომლითაც სურათებს ვიღებდით (იმ პერიოდში ციფრული ფოტოაპარატები ჯერ კიდევ არ არსებობდა). მათი დასკვნით, წარდგენილ მასალაზე ტექნიკური ნუნი არ ფიქსირდება, სურათებზე

ასახული თვალთ უხილავი ზოგჯერ გამჭვირვალე და ზოგჯერ გაუმჭვირვალე თეთრი სფერო ცოცხალი არსებაა – ერთ-ერთ ფოტოზე დაფიქსირებულია მისი გადაადგილება. გამოთქვეს აზრი, რომ შეიძლება ეს მოვლენა იმ მეტაფიზიკურ საკითხებთან იყო დაკავშირებული რაზედაც მე ვმუშაობ.

თანამედროვე მათემატიკოსებმა გონიერი არსებების ყველაზე ოპტიმალური ფორმის მოდელირება რომ გააკეთეს, აღმოჩნდა, რომ „სუფთა აზროვნების იდეალური ფორმა სფეროა“.

ამ საკითხმა სერიოზულად დამაფიქრა. აღმოჩნდა, რომ ეს სავსე მთვარის ფორმის თეთრი სფერო ცოცხალი არსებაა, მუდმივად ჩემს გვერდით არის და მისი გამოჩენა დაემთხვა ჩემს მოღვაწეობას და კვლევებს პარანორმალურ მეტაფიზი-

კურ საკითხებზე.

სწორად მქონდა შეგრძნება, რომ რასაც ვიკვლევდი, ვწერდი და ვაქვეყნებდი, ამ კოსმიურ ინფორმაციას ეს მანათობელი სფერო მანვდიდა. ამ საკითხზე სტატიაც გამოვაქვეყნე: „ჩემი ინფორმაციის წყარო მანათობელი სფეროა“.

რაც დრო გადიოდა მით მეტად მაინტერესებდა მომეძიებია მასალები მანათობელ სფეროსთან დაკავშირებით. ამ საკითხზე ბევრ ადამიანს შევხვდი და ვესაუბრე, მაგრამ საინტერესოს ვერაფერს მივაგენი.

ბოლოს მივმართე ბ-ნ თამაზ თავაძეს, რომელიც ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთის იოგების ენერგეტიკული ვარჯიშებით სამკურნალო ცენტრს. მან ნახა ფოტოები, რომელზედაც ასახული იყო თვალისათვის უხილავი თეთრი სფეროები და ორი დღის შემდეგ დამიბარა. მივედი დათქმულ დროს. თამაზ თავაძე ვერ ვნახე. ადგილზე დამხვდა იოგი ინსტრუქტორი **ვახტანგ რატიშვილი**, რომელიც ავადმყოფებთან იწყებდა სეანსის ჩატარებას. ვაჩვენე ფოტოები, ძალიან დაინტერესდა, მთხოვა სეანსის დამთავრებამდე მომეცადა და იქვე სკამზე მიმითითა. მან გამაფრთხილა, რომ სეანსის ჩატარების მომენტში თვალები დამეხუჭა. მე მას არ დავემორჩილე – თვალებზე მხოლოდ მარცხენა ხელი ავიფარე, თვალები კი ისევ ღიად მქონდა. შუა მეცადინეობის დროს მან გასცა ბრძანება, რომ ყველას ენერგეტიკულად შეეერთებია გული და თირკმელები. უცებ ჩემი შუბლის ცენტრიდან გამოვიდა ხასხასა მწვანე სხივი, რომელმაც თვალებზე აფარებული ხელის გულზე მოხაზა მწვანე ფერის სამკუთხედი წვეროთი ზემოთ, რომლის ქვედა ორი წვერო შეესაბამებოდა თირკმელებს, ხოლო ზედა წვერო – გულს. მე თავი ვერ შევიკავე და გაოცებულმა ხმამაღლა დავინყე იმის აღწერა, რასაც ვხედავდი. ყველა გასუსული მისმენდა. ეს იყო ერთგვარი ენერგეტიკული პირამიდა, რომლის წვეროდან ამოსვლა დაიწყო სავსე მთვარის მსგავსმა სფერომ – ეს იყო ის სფერო, რომელიც სურათებზე დაფიქსირდა. **როდესაც მთლიანად ამ-**

ოვიდა, მიიღო სავსე მთვარის სფეროს სახე და მთლიანად მოექცა პირამიდის ზედა წვეროს თავზე, მზედ გარდაისახა და ყველა მიმართულებით გატყორცნა სხივები. მაშასადამე, ჩემი გულის ადგილას ვიხილე სავსე მთვარის მსგავსი მანათობელი სფერო, რომელიც მზედ გარდაისახა.

ბატონმა ვახტანგმა ავადმყოფებთან დაწყებული იოგური ვარჯიშებით გამაჯანსაღებელი სეანსი მალე დაასრულა. ჩვენ მარტო დავრჩით ორივე ამ ხილვითი გამოცხადებით გაოცებული. სურათებზე საუბარი უკვე არავის გაგვხსენებია. მან გაოცებულმა მითხრა: **„არსებობენ იოგები, რომლებიც მთელი ცხოვრება იოგების ვარჯიშებით არიან დაკავებულნი რათა იხილონ ის, რაც თქვენ დღეს ნახეთ. თქვენ კი როგორც ვიცი, არასოდეს დაინტერესებულხართ იოგური ვარჯიშებით, მაგრამ თქვენ გერგოთ წილად და მოგეცათ ამის ხილვა, მაგრამ ამ საკითხზე საუბარი შემდეგისათვის გადავდოთ“.**

იმ პერიოდში აქტიურად ვმუშაობდი შუმერ – აქადის მითოლოგიაზე, სადაც აღმოვაჩინე, რომ ცის ღმერთმა „ან“-მა და მიწის ქალღმერთმა „კი“-მ შექმნეს ჰაერის ღმერთი ენლილი, რომელმაც შექმნა მთვარე „სინ“-ი – არამყარი, ჰაეროვანი, გამჭირვალე მანათობელი სფერო. მეტეხის ტაძრის ერთ-ერთ ხატზე ასახულია ქრისტე, რომელსაც მარცხენა ხელში გამჭირვალე, მოთეთრო ფერის დიდი სფერო უკავია, ისეთი, როგორიც ჩემს ოჯახში გადაღებულ ფოტოებზეა დაფიქსირებული. ქართულ შუმერული მითოლოგიის მიხედვით ქრისტე – კვირია – „სინ“-ი არის ერთ-ერთი ღვთისშვილი, რომელიც არის მამა ღმერთის ერთ-ერთი სახე – გამოვლინება. სიტყვა „სინ“ ქართული ფენომენია. ქართველი ადამიანის შინაგანი ღმერთი „სინ-დისია“. „უ-სინ-დისო“ ადამიანი „ულმერთოს“ ნიშნავს. ქართველების მიერ უძველესი დროიდან „სულეთის ღმერთი“ აღიქმება სავსე მთვარის მსგავსი მანათობელი სფეროს სახით.

გავიხსენოთ დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას სი-

ტყვეები: „გულზე მესვენა მზე-მთვარე ვლავარაკობდი ღმერთ-თანა“. მაშასადამე, ადამიანი თუ ნახავს თავისი გულის ადგილას მზეს და მთვარეს, ის უკვე ითვლება ღმერთის რჩეულად, მასთან მამა ღმერთი ინყებს ლავარაკს და აწვდის იმ პერიოდისთვის საჭირო კოსმიურ მეტაფიზიკურ ინფორმაციას.

გავიდა რამდენიმე თვე. ტელეფონით მიკავშირდება ვახტანგ (ტატო) იშხნელი, რომელიც ხელმძღვანელობს ერთ-ერთ იოგებით მოვარჯიშე ახალგაზრდების ცენტრს და მიწვევს ჩემს კველევებთან დაკავშირებით ლექციის ჩასატარებლად. შეხვედრამ წარმატებით ჩაიარა. იქიდან სახლში თავისი მანქანით წამომიყვანა. გულმა მითხრა მისთვის მომეყოლა მანათობელი სფეროს სურათების და ჩემი გულის ადგილას მთვარის ხილვის შესახებ, რომელიც მზედ გარდაისახა და ყველა მიმართულებით აფრქვევდა სხივებს.

ბ-ნმა ტატომ მანქანა გააჩერა და გაოცებულმა მითხრა: „იცით თქვენ რა ნახეთ? თქვენ იხილეთ თქვენი გასხვივოსნება“

მინდა ღვთაებრივი ქორწინება

ბავშვობიდან ძალიან რთული ცხოვრება მქონდა. 1952 წელს კომუნისტებმა მამა დამიხვრიტეს. ვიყავი რეპრესირებული შვილი. არც ქორწინებაში გამიმართლა ცხოვრებამ. ორმა სხვადასხვა პიროვნებამ მინინასწარმეტყველა, რომ ჩემს ცხოვრებაში მოხდება რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, მექნება ძალიან დიდი შენაძენი, მეორედ გავთხოვდები და ეს ყველაფერი თითქოს ჩემი ხელის გულზეც წერია. მათი წინასწარმეტყველება არასერიოზულად ჩავთვალე და 1982 წელს მეუღლესთან განქორწინების შემდეგ მთელი ერთგულებით გავაგრძელე ცხოვრება ჩემი შვილების და ოჯახის მიმართ, ამაში ხელს მიწყობდა ჩემი უმაღლესი საინჟინრო განათლება და სამსახური.

1984 წელს უფლის ნებით და ხელშეწყობით მომეცა ადამიანთა მკურნალობის თვისებები და ჩემი ცხოვრება სრულიად შეიცვალა.

1986 წლის ივნისის დასაწყისში ერთ დღეს ვიგრძენი, რომ ჩემთან კონტაქტის დამყარება სურდა გარდაცვილის სულს. იგი აღმოჩნდა ჩემი მამის დედა – ნინა ბაბო. აზრებით გამომელაპარაკა. მთხოვდა თბილისის სიონის ეკლესიაში წასვლას ხუთშაბათს. დავემორჩილე მის თხოვნას.

ეკლესიაში ყოფნის დროს დამებადა აზრი გავსაუბრებოდი მღვდელს მამა დავითს, რომელსაც გავუზიარე აზრი ჩემს მიერ ავადმყოფთა დიაგნოსტიკის და მკურნალობის შესახებ, რომ ესტონეთის ქ. ტარტუს მეცნიერთა ჯგუფი იკვლევდა ჩემს ამ მეტაფიზიკურ თვისებებს და ადამიანებზე ზემოქმედებას. მამაოს ვკითხე როდის შემეძლო პატრიარქის ნახვა და ამ საკითხზე მასთან საუბარი. მან მითხრა ერთი წუთით დამელოდეო, მალე დაბრუნდა და მითხრა პატრიარქი გელოდებათო, მაშინ საპატრიარქო სიონის ეკლესიის ეზოში იყო. ჩემთვის ეს იყო დიდი მოულოდნელი ბედნიერება.

საქართველოს პატრიარქმა ილია II მომისმინა, მომცა საინტერესო სასარგებლო რჩევები. ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს მის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა ზეციდან მოდიოდა. მის უწმინდესობას მოვუყევი ჩემი სიზმრის შესახებ, სადაც გამომეცხადა სამეფო ტახტზე მჯდომი მამა ღმერთი, რომელმაც მითხრა: „როგორ იყენებ რაც მოგანიჭეთ?“ ამ სიტყვებმა დამარწმუნა, რომ ის რაც მომეცა ადამიანების განსაკურნავად და დიაგნოსტიკისთვის, შემთვევითი არ არის და უფლისგან არის ჩემზე დაშვებული.

ჩვენი საუბრის ბოლოს პატრიარქმა ილია II-მ აღნიშნა: „ვარდისგან გამოხდილ მირონს უბრალო ჭურჭელში არ ვასხამთო“ და მაჩუქა წიგნი ქრისტეს ცხოვრების შესახებ.

პატრიარქთან შეხვედრას ესწრებოდნენ სიონის ეკლესიის მოძღვარი მამა დავითი, ორი მონაზონი ქალი და ჩემი სიძე – უფროსი შვილის მეუღლე. წამოსვლის წინ პატრიარქმა მითხრა, რომ ამ დღეებში საქართველოს ესტუმრებოდა ეგვიპტის კათალიკოსი ალექსანდრიიდან წმინდა ნიკოლოზი და მირჩია დავსწრებოდი სიონის ეკლესიაში ამ შეხვედრის რიტუალს შაბათს ან კვირას.

წავედი კვირას სიონის ეკლესიაში. ტაძარში შესულმა დავიკავე ადგილი შესასვლელი კარის მარცხენა კედელთან. ჩემს ცხოვრებაში პირველად ვესწრებოდი ასეთ ცერემონიალს: ხალიჩებით მოფენილი ეზო და ეკლესია, არაჩვეულებრივი დიდებული გალობა, ზარების არაჩვეულებრივად აწყობილი ხმა – **„გზა მიეცით“**, თითქოს ამ სიტყვებს გამოსცემდა ზარის ხმა. ვფიქრობდი: „ყველაფერი შენს სადიდებლად ხდება უფალო“. მქონდა საპასუხო ინფორმაცია, რომ ის მისმენდა. ვგრძნობდი საგალობლების ხმაზე ტაძარში როგორ დაფრინავდნენ ანგელოზები.

უცებ დამებადა აზრი, რომ ყველაფერი, რაც ტაძარში ხდებოდა ქორწილს – ჯვრისწერას ჰგავდა და ჩემს მიერ დასმულ კითხვაზე იყო პასუხი, რომ ეს მართლაც არის ჯვრისწერა.

დამაინტერესა რომელი წყვილი იწერდა ჯვარს, მაგრამ მექორ-
ნინე წყვილი ტაძარში ვერ აღმოვაჩინე. ბოლოს გავიფიქრე:
„ყველაფერი უფლის სადიდებლად ხდება და შეიძლება მისივე
ჯვრისწერაათქო“. ფიქრი გაგრძელდა... „მერე ჯვრისწერა
უპატარაოდ?“ და უცებ ჩემს თავზე და თვალებში თითქოს
მზის სხივებმა დაიწყეს თამაში, თუმცა ტაძარში იმ დროს მზე
საერთოდ არ შემოდის. თავი მინდოდა გამეწია და უცებ
გავიფიქრე, რომ მზე სხივებით შექმნილ საქორწინო გვირგვინს
თავზე მადგამდა. დავსვი კითხვა: რა ხდება ჩემს თავს? მიპა-
სუხეს: „უფალი შენზე ჯვარს იწერს“. რამდეჯერმე შევამოწმე
მიღებული ინფორმაცია. ყოველ ჯერზე იყო პასუხი: **„უფალი
შენზე ჯვარს იწერს“**. მოულოდნელი საოცრებებით გაკვირვე-
ბული, დაბნეული და გაოგნებული გამოვედი ეკლესიიდან ზა-
რების რეკვის ფონზე.

ვფიქრობდი; „თუ ეს მართლაც ასეა ჩემზე ბედნიერ ვარ-
სკვლავზე ქალი არ დაბადებულა დედამინის ზურგზე“. სახლში
მისული გაოგნებული ვიყავი და კითხვაზე „უფალი იგივე ჩემი
მეუღლეა?“, იყო ერთი და იგივე თანხმობის პასუხი.

ამ საკითხს ჩემი ფიქრები არ სცილდებოდა, მაინტერესებ-
და დედამინაზე ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი მისია. გა-
დავწყვიტე შევხვედროდი საქართველოს კათოლიკოს პატრი-
არქს ილია II-ს და მომეყოლა ყველაფერი ნანახის შესახებ.
მართლაც 1987 წლის იანვრის თვეში მოვახერხე პატრიარქთან
შეხვედრა. მოვუყევი ყველაფერი ღვთაებრივი წმინდა ქორ-
წინების შესახებ. ამ ამბავმა პატრიარქი საკმაოდ დააფიქრა.
ბოლოს მითხრა: **„ცნობილია ამდგვარი ქორწინება წმინდა ეკა-
ტერინესი“**.

წმინდა ქორწინების საკითხს განიხილავს თითქმის ყველა
მითოლოგიური ლექსიკონი. წმინდა ქორწინება ხდება სულიერ
და ინფორმაციულ დონეზე. ამ დროს ღმერთი ირჩევს ადამიანს,
რომელსაც გადასცემს იმ საკითხების შესახებ კოსმიურ ცოდნას,
რომლის გაცხადების დროც მოვიდა დედამინაზე. მათ ქორწინე-

ბას მიწიერი მამაკაცის და ქალის ქორწინებასთან არაფერი აქვს საერთო.

მსოფლიოს ხალხთა მითები წარმოაჩენს რამდენიმე სახის წმინდა ქორწინებას: ღმერთების, ღმერთების და მნათობების, ქრისტეს ეკლესიასთან ქორწინებას. ე.წ. „შამანთა“ ურთიერთობა ღმერთთან ითვლება დაქორწინებულთა ურთიერთობად, რომლის ძირითადი ფუნქცია ავადმყოფების განკურნებაა. ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, არაჩვეულებრივი კოსმიური ცოდნა აქვთ და განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ. დღევანდელი გაგებით წმინდა ქორწინება აისახება ახლად დაქორწინებულთა ტაძარში ჯვრისწერიით.

1987 წელს ბერინგის ზღვის სანაპიროზე გათხრებისას აღმოჩენილია ძველი ესკიმოსების (ძვ.წ. III – II სს.) ხელოვნების ნიმუში, რომელიც წარმოადგენს ორსახა გამოსახულებას, რომლებიც ერთ თავზე დიამეტრალურად სანინალმდეგო მხარეს არიან განლაგებულნი – ერთი არის ესკიმოსის სახის ნაკვეთიანი ქალის სახე, ხოლო მეორე მამაკაცის სახეა ამერიკელი ინდიელის მსგავსი ნაკვეთით. ასეთ ნიღბებს ატარებდნენ ციმბირელი შამანები.

ღვთაებრივი წმინდა ქორწინების არსი აისახება მსოფლიოს ხალხთა მითებში სამყაროს შექმნის შესახებ, რომლის მიხედვითაც ორი პირველსაწყისი „ინ“ და „იან“-ი ერთიანი იყო, შემდეგ გაიყო ორად – „ან“ ცის ღმერთმა ცა წაიღო, ხოლო მიწის ქალღმერთმა – მიწა. მოვიდა დრო, როცა სამყარო უნდა დაუბრუნდეს პირველსაწყისს – ცა და მიწა ისევ უნდა შეერთდეს ანუ შეუღლდეს.

ერთხელ ცაზე ღრუბლებით მქონდა გამოცხადება ადამიანის, რომლის მარცხენა სახე იყო ჩემი გამოსახულება, რომელსაც საფეთქელთან მიეზნია პატარა მზე და ყველა მიმართულებით აფრქვევდა სხივებს. ხოლო სახის მარჯვენა პროფილი იყო თეთრწვერა მოხუცი, რომელთანაც მივიდა თეთრი ცხენი.



ორსახა ღმერთი. შუამერი
(ძვ. წ. 3400 წ.)

შუმერები ქვის ბეჭედზე (ძვ. წ. 3400წ.) თევზის ზოდიაქოს ბოლოს, რომელსაც შეესაბამება ახ.წ. 2000წ, გამოსახავდნენ ორსახა ღმერთს, რომელიც არის ცეცხლის სტიქიის სიმბოლური გამოხატულება და რომელშიც გაერთიანებულია სამყაროს ოთხივე სტიქია – მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი. ორსახა ღმერთის მარცხენა მხარე ღმერთკაცის გამოსახულებაა, ხოლო მარჯვენა სახე ქალისაა, რომელსაც ცალკე ტანი არა აქვს და მამაკაცის სხეულთანაა შეთავსებული თავით და მხრებით – „უღელით“. ეს გამოსახულება ადასტურებს, რომ ცეცხლის სტიქიის ღმერთისთვის ქალღმერთი მისი „მეორე ნახევარია“ და „მეუღლეა“ (მხრები ერთიანი აქვთ). შუმერთა ქვის ბეჭედზე გამოსახული ცეცხლის სტიქიის

ორსახა ღმერთი ქართველთა 64-ე ღვთისშვილი დობილიანი იახსარია. (ნახეთ: ნ.ხ. – ქართველები შუმერთა წინაპრები, 2013 წ.)

ქართველი მამაკაცები ცოლს – „მეუღლეს“ თავის „მეორე ნახევარად“ მოიხსენიებენ. ამ ქართულ გამონათქვამებში გაიზარება ორსახა ცეცხლის სტიქიის ღმერთის ღრმად კოსმიური არსი, სადაც აისახება დიდი ქართული სიბრძნე: „სამყაროს ყოველი კოსმიური საიდუმლო ქართული ენის წიაღშია დამარხული“.

მექორწინე ქალი და კაცი რომ ცეცხლის სტიქიის სიმბოლური გამოხატულებაა, ამას ადასტურებს ინდოეთში მექორ-

წინეთა წითელი სარიტუალო სამოსი და თურქეთში – ხეთების ძველ ქართულ ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი ქორწინლის წინ „ინ“-ის რიტუალი, სადაც პატარძალს აუცილებლად წითელი კაბა აცვია. სამოსის წითელი ფერი ცეცხლის სტიქიის სიმბოლური ფერია. „ინ“ სამყაროს მდებარი სანყისია, ასევე არის ქართული ანბანი 10-ე ასო-ნიშანი და შუმერულ კაბალაში მისი სახელია: ქალბატონის მუდმივი ხელისუფლება, ბედისწერის ბორბალი, რომლის თავზეც დგას სფინქსი, რომელიც არის სამყაროს ოთხი სანყისის – მინა, წყალი, ჰაერი, ცეცხლის სიმბოლოთა ერთიანი გამოსახვა. სფინქსს თათები აქვს ლომის (მინა), მხრები (უღელი) – ხარის (წყალი), ფრთები – თეთრი მთის ქორის (ჰაერი), სახე – ქალის (ცეცხლი).


ავსტრიაში მოღვაწე ხორვატიელი დიდი ფილოსოფოსი რუდოლფ შტიინერი ერთ-ერთ თავის ლექციაში აღნიშნავდა: „XX ს-ის დასარულისთვის წინასწარმეტყველება დიდი ცვლილებები სულიერ სამყაროში. იგი უნდა გადავიდეს ახალ პერიოდში, რომელსაც „ცის მეუფების პერიოდი“ ეწოდა. ამ დროს ღმერთი იქორწინებს მიწიერ ქალზე“.

ჩინური ფილოსოფიით ღმერთის ქორწინებას მიწიერ ქალზე უდიდესი კოსმოგონიური მნიშველობა აქვს, რაც გამოიწვევს დიდ ცვლილებებს სამყაროში.

ღვთაებრივი წმინდა ქორწინების წინასწარმეტყველება ასევე ბიბლიის ახალი აღთქმის იოანეს გამოცხადებაში.

ამავე წინასწარმეტყველებას ასახავს ქართული მითოლოგიაც, სადაც ბოლო 64-ე ღვთისშვილი არის ბერი – დობილიანი იახსარი ანუ კოსმიური „და-ძმა“, რომელიც არიან ნახევარმზეები და წინასწარმეტყველებით 8 დღის შემდეგ ერთდებიან – „შეუღლდებიან“; ვინაიდან კოსმოსის ერთი დღე დედამიწაზე 1000 წელია, 8 დღე არის „ქართულ ადამს აქათ“ 8000 წელი, რომელსაც შეესაბამება ახ.წ. 2000წელი. ეს კი ემთხვევა ზემოთ აღნიშნულ წმინდა ღვთაებრივი ქორწინების წინასწარმეტყველებას.

ქართველთა ამ აზროვნებას ზუსტად ასახავს კახეთში ფე-
ვრების სამაროვანში აღმოჩენილი შორეული ქრისტიანული
წარმართობის პერიოდის ბრინჯაოს ნაკეთობა, რომლის თავი
არის დიამეტრალურად საპირისპირო ორი ჩიტის სახის პრო-
ფილი; თითოეულის თავზე გამოსახულია სვასტიკა; ტანი აქვს
ერთიანი ცეცხლის ენებით გამოსახული სამოსის-მაგვარი;
აქვს 2 ხელი და 4 ფეხი შედგენილი ჯაჭვებით, რომლებიც ბო-
ლოვდება ბელურების გამოსახულებებით.



კახეთი. ოქროს საწმისი (სიღნაღის მუზეუმი)

ყველაფერ ამას ერთი შეხედვით „ზეციური მზის ეტლის“
ფორმა აქვს. სიღნაღის ისტორიულ – ეთნოგრაფიულ მუზეუმ-
ში დაცული „**ორსახა ღმერთი**“-ს გამოსახულებით ქართველე-
ბი, შუმერების მსგავსად, სამყაროს ორი პირველსაწყისის ერ-
თიანობას გამოსახავდნენ. (ნახეთ: ნ.ხ. – „**ოქროს საწმისი –
ორი მზის საიდუმლო**“, 2013წ.)

კოსმიური მხედარი თეთრი გიორგი – გიორგი მთავარანგელოზი მანვდის ინფორმაციას: „ქალი, რომელიც აქამდე ცოდვილ და ბოროტ არსებად ითვლებოდა სამყაროში, ამიერიდან სათნოებასა და სიკეთეში გათანაბრებულია მამაკაცთან, მისი შვილები ქალიც და კაციც ერთნაირად სათნოა მისთვის. ამიტომ, ამიერიდან არ მაქვს უფლება ეკლესიაში შესვლის დროს თავზე თავსაბურავი დავიხურო“.

არაერთხელ მქონდა ინფორმაციული კავშირი მზის სისტემის სხვადასხვა პლანეტებთან. 1987 წლის 21 მარტს მივიღე კოსმოსიდან ინფორმაცია, რომ პლანეტა იუპიტერს სურს მომანოდოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია. იუპიტერმა მაცნობა: „მე ვარ ქალი, რომელსაც უნდა გაჰყვეს ხალხი „ცის მეუფების“ პერიოდში, რომელმაც უნდა მიიყვანოს ისინი შემდეგ პერიოდამდე. მე მამამ მაკურთხა შვილად, ხოლო წარმოგზავნილი ვარ უფრო ზემოდან პირველი დასაბამიდან. ეს გადაწყდა ზეცაში 1987 წლის 20 მარტს ღამის 11 საათზე“.

ღვთაებრივი წმინდა ქორწინების აღქმის საკითხი ჩემი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე მუდმივად ჩემს გვერდით იყო, რაც აისახა ჩემს მიერ გამოქვეყნებულ 200-ზე მეტ სამეცნიერო სტატიაში და დღემდე დაბეჭდილ 16 წიგნში. ეს არის ქართულ – იბერიული გენის პირველ ადამიანთა მეტაფიზიკური ცოდნა მრავალგანზომილებიანი სამყაროს შესახებ, რაც ქმნის იმ კოსმიურ ენერგიას, რომელიც მომავალში განაპირობებს სამყაროს დაბრუნებას პირველსაწყისში.

წმინდა ღვთაებრივი ქორწინება საწინდარია იმისა, რომ ხდება სამყაროს ორი პირველსაწყისის გაერთიანება. ახ.წ. 4000 წელს დედამიწაზე შეიცვლება ყველა და ყველაფერი. სამყარო უბრუნდება პირველსაწყისს და გადადის ცივილიზაციის ახალ ციკლში.

ქურუმი ქალი ბორჯომის ხეობიდან ზარნაპაზის საქართველო 4300 წლისაა

რამდენიმე წლის წინ ჩემმა მეგობარმა საქართველოს ფაზისის მეცნიერებთა აკადემიის სხდომაზე მიმინვია ფესტოსის დისკოს კვლევასთან დაკავშირებით მათემატიკოს გია კვაშილავას მოხსენებაზე დასასწრებად. იგი ამტკიცებდა, რომ საბერძნეთში კუნძულ ფესტოსზე აღმოჩენილ ქურუმის გულსაკიდ დისკოზე სპირალზე დაწერილი ნახატ-ნაწერებით ცენტრიდან გარეთ იკითხებოდა მეგრულ ენაზე დაწერილი ქალღმერთ ნანასადმი მიძღვნილი „ჰიმნი“.

ამ საკითხმა მეც დამაინტერესა, ვინაიდან ერთი პერიოდი ვეცნობოდი XIX საუკუნის ფრანგი მკვლევარის შამპოლიონის ნაშრომებს. მან პირველმა ნაიკითხა და დაადგინა ეგვიპტური ნახატ-ნაწერების ნაკითხვის წესი – იკითხება იქედან, საითაც გამოსახულებები იცქირობიან ან მიემართებიან. თუ ისინი მოძრაობენ ან იხედებიან მარჯვნიდან მარცხნივ, უნდა წავიკითხოთ მარცხნიდან მარჯვნივ და პირიქით. ფესტოსის დისკოს შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ გამოსახულებების მოძრაობა მიმართული იყო დისკზე სპირალზე ცენტრიდან გარეთ. მაშასადამე ფესტოსის დისკოზე ნახატ-ნაწერები უნდა წავიკითხოთ სპირალზე გარედან ცენტრისკენ. აღმოჩნდა, რომ გია კვაშილავა ტექსტს კითხულობს უკუღმა, ამიტომ მისი კვლევა დასაწყისშივე მცდარია – ფესტოსის დისკოზე მეგრულ ენაზე დაწერილი არავითარი ტექსტი არ იკითხება. ამ საკითხის მიმართ ჩემი კვლევა გავუზიარე საქართველოში მოღვაწე ორ გამოჩენილ ეგვიპტოლოგს მანანა ხვედელიძეს და ანა კლდიაშვილს, რომლებმაც ჩემი მოსაზრება დაადასტურეს. არაერთხელ გამოვაქვეყნე სტატია: „უკუღმა წაკითხული ფესტოსის დისკო“. (ნახეთ: ნ.ხ. – ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან, 2012წ., გვ. 253 – „შავი ხვრელი პარალელურ სამ-

ყაროში გასასვლელი სარკმელი“).

ფესტოსის დისკოს ჩემი კვლევა გავაცანი სამხატვრო აკადემიის რექტორს ბ-ნ გია ბულაძეს, რომელმაც მირჩია მემუშავა ბორჯომის ხეობის ქურუმ ქალთა გულსაკიდ დისკოებზე. ამ საკითხით სერიოზულად დავინტერესდი. გავეცანი არქეოლოგ ირინა ლამბაშიძის ნაშრომებს და გერმანიის ქ. ბოხუმში გამოცემულ კატალოგს ქართული არქეოლოგიური საგანძურის შესახებ, სადაც განთავსებულია ბორჯომის ხეობაში ქურუმ ქალთა 25 სამარხიდან ამოღებული რამდენიმე გულსაკიდი დისკოს ფოტოები.

არქეოლოგიის კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკაში ბოხუმის კატალოგში განთავსებული დისკოების დათვალიერებისას ერთ-ერთ დისკოზე ქვეცნობიერად მივიღე ინფორმაცია, რომ ამ სურათზე ხელი უნდა დამედო და თვალეები დამეხუჭა. მე ეს „ბრძანება“ შევასრულე და მოხდა სასწაული: დახუჭული თვალეების წინ გამოისახა სურათზე განთავსებული დისკო, მასზე ასახულმა ყველა გამოსახულებამ ნელა დაიწყო მოძრაობა ცენტრის ირგვლივ. ბრუნვის სიჩქარე



ზვსტოსის დისკო

თანდათან იზრდებოდა და ყველაფერი ეს ქმნიდა სპირალურ ენერგეტიკულ გვირაბს. მე ვიყავი დისკოს ცენტრზე რალაც ძლიერი ენერგიით მიმაგრებული, რომელიც დიდი სისწრაფით წინ მიმაქროლებდა საათის ისრის მიმართულებით მბრუნავ ენერგეტიკულ სპირალურ გვირაბში. ვნახე და მითხრეს თუ როგორ არის მოწყობილი კოსმოსის „შავი ხვრელი“, რომელიც აქვს ნებისმიერ მიკრო და მაკრო სამყაროს. გულსაკიდი დის-

კოს დახმარებით ქურუმი ქალები საკულტო რიტუალის დროს გადიოდნენ სხვა განზომილებებში და კავშირს ამყარებდნენ უზენაესთან. უცებ მითხრეს: „საკმარისია, ახლა თვალები გაახილეო“. ამ მდგომარეობიდან გამოსულს ისევ მეუბნებიან, რომ ახლა ამ კატალოგში დაბეჭდილ სხვა დისკოებზე ჩამეტარებია



დისკო ბორჯომის სოფიდან

იგივე ცდა. ჩემდა გასაკვირად სხვა დისკოებზე ეს პროცესი არ განმეორდა. ისევ იმ დისკოს დაფუბრუნდი და იგივე პროცესი განმეორდა. ყველაფერი ეს ისეთი სასწაული შეგრძნება იყო, რომ ჩემი ფიქრები ვერ სცილდებოდა ამ საკითხს. ვგრძნობდი, რომ საკითხის გაცნობიერება ჯერ არ იყო დასრულებული.

იმ დღიდან დავინწყე იმის ძიება, თუ რატომ მქონდა ენერგეტიკული შესვლა აღმოჩენილი ქურუმი ქალების 25 დისკოდან მხოლოდ ერთ დისკოზე. ამ საკითხზე ვესაუბრე არაერთ ადამიანს, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე. ბოლოს ისევ გია ბულაძეს

მივაკითხე, ავუსხენი მდგომარეობა და ვკითხე თუ რა მაკავშირებდა 4000 წლის წინ მცხოვრები ქურუმი ქალის გულსაკიდ დისკოსთან. მან მიპასუხა: **შეიძლება თქვენ წინა ცხოვრებაში ის ქურუმი ქალი იყავით, რომელსაც ეგ დისკო ეკუთვნოდაო.** ამ ამბავმა ძალიან დამაფიქრა. ვხვდებოდი, რომ რაღაც უნდა გამეკეთებია.

მივედი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორთან ბ-ნ ბესო მაისურაძესთან, ავუსხენი სიტუაცია და ვთხოვე დახმარება, რათა იმ ქურუმი ქალის სამარხიდან ამოღებული ძვლებიდან, რომელსაც ის გულსაკიდი დისკო ეკუთვნოდა, აგველო გენეტიკური სინჯი და მოეხდინათ შედარება ჩემი სისხლის ანალიზთან. ამით მსოფლიოში პირველად გენეტიკურად დამტკიცდებოდა, რომ ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილი კაცთა მოდგმის ადამიანები – ქართველები მრავალ დროსა და სივრცეში განმავალი ერის ხალხია ანუ არაერთხელ ხდებამათი „მე“-ს გამატერიალიზება სხვადასხვა განზომილებებში, ამას ადასტურებს ქართველ მამა-პაპათა სიმღერა „მრავალჟამიერი“. დედამინაზე არსებობს ასევე კაცთა მოდგმის ხალხი, რომელთა ყოფიერება „ერთჟამია“ (ეს სხვა საუბრის თემაა).

ამ საკითხთან დაკავშირებით ბ-ნი ბესო მაისურაძე დაუკავშირდა ქ-ნ ირინა ლამბაშიძეს, რომელმაც განმარტა, რომ ეს შეუძლებელია, ვინაიდან სამარხებიდან ამოღებული ქურუმი ქალების ძვლები ჯერ კიდევ წინა საუკუნის 70-80-იან წლებში ერთად დამარხეს და დღეს ამ ადგილის მიგნება შეუძლებელია. ბორჯომის ხეობის გულსაკიდი დისკოები მხოლოდ ქურუმი ქალების სამარხებშია აღმოჩენილი.

გადიოდა დრო, ამ საკითხზე ფიქრი არ მცვილდებოდა. ვხვდებოდი, რომ კვლევა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ერთ ღამეს შუალამისას რაღაცამ გამაღვიძა და ჩამაგონეს კაბინეტში შევსულიყავი, ამელო მითოლოგიური ენციკლოპედიის რუსული გამოცემის წიგნი და გადაამეშალა. წიგნი პირდაპირ გადავხსენი და იმავე გვერდზე წავიკითხე „მანდალა“.

მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი მანდალას ფენომენს შემდეგნაირად ახასიათებს: ძველ ინდურ ენაზე ნიშნავს: მზე, წრე, დისკო, ბორბალი, ბეჭედი, ორბიტა, ზეციური კარიბჭე, ყოვლისმომცველი შესაკრებელი. მანდალა კოსმიური წესრიგის გრაფიკული გამოსახვაა, რომელიც ზემთაგონებით ამოძრავებულმა სულიერებამ უნდა გაიაროს. მანდალა „მე“-ს მიღმიური სულიერი მოგზაურობის ხატია. ეს არის იერარქიული კიბე, რომელზეც განთავსებულია ღმერთთა პანთეონი. ისინი ციდან ეშვებიან მანდალას ცენტრში ლოტოსის ადგილზე, სადაც ანხორციელებენ ნაყოფიერების, წარმატების, სიუხვის აქტს. ამ მომენტში მას შემოაქვს ვერტიკალური კოორდინატი, დამაკავშირებელი ცენტრსა და მლოცველს შორის და ამ მიმართულებით ადგილი აქვს მის გადაადგილებას, როგორც რიტუალის უკანასკნელ აქტს. მანდალას მეშვეობით რელიგიური რიტუალის დროს მიიღწევა ქვეცნობიერის სიღრმეები. ამ მდგომარეობას აღწევენ ინდივიდუალურად – რიტუალის დროს მლოცველი (წამყვანის როლში) თავის თავს განათავსებს მანდალას ცენტრში და ელოდება ხვთაებას – ხვთაებრივ სულს, რომელიც ციდან მასზე უნდა გადმოვიდეს. მანდალა განსაკუთრებულ ენერგიას ანიჭებს ცენტრში მყოფ მლოცველს და მასში ამყარებს კავშირს მიკრო და მაკრო სამყაროებს შორის. ცენტრში მოიაზრება ანტროპომორფული ხვთაება. გარე წრეზე განლაგდება **12** სიმბოლური ელემენტი – **12** ზოდიაქო, რომელშიც თითოეული განისაზღვრება წინამორბედით, განსაზღვრავს მის მომდევნოს და განაპირობებს ცხოვრების ნაკადის უწყვეტობას. იგი არის „ყოფიერების ბორბალი“, რომელიც ბრუნავს – ეხვევა სპირალურად მარცხნიდან მარჯვნივ პერიფერიიდან ცენტრისკენ, რომლის ცენტრი **8** ფოთლიანი ლოტოსია – კოსმიური სიცოცხლის წყარო, რომელშიც განთავსებულია თაყვანისცემის ხვთაება – სამყაროს ოთხივე სანყისის ენერგეტიკის გაცხადება. ზემოთ აღნიშნული, ყველაზე თვალსაჩინოდ ფესტოსის დისკოზეა ასახული.

ვინაიდან ყოველ მიკრო თუ მაკრო სამყაროს თავისი განსხვავებული ბედისწერის მანდალა ანუ „დროის ბორბალი“ აქვს, ამიტომ ყველა ადამიანი ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც ვიზუალურად, ისე შინაგანი ბუნებით და ხასიათით.

მანდალას – დროის ბორბალის ანუ შავი ხვრელის ფენომენი ქართველთათვის ოდითგანვე ცნობილი იყო. მანდალას გამოსახულებას განათავსებდნენ თაყვანისცემის სხვადასხვა ადგილებზე: ტაძრებში, სამსხვერპლო და სარიტუალო საგნებზე. ამზადებდნენ სხვადასხვა მასალისგან: ქვის, თიხის, ლითონის, ხისა და ცომისგან. ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ქართველი ქურუმებისთვის ცნობილი იყო მანდალას ფენომენი.

მანდალას ზემოთ აღწერილი ვიზუალური ფენომენი ყველაზე ზუსტადაა ასახული ფესტოსის 4000 წლის დისკოზე. ბორჯომის ხეობის გულსაკიდი დისკოები ფესტოსის დისკოსგან ვიზუალურად აბსოლუტურად განსხვავებულია, მაგრამ მლოცველზე იგივე მეტაფიზიკური მოქმედება აქვს. ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ ბორჯომის ხეობის ქურუმი ქალები მანდალას კოსმიურ პროცესს გულსაკიდ დისკოებზე თვალისათვის უფრო გასაიდუმლოებული სიმბოლოებით გამოსახავდნენ, რაც ადასტურებს, რომ ეს სამარხები 4000 წელზე გაცილებით ადრეულია. თითოეული დისკო იმ ქურუმის მანდალა-ბედისწერის გამოხატულებაა, დროის ბორბალია, რომელშიც მეტაფიზიკურად ჩატვირთულია მხოლოდ ერთი ქურუმი ადამიანის ბედისწერა. ვინაიდან ერთ-ერთი ჩემი ბედისწერის დისკოა, ეს ნიშნავს, რომ **4000 წლის წინ იმ ქურუმს, რომელსაც ეს დისკო ეკუთვნოდა და მე დღეს, 4000 წლის შემდეგ განმეორებით დაბადებულს, ერთი სულიერი „მე“ და ბედისწერის დისკო – მანდალა გვქონია.** მომავალში თუ კვლავ დავიბადები, ჩემი ბედისწერა ამ დისკოს მეტაფიზიკურ ენერგეტიკაზეა ასახული. **ის არის ჩემი ბედისწერის მარადიული ყოფიერების დისკო, რომელიც ადამის ცივილიზაციის მანძილზე მის ყველა განზომილებაში**

დროში არ არის ცვალებადი ე.ი. ჩემი სულიერი „მე“ მარადიულად არსებობს. ეს ფენომენი მხოლოდ კაცთა მოდგმის გენეტიკური ხვედრია და ყველა მეტაფიზიკური თვისებები, რაც ჩემში დღეს არის განსაკუთრებულად ძლიერად გამოვლენილი, ის კოსმოგონიური ცოდნა, რაც მეძლევა, ვწერ და ვაქვეყნებ, ჩემს „მე“-შია ჩანერილ – ჩატვირთული და ამ პერიოდისთვის რაც არის საჭირო, გარეთ ჩემს ცნობიერებაში გამოდის. გულსაკიდ დისკოზე, რომელიც 4000 წლის წინ ბორჯომის ხეობის ქურუმ ქალს ეკუთვნოდა, მეტაფიზიკურად ჩატვირთულია ჩემი „მე“-ს ყოფიერების მთლიანი ბედისწერა, რომელიც მან გამოცხადებით იხილა, გამოსახა და გულზე დაიკიდა.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობით აშკარაა, რომ მე დედამინაზე განმეორებით ანუ მეორედ ვარ დაბადებული და წინა ცხოვრებაში ვიყავი ბორჯომის ხეობაში მოღვაწე ქურუმი ქალი. ვინაიდან ჩემი ბედისწერის დისკო – მანდალა ანუ „დროის ბორბალი“ მაშინაც და ახლაც ერთი და იგივეა. გამოდის, რომ დღევანდელი ჩემი ცნობიერება და ის თემატიკა, რა საკითხებზეც მე დღეს ვმუშაობ, ჯერ კიდევ ჩემი წინა ცხოვრებიდან მოდის. ყველაფერი ჩანერილია ჩემი ბედისწერის დისკოზე, განთავსებულია ჩემს სულიერ „მე“-ში და ახლანდელ ცხოვრებაშიც ხდება ამ თემების გაცნობიერება. ხშირად ვგრძნობ, რომ რასაც ვწერ, ვიკვლევ და ვაქვეყნებ, ჩემი გულიდან გამოცხადებით და აზრებით ვიღებ ამ ინფორმაციას.

შეგახსენებთ შოთა რუსთაველის სიტყვებს: **„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან, რა გული წავა იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან“, „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა“.** მართლაც საოცარია რუსთაველის ცნობიერების მეტაფიზიკური ფენომენი. ქართულ ენაში 300-ზე მეტი სიტყვაა, რაც ადასტურებს, რომ ადამიანი გულით ფიქრობს და აზროვნებს. მაგ: გულმა მითხრა, გულს უნდა, გულთამხილავი, გულში ვინახავ, გულგრილი, გულკეთილი, გულბოროტი და ა.შ.

ჩემს შესახებ ძალიან ბევრ ადამიანს ჰქონდა მეტად საინ-

ტერესო ხილვა ან სიზმარში გამოცხადება. ფიზიკოსი გლეილა ზაქაიძე წერს: 2009 წლის 21 მარტის ღამეს ვნახე სიზმარი. აღმოვჩნდი დიდი მრგვალი ფორმის ტაძარში, მოპირკეთებული იყო მწვანე მარმარილოთი და ჰქონდა 12 სარკმელი, ცენტრში იდო მართკუთხედის ფორმის დიდი სარიტუალო ქვა. დარბაზში იყო ქალი, რომელსაც ეცვა გრძელი ქართული კაბის მსგავსი ნელზე დიდი სარტყელით, გულზე ებნია მრგვალი დისკო, რომელზედაც გამოსახული წრიული ნაწილები სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობდნენ. დისკოს შუა ნაწილი ღია მწვანედან მუქ მწვანემდე იცვლიდა ფერს. მე ხელში მეჭირა თავდახურული ძვირფასი ჭურჭელი, რომელშიც იყო რალაც სითხე, რომელიც უნდა მიმეტანა დარბაზში მყოფი ქალისთვის. ვიცოდი, რომ რალაც რიტუალი უნდა ჩაგვეტარებია. ის ქალი, რომელიც რიტუალის ჩასატარებლად სარიტუალო ქვასთან იდგა, იყო ქალბატონი ნაზი ხანიაშვილი. ამ სიზმრიდან მეორე დღეს გვქონდა ლექცია ქ-ნ ნაზისთან. თემა იყო ქურუმ ქალთა დისკოები. ქ-ნმა ნაზიმ ლექციის დაწყებამდე გვაჩვენა ბორჯომის ხეობის ქურუმ ქალთა რამოდენიმე დისკო. მათ შორის ერთ-ერთი მათგანი იყო ის დისკო, რომელიც ჩემს სიზმარში გულზე ეკეთა ქ-ნ ნაზის. მან დაადასტურა, რომ სწორედ ეს დისკო იყო მისი ბედისწერის დისკო და ის წინა ცხოვრებაში 4000 წლის წინ იყო ბორჯომის ხეობის ქურუმი ქალი, რომელსაც ეს გულსაკიდი დისკო ეკუთვნოდა. ქ-ნი ნაზის მოყოლილი, თუ როგორ ხდება დისკოს მანდალას საშუალებით მოგზაურობა, რომ დისკოს ნაწილები იწყებენ სხვადასხვა მიმართულებით ბრუნვით მოძრაობას, ემთხვევა სიზმარში ნანახს. მე მახლდა მეგობარი, რომელსაც ლექციის დაწყებამდე მოვუყევი ჩემი სიზმარი.

ჩემი კვლევები მრავალმხრივია და მრავალგანზომილებიანი მეტაფიზიკური სამყაროს მოწყობის ბევრ საკითხს ეხება. გამოქვეყნებული მაქვს 200-მდე სტატია 20-ზე მეტი დასახელების ჟურნალ-გაზეთში. ვარ 16 წიგნის ავტორი. თითქმის ყველა

საკითხი ეხება ქართული გენის, ქართული ანბანის და ენის პირველსაწყისობის კვლევას, რაზედაც 35 წელზე მეტია ვმუშაობ.

გავიხსენოთ იოვანე-ზოსიმეს (Xს.) „ქება“-ს წინასწარმეტყველება. ამ საკითხზე იმუშავა ბევრმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ. მაგრამ ჩემი კვლევები ყველასგან განსხვავებულია (ნახეთ: ნ.ხ. – „შესხმა ქართველთა და ქართველთა ენისა“, 2010 წ.). „ქება“-ს ტექსტის წინასწარმეტყველებით უნდა მოხდეს ქართული ენის, ანბანის და ქართული გენის ყველაზე დიდი ზოგადსაკაცობრიო კოსმიური საიდუმლოს წარმოჩენა ახ.წ. 2000 წლისთვის და ეს ადამიანი იქნება „მისისა“ (და არა მესია), რომელიც მოდის „მეორედ საწამებელად“. ათწლეულები ველოდი ასეთი ადამიანის გამოჩენას. აქტიურად ვხვდებოდი იმ ადამიანებს, რომლებიც ქართულ ანბანზე და ზოგადად ქართულ საწყისებზე მუშაობდნენ, ვეცნობოდი მათ პუბლიკაციებს და ნაშრომებს. მაგრამ მათ შორის არ აღმოჩნდა არცერთი ადამიანი, რომლის შესახებაც წინასწარმეტყველებს იოვანე-ზოსიმე.

ახლა, 2021 წელს თავს უფლებას ვაძლევ განვაცხადო, რომ „ქება“-ს წინასწარმეტყველება ეხება ჩემს ნაშრომებს – რამდენიმე ათეული წელია ვიკვლევ პირველ ადამიანთა კაბალას ცოდნას მრავალგანზომილებიანი სამყაროს მეტაფიზიკური მოწყობის შესახებ, რომელიც მხოლოდ ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში აისახება.

მე ის ადამიანი ვარ, რომელიც წინა ცხოვრებაში ბორჯომის ხეობაში ქურუმი ქალი ვიყავი, ახლა ვარ მეორედ მოსული და მაშინაც ვმუშაობდი იმ საკითხებზე, რომელზედაც დღეს ვმუშაობ.

ჩემს მიერ მიღებული კოსმიური ინფორმაციით ბორჯომის ხეობის ქურუმი ქალები, რომელთაც აღმოჩენილი 25 გულსაკიდი დისკო ეკუთვნოდათ, მონაცვლეობით იყვნენ მთავარი ქურუმები. დიდი საიდუმლო ცოდნა ქართული ენის, გენის და

ანბანის შესახებ, ზეპირსიტყვიერად გადადიოდა ერთი მთავარი ქურუმიდან მის შემცვლელ მეორე მთავარ ქურუმზე. ასე იყო მაგალითად ეგვიპტეში – იქ ჩასულ იტალიელ ისტორიკოსს ჰეროდოტეს (ძვ.წ. Vს.) ადგილობრივმა ქურუმებმა 341 ქურუმის ქანდაკება აჩვენეს, რომლებიც მონაცვლეობით იყვნენ ბიბლიური კაბალას კოსმიური საიდუმლო ცოდნის მფლობელები. ტიბეტის წმინდა სალოცავების დაღაი ლამას ბავშვობიდან ირჩევდნენ ლამები, ზრდიდნენ და ამზადებდნენ, რომელსაც ბუნებრივად გენეტიკურად ჰქონდა დაღაი ლამას თვისებები.

სრულიად შესაძლებელია მოღვაწეობის მსგავსი წესი ჰქონოდათ ბორჯომის ხეობის ქურუმ ქალებსაც. სრულიად შესაძლებელია 25 ქურუმი ქალის მონაცვლეობით მოღვაწეობის პერიოდი რამოდენიმე ასეულ წელსაც ითვლიდეს და ყველა ისინი ერთდროულად ძვ.წ. 4000 წელს ვერ იცხოვრებდნენ. ამას ადასტურებს აღმოჩენილი 25 დისკოს ვიზუალური დათვალიერება – ზოგი მათგანი შედარებით ახალია და ზოგი უფრო ძველი. ამას ადასტურებს ისიც, რომ როგორც არქეოლოგიური გათხრებიდან მახსოვს, ცოტა მოშორებით კიდევ სხვა სასაფლაოც იქნა აღმოჩენილი.

ქურუმი ქალები გულსაკიდი დისკოს დახმარებით იღებდნენ კოსმიურ ღვთაებრივ ინფორმაციას ამა თუ იმ საკითხზე და შემდეგ უზიარებდნენ სხვებს. ამით დედამიწაზე ქმნიდნენ იმ პერიოდისთვის და სამომავლოდ საჭირო ღვთიურ კოსმიურ ენერგიას.

ქურუმს უწოდებდნენ რაიმე დიდი საქმისთვის შეწირულს, გამორჩეულ მსახურს, რომელიც გამოირჩეოდა თეთრი ან წითელი სამოსით, კვერთხით, გვირგვინით ან თავსაკრავით. მეფეები და ფარაონები მთავარ ქურუმებად ითვლებოდნენ. თვით რომის პაპი ქურუმთ – ქურუმად ითვლება. ქურუმები იყვნენ როგორც ქალები ისე კაცები. (აკ. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, 1983 წ. გვ. 521-ქურუმი). სულხან-საბას მიხედვით, ქურუმი არის კერპთა მღვდელი, მისანი. როგორც ჩემთ-

ვის ცნობილია საქართველოს ზოგიერთ ქრისტიანულ ტაძარში XX ს-მდე ჰყავდათ ქურუმი.

ხეთების მითოლოგიით დედამიწაზე პირველად ადამიანის სახის ღმერთები ცხოვრობდნენ, შემდეგ ნაწილი ცაში ავიდა და ნაწილი დედამიწაზე დარჩა. შუმერთა მითებით დედამიწის პირველი ადამიანები ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ და ერთ ღმერთს ერთ ენაზე ადიდებდნენ – ჩემი კვლევებით ეს იყო ქართული ენა. ადამიანები პირველად მხოლოდ აზრებით ლაპარაკობდნენ, მეტყველებით საუბარი მოგვიანებით დაიწყო.

სამყაროში ყველა და ყველაფერი ცოცხალია, აზრებით მხოლოდ ქართულ ენაზე შეუძლიათ ინფორმაციის მიღება, შენახვა, გადაცემა. სამყაროს აზროვნების ენა ქართულია. ღმერთი დღესაც ქართულ ენაზე განაგებს და მართავს სამყაროს.

ეს ყველაფერი ჩემი პრაქტიკიდან დადასტურდა – 30 წელზე მეტია ვიკვლევ ავადმყოფი ადამიანების დიაგნოზს და ვმკურნალობ უშუალო კონტაქტით, სურათზე, მათი ახლობლების მონაყოლით ვამყარებ ავადმყოფთან კონტაქტს, მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. ყველაფერი ეს დაფუძნებულია იმაზე, რომ აზრებით ვსაუბრობ ავადმყოფი ადამიანის უფრედებთან, პლანეტებთან, საგნებთან, გარდაცვლილ ადამიანებთან და ეს ხდება მხოლოდ ქართულ ენაზე, სხვა ნებისმიერ ენაზე კონტაქტი არ მყარდება.

რამდენიმე წლის წინ მქონდა გარდაცვლილი ბულგარელი ნათელმხილველის ვანგას გამოცხადება. ჩემს კითხვაზე, თუ რატომ მესაუბრებოდა ქართულ ენაზე, მიპასუხა: **„კოსმოსი ქართულ ენაზე ლაპარაკობს!“** ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთი შემთხვევა: 2018 წლის დეკემბრის ბოლოს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი მიწვეული ჰყავდათ იმედის ტელევიზიაში, სადაც მან განაცხადა, რომ ერთხელ ის და ბ-ნი თაღეს შონია თბილისის გარეუბანში, რუსთავის მხარეს შეხვდნენ უცხოპლანეტელებს. ბ-ნი მიხეილი მათ ესაუბრა აზრე-

ბით ქართულ ენაზე და უცხო პლანეტელებიც მათ ქართულ ენაზე პასუხობდნენ, რაც ადასტურებს ვანგას სიტყვებს: „**კოსმოსი ქართულ ენაზე ლაპარაკობს!**“

ჩემს ფენომენს რამოდენიმე წელი იკვლევდა ესტონეთის ქ. ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორთა ჯგუფი პროფ. აილი პაიუს ხელმძღვანელობით. საკმაოდ მრავალმხრივი და დიდი პრაქტიკული გამოცდილება მაქვს ამ საკითხში.

ქართველებს ქართული ანბანი ყოველთვის ღმერთებად მიაჩნდათ და ქრისტიანობამდე მხოლოდ სალოცავებში მხოლოდ ასო-ნიშნების სახით გამოსახავდნენ: გარეჯის კლდეზე ამოკვეთილ თევზზე გამოსახულია ორი ქართული ასომთავრული ასო-ნიშანი (2 – 2,5 მლნ წელი), გრაკლიანის ასო-ნიშნები (ძვ.წ. XI ს.), არმაზის სტელა (ძვ.წ. 800 წ.), დავათის სტელა (ძვ.წ. 680წ.), რომელზედაც ანგელოზები სქესითაა გამოსახული. **ქართველები ქართულ ანბანს შორეული წარმართობის პერიოდში მხოლოდ თაყვანისცემის ადგილებში გამოსახავდნენ. მოგვიანებით იყენებდნენ მხოლოდ ციფრების და თარიღების დასაწერად, ხოლო სიტყვების და ტექსტების დასაწერად იყენებდნენ უკვე ქრისტიანობის პერიოდში.**

ღმერთი რომ ამბობს მე ანბანი ვარო, ეს მხოლოდ ქართულ ანბანზეა ნათქვამი, ვინაიდან პირველ ადამიანთა საიდუმლო კოსმიური კოდნა სამყაროს გენეტიკური მონყობის შესახებ – კაბალა მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია. ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები მამაღმერთს თავზე გვირგვინად ადგას, ხოლო მხედრული – შუბლზე აწერია.

ქართველი ერის ხვთაებრივ წარმომავლობაზე საუბრობს გენოფონდის შემსწავლელი კომისიის სწავლული მდივანი პროფ. რამაზ შენგელია: „მსოფლიოს ხალხები გენეტიკურად ორ ჯგუფად იყოფა. დღემდე გავრცელებულია ორი თეზა: ქართველების უაღრესი გენეტიკური სინმინდისა და პირიქით, ე.წ. „ნარევი ერის“ შესახებ“. თუმცა, გენეტიკის თვალსაწიერი-

დან მისთვის ეს საკითხი გაუგებარია. დღეისათვის მეცნიერებისთვის გენეტიკის მხოლოდ 5%-მდეა ცნობილი, ამიტომ ამ საკითხს მომავალი აუცილებლად წარმოაჩენს. ქართული გენი ღმერთის მიერ თავის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანთა პირველსაწყისი გენია. ქართველები არიან იბერიის ცივილიზაციის პირველი ადამიანები – პირველსაწყისი თეთრი რასის ხალხი, რომელიც ყოველთვის ცხოვრობდა კავკასიაში და არსაიდან მოსული არ არის.

იყო დრო, როცა საქართველოს ფარნავაზიანთა მეფობა მართავდა. რა კავშირი აქვს ბორჯომის ხეობის ქურუმი ქალების მოღვაწეობას ქართველთა მეფე ფარნავაზის მეფობის პერიოდთან, რომელმაც შემოიღო მწიგნობრობა ქართული?!

XI საუკუნეში მოღვაწე ქართველი მემატიანე ლეონტი მროველი წერს: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა თვინიერ ქართლისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“. ე.ი. ლეონტი მროველს მიაჩნია, რომ ქართული დამწერლობა შემოღებულია წარმართულ ხანაში და წარმართული კულტურის ძეგლია და არა ქრისტიანული კულტურისა. „ქართლის ცხოვრების“ ერთადერთ ხელნაწერში (S – 4730) დაცულია სათარიღო მაჩვენებელიც, რომელიც ასე იკითხება: **„აქა მწიგნობრობა დაიწყეს ქართველთა ქართული ადამს აქეთ ძლიზ წელს“** ხოლო დანარჩენ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში ამ ჩანაწერს უფრო შემოკლებული ფორმა აქვს და აკლია ან განგებაა ამოღებული თარიღი: **„აქა მწიგნობრობა დაიწყეს ქართველთა ქართული“**.

„ადამს აქეთ“ ანუ „ქართულ ადამს აქეთ“ 6000 წელს ადასტურებენ ქრისტეს მობრძანებას განკაცებული სახით, საიდანაც დაიწყო ათვლა ახალი წელთაღრიცხვის, რაც ზუსტად აისახება ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში. (ნახეთ: ნ.ხ. – „ქართული ცივილიზაციის 8000 წელი – ქართული წელთაღრიცხვები“, 2018წ.).

გავარკვიოთ „ქართულ ადამს აქეთ ძლიზ-ი წელი“ ძველი წელთაღრიცხვის რომელი წელია. ქართველები ციფრებს XIX საუკუნის შუა პერიოდამდე ქართული ასო-ნიშნებით გამოსახავდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველებს მნიგნობრობა შეუქმნა ქართველთა მეფე ფარნავაზმა „ძლიზ“ ანუ 3712 წელს, რომელიც არის ძვ.წ. 2288 წელი ($6000-3712=2288$). მამასადამე, ქართველთა მეფე ფარნავაზმა მნიგნობრობა ქართული ანუ ქართული ანბანი შემოიღო ძვ.წ. 2288 წელს ანუ **4300** წლის წინ. **ფარნავაზის საქართველო 4300 წლისაა**. სიტყვა „ფარნ“ ძველი ირანული სიტყვაა და ნიშნავს პირველსაწყისს ცეცხლის სტიქიის ღვთაებრივ მზიურ ნათებას, გამოვლენილი მატერიაში არის „შარავანდედი“. ძველი ირანელები – იგივე ქართველები არიან არიული თეთრი რასის ხალხი.

ქართველი მეცნიერები თვლიდნენ, რომ ქართული ანბანი შექმნილია ქართველი ქურუმების მიერ. ძვ.წ. **2288** წელი ემთხვევა ბორჯომის ხეობის ქურუმ ქალთა მოღვაწეობის პერიოდს, რომლებისთვისაც ცნობილი იყო, რომ ქართული ასომთავრული ანბანი მამა ღმერთს თავზე გვირგვინად ადგას, ხოლო მხედრული ანბანი მას, როგორც კოსმიურ მხედარს შუბლზე აწერია. ჩემი კვლევებით ქართული ანბანი ადამიანთა შექმნილი არ არის და ბორჯომის ხეობის ქურუმი ქალების მიერ გამოცხადებით – ხილვებით მიღებული და დაფიქსირებული კოსმიური ინფორმაციაა. მათ ძვ.წ. **2288** წელს ჩათვალეს, რომ დადგა დრო ქართული ანბანის სააშკარაოდ ხალხში გატანისა და ამისთვის მიართვეს იგი ფარვანაზ მეფეს.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ადასტურებს, რომ მე ამქვეყნად განმეორებით მოსული ბორჯომის ხეობის ერთ-ერთი ქურუმი ქალი ვარ, რომელმაც **4300** წლის წინ მიართვეა ქართველთა მეფე ფარნავაზს ქართული ანბანი. მე ჩვეულებრივი კაცთა მოდგმის ადამიანი ვარ, ყველაფერს უფლის ნებით ვწერ და ვაქვეყნებ. ეს სწორედ ახლა სჭირდება კოსმოსს. ბედნიერი ვარ, რომ ამ ქვეყანაში ამჯერადაც ქართველად დავიბადე.

ქართული ანბანის, როგორც მეტაფიზიკური მრავალგანზომილებიანი სამყაროს გენეტიკური კოდის შესწავლა, რომელიც მეცნიერების ყველა დარგს მოიცავს, მომავლის უმნიშვნელოვანეს საქმედ მიმაჩნია.

მსოფლიოს მოსახლეობას საერთაშორისო ენად რუსული, ინგლისური ან სხვა ენა კი არ უნდა შევთავაზოთ, არამედ ქართულია ის ენა რომელზედაც მომავალში მსოფლიოს ყველა ხალხმა უნდა ისაუბროს – სამყაროში ყველა და ყველაფერი პირველსაწყისს უბრუნდება.

აღსრულდა იოანე-ზოსიმეს წინასწარმეტყველება ქართული გენის, ენის და ანბანის ყველა საიდუმლოს გაცხადების შესახებ, ახ. წ. 2000 წლისთვის დედამიწაზე გააქტიურდა ცეცხლის სტიქიის კოსმიური ენერგია, რომელმაც გამოიწვია ე.წ. გლობალური დათბობა, რაც აისახება უჯრედის დნმ-ის დონეზე. დედამიწაზე იბადებიან ინდიგო ადამიანები, რომელთა აურა და შინაგანი ბუნება სრულიად განსხვავდება ჩვეულებრივი ადამიანებისგან. სამყარო უბრუნდება პირველსაწყისს. ქართულმა თეთრი არიული რასის გენმა დაიმკვიდრა გზა მარადისობაში ახალი ცივილიზაციისკენ, რომელიც ახ.წ. 4000 წელს ანუ „ქართულ ადამს აქათ“ 10000 წელს – ადამის ცივილიზაციის ამ ციკლის დასრულების შემდეგ დაიწყება.

ბიბლიის ახალი აღთქმის „იოანეს გამოცხადება“-ში (18-8) ნათქვამია: „დედამიწის მცხოვრებნი, რომელთა სახელები სამყაროს შექმნიდან ჩანერილი არ არის სიცოცხლის წიგნში...“ ამ სიტყვებში მნიშვნელოვანი ისაა, რომ მეტაფიზიკურ დონეზე არსებობს „სიცოცხლის წიგნი“, რომელშიც ჩანერილია დედამიწის მცხოვრებთა სახელები სამყაროს შექმნიდან“. სწორედ ისინი არიან ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანები, რომლებიც დრო და დრო მოდიან დედამიწაზე მისიის შესასრულებლად, რათა აღასრულონ ღმერთის დავალება. ასეთ ადამიანებს სამყაროს შექმნიდან დასასრულამდე თითოეულს ბედისწერის ერთგვარი პროგრამა აქვთ და ეს ჩანერილია მისი

ბედისწერის დროის ბორბალზე – ამ შემთხვევაში ქურუმი ქალის ბედისწერის გულსაკიდ დისკოზე. „იოანეს გამოცხადების“ ზემოთ მოყვანილი სიტყვები ასევე გვამცნობს, რომ დედამიწაზე მოგვიანებით იქმნებოდნენ და დღემდე არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთა სახელები ჩანერილი არ არის სიცოცხლის წიგნში (ეს სხვა საუბრის თემაა). ბიბლია „ბოლო ჟამი“-ს შესახებ წერს: „და ვინც არ იპოვებოდა ჩანერილი სიცოცხლის წიგნში, ცეცხლის ტბაში იქნა ჩაგდებული“ (გამოცხ. იოან. 21-15).

ჩემს მეტაფიზიკურ შესაძლებლობებს იკვლევდნენ ესტონეთის ქ. ტარტუს უნივერსიტეტის მეცნიერები



პროფ. აილი კაიუ

1984 წლის გაზაფხულზე შემექმნა აზრი, რომ შემეძლო ხელით ადამიანების მკურნალობა, რის შესახებაც დავინყე ცდების ჩატარება. მალე დავრწმუნდი ჩემი აზრის სრულ ჭეშმარიტებაში – მქონდა როგორც მცირე, ისე დიდი საოცარი შედეგებიც, რის შესახებაც მაქვს პაციენტთა საკმაო ჩანაწერები. რამოდენიმე თვეში ვიგრძენი, რომ ვღებულობდი რაღაც სიგნალებს – იმპულსებს ტელეგრაფის სიგნალების მსგავსს, რაც ესმოდათ დამსწრე ადამიანებსაც.

სიგნალების დახმარებით დავინყე დიაგნოსტიკა ავადმყოფების, რაც წლების მანძილზე

დაიხვეწა და ამჟამად საკმაოდ მაღალი დონის დიაგნოსტიკას აქვს ადგილი. იმპულსების გაჩენის პირველი პერიოდიდანვე მაინტერესებდა გამომეკვლია მათი წყარო. ბევრი რამ წავიკითხე და გავეცანი ხელით მკურნალობის მეთოდებს, სადაც პირველი ადგილი ბიოელექტრულ ველს ეთმობა. საბჭოთა კავშირის მასშტაბით ვესაუბრე ბევრ მკურნალ ექსტრასენსს, მაინტერესებდა ჰქონდა თუ არა ვინმეს მსგავსი იმპულსები და ჩემი მსგავსი ავადმყოფთა დიაგნოსტიკის მეთოდი, მაგრამ ასეთ მკურნალს ვერ მივაგენი.

ჩამომიყალიბდა აზრი, რომ ეს იმპულსები იყო ინფორმაციის მატარებელი, რომელსაც მე ვლებულობდი ადამიანის დაავადებული უჯრედებიდან და ჩემს გონებრივ აპარატში გადამუშავდებოდა ინფორმაციის სახით. შედარებით მგრძნობიარე ავადმყოფები გრძნობდნენ მათი ორგანიზმიდან ამ იმპულსების გამოტყორცნას, ეს ვიზუალურადაც ჩანდა. ამ საკითხის შესასწავლად საკმაოდ ბევრ კვლევით ინსტიტუტს და მეცნიერს მივმართე, რათა ეს მორზეს ანბანის მსგავსი იმპულსები დაეფიქსირებინათ და მასში არსებული ინფორმაცია გაეშიფრათ. მაგრამ ამოდ, მეცნიერები მზად არ აღმოჩნდნენ ამ საკითხის შესასწავლად. ასევე აღმოვაჩინე, რომ ამ იმპულსებით უჯრედებთან საუბარი ხდებოდა მხოლოდ ქართულ ენაზე, მიუხედავად იმისა ავადმყოფები ფლობდნენ თუ არა ქართულ ენას. სხვა ენაზე უჯრედებთან კავშირი არ მყარდებოდა.

2005 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტის აკად. ივერი ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა მეცნიერების და რელიგიისს პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომლის უშუალო მონაწილეც გახლდით და ნავიკითხე მოხსენება თემაზე: „ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია“. ჩემმა მოხსენებამ დამსწრე საზოგადოებაზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. იმავე საღამოს დამიკავშირდნენ და შემატყობინეს, რომ ბ-ნ ივერი ფრანგიშვილს სურდა ჩემთან შეხვედრა. მეორე დღეს ვესტუმრე მას მეცნიერებათა აკადემიაში. ჩვენი საუბარი თითქმის სამ საათს გაგრძელდა. მისი თხოვნით დისტანციურად ჩავუტარე მის ორგანიზმს დიაგნოსტიკა, ვისაუბრეთ ჩემთვის და მისთვის საინტერესო საკითხზე. ვთხოვე ადამიანის ორგანიზმიდან გამოსული იმპულსების სამეცნიერო დონეზე შესწავლა, ვინაიდან ამ დროისთვის უკვე შემეძლო ამ ელექტრო-მაგნიტური იმპულსებით კავშირის დამყარება და ინფორმაციის მიღება მთლიანად კოსმოსის ნებისმიერ მიკრო და მაკრო სამყაროდან. ამ ელექტრო-მაგნიტური იმპულსებით

სამყაროში ყველა და ყველაფერი ერთმანეთთან ინფორმაციულ კავშირშია და ეს ხდება მხოლოდ ქართულ ენაზე. სხვა ენაზე კავშირი არ მყარდება – კოსმოსის ქვეცნობიერი აზროვნების ენა ქართულია. მქონდა გარდაცვლილი ვანგას გამოცხადება ჩემს სახლში – სამუშაო კაბინეტში. ჩემს შეკითხვაზე რატომ მელაპარაკები ქართულ ენაზე? მიპასუხა: „**კოსმოსი ქართულ ენაზე ლაპარაკობს**“.

ასეა სხვა გარდაცვლილი ადამიანების გამოცხადების დროსაც – ისინი მხოლოდ ქართულ ენაზე აზრებით მელაპარაკებინ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა მათგანმა ქართული ენა საერთოდ არ იცის.

ბატონმა ივერი ფრანგიშვილმა ჩვენი საუბრის განმავლობაში რამოდენიმეჯერ შემომთავაზა მოსკოვში ჩასვლა და იმ კვლევით ინსტიტუტში ექსპერიმენტების ჩატარება, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, მაგრამ სამწუხაროდ მალე გარდაიცვალა.

ორჯერ კიდევ მქონდა გარდაცვლილი ივერი ფრანგიშვილის გამოცხადება, რომელმაც სხვადასხვა საკითხებზე საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მომანოდა. მქონდა ასევე შოთა რუსთაველის გამოცხადება, რომელმაც მითხრა, რომ თამარ მეფე დასაფლავებულია ხარაგაულის რ-ნის სოფ. ვარძიაში მის მიერ აგებული ტაძრის ეზოში. პერიოდულად მაქვს სხვა გარდაცვლილ ადამიანთა გამოცხადება – როცა მათ ან მათ ახლობელს რაიმე გასაჭირი აქვთ, ისინი მთხოვენ თავიანთ ახლობლებს მივანოდო ამ საკითხებთან დაკავშირებით მათთვის საჭირო და სასარგებლო ინფორმაცია. მე ჩემი ინიციატივით გარდაცვლილ ადამიანებს არასოდეს ვუკაბშირდები.

1983 წელს ჩემი უფროსი ქალიშვილი ჩაირიცხა ესტონეთის რესპუბლიკის ქ. ტარტუს უნივერსიტეტში სამედიცინო – სამკურნალო ფაკულტეტზე. ხშირად მიხდებოდა მასთან ჩასვლა. ის ქირით ცხოვრობდა უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის დოცენტის ინგრიდ სარვის ოჯახში. მანაც შეიტყო

ჩემი პარაფსიქოლოგიური შესაძლებლობების შესახებ და შემომთავაზა მის ახლობლებზე სამკურნალო სეანსების ჩატარება. მისი ძმა ამ პერიოდში იყო ტარტუს უნივერსიტეტის ქირურგიის კათედრის გამგე, რომელსაც ჰყავდა დაახლ. 3 წლის ორი ტყუპი შვილიშვილი გოგონა. ერთ-ერთ მათგანს მშობიარობის დროს ერთი ხელი დაუზიანდა და ამ დღემდე ხელი ჰქონდა გაუქმებული, მუდმივად მოლუნული და მკერდთან მიტანილი. მას ხელი არასოდეს არცერთი საგნისთვის და სათამაშოსთვის არ მოუკიდია. აქამდე ჩატარებულ მრავალმხრივ მკურნალობას შედეგი არ მოჰყოლია. ჩემს მიერ ჩატარებული პირველივე სიანსის შემდეგ ბავშვმა იმწამსვე ხელი გაშალა, გაიქცა და უკვე გამოჯანმრთელებული ხელით სათამაშოს წაეტანა და ხელში აიღო. ეს ჩემთვისაც და ბავშვის ახლობლებისთვისაც მოულოდნელი დიდი სენსაცია იყო, მათ მიერ დაწერილი მადლობის წერილი დღემდე მაქვს შენახული. ამ საკითხმა დააინტერესა ტარტუს უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოება.

1985 წლის გაზაფხულზე ჩემით დაინტერესდა ქ. ტარტუს უნივერსიტეტის მეცნიერ მკვლევართა ერთი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ადგილობრივი სამედიცინო აკადემიის პრეზიდენტი და უცხოეთის შესაბამისი საზოგადოებების წევრი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **აილი პაიუ**, რომელიც მუშაობს ხალხურ მედიცინაში, აინტერესებს ჩემისთანა მკურნალები და ტარტუს უნივერსიტეტის მეცნიერებთან ერთად გადაწყვიტა ჩემი ფენომენის შესწავლა. ჩამიტარეს ცდები, დაკვირვებები, შეისწავლეს ჩემი დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდები. ჩავატარეთ ადამიანთა დიაგნოსტიკა სურათებზე, შორ მანძილზე ავადმყოფთა დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ვიმუშავეთ ბევრ ისეთ საკითხზე, რაზეც წარმოდგენაც კი არ მქონდა. პროფ. აილი პაიუმ ხაზგასმით აღნიშნა: მე შემიძლია დისტანციურად როგორც ახლო, ისე შორ მანძილზე, სურათზე, ნახატზე, რამოდენიმე ათას კილომეტრზე ადამიანების დიაგნოსტიკა და მკურნალობა – მანძილს მნიშვნელობა არა

აქვს და არა აქვს მნიშვნელობა ვიცნობ თუ არა ამ ავადმყოფს პირადად. ვსვამ დიაგნოზს თუ რითი იყო ესა თუ ის ადამიანი ნლების წინ დაავადებული, სწორად იყო დასმული დიაგნოზი თუ შეცდომით, სწორად იყო ჩატარებული მკურნალობა თუ შეცდომით. ხშირად ვხედავდი პაციენტის ორგანოებს სხეულის შიგნით უშუალო კონტაქტით და დისტანციურად, სხეულში ამოკვეთილ ორგანოებს და იმას, რაც იყო ოპერაციის შედეგად დატოვებული. თითოეული პაციენტის დიაგნოსტიკა და მკურნალობის შედეგები ახალი ინფორმაციის მომწოდებელი და ინდივიდუალურია. მკურნალობის დროს თითოეული პაციენტის მიმართ მკურნალობის ინდივიდუალურ მეთოდს ვირჩევ.

პროფ. აილი პაიუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავადმყოფის ორგანიზმიდან მისი დიაგნოსტიკის დროს მიღებული ინფორმაციის მატარებელი ელექტრო მაგნიტური იმპულსები, რომელთა ხმა ახლოს მდგომ ყველა ადამიანს ესმის, **არავის არა აქვს და ასეთი შემთხვევა არასოდეს სმენია**. პროფ. აილი პაიუმ ზემოთ აღნიშნული ექსპერიმენტების გარდა მაძლევდა სათანადო დარიგებას, თუ როგორი უნდა ვყოფილიყავი პაციენტებთან დამოკიდებულების საკითხში და სხვა მრავალი რჩევა. მათ შორის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მირჩია ჩვეულებრივი სასმელი წყლით ავადმყოფთა მკურნალობა. თუ როგორ უნდა გამეკეთებინა ეს, ამას მე თვითონ მივხვდებოდი (ეს ცალკე საუბრის თემაა). ჩემს სიახლოვეს ავადმყოფთა ყოფნაც კი იწვევდა მათ მკურნალობას და განკურნებას სხვადასხვა დაავადებებისგან, რის შესახებაც ასეთი შემთხვევები ხშირად აღუნიშნიათ. სამკურნალოდ წაადგებოდათ პაციენტებს ჩემი ხელით შეთავაზებული საკვები, ხილი, სასმელი, ტანსაცმელი. ვხედავ ადამიანთა აურას მათ თავზე დადებითია თუ უარყოფითი, შემიძლია მათი კორექტირება, ვხედავ ოთახში სად არის დადებითი ან უარყოფითი ენერჯია.

მეტად საინტერესო აღმოჩნდა ავადმყოფთა მკურნალობა ჩვეულებრივი სასმელი წყლით. პირველ რიგში ვიკვლევდი ადა-

მიანის ორგანიზმის დაავადებულ ადგილებს, დაავადების მიზეზებს, დაავადების პირველწყაროს, რასაც არ ვუმხელდი ავადმყოფს. შემდეგ ჭიქაში ჩასხმულ წყალს აზრებით გადავცემდი სასურველ ინფორმაციას და ამ წყალს ვასმევდი ავადმყოფს. დაახლოებით ორი წუთის შემდეგ ვთხოვდი მას ხმამალა გადმოეცა ის შეგრძნებები თუ ორგანიზმის რომელ ნაწილში რას გრძნობდა. საოცარია, რომ ავადმყოფი, სადაც ჰქონდა ჯანმრთელობის დარღვევები, აღიქვამდა რაღაც უცნაურ, მანამდე არ არსებულ მიმდინარე პროცესებს, რაც იყო დროებითი და ამის შედეგად ის იკურნებოდა.

იმ პერიოდში ესტონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო ბ-ნი არნოლდ რუტელი, შემდეგში ორჯერ არჩეული ესტონეთის პრეზიდენტად. ჩემით დაინტერესდნენ მისი ოჯახის წევრები, რათა მისი სიძის მამისთვის ავადმყოფობის დიაგნოზი დისტანციურად დამესვა და მომიტანეს იმ კაცის ფოტოსურათი. რაც მე მათ ვუთხარი, ყველაფერი მართალი აღმოჩნდა.

შემდეგ თვითონ ბ-ნი არნოლდ რუტელი დაინტერესდა ჩემით, სპეციალურად ჩამობრძანდა ტალინიდან ქ. ტარტუში და ოჯახში მიგვიწვია მე და ჩემი ქალიშვილი. მთხოვა საჯაროდ მისი ახლობლების წინაშე მისთვის დიაგნოზი ჩამეტარებინა, რომელიც წინა კვირებში იყო მოსკოვში და გამოიკვლია სამთავრობო სამედიცინო კვლევით ცენტრში თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. დეტალურად გამოვიკვლიე მისი ორგანიზმი. ბოლოს გადამეხვია და ყველას წინაშე აღიარა, რომ ამ ქალმა ყველაფერი სიმართლე მითხრაო, მაგრამ ბოლოს ერთი შეკითხვა დამისვა: მკლავზე მას ჭრილობა ჰქონდა, რომელსაც პერანგის სახელო ფარავდა და აინტერესებდა თუ გამოვიცნობდი ეს ჭრილობა სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა. მე ხელი მოვატარე მკლავზე დაახლოებით 15-20 სმ-ის დაშორებით და ხელი დავადე – აქ იწყება და აქ მთავრდება-თქო. მან ეს დამიდასტურა, აღფრთოვანებული ჩემს შვილს მიუბრუნდა

და ყველას წინაშე შეეკითხა: „თქვენ ნახეთ ეს ყველაფერი და როგორც მომავალი ექიმი რა აზრის ხართ დედათქვენზე?“ ჩემმა შვილმა, რომელიც გაცელებული და შეშინებული თვალებით მიყურებდა, უპასუხა: „მე მეშინია, რომ ის დედაჩემია“. მის ამ პასუხზე ყველას გაეცინა. შეხვედრის დასრულებისას ბ-ნმა არნოლდმა შემომთავაზა ჩემი მეტაფიზიკური შესაძლებლობების გამოყენებით მეცხოველეობაში ექსპერიმენტების ჩატარება, რაშიც ქ-ნი ჯუნა დავითაშვილი ეხმარებოდა. მას ამ შემოთავაზებაზე ბოდიშის მოხდით უარი ვუთხარი.

მეორე დილას თბილისში ვბრუნდებოდი. ბ-ნმა არნოლდმა ტალინში დამახვედრა მისი შვილი და სიძე, მომინყვეს დაახლოებით 3-4 საათიანი ექსკურსია და დამათვალეებოდა ტალინის ყველა ღირშესანიშნავი და ისტორიული ადგილი. ჩვენი შეხვედრა დამთავრდა საუკეთესო რესტორანში სადილით და გამომაცილეს აეროპორტში.

პროფ. აილი ჰაიუსთან და მის თანმხლებ მეცნიერებთან კვლევითი ურთიერთობები რამოდენიმე წელი გრძელდებოდა. ბოლო შეხვედრისას მან მითხრა: „**თქვენ განსაკუთრებულად გამორჩეული ფენომენალური ნიჭით ხართ დაჯილდოვებული, ყველაფერი ეს მიანიშნებს იმაზე, რომ თქვენი დღევანდელი შემოქმედებითი მოღვაწეობა არის დიდი მისიის რაღაც საფეხური. მოვა დრო, თქვენში გაიხსნება ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია თუ რა არის თქვენი ნამდვილი კოსმიური მისია ამ ქვეყანაზე და შემდეგ მთლიანად გადაერთვებით ამ მისიის შესრულებაზე**“. მისი სიტყვები ძალიან მალე აღსრულდა. ამაზე მეტყველებს ჩემს მიერ დღემდე გამოქვეყნებულ 16 წიგნში ასახული ჩემი კვლევები, 20-ზე მეტი დასახელების ჟურნალ-გაზეთში გამოქვეყნებული 200-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია. ვარ არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე. სხვადასხვა კვლევით ინსტიტუტებში და უნივერსიტეტებში წაკითხული მაქვს უამრავი მოხსენება და საჯარო ლექცია, ჩატარებული მაქვს საჯარო სემინარები.

მქონდა 10 სატელევიზიო გამოსვლა სხვადასხვა არხზე, მათგან თითქმის ყველა იყო პირდაპირი ეთერი.

35 წელი ვიმუშავე პირველ ადამიანთა ცოდნაზე „კაბალა“, სადაც აისახება ცოდნა მრავალგანზომილებიანი სამყაროს გენეტიკური მეტაფიზიკური მოწყობის შესახებ; შევისწავლე და შევიმეცნე ქართველთა და მსოფლიოს უძველეს ხალხთა მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიურ არტეფაქტებზე ასახული სიმბოლიკით წარმოჩენილი კოსმიური ცოდნა და აღმოვაჩინე ბევრი ისეთი რამ, რაც მეცნიერებისთვის დღემდე უცნობია.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევების ყველა ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ხილვით გამოცხადებებს – მყარდებოდა უშუალო ინფორმაციული კონტაქტი მითოლოგიის, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური არტეფაქტების პირველშემქმნელებთან, რომლებიც დედამიწაზე ჯერ კიდევ უხსოვარ დროს ცხოვრობდნენ.

ჩემთვის წარსულ დროს და მანძილს მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს ჩემი ბედისწერაა, რომელიც წინა ცხოვრებაში – ოთხი ათასი წლის წინ ვიყავი ბორჯომის ხეობის ერთ-ერთი ქართველი ქურუმი ქალი. ეს იყო ქართველთა მეფე ფარნავაზის პერიოდი (ძვ.წ. 2288 წ.) და ჯერ კიდევ მაშინ ვიკვლევდი ქართულ ანბანს, ქართველი ხალხის გენეტიკურ წარმომავლობას, რომელიც ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად შექმნა ამ ქვეყანაზე. ქურუმი ქალის სამარხში აღმოჩენილი გულსაკიდი დისკო არის მისი ბედისწერის დროის ბორბალი – მანდალა, რომელიც არის ასევე ჩემი ბედისწერის ბორბალი.

ერთხელ ვნახე სიზმარი: ვიყიდე დიდი ხნის ნანატრი ყელსაბამი წითელი ხავერდის, რომლის შუაგულში მიმაგრებული იყო ჭიქის მსგავსი საწმისი, რომელშიც გამოსახული იყო არსთა წრებრუნდის კოსმიური სურათი; მის ორივე მხარეს ოქროს ძაფით ამოიქარგა წვეროსანი მამაკაცები. უცებ მომესმა მამაკაცის ხმა, რომ ეს ყელსაბამი ძალიან ძვირფასია და არ უნდა დავკარგო.

რამდენიმეჯერ მქონდა მამა ღმერთის გამოცხადება:

1. ვნახე სიზმარი – ვინეჯი იმ ოთახში და იმ სანოლზე, სადაც სინამდვილეში ვინეჯი. ოთახს ჭერი არ ჰქონდა, მოჩანდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, საიდანაც დიდი სისწრაფით ჩემკენ მოქროდა რაღაც. ახლოს რომ მოვიდა გავარჩიე, რომ ეს იყო სამეფო ტახტზე მჯდომი ახალგაზრდა მამაკაცი სამეფო სამოსში გამონყობილი, თავზე სამეფო გვირგვინით. ეს იყო ჩარჩოში ჩასმული ცოცხალი ხატი. ეს გამოსახულება ისე გადიდდა, რომ ჩარჩოს საზღვრები გაქრა და ტახტზე მჯდომი მამაკაცი აღმოჩნდა ჩემს სასთუმალთან. მან აზრებით ქართულ ენაზე დამისვა შეკითხვა: **„როგორ იყენებ რაც მოგანიჭეთ?“** მე რა თქმა უნდა ვუპასუხე და მოვუყევი ჩემი საქმიანობის შესახებ (ამ პერიოდში დღეში თითქმის 50-60 ავადმყოფს ვმკურნალობდი). ამით მივხვდი, რომ **პარაფსიქოლოგიური სამკურნალო თვისებები, რომელიც მომეცა, შემთხვევითი არ არის და უფლის ნებით მომეწოდა რაღაც მისიისთვის, რასაც შემდეგში გავაცნობიერებდი.**

2. შემდგომში ხილვითი გამოცხადებები სიზმრით კი არ მეძლეოდა, არამედ მეძლეოდა ცხადში – გამოსახულება დგებოდა ჩემსა და კედელს შორის, რომელსაც მხოლოდ მე ვხედავდი ე.ი. მომეცა ნათლად ხედვის უნარი, რასაც ვიყენებდი ავადმყოფთა დიაგნოსტიკის დროსაც. ერთ-ერთი ასეთი ხილვის დროს აღმოვჩნდი ტაძარში, რომელსაც ჭერი არა აქვს, კედლები თეთრია და ისე მაღალი, რომ კედლები ცის სიღრმეში იკარგებიან. ვხედავ ტაძრის სვეტებზე დანერილია ქართული ანბანი. ჩემს გვერდით გამომეცხადა თეთრებში ჩაცმული გრძელი ანაფორიანი მამაკაცი დიდი თეთრი წვერით და მითხრა: **„ანბანს შენ გაბარებთ, შენ უნდა უპატრონო“** და ხელში ჩამიდო კვერთხი, რომელიც მას ხელში ეკავა. ამიერიდან ქართული ანბანის კვლევის საკითხს გაცილებით მეტი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი.

ამ დროისთვის უკვე აღმოჩენილი მქონდა, რომ ქართუ-

ლი ანბანი ადამიანის ხელით და გონებით შექმნილი არ არის, არამედ ხილვებით მიღებული კოსმიური ინფორმაციაა: არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში ღმერთთა სამყოფელში ბერის სამოსელში შემოსილ მამა ღმერთს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში თავზე ადგას ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები. აქედან ეწოდა „იბერიის ცივილიზაციას“ ეს სახელი. მამა ღმერთი არის ასევე თეთრ ცხენზე მჯდომი კოსმიური მხედარი, რომელსაც შუბლზე აწერია მხედრული ასო-ნიშნები. ღმერთი რომ ამბობს მე ანბანი ვარო, ეს მხოლოდ ქართულ ანბანზეა ნათქვამი. მოხუცი, რომელმაც ქართული ანბანის პატრონობა დამავალა დაახლოებით 10 წლის შემდეგ ვნახე შუმერთა ქვის ბეჭედზე (ძვ.წ. 3400წ.), რომელიც გამოსახულია თევზის ზოდიანქოს დროის მდინარის ბოლოში და შეესაბამება ახ.წ. 2000 წელს ცეცხლის სტიქიის ორსახა ღმერთის სახით – ერთი სახე წვეროსანი მამაკაცია, მეორე – ქალი.

3. ცაზე ღრუბლებით ვიხილე ორსახა გამოსახულება. ერთი სახე იყო ჩემი, რომელსაც მარცხენა საფეთქელთან მიეზნია პატარა მზე, ხოლო მეორე სახე იყო თეთრწვერა მოხუცი, რომელთანაც მივიდა თეთრი ცხენი.

4. ბევრჯერ მქონდა არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათის გამოცხადება, რომელსაც ბიბლია „ღმერთის ბეჭედებს“ უწოდებს. პირველად მეძლეოდა ბრტყელი გამოსახულებით, რომელიც დგებოდა ჩემსა და კედელს შორის და არ ქრებოდა, ვიდრე სრულად არ მომანვდიდა იმ მომენტისთვის საჭირო კოსმიურ ინფორმაციას. ერთხელ მე და შოთა ხვედელიძე სტუმრად ვენვით ბ-ნ კობა გურულს თავის მუზეუმ-სახელოსნოში. უცებ ჩემსა და კედელს შორის გამოისახა არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი. გამოსახულება რალაცნაირად ლივლივებდა, თითქოს ხატი გაცოცხლდა. შემდეგ ამ გამოსახულებიდან წინ გამოვიდა სურათის რალაც ნანილი, რომელიც აშკარად იყო თეთრ ცხენზე მჯდომი კოსმიური მხედარი, რომელიც ცხენს მიაჭენებდა მარჯვნიდან მარცხნივ ანუ კოსმიური დასავ-

ლეთიდან აღმოსავლეთისკენ. სწორედ მაშინ ვიხილე პირველად თეთრ ცხენზე მჯდომი კოსმიური მხედარი – მამა ღმერთი ყრმობის ასაკში, მოსასხამი ისევე უფრიალებდა და ცხენის კუდი ისევე იყო გამონასკვული, როგორც ხატებზეა.

ჩემს წიგნებში განხილული ყველა საკითხი ხილვითი გამოცხადებით მიღებული კოსმიური ინფორმაციაა, რომელიც წარმოაჩენს დედამიწის პირველი ადამიანების – ქართველების მეტაფიზიკურ ცოდნას – კაბალას მრავალგანზომილებიანი სამყაროს გენეტიკური მონყობის შესახებ, რომელიც მხოლოდ ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში აისახება. ეს კოსმოგონიური ცოდნა აისახება ასევე ქართველთა და მსოფლიოს უძველეს ხალხთა მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიურ სიმბოლიკაში.

ქართველები არიან შუმერთა წინაპარი არიული თეთრი რასის ხალხი, რომლებიც ყოველთვის ცხოვრობდნენ საქართველოში.

სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთი აზრებით მხოლოდ ქართულ ენაზე მართავს და განაგებს სამყაროს. კოსმოსი ქართულ ენაზე ლაპარაკობს.

ყველა ჩემი კვლევა არის კვლევა ქართული გენეტიკური საწყისების. სამყარო უბრუნდება პირველსაწყისს.

საოცარია, მაგრამ რეალობაა!

1984 წელს შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ შემეძლო ავადმყოფ ადამიანებზე დიაგნოსტიკის ჩატარება და მკურნალობა. დავიწყე ცდების ჩატარება ახლობელ ადამიანებზე. მალე პაციენტთა მიღების არეალი გაფართოვდა. სამსახურში პედაგოგიური მოღვაწეობის საათები მინიმუმამდე შევამცირე და დავიწყე პაციენტების მიღება. დღე-ღამეში 50-60 ავადმყოფს ვლებულობდი. თუ როგორ საინტერესოდ და ნაყოფიერად წარიმართა ჩემი ცხოვრება, ამაზე არაერთხელ უკვე ვისაუბრეთ.

ავადმყოფთა დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეტაფიზიკური შესაძლებლობები დღემდე მაქვს, მაგრამ ავადმყოფებს დიდი ხანია აღარ ვლებულობ და მთლიანად გადართული ვარ ქართული გენეტიკური საწყისების და მრავალგანზომილებიანი მეტაფიზიკური სამყაროს შემეცნების საკითხებზე.

წარმოგიდგინთ ჩემს მიერ განკურნებულ ავადმყოფთა მაღლიერების წერილებიდან მცირე ამონარიდებს.

1. თბილისი – იაკობაშვილი ნუგზარი

1984 წლის 19 ოქტომბერს შემემთხვა საავტომობილო ავარია, რის შედეგადაც მოხვდი საავადმყოფოში. გატეხილი მქონდა ორი ნეკნი, ჩაფუშული იყო მარცხენა ფილტვი. მქონდა ასევე თავის ტრავმა. ფილტვის აღსადგენად გამიკეთეს „ფუნქცია“ და „დრენაჟი“, რისი საშუალებითაც გარეთ ტუმბავდნენ ვაკუუმის მაგივრად დაგროვებულ ჰაერსა და სითხეს. სამი დღის შემდეგ ფუნქცია და დრენაჟი მომხსნეს. ფილტვი უკვე მუშაობდა, მაგრამ კიდევ ერთი დღის შემდეგ ტკივილები ამავე ფილტვში ისევ გამიმეორდა და სუნთქვა კვლავ გამიჭირდა. მკურნალმა ექიმმა გადაწყვიტა ხელახლა გაეკეთებინა „დრენაჟი“, მაგრამ იმავე საღამოს ქ-ნ ნაზი ხანიაშვილმა ჩამიტარა

ბიოდენებით მკურნალობის სეანსი – ფილტვის მუშაობა მაშინვე აღსდგა და ტკივილიც გაქრა. ექიმმა ხელმეორედ გასინჯვის შემდეგ საჭიროდ აღარ ჩათვალა „დრენაჟის“ განმეორებით დაყენება.

ნეკნების ტრავმის გამო სუნთქვა მსუბუქი და ზედაპირული იყო. ღრმად ჩასუნთქვის შემთხვევაში წარმოიშობოდა ტკივილები, რომლის გამოც ასეთი სუნთქვა შეუძლებელი იყო. კვლავ 1-ნ ნაზის მიერ ჩატარებული სეანსი და ღრმად ჩასუნთქული ჰაერი ტკივილებს აღარ მაყენებდა.

თავის არეში ვგრძნობდი სიმძიმეს და კანის დაჭიმულობას, ბიოდენები აქაც ამკარა შვებას მაგრძნობინებდა. ჩავიტარე სულ ხუთი სეანსი და ყოველი ჩატარებული სეანსის შემდეგ თავს უდავოდ უკეთესად და უკეთესად ვგრძნობდი.

2. თბილისი – ინფუსტრიული ტაქნიკუმის პედაგოგი.

გავიგე ჩემი მეგობრისგან, რომ ყელი მოურჩინა ნაზი ხანიაშვილმა. მაშინვე გავეშურე და კიბეებზე შეეხვედი. ის გამომელაპარაკა და მეორე დღეს აღერგია აღარ მქონდა (სეანსი არ ჩატარებია). ახლაც თავს კარგად ვგრძნობ. შურა კარესელიძეც თავს კარგად გრძნობს. მას უდავოდ აქვს ძლიერი ბიოდენები. 10.09.1984წ.

3. თბილისი – ქონიაშვილი თეგური (3 წლის)

ბავშვმა გადაიტანა მინინგიტი 7 თვის ასაკში. ამან გამოიწვია ფიზიკური და გონებრივი შეზღუდვა, რომ დაუფასებელი არავითარი რეაქცია არ ჰქონდა. მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო. ამჟამად არის 3 წლის და გონებრივად და ფიზიკურად 1 წლის ბავშვია.

1-ნ ნაზი ხანიაშვილმა დაუწყო სეანსის ჩატარება. ამან შედეგი გამოიღო: გახდა უფრო ინტერესიანი, ხალისიანი, ფეხზე დგომასაც ცდილობს. პირველი სეანსიდან 10 დღის შემდეგ ისე განვითარდა, რომ გონებრივად 2 წლის ასაკის მდგომარეობა

აქვს, თავისით უკვე ნაბიჯებსაც დგამს – ადრე ეზარებოდა ნაბიჯის გადადგმა, ახლა ძალიან აქტიურობს, როცა გასატარებლად ვამზადებ, ბავშვის სიხარულს საზღვარი არა აქვს და ცდილობს მიუახლოვდეს რაიმე დასაყრდენს, ახლა უკვე უცებ ხელს უშვებს და შემობრუნდება თავისი ძალით დაუხმარებლად. ვიდრე აქ მოვიყვანდი თავი მოჭიმულ მდგომარეობაში ჰქონდა და უკან ეხრებოდა. ახლა თავიც სწორად უჭირავს და აღარა აქვს მოჭიმული. დაჯდომა ისწავლა ორწელნახევრისამ მანამდე ვერ ჯდებოდა. ახლა კარგად ჯდება. 1984წ.

4. თბილისი – მანასიანი იხზა

მე წავიქეცი და მარჯვენა მხარი მივარტყი კედელს. მხარი ამომივარდა, გამისივდა და ძაან მტკიოდა. როცა ქ-ნ ნაზი პირველ სენასს მიტარებდა, ტკივილებს ვგრძნობდი, ორი წუთის შემდეგ ტკივილი მომეხსნა და შემეძლო უკვე თავისუფლად ხელის აწევა. ამის მერე ტკივილები აღარ მქონია. 1984წ.

5. ღაზა ასპინძა – პერიქე თამაზი (10 წლის)

დაიბადა სრულიად ჯანმრთელი. რამოდენიმე თვის ბავშვს დაემართა სეფსისი. მთელი წელი მკურნალობდნენ, რამოდენიმეჯერ სიკვდილს გამოსტაცეს ხელიდან, მაგრამ სმენა სრულიად დაეკარგა. ესმოდა მხოლოდ ძაღლის ყეფა, კლარნეტის ხმა და რადიოს მაქსიმალური ხმა. სმენა ჰქონდა მხოლოდ 5%. ქ-ნ ნაზისთან მეორე სენასის შემდეგ აშკარაა, რომ ბავშვს სმენა დაუბრუნდა. ჩავატარეთ სათანადო ცდები. 1984წ.

6. თბილისი – ფიცხელაური გუგული

თითქმის 10 წელი მანუხებდა სხეულის ყველა ორგანო: გული, ნაღველი, კუჭ-ნაწლავი, ფიბრომატული საშვილოსნო, სახსრები, კიდურები. ექიმების დიაგნოზი ასეთი იყო: ქრონიკული ქოლევცისტიტი, კოლიტი, ოსტეოხონდროზი, სტენოკარ-

დია, ვეგეტონერვოზი. გაკეთებული მაქვს სწორი ნაწლავის ოპერაცია.

გადავწყვიტე მემკურნალა ბიოდენებით ქ-ნ ნაზი ხანიაშვილთან. გავიკეთე ორჯერ 10 სეანსი. განსაკუთრებულად აღსანიშნავია ის, რომ ზემოთ ჩამოთვლილმა ორგანოებმა სეანსების შემდეგ დაიწყეს ნორმალური მუშაობა – გააქტიურდნენ და ტკივილებიც თითქმის მომეხსნა. ვაპირებ დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ ჩავიტარო მკურნალობის მესამე კურსი. 25.10.-1984წ.

7. ქ. თბილისი – აზუსარიძე ვალერი, სპორტსმენი, კალათბურთელი.

1982 წელს ერთ-ერთი შეჯიბრების დროს ვიტკინე მარჯვენა ფეხის მუხლი. ძალიან გამისივდა და მივმართე ექიმებს – დამიდგინეს მენისკი. დამინიშნეს მკურნალობა, ჩამისვეს თაბაშირში და ასე მქონდა რამდენიმე თვის განმავლობაში. თაბაშირის შედეგად მუხლი ჩაცხრა, მაგრამ თაბაშირის მოხსნიდან რამდენიმე დღეში ისევ სითხე ჩამიდგა და გასივდა. საჭირო იყო ოპერაცია, მაგრამ თავს ვიკავებდი ბავშვობაში მძიმე ვადმყოფობის გადატანის გამო. მიმიყვანეს ქ-ნ ნაზისთან სამკურნალოდ. ორი სეანსის ჩატარების შემდეგ ტკივილებმა იკლო, მუხლი დაცხრა და კიბეებზე სირბილით შევძელი ჩამოსვლა. 6-7 სეანსის შემდეგ საერთოდ განვიკურნე. იმის შემდეგ მუხლში აღარც ტკივილი მაქვს და აღარც სითხე ჩამდგარა. დიდ მადლობას ვუხდის ნაზი დეიდას ჩემი განკურნებისათვის. 1984 წ.

8. თბილისი – ქსენია ბარიაშვილი (53 წლის)

15 წლის ასაკიდან მანუხებდა წარბისზედა ნერვის ანთება. ნაზი ხანიაშვილთან რამოდენიმე სეანსის ჩატარების შემდეგ ტკივილები მომეხსნა. თავს კარგად ვგრძნობ, ორი თვეა ტკივილი აღარ განმეორებულა. 1986წ.

9. თბილისი – კოჭლამაზაშვილი მარინა (16 წლის)

ბავშვობიდან მშობლებმა შეამჩნიეს, რომ სმენა არ მქონდა მარჯვენა ყურში. სამჯერ ვიყავი ხეჩინაშვილის კლინიკაში, მაგრამ უშედეგოდ. მითხრეს, რომ ყურის ნერვი მქონდა გადამწვარი და არაფერი მეშველებოდა. ქ-ნ ნაზი ხანიასვილთან პირველივე სეანსზე ყურში სმენა აღმიდგა. 2.10.1984წ.

10. თბილისი – მარია კოლეიშვილი.

დაავადებული ვარ ჩიყვით უკვე მესამე წელია. მაქვს მწვავე თავის ტკივილები. სამი ექიმის მკურნალობა მაქვს ჩატარებული, მაგრამ არცერთმა არ მიშველა, ჩიყვი კვლავ მეზრდებოდა. თქვენთან მკურნალობის შედეგად თავის ტკივილები მომეხსნა ჩიყვი საგრძნობლად შემიმცირდა. ამჟამად ველარც კი ვგრძნობ თუ ჩიყვი მაქვს. 1984წ.

11. ზემო მარხაანი – მიხეილ ჯანაშვილი

1984 წელს ჩავირიცხე ინდუსტრიულ ტექნიკუმში. 3 სექტემბერს მასწავლებელმა ნაზი ხანიაშვილმა გაკვეთილზე მკითხა სათვალე რატომ გიკეთიაო. ავუსხენი, რომ დაცემის შედეგად დამიზიანდა თვალი, ვერ ვკითხულობ ნაწერს და ირგვლივ საგნებსაც კი ვერ ვარჩევ. მან ჩამიტარა მკურნალობის 3 სეანსი, მეოთხედ რომ მივედი, უკვე წიგნის კითხვა შემეძლო უსათვალოდ.

12. ჩემი უფროსი შვილი სწავლოდბა ესტონეთის ქ. ტარტუში. მისი სახლის პატრონი, დაახლოებით 60 წლამდე ასაკის ქალბატონი, ახალგაზრდობიდან დიაბეტით არის დაავადებული (მომატებული აქვს სისხლში შაქრის შემცველობა). ჩავუტარე მკურნალობის რამოდენიმე სეანსი. 10 დღის შემდეგ გაიკეთა ანალიზები და შაქრის დონე უკვე ნორმაში აქვს. 12. 06.1985წ.

13. ერთი პერიოდი ვმკურნალობდი გურიიდან ჩამოსულ ფეხმოჭრილ კაცს, რომელსაც ჰქონდა მეორე ფეხზეც გადასული განგრენა რთულ ფორმებში. ვუმკურნალე ერთი თვე. ავადმყოფს ცვლილებები ჰქონდა უკეთესობისაკენ: ფეხმა ფერი შეიცვალა, ფრჩხილებმა დაიწყეს გაზრდა. ერთ ღამეს ვნახე სიზმარი, გამომეცხადა ვიღაც და მითხრა, რომ ეს მამაკაცი დიდი ხანია ჩანერილი ჰყავთ იქ ნასასვლელთა სიაში და თუ მე თავს არ დავანებებდი მის მკურნალობას, ხელის თითებს გამიშავებენ ისევე, როგორც იმ კაცს ჰქონდა ფეხის თითები გაშავებული. სიზმარში იმ მომენტში ხელებზე შავი ხელთათმანები მეცვა, მოვიხსენი და ვნახე, რომ ორი თითი – ცერი და საჩვენებელი მქონდა გაშავებული. შემფოთებულს გამომეღვიძა. იმ დღეს შეპირებული ვიყავი მისვლას და აუცილებლად მივედი – თან სულ სიზმარი მედგა თვალწინ. სეანსის შემდეგ, იქიდან რომ გამოვედი, დამეწყო ნვა ხელის თითების. იმ დღიდან იმ პაციენტთან აღარ მივსულვარ. 1985წ.

14. თბილისი.

ერთ დღეს სამკურნალოდ მომიყვანეს ქალბატონ ნაზისტან, რომელსაც ადრე არ ვიცნობდი და ჩემს შესახებ პირველად ვიზიტის დღეს გაიგო. მქონდა ძალიან ძლიერი თითქმის გამუდმებული თავის ტკივილები. ვარაუდობდნენ, რომ მქონდა ავთვისებიანი სიმსივნე. ჩამიტარა დიაგნოზი და დაადგინა: თავში ნერვის ანთება და თირკმლის დაავადება, რომელიც ასევე იწვევდა თავის ტკივილებს. ჩამიტარა სეანსი, რომლის დასრულების შემდეგ ტკივილები მომეხსნა. ძალიან გამეხარდა და მოვუყევი სიზმარი, რომელიც წინა ღამეს ვნახე: ვიჯექი სკამზე იმ ოთხში, რომელშიც ქ-ნ ნაზიმ ჩამიტარა დიაგნოსტიკა, თავზე მედგა იესო ქრისტე და თავზე ისევე მიკეთებდა დასხივებას, როგორც ქ-ნი ნაზი სეანსის დროს. 1985წ.

15. თბილისი.

ჩემს დეიდაშვილს დაენყო სამშობიარო ტკივილები და ნავიყვანეთ საავადმყოფოში. ახლობლები ველოდებით ბავშვის დაბადებას. დავრჩი მარტოდ ჩემს ფიქრებთან. გამახსენდა ესტონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ არნოლდ რუტელის სიტყვები ქ-ნ ჯუნა დავითაშვილის შესახებ, რომ მას შეეძლო ამოეცნო ფეხმძიმე ქალს ვაჟი შეეძინებოდა თუ ქალი. ასევე გამახსენდა პროფ. ზაზა კახიანის სიტყვები, რომ ერთ-ერთ ექიმს შეეძლო გამოეცნო ფეხმძიმე ქალს მუცელში ვაჟი ჰყავდა თუ ქალი.

ამ მომენტში ჩემს დეიდაშვილთან ერთად სამი ქალი მშობიარობდა, რომელთა ახლობლები ჩვენთან ერთად იცდიდნენ. ჩემს მიერ დისტანციურად დასმული დიაგნოზის მიხედვით ერთს შეეძინებოდა გოგონა, ხოლო ორს – ვაჟი. როდესაც ერთ-ერთ მათგანს დაემთხვა ჩემი დიაგნოზი და ვაჟი შეეძინა, დანარჩენი ორის ახლობლებს ვუთხარი, რომ ერთს შეეძინებოდა გოგონა, მეორეს – ვაჟი. როდესაც მართლაც ჩემი დიაგნოზი გამართლდა, მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. შემდეგში ეს საკითხი სხვებზეც გამოვცადა და ყველა დაემთხვა. 17.08.1985წ.

16. თბილისი – ლიდა მაქლარაშვილი თავისი მხედველობა დაქვეითებული 4 წლის ბავშვი მოიყვანა სამკურნალოდ. პირველი სეანსის შემდეგ ბავშვს 10%-ით დაუბრუნდა მხედველობა, ხოლო მეორე სეანსის შემდეგ დაინახა ისეთი მცირე ზომის საგნებიც კი, რასაც სათვალის გარეშე ვერ ხედავდა. 1985წ.

17. თბილისი – ლიდა მაქლარაშვილი ეთერი

ქალბატონ ნაზისტან მოვედი მუცლის ქვედა მარჯვენა მხარეს ტკივილით. ჩამიტარა გამოკვლევა და მითხრა, რომ მარჯვენა თირკმელიდან შარდის ბუშტამდე სადინარში მქონდა

კენჭი, რაც მანამდე ჩემთვის არავის უთქვამს. ჩამიტარა სე-
ანსი და მითხრა კენჭი დავშალეო. მას შემდეგ გავიდა ორი
კვირა და ტკივილი აღარ განმეორებულა. 1985წ.

18. თბილისი – სიღამონიქა ჯულიტა

1971 წლიდან დაავადებული ვარ ჩიყვით, აღრიცხვაზე
ვარ ჩიყვის დისპანსერში და ვმკურნალობ, მაგრამ უშედეგოდ.
თითქმის ორი წელია ექიმებთან აღარ ვყოფილვარ.

ქ-ნ ნაზისტან მოსვლამდე მქონდა მწვავე თავის ტკივილე-
ბი, საშინელი სპაზმები, თვალეში ჩხვლეტა, უჭაერობა, სახ-
სრების ტკივილები, მუხლები მეკვეთებოდა, იდაყვები მიბუ-
ჟდებოდა. ქ-ნ ნაზისტან 10 სეანსის გაკეთების შემდეგ ჩიყვი
საგრძნობლად შემიმცირდა და დანარჩენი რაც მანუხებდა ყვე-
ლაფერი მომეხსნა. 1985წ.

19. თბილისი – თამური ლილუაშვილი

დედა ჰყავდა ავად. მთხოვა დახმარება. იმ მომენტისათ-
ვის ავადმყოფი იმყოფებოდა თბილისიდან 60 კილომეტრის
მანძილზე, არ ვიცნობდი და არც სურათი მინახავს. პირვე-
ლად ჩემს პრაქტიკაში ვცადე დავკავშირებოდი და ჩამეტარე-
ბია დიაგნოსტიკა შორ მანძილზედ. რა ინფორმაციაც მივიღე
ამის შესახებ ვუთხარი ბ-ნ თემურის. მან აღნიშნა, რომ ყვე-
ლაფერი რაც ვთქვი სრული ჭეშმარიტებაა. ამ პერიოდიდან
ხშირად ვაკეთებდი ავადმყოფთა დისტანციურ დიაგნოსტიკას
და მკურნალობას. პროფ. აილი ჰაიუმ მითხრა, დისტანციურად
საბჭოთა კავშირის მასშტაბით მხოლოდ ერთი ადამიანი კურ-
ნავს ავადმყოფებს. 29.06.1985წ.

20. თბილისი.

ახალგაზრდას, რომლის სახელია ზაზა, ერთი წლის წინ
პირველად დაემართა ეპილეფსია. ღებულობდა დანიშნულ წამ-
ლებს, მაგრამ შედეგი არ ჰქონდა. შეტევა მოსდიოდა დღეში რა-

მოდენიმეჯერ. ჩემს მიერ ჩატარებული პირველივე სეანსიდან შეტევა აღარ განმეორებია. შევამონმე თვენახევრის შემდეგ და აღმოჩნდა, რომ შეტევა არცერთხელ აღარ ჰქონია. მოგვიანებით ისევ დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ შეტევა აღარ ჰქონია და ზაზა სრულიად გამოჯანმრთელდა. 31.03.1985წ

21. თბილისი.

მომიყვანეს ბავშვი თავის ტკივილებით და ხერხემლის გამრუდებით. ბავშვს მოეხსნა თავის ტკივილები და ელენთაზე დასხივებით ხერხემალიც გაუსწორდა. ეს შესამჩნევი გახდა ორი სეანსის შემდეგ. ჩემი დიაგნოზით ამ შემთხვევაში სერხემლის გამრუდება გამოწვეული იყო ბავშვის ორგანიზმის რევმატიული მდგომარეობით. 31.03.1985წ.

22. თბილისი.

ინდუსტრიული ტექნიკუმის ბუღალტერიის ერთ თანამშრომელს გაუქრა მკერდზე გამაგრებული სიმსივნე, რომელიც ერთ-ერთი სეანსის შემდეგ გასინჯვის დროს ველარ ნახა. 1985წ.

23. ლილი ოზაყაშვილი (39 წლის)

სამი წელია მაქვს ტრომბოპლევრიტი, მარცხენა მკერდში მაქვს ჯირკვალი, დაახლოებით 15 წელია მაქვს ბეჭის წვა და ტკივილი პერიოდულად ძალიან მანუხებს. მივმართე საკმაოდ კვალიფიციურ ექიმებს, მაგრამ შედეგი არ გამოიღო.

ქ-ნ ნაზიმ ჩამიტარა მკურნალობა: პირველივე სეანსზე მარცხენა ფეხმა იმ ადგილებში, სადაც ძალიან მანუხებდა, დაიწყო ფეთქვა (როგორც გულმა). ქ-ნ ნაზიმ 10 დღის შემდეგ მეორე სეანსი ჩამიტარა მკერდზე, სადაც ჯირკვალი მქონდა: ჯერ ამტკივდა და დამენვა. რომ დაამთავრა მეორე სეანსი, მკერდი დარბილებული მქონდა და აღარ მტკიოდა. ყველა ტკივილი მომეხსნა და თავს კარგად ვგრძნობ. 1985წ.

24. კასპი – მზია ბერიანიძე.

მყავს 13 წლის ბიჭი. სტკივა ყური – მთელი 8 წელია სდის ჩირქი. 1984 წელს გავუკეთეთ ოპერაცია მე-9-ე საავადმყოფოში, მაგრამ ამ ხუთი წლის განმავლობაში შედეგი ვერ ვნახეთ. შემდეგში გავიგეთ ნაზი ხანიაშვილის შესახებ და მასთან მივიყვანეთ ბიოდენებზე. შედეგი მივიღეთ მეორე სეანსიდან – ყურიდან ჩირქი აღარ სდის. ძალიან კმაყოფილი ვარ. 1985წ.

25. თბილისი – თვალური შალვა (22 წლის.)

ჩავუტარე დიაგნოსტიკა, აღმოვაჩინე: მარცხენა თირკმელში აქვს მარილების ნალექი, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, კუჭის შიდა გარსის ანთება, ღვიძლში და ნალვლის ბუშტში მარილის სილა; წანაზარდები ხერხემალზე, რომელიც არის თავის ტკივილების მიზეზი; მარცხენა თირკმლის შარდის სადინარში აქვს კენჭი. ყოველივე ამის შესახებ ავადმყოფს არაფერი ვუთხარი, ჭიქაში ჩასხმული სასმელი წყალი დავმუხტე საჭირო ინფორმაციით და ავადმყოფს დავალევი. ხუთი წუთის შემდეგ წყალმა დაიწყო ერთგვარი მოქმედება, დაეწყო ტკივილების გადანაცვლება და მივიდა ყველგან, სადაც ავლნიშნე დაზიანებები. განსაკუთრებით დაეწყო წვა ბეჭის არეში, სადაც თურმე ხშირად გრძნობდა ტკივილს. როცა ტკივილები მოეხსნა, წასვლა დააპირა. ისე წავიდა, რომ ბეჭის წვა ისევ აწუხებდა, რაც დაეწყო წყლის დაღვევის შემდეგ. მეორე დღეს გრძნობდა, რომ სიცხე ჰქონდა თუმცა არ გაუზომია, ჰქონდა გულისრევა და საკმაოდ ცუდად გრძნობდა თავს. მესამე დღიდან კარგად გრძნობს თავს და ყველა უსიამოვნო შეგრძნება მოხსნილი აქვს. ყოველივე ეს შევამონმე 12-14 დღის შემდეგ. 11.08.1986წ.

26. თბილისი.

ინდუსტრიულ ტექნიკუმში ჩემს ერთ-ერთ მოსწავლეს ბავშვობისას მიყენებული ტრავმის გამო ფეხები შიგნით ჰქონდა

შეტრიალებული, ხოლო ქუსლები ჰაერში და ტერფებით და-
დიოდა. პირველივე სეანსზე ქუსლები იატაკზე დადგა და მარ-
ჯვენა ფეხი გაუსწორდა. სულ ჩავუტარე 3 სეანსი. 1986წ.

27. სოფ. კოდისწყარო

ვიყავი სტუმრად კასპის რ-ის სოფ. კოდისწყაროში. ოჯახის
უფროსმა მთხოვა პაციენტი ქალბატონის მიღება, რომელიც,
როგორც მახსოვს, იყო მათი მეზობელი – ჰქონდა ტკივილები
წელის და მუცლის ქვედა არეში. დავუდგინე კენჭები თირკმე-
ლებში და შარდის სადინარებში სილა. ჩავუტარე 2-3 წუთიანი
სეანსი, მაშინვე მოეხსნა ტკივილები. ეს ქალბატონი იყო ჩემი
ერთ-ერთი პირველ პაციენტთაგანი ვისაც კენჭები დავუშალე.
ერთ კვირაში გამომიგზავნა წერილი და მინის პატარა ჭურ-
ჭელში ჩაყრილი დაშლილი კენჭების ნალექი, რომელიც მეორე
დილას შარდს გამოჰყვა, რაც დღემდე მაქვს შენახული. შემ-
დეგში უკვე პაციენტებს მსგავსი დიაგნოზით ვაფრთხილებდი,
რომ სეანსის შემდეგ დაშლილი კენჭების ნალექი აუცილებლად
შარდთან ერთად ორგანიზმიდან გარეთ გამოვიდოდა. 1986წ.

28. თბილისი – მურადაშვილი ლამარა.

ქალბატონს გაიმორიტი აწუხებდა ახალგაზრდობიდან.
მთხოვა რამდენიმე სამკურნალო სეანსის ჩატარება. რამდენ-
იმე დღის შემდეგ მითხრა, რომ ტკივილები საერთოდ მოეხსნა
და ჭიპიდან დაეწყო რალაც სითხის გამოდენა, რის შედეგადაც
საბოლოოდ განიკურნა. 1986წ.

29. ქ. ქუთაისი – მიქაპერიძე ზორისი (დაბ. 1959წ.)

ბრონქიალური ასტმით ვიტანჯებოდი 21 წელი. არ მუშაო-
ბდა ჩემი მარცხენა ფილტვი – არ ისმინებოდა. ყოველდღე
დღეში 3-4-ჯერ სასწრაფო იდგა ჩემს კარებზე. შევიტყვეთ
ქ-ნ ნაზი ხანიშვილის შესახებ. პირველივე სეანსზე მომეხსნა
ასტმური მოვლენები და ფილტვიც ამუშავდა. მეორე სეანსის

შემდეგ გავიდა ორი თვე და აღარაფერი მანუხებს. ქ-ნ ნაზიმ დამიბრუნა ნორმალური ადამიანის ცხოვრება. 1986წ.

30. თბილისი – მაჩაიქე ღარიკო (44 წლის)

7 წელია ვგრძნობდი წელის არეში ტკივილს, ღვიძლიც მანუხებდა. 1986 წლის მაისში დამეწყო მწვავე ტკივილები, ვშარდავდი სისხლს. ვინეჩი მე-9 საავადმყოფოში, რესპუბლიკურ და ონკოლოგიურ საავადმყოფოებში გამოკვლევებზე. დამიდგინეს, რომ მარცხენა თირკმელში მქონდა სილა, ონკოლოგიური არაფერი მქონდა. ვიმკურნალე, მაგრამ ტკივილები ისევ მიგრძელდებოდა.

შემდეგ მოვხვდი ქალბატონ ნაზისტან. მან ტანსაცმლის ზემოდან ორგანიზმზე ხელი მომატარა და ჩამიტარა დიაგნოსტიკა. მითხრა, რომ მარჯვენა თირკმელში მაქვს სილა, თირკმელიდან შარდის ბუშტამდე სადინარში მაქვს კენჭი, ღვიძლში ნალვლის სადინარში მაქვს სილა და ხელი დამადო იმ ადგილზე, სადაც ვგრძნობდი ხოლმე პერიოდულად ტკივილებს. მითხრა, ასევე რომ მაქვს კუჭის შიდა გარსის ანთება, ხერხემალზე მარილის წინაზარდები და ხელი დამადო და მაჩვენა ის წერტილები, რომელსაც აღიქვამდა.

ჩამიტარა სეანსი მხოლოდ ერთხელ. მეორე დღეს, როგორც გამაფრთხილა ქ-ნ ნაზიმ, მქონდა რეაქცია: მომცა სიცხე 38 გრადუსი, რაც არასოდეს არ მქონია. დამეწყო გულისრევა, ტკივილები წელის არეში, შარდში გამოჩნდა სისხლი. მესამე დღიდან ყველაფერი მომეხსნა და თავს კარგად ვგრძნობ. ამას ვწერ სეანსის ჩატარებიდან 10 დღის შემდეგ.

5.6. – ღარიკო მაჩაიქეს სეანსის დროს დავალევიე სასურველი ინფორმაციით გაჯერებული ჭიქაში ჩასხმული ჩვეულებრივი სასმელი წყალი, რომელმაც მის ორგანიზმში დაიწყო სამკურნალო მოქმედება. ამას ავადმყოფი ხმამაღლა ლაპარაკობდა და ჩემს მიერ ზემოთ აღნიშნულ დაავადებულ ადგილებზე მიუთითებდა. ეს ხდებოდა წყლის დალევიდან 10 წუთის

შემდეგ, რის შედეგადაც ავადმყოფს მოეხსნა ყველანაირი ტკივილები. ავადმყოფის მდგომარეობა გადავამოწმე ორი კვირის შემდეგ და ჰქონდა სტაბილურად კარგი მდგომარეობა. 20.08.1986წ.

31. თბილისი.

1988 წლის მაისის თვეში ჩემთან მოვიდა ერთი ქალბატონი, რომელიც ერთი თვის წინ ჩემთან მკურნალობდა. მომიყვა სიზმარი: მასთან სახლში მივიდა თეთრებში ჩაცმული ქალი, სახე არ უჩანდა, რომელიც ელაპარაკებოდა – ესმოდა მისი ხმა, მან მიცნო, რომ ეს მე ვიყავი. ვუსაყვედურე ბებიაშის – „რატომ შეპირებულ სანთლებს არ ანთებთქო“. ამ ქალს კი ვუთხარი: „მე აქ ვიქნები, ვიდრე შენ კარგად არ გახდები“.

32. თბილისი – დარეჯან შირაქი (დაბ. 1946წელს)

1984 წლიდან განვიცდიდი გულის მწვავე შეტევებს. ექიმების დიაგნოზით მქონდა გულის ტახიკარდია. მკურნალობა არავითარ შედეგს არ იძლეოდა. ჩემმა ძმამ დემური დვალმა მიმართა ქ-ნ ნაზი ხანიშვილს და აუხსნა ჩემი მდგომარეობა. ქ-ნ ნაზიმ იქიდან დისტანციურად დამისვა დიაგნოზი, წნევაც გამისინჯა და ამის შესახებ იქვე უთხრა ჩემს ძმას, რომელმაც იმავე საღამოს მოიყვანა ქ-ნ ნაზი ჩემთან სტუმრად. მის მიერ დისტანციურად გაზომილი წნევა ზუსტად დაემთხვა წნევის აპარატით გაზომილს. მითხრა მარჯვენა თირკმელში კენჭი გაქვთ და თქვენი ავადმყოფობა ამით არის გამოწვეულიო. მაშინვე წამებში ხელით რაღაც სეანსი ჩამიტარა – მითხრა კენჭი უკვე დავშალე და კარგად იქნებითო. და მართლაც მის შემდეგ ცუდად აღარ გავმხდარვარ და ტკივილებიც აღარ მქონია. 20.11.86წ.

33. კასპი – ზინა ქისტიაშვილი (60 წლის)

გაკვირვებული ვარ!

1985 წელს გავიკეთე ოპერაცია. ორჯერ მოსკოვში ვმკურნალობდი. ერთმა ჩემმა ახლობელმა სთხოვა ქ-ნ ნაზი ხანიაშვილს, რომ დაერთო ნება ჩემი მიყვანის. მიმიღო, მე მეგონა გამომკითხავდა წინასწარ რა მანუხებდა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად ეს ასე არ მოხდა. დამიწყო გასინჯვა და დაიწყო ჩამოთვლა ჩემი დაავადებების: რომ მე ალერგია მაქვს, რომ ოპერაცია მაქვს გაკეთებული, რომ მარჯვენა თირკმელი არ მუშაობს, რომ კუჭის წყლული მაქვს პატარა მონაკვეთზე, რომ მიკრო ინფექტი მაქვს გადატანილი, დაავადებული მაქვს ღვიძლი, თირკმელი, საშვილოსნო და ყველაფერი ეს გამონვეულია ალერგიის ფონზე სისხლძარღვთა დაავადებით. მან ისე წაიკითხა ჩემი ორგანიზმი, როგორც სურათის აღწერილობა. მე ვგრძნობდი ამ დაავადებებს, მაგრამ ჩემთვის ამის შესახებ არცერთ ექიმს არასდროს უთქვამს. ის იყო გასაკვირი, როცა მითხრა: ოპერაცია ტყუილა გაგიკეთეს თქვენს ორგანიზმში არავითარი სიმსივნე არ ყოფილა და არც ახლა არისო.

ის გაკვირვება, რომელიც ყოველივე ამის მოსმენის შემდეგ დამეუფლა არ გამნელებია და გამიჩნდა სურვილი ეს წერილი დამეწერა. მაქვს რწმენა იმისა, რომ ქ-ნ ნაზი თვითვე განკურნავს ჩემს დაავადებებს. 1987წ.

34. ქ. თხილისი ზარიაშვილი ია (8 წლის).

1989 წელს მშობლებმა შეამჩნიეს, რომ ბავშვი გახდა, ფერი დაკარგა, მუცელი შეეხერა. ერთხელაც კბილის ამოღების შემდეგ დაეწყო ღრძილიდან სისხლდენა. სისხლის ანალიზმა აჩვენა, რომ ლეიკოციტები ჰქონდა 400 ათასი და მეტი. ბავშვი გადაიყვანეს სისხლის გადასხმის ინსტიტუტში დიაგნოზით: ქრონიკული „მიელოლეიკოზი“ – სისხლის გათეთრება და ძვლის ტვინის სიმსივნე. მკურნალობდნენ ტაბლეტებით „მიელოსანი“. ლეიკოციტების დონე თამაშობდა. საავადმყოფოდან გამოწერეს 34 ათასი ლეიკოციტით. ერთ კვირაში ავიდა 78 ათასზე და ყოველდღე იცვლებოდა. ბავშვის სიცოცხლის გად-

არჩენის იმედს არავინ გვაძლევდა. ამ დიაგნოზით ადამიანები 2 წელზე მეტს არ ცოცხლობდნენ.

ჩვენს საბედნიეროდ კეთილმა ადამიანებმა გვირჩიეს ბავშვის მიყვანა ქ-ნ ნაზი ხანიაშვილთან, რომელიც ე.წ. ბიოდენებით მკურნალობდა. ქ-ნ ნაზიმ გვითხრა: თუ ბავშვს ქიმია არ არ გაუკეთებია, შეიძლება დადებითი შედეგი მივიღოთ.

ქ-ნ ნაზიმ დაუწყო ბავშვს სეანსების ჩატარება. სამი სეანსის შემდეგ ბავშვის ლეიკოციტები 14 ათასზე ჩამოვიდა. შევწყვიტეთ ექიმის მიერ დანიშნული წამლის მიღება. სამი კვირა ჩვენ წამალი არ მიგვიღია. ამ პერიოდში ელენთა, ლვიძლი და ლეიკოციტები ნორმაზე დადგა.

მე თვითონ ძალიან მტკიოდა ფეხების სახსრები. სიზმარში დამესიზმრა, რომ ქ-ნი ნაზი სეანსს მიკეთებდა და ხელებს მისმევდა ფეხების სახსრების მტკივნეულ ადგილებზე. გავიღვიძე და არავითარი ტკივილები აღარ მაქვს დღემდე.

ბავშვის ბებია ცისანა ბერიაშვილი.

35. თბილისი – მშობელი 7 წლის გოგონასი ქავთარაქა თინა

ბავშვს დაქვეითებული მხედველობა ჰქონდა, სჭირდებოდა +3.5 სათვალე. პირველივე სეანსზე 15 წუთის შემდეგ ბავშვი საერთოდ განთავსიუფლდა სათვალისაგან. 1989წ.

36. თბილისი – ცისკარიქა გიორგი (16 წლის).

10 წლის ასაკში გაუკეთდა გლანდების ოპერაცია, რის შემდეგაც დაუზიანდა რალაც ნერვი. ოპერაციის შემდეგ ჰქონდა დიდი სიცხეები. შემდეგ აითრია მარჯვენა ხელი და ფეხი. ბავშვი მოვათავსეთ თბილისის ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოს ნერვიულ განყოფილებაში. იქ გვითხრეს რომ ბავშვს აქვს მარჯვენა მხრივი ჰეპიპარეზი. იქიდან გადავიყვანეთ პედიატრიის ინსტიტუტში, იქაც რევმოვასკულიტი დაუდგინეს და გადაიყვანეს რევმატიულ დისპანსერში კამოს

ქუჩაზე. 4 წლის განმავლობაში არავითარი დადებითი შედეგი ვერ მივიღეთ. შემდეგ წავიყვანეთ მოსკოვში, სადაც გაუკეთეს ოპერაცია და დაადგინეს, რომ ბავშვს აქვს დაზიანებული ცენტრალური ნერვი. მაგრამ შედეგი ვერაფერი მივიღეთ. ორი წლის განმავლობაში იქ წასვლა მოგვიხდა ექვსჯერ საკონსულტაციოდ, მაგრამ უშედეგოდ.

შემდეგ ბავშვი მოვათავსეთ თბილისის მე-8-ე საავადმყოფოს თერაპიის განყოფილებაში. ბავშვს ჰქონდა ძალიან მძიმე მდგომარეობა: ითიშებოდა, შოკში ვარდებოდა, ჰქონდა ფილტვების ანთება, ჰქონდა აგრეთვე ბრონხიტი, ნახველი და ძალიან ცუდი სუნთქვა. რაც კი გაუკეთეს საავადმყოფოში, ყველაფერმა აღერგია მისცა. ბავშვი იყო უმოძრაოდ. ჰქონდა საშინელი ტკივილები.

მე-8-ე საავადმყოფოში ყოფნის დროს მოვიყვანეთ ექსტრასენსი ქ-ნ ნაზი ხანიაშვილი, რომელმაც გასინჯა და თვითონ დაუსვა დიაგნოზი. გვითხრა, რომ ბავშვს დაზიანებული აქვს ხერხემლის მალეები კისრის არეში, მარჯვენა ფილტვის ანთება. პირველივე სეანსის შემდეგ ბავშვმა დაიწყო მოძრაობა, ადგომა, სიარული, ჭამა, კარგი ძილი. ტკივილები შეუშუბუქდა. ამას ვწერ მეორე სეანსის დროს.

ბავშვის დედა. 1989წ.

37. ჭიათურა – გაბრიჭიძე ლელა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი.

დაბადებიდან მარჯვენა ყურში საერთოდ არ მქონდა სმენა. დავდიოდი ექიმებთან, მაგრამ უშედეგოდ. მეუბნებოდნენ ეს თანდაყოლილია და ამას არაფერი ეშველებაო.

1989 წლის 9 მაისს სამკურნალოდ მივმართე ქ-ნ ნაზი ხანიაშვილს. პირველივე სეანსის დასრულებისთანავე ყურში აღმიდგა სმენა და ქ-ნ ნაზის მიერ დასმულ ყველა შეკითხვებზე პასუხი გავეცი. ამ მომენტს ესწრებოდნენ ჩემი ახლობლებიც და სხვა პაციენტებიც.

38. თბილისი – ახანდლქა ამირანი.

წელის არეში მარჯვენა მხარეს მანუხებდა ტკივილები, ადრე დასმული დიაგნოსის მიხედვით მქონდა ოსტეოქონდროზი.

სამი დღის განმავლობაში ვინეჩი სახლში. არ მიმიღია წამლები. მეოთხე დღეს მივედი სამსახურში ინდუსტრიულ ტექნიკუმში ლექციებზე. ტკივილისგან ძლივს დავდიოდი. ტექნიკუმის მასწავლებელმა ნაზი ხანიაშვილმა შემომთავაზა გავესინჯე. მრავალი მასწავლებლის თანდასწრებით ჩამიტარა ტანსაცმლის ზემოდან მტკივნეულ არეში ხელით მკურნალობა. რამოდენიმე წუთში ტკივილი გამიქრა. ამის შემდეგ დღემდე (ორი კვირაა) ტკივილი აღარ განმეორებულა. 29.03.1989წ.

39. თბილისი – მაია გოგუაშვილის მშობელი.

ჩემს გოგონას მარცხენა ყურში შევატყვეთ სმენის დაქვეითება. მყავდა მე-9 საავადმყოფოში, სადაც გადაულეს აუდიოგრამა და მითხრეს, რომ ჩათვალეთ ცალი ყური გაუქმებული აქვსო. ერთი წლის შემდეგ შემთხვევით გავიგე ნაზი ხანიაშვილის შესახებ და ბავშვი სამკურნალოდ მასთან მივიყვანეთ და უკვე მეორე სეანსზე აშკარად შეეტყო სმენის აღდგენა.

ბავშვის მშობელს ბ-ნ ნუგზარს მარჯვენა ყურში დაქვეითებული სმენა ისე აღუდგა, რომ სეანსის შემდეგ ასეთი სიტყვები თქვა: „ახლა მარჯვენა ყურში უკეთ მესმის ვიდრე მარცხენაში“. 1989წ.

40. ექსტრასენსი ლილი მატრეველი ცხინვალის რ-ნის სოფ. ქემერტიდან.

გამოგზავნა ახლობელი და მთხოვა გამესინჯა თავისი შვილიშვილი დაახლოებით სამი წლის, რომელიც იმყამად იწვა თბილისში დიღმის ბავშვთა საავადმყოფოში. მოვინახულე ავადმყოფი, რომელსაც ანალიზები კი აუღეს, მაგრამ საბოლოო დიაგნოზი ჯერ არ იყო ცნობილი. გასინჯვის შედეგად

ალექვი, რომ ბავშვს ჰქონდა ლიმფო სარკომა, რის შესახებაც ვაცნობე მის ახლობლებს. დაახლოებით 10 დღის შემდეგ მესტუმრა ავადმყოფი ბავშვის ახლობელი და მითხრა, რომ ჩემი დიაგნოზი აღმოჩნდა სწორი და ბავშვი გარდაიცვალა ორი დღის შემდეგ.

41. ერთმა ახალგაზრდა მამაკაცმა პაციენტი მომიყვანა. სათანადო პროცედურების და სეანსის დასრულების შემდეგ ამ მამაკაცმა თავის შესახებ მომანოდა ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ის ერთი წლის უკან იყო ჩემი პაციენტი, რომელსაც ახალი გადატანილი ჰქონდა გულის ინფარქტი. ჩავუტარე სეანსი ერთხელ, იმის მიხედვით მისმა ორგანიზმმა რა ინფორმაციაც მომანოდა. ამის შემდეგ, როგორც თვითონ მითხრა, თავს კარგად გრძობდა და რამოდენიმე თვის შემდეგ საკმაოდ კვალიფიციურ ექიმებთან შეამოწმა თავისი გულის მდგომარეობა. ექიმებმა ინფარქტის ვერავითარი კვალი ვეღარ აღმოაჩინეს და ამისთვის დიდ მადლობას მიხდოდა. 1989წ.

42. **6.6.** – ყოველდღე 50-60 პაციენტს ვუტარებდი დიაგნოზს და ვმკურნალობდი. საღამოს გვიან 1-2 საათი ვისვენებდი და უკვე ღამე ავადმყოფთა ახლობლებს მივყავდი საავადმყოფოებში. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო ჩემი ვიზიტის მიზეზი ე.წ. არამიანცის საავადმყოფოს უროლოგიურ განყოფილებაში, სადაც იწვა გურიის ერთ-ერთი ეკლესიის ახალგაზრდა მღვდელი ნაოპერაციებელი თირკმელზე, რომელსაც ოპერაციის შემდეგ განუვითარდა პერიტონიტი ძალიან მწვავე ფორმით. პალატაში იწვა მარტო, გონმხდილი, გადაფარებული ჰქონდა თეთრი ზეწარი. ექიმებს მისი გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდათ. გულდასმით ჩავუტარე დიაგნოზი და გავუკეთე სეანსი-დასხივება, ვცდილობდი გამეცოცხლებინა უჯრედები და აღმედგინა სისხლის მოძრაობა მუცლის არეში. ამას კი რაღაც დრო სჭირდებოდა. განმეორებით მიმიყვანეს მასთან მესამე დღეს ისევ გვიან

ლამით. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დავინახე როგორ იყო პაციენტი საწოლზე ჩამომჯდარი და ბედნიერი თვალებით მიყურებდა. კიდევ ერთხელ ჩავუტარე სეანსი და თავისი ფეხით ლიფტამდე გამომაცილა. 1988-89წ.წ.

43. 6.6. – ავადმყოფების ახლობლები, რომლებიც ავადმყოფებს ახლდნენ სეანსების ჩატარების მომენტში, შემდეგ მოსვლაზე მიყვებოდნენ, რომ წინა სეანსზე უბრალოდ დასწრების შედეგად სხვადასხვა დაავადებისგან როგორ იკურნებოდნენ. ასეთ შემთხვევებს ძალიან ხშირად ჰქონდა ადგილი. ჩემი დაკვირვებით, ავადმყოფთა განკურნება ხდებოდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ფიზიკურად ჩემი ყოფნის არეალში იყვნენ და მათზე ავტომატურად სამკურნალოდ მოქმედებდა ჩემი ენერგეტიკული ველი. ჩემი მეტაფიზიკური შესაძლებლობების შემეცნებაში თვით ავადმყოფებიც მეხმარებოდნენ, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ისინი ისეთი დაავადებებისგანაც კი იკურნებოდნენ, რის შესახებაც მათ ჩემთან შეხვედრის მომენტში საერთოდ არ უხსენებიათ.

სტატიაში მოყვანილი შემთხვევები ძალიან მცირე ნაწილია იმ მეტად საინტერესო და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი პაციენტებისა, რომლებთანაც მქონდა წლების განმავლობაში შეხვედრები.

ბედნიერი ვარ, რომ ღმერთი ყველაფერ ამას ჩემი ხელით და გონებით აკეთებდა.

შეხვედრა პროფ. ზაალ (ზაზა) კახიანიან

ესტონეთის ქ. ტარტუს უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა პროფ. აილი პაიუს ხელმძღვანელობით 1985 წლის გაზაფხულზე გადამყვიტეს ჩემი პარაფსიქოლოგიური და სამკურნალო შესაძლებლობების გამოკვლევა.

ამ პერიოდისათვის ბევრი პაციენტი მომმართავდა დიაგნოსტიკის და მკურნალობისთვის, საკმაოდ სერიოზულად მძიმე ავადმყოფების დიდი ნაწილიც კი ერთი სეანსით იკურნებოდა. ხალხს სავადმყოფოებშიც მივყავდი ავადმყოფის გასასინჯად და სამკურნალოდ. გამომიმუშავდა დიაგნოსტიკის და მკურნალობის ჩემი მეთოდები, რაც საშუალებას მაძლევდა შემესწავლა ადამიანის სხეული როგორც ცოცხალი სამყარო და მასში მიმდინარე მეტადიზიკური კოსმიური პროცესები. ვამყარებდი ინფორმაციულ კონტაქტს და აზრებით ვსაუბრობდი ადამიანის სხეულის უჯრედებთან, რაც მეხმარებოდა ზუსტი დიაგნოზის დასამასა და განკურნებაში.

გარკვეული ექსპერიმენტების ჩატარების შემდეგ ესტონელმა მეცნიერებმა ჩემში აღმოაჩინეს ისეთი მეტაფიზიკური შესაძლებლობები, რის შესახებაც წარმოდგენაც კი არ მქონდა. ავადმყოფთა დიაგნოზის დასადგენად და მკურნალობისათვის მანძილს მნიშვნელობა არ ჰქონდა – ეს შესაძლებელი იყო ახლო მანძილიდანაც და ათასობით კილომეტრების იქეთაც. დიაგნოზს ვსვამდი სურათზე, ნახატზე გამოსახული ადამიანის ფიგურაზე. ერთი ადამიანის ორგანიზმზე ვსვამდი მისი ახლობელი ადამიანის დიაგნოზს, რომელიც არც სახით მყავდა ნანახი, არც მისი სახელი და გვარი ვიცოდი და არც ის, თუ იმჟამად სად იმყოფებოდა. კონტაქტი მყარდებოდა ავადმყოფის შესახებ ჩემთან მოსაუბრე ადამიანების მეშვეობით. ყველა შემთხვევაში ჩემს მიერ დასმული დიაგნოზი ზედმინ-

ევნით ზუსტი აღმოჩნდა, რასაც ადგილზე უკვე სპეციალისტები ამოწმებდნენ. შემეძლო დამედგინა წარსულში ამა თუ იმ ორგანოს დაავადების შესახებ ავადმყოფობის დიაგნოზი როგორც არსებულ, ისე ამოკვეთილ ორგანოებზე. შემეძლო დამედგინა რამდენად სწორი იყო თუ მცდარი იმ დროს დადგენილი დიაგნოზი. შესაძლებელია დავადგინო რამდენი წლის და თვის წინ ჰქონდა ადამიანს ამა თუ იმ ფილტვის ანთება და ასე სხვა ორგანოების მიმართაც თუ რა ანუხებდა. ჩემთან ტელეფონით დაკავშირების შემთხვევაშიც კი უცნობ ავადმყოფს ვუსვამდი დიაგნოზს და ვმკურნალობდი.

ქ. ტარტუს უნივერსიტეტის მედიკოსთა დამხარებით ჩემში ისეთი დიდი მეტაფიზიკური თვისებების აღმოჩენა მოხდა და ისეთ მნიშვნელოვან რჩევებს მაძლევდნენ, რომ ეს ყველაფერი ძალიან დამეხმარა ამ მიმართულებით ჩემს შემდგომ მუშაობაში (ეს საუბრის დიდი თემაა). ერთ დღე-რამეში ვრებულობდი დაახლოებით 50-60 ავადმყოფს და ძალიან დიდი შედეგები მქონდა.

გადავწყვიტე ამ ყველაფრისთვის უფრო ოფიციალური სახე მიმეცა და დამეწყო პაციენტთა მიღება რომელიმე სამედიცინო დაწესებულებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით შემახვედრეს ქირურგიის დარგში გამოჩენილ პროფესორს ბ-ნ ზაალ (ზაზა) კახიანს. წინასწარი შეთანხმებით შეხვედრა შედგა 1985 წლის ივლისში ქ. თბილისში პლესხანოვზე ე.წ. მიხაილოვის საავადმყოფოში ქირურგიის კათედრაზე. ჩვენმა საერთო ნაცნობმა ქალბატონმა წარმადგინა მის წინაშე მის სამუშაო კაბინეტში, რომელსაც ერთგვარი საკონფერენციო დარბაზის სახე ჰქონდა.

ბ-ნი ზაზა კაბინეტში მარტო აღმოჩნდა, შესვლისთანავე მიგვითითა კარებთან მდგომ სკამებზე დავმჯდარიყავით, თვითონ იჯდა თავის სამუშაო მაგიდასთან დარბაზის მეორე ბოლოში. შესვლისთანავე მკაცრად მომმართა „აბა მაჩვენეთ რა შეგიძლიათ“. პირველი წამებიდან დავრწმუნდი, რომ არ ვიყავი

სასურველი სტუმარი. გადავწყვიტე მისთვის, როგორც ავადმყოფისთვის ჩამეტარებია დიაგნოსტიკა – ავალბინე ფურცელი და კალამი და შორი მანძილიდან სულ რამოდენიმე წუთში მთელ ფურცელზე მისი სხეულის დაავადებული ადგილები ზუსტი აღწერილობა ჩამოვანერიე, ისიც კი თუ რამდენი კენჭი ჰქონდა თითოეულ თირკმელში, ნაღვლის ბუშტში და რა ზომების. ამის შემდეგ უცებ ადგა, სასწრაფოდ გარეთ გავიდა და შემოიყვანა დაახლოებით 40-მდე მედიცინის მუშაკი – ექიმები და პროფესორები.

ბ-ნმა ზაზამ ყველას წინაშე აიღო ფურცელი და დაიწყო ხმამაღლა კითხვა ჩამონერილი დაავადებების. თითოეულის წაკითხვის შემდეგ ამბობდა – „ეს ტყუილია“ და გადადიოდა დიდი სისწრაფით შემდეგ საკითხზე. მაგრამ ახსენებოდა რომ იქვე ესწრებოდნენ მისი მკურნალი ექიმები და პროფესორები, ამიტომ ამ საკითხებს გვერდი ვერ აუარა. როცა დაასრულა, მე ავდექი, დამსწრე საზოგადოებას შენუხებისთვის ბოდიში მოვუხადე და დავაპირე დარბაზის დატოვება. ამას არ მოელოდნენ.

ბ-ნმა ზაზამ მაშინვე ტონი შეცვალა და ყველას გასაგონად მითხრა, რომ ჰყავს ერთი მძიმე ავადმყოფი, რომელსაც ხვალ მეორედ უკეთებს პანკრეასზე ოპერაციას და სურს რომ მე გავსინჯო. ამაზე კატეგორიულად უარი განვაცხადე და წამოსვლა გადავწყვიტე. რამოდენიმე ექიმი კარებში გადამიდგა და მთხოვეს ამ ავადმყოფის გასინჯვა, მათ შორის ბ-ნმა ზაზამაც კიდევ რამოდენიმეჯერ მთხოვა. ბოლოს დავთანხმდი და ყველა ერთად დერეფნის გავლით გავემართეთ ავადმყოფის პალატისაკენ. გზაში ბ-ნმა ზაზამ რამდენიმეჯერ შემაჩერა და გამაფრთხილა, რომ გასინჯვის შემდეგ ჩემს მიერ დასმული დიაგნოზი იქ არ გამეძხილა. შევედით ავადმყოფის პალატაში, რომელსაც თავზე ედგა მეუღლე. ავადმყოფს ტანსაცმლის ზემოდან დაახლოებით 20 სმ-ის მოცილებით ხელი მოვატარე ორგანიზმზე. ამის შემდეგ ყველანი ერთად დავბრუნდით უკან ბ-ნი ზაზას კაბინეტში.

დამსწრე საზოგადოება დიდი ინტერესით და ყურადრებით მისმენდა. მე ავდექი ფეხზე და ჩამოვაცალიბე ორგანიზმის საერთო მდგომარეობა, ჩამოვთვალე დაავადებული ორგანოები და თითოეულის დიაგნოზი რაც აღვიქვი. ადგა ერთ-ერთი ექიმი და დამისვა ასეთი შეკითხვა: „დაავადებულ ორგანოებს შორის რომელია პირველადი?“ ყურადღებით გავაანალიზე დასმული შეკითხვა და გავეცი სათანადო პასუხი.

ეს შეკითხვა ჩემთვის ძალიან მოულოდნელი და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩემს შემდგომ მუშაობაში, ვინაიდან ამ შემთხვევის შემდეგ თითოეული ავადმყოფის ორგანიზმში ვცდილობდი დამედგინა დაავადების პირველადი მიზეზი და მისი განკურნების გზა, დანარჩენი ყველა ორგანო ავტომატურად იკურნებოდა. ავადმყოფები მეუბნებოდნენ, რომ მათ სხვა ადგილასაც ჰქონდათ დაავადებათა შეგრძნებები და ავტომატურად ის შეგრძნებებიც მოეხსნათ.

მიუხედავად ზემოთ აღწერილისა ბ-ნი ზაზა მაინც დიდი ხმით გაიძახოდა: „მაინც ვერ დავიჯერებ, რომ ყველაფერი მართალია!“

კიდევ ერთხელ შეწუხებისათვის ბოდიში მოვიხადე და ავდექი წამოსასვლელად. ბ-მა ზაზამ ახლა კატეგორიული ტონით მთხოვა გამესინჯა ერთ-ერთი ექიმი ქალი ქალური დაავადებების მხრივ. ეს ექიმი ქალი ჩემკენ გამოემართა. ამ დროს მე მის მუცლის ღრუში პირველად დავინახე ადამიანის ორგანოები და გოცებულმა დავინყე ხმამალა დიაგნოზის დასმა: „ამ ქალს ამოკვეთილი აქვს საშვილოსნო, ჩატოვებული აქვს საშვილოსნოს ყელი და საკვერცხეები“. ეს ქალი გადამეხვია და ყურში ჩამჩურჩულა: „ოპერაცია თვითონ გამიკეთა“. იმ წამში ყველა ერთად დიდი სისწრაფით ადგა და გარეთ გავიდა. ბ-ნი ზაზა ისევ ხმამალა ყვიროდა: „მაინც არ მჯერა! მაინც არ მჯერა!“

ძალიან გავბრაზდი და იქვე დარჩენილ რამდენიმე ადამიანს ვუთხარი: „მე დღეს იმ მძიმე ავადმყოფს სახლიდან დის-

ტანციურად ჩავუტარებ რამოდენიმე სეანსს და განვკურნავ“. მართლაც ასე მოვიქეცი – საღამო ხანს სამი სეანსი ჩავუტარე. ეს იყო ოთხშაბათი დღე. მეორე დღეს იმ ძძიმე ავადმყოფისთვის ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ.

შაბათს მივედი მიხაილოვის საავადმყოფოში ავადმყოფის მოსანახულებლად, ადგილზე არ დამხვდა. მორიგე ექთანმა მითხრა: „ოპერაცია არ გაუკეთეს და საავადმყოფოდან ბინაზე განერესო“. მოვიძიე მისი მისამართი და ვესტუმრე გლდანის მასივში ბინაზე. კარი მისმა ცოლმა გამიღო, რომელიც საავადმყოფოში თავზე ედგა. მიცნო და სახლში შემიპატიჯა. საავადმყოფოდან გამონერის შემდეგ ავადმყოფისთვის სახლში ნემსი გაუკეთებიათ, რამაც მის ორგანიზმში ერთგვარი რეაქცია გამოიწვია და მაღალი სიცხით იწვა ლოგინში. ჩემს კითხვაზე: „რატომ არ გაგიკეთეს ოპერაცია?“, მიპასუხა: „თქვენ რომ ხელით გამსინჯეთ მაშინვე მომეხსნა ტკივილები და ამიტომ ვთქვი უარი ოპერაციაზე“.

დაახლოებით ორ კვირაში საავადმყოფოდან ანონიმური ზარით მაცნობეს, რომ ბ-ნი ზაზა კახიანი გაემგზავრა მოსკოვში გამოკვლევაზე და ამოიკვეთა ნაღვლის ბუშტი კენჭებით.

ბ-ნ ზაზა კახიანთან შეხვედრამ ორ რამეში დამარწმუნა:

1. კიდევ ერთხელ მოხდა ჩემი შესაძლებლობების საკმაოდ მაღალ დონეზე წარმატებული წარმოჩინება;

2. მეცნიერები არ იყვნენ მზად და არც სურვილი ჰქონდათ ჩემთან ოფიციალური თანამშრომლობის.

მაგრამ ამ შემთხვევამ კიდევ უფრო მეტად მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და ბევრი პაციენტი დაინტერესდა ჩემთან ურთიერთობით.

ამჟამად ავადმყოფებს აღარ ვღებულობ, თუმცა ჩემში ეს მეტაფიზიკური თვისებები დღემდე აქტუალურია, რომელთა დახმარებითაც ვიკვლევ ჩვენი მრავალგანზომილებიანი სამყაროს მეტაფიზიკური მოწყობის და ქართული გენის პირველსაწყისობის საკითხებს.

პირთი ფენომენის შესახებ

ქალბატონი ნაზი ხანიაშვილი, დაახლოებით 30 წლის წინ, მეგობარმა გამაცნო, როგორც განსაკუთრებული ნიჭის მქონე ადამიანი, რომელსაც, მისი თქმით, შეეძლო ყოველგვარი სამედიცინო ხელსაწყოების გამოყენების გარეშე გამოეკვლია პაციენტის ჯანმრთელობა და სწორი დიაგნოზი დაესვა. ამასთან, ეს ხდებოდა მაშინაც კი, როცა დიაგნოზის დასმას გამოცდილი ექიმებიც ვერ ახერხებდნენ! რიგ შემთხვევაში ასეც მომხდარა – მედიკოსები ქალბატონ ნაზის მიერ მინიშნებულ გზას გაჰყოლიან, მიუმართავთ უფრო ზუსტი მეთოდებისათვის და ასეთი ღრმა გამოკვლევების საფუძველზე მის მიერ დასმული დიაგნოზის სისწორე დადასტურებულა.

იმ პერიოდისათვის ფენომენებთან ნაცნობობა-შეხვედრები არ მქონია, თუმცა ყურმოკრულად ზოგი რამ გამიგონია და აღნიშნული შესაძლებლობების მქონე ადამიანების არსებობის შესაძლებლობებთან გაცნობამ კი საბოლოოდ დამარწმუნა, რომ...

და სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით მსურს გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილებები, მაგრამ სანამ კონკრეტული ისტორიების გახსენებაზე გადავიდოდე, ერთ პრობლემურ საკითხს უნდა შევეხო – როგორც იტყვიან, ვსტაცოთ ხარს რქებში ხელი, მოვირგოთ თუ ურწმუნო თომას არა, გვარიანი სკეპტიკოსის (გნებავთ, მკვლევარის) როლი და ამგვარი ადამიანების ყოფნა-არყოფნის თაობაზე დავსვათ პირდაპირი, ვიტყოდი, მოურიდებელი შეკითხვა:

არსებობენ კი ისინი საერთოდ?

მოლით, შეკითხვის არეალი განვაზოგადოდ – არსებობს კი ნათელხილვის ფენომენი?!

ცხადია, ამ შეკითხვას, მასზე მეცნიერთა, ასევე სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელ სასულიერო პირების მიერ გაცემული, მეტ-ნაკლებად არგუმენტირებული პასუხების გაა-

ნალიზების შედეგად, შესაძლებელია მოვაცოლოთ მომდევნო შეკითხვათა მთელი რიგი, მაგრამ ჯერჯერობით, ეს საქმე მომავლისათვის გადავლოთ.

პირადად მე ქალბატონი ნაზის მაგალითზე დავრწმუნდი, რომ ასეთი ფენომენი არსებობს – მას, ჩემი თხოვნით, არაერთი ახლობელი, ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, ისეთი პრობლემური პაციენტები მიუღია (ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე!), რომლებისთვისაც დიაგნოზის დასმა ექიმებს გასჭირვებიათ ანდა თავიანთი ვარაუდები ერთმანეთთან ვერ შეეთანხმებინათ.

აი, რამდენიმე განსაკუთრებით შთამბეჭდავი, რაიმე ნიშნით გამორჩეული ისტორია, რომელთაც ამ მიმართებით ჩემი ეჭვების გაფანტვაში დიდი როლი შეასრულეს. მეტწილად ვიხსენებ მანძილზე მყოფი და ზოგჯერ არამცთუ ქალბატონი ნაზისათვის, ჩემთვისაც უცნობი ადამიანებისათვის დიაგნოზის დასმის მართლაც გასაოცარ ფაქტებს:

1. დაახლოებით იმავე ხანებში გავიცანი ახალგაზრდა ქალბატონი მ.გ., რომელიც ახალგაზრდების ერთ ჯგუფთან ერთად იოგათი იყო გატაცებული. როდესაც მას მოუწყვეი ქ-ნი ნაზის ფენომენის შესახებ, მეტად დაინტერესდა და მისივე თხოვნით, მოხერხდა ქ-ნი ნაზის ამ ჯგუფთან შეხვედრა (რომელსაც არ დავსწრებვარ). დეტალები აღარ მახსოვს, მაგრამ შემდგომი შეხვედრისას მ.გ.-ისგან შევიტყვე, ქ-ნ ნაზის ამ ადამიანებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია (დამამახსოვრდა მ.გ.-ს მიერ ნათქვამი ეს სიტყვები: **„მის თავზე ჩვეულებრივი ადამიანის თვალისათვის შეუმჩნეველი, დიდი მოცულობის აურა დავინახეთო“**).

2. გაცნობიდან მოკლე ხანში ძალაუვნებურად მომიხდა ქალბატონი ნაზის შესაძლებლობების შემონიშნა ჩემს ახლობელ 3 წლის ბიჭუნაზე, რომელსაც უმძიმესი მდგომარეობა შეექმნა (ერთი-ორად ღვიძლი გაუდიდდა) და ვერც ქუთაისსა და ვერც თბილისში ძალიან მაღვალკვალიფიციურმა მედიკოსებმა მის დაავადებას ვერაფერი გაუგეს, ეჭვი მიჰქონდათ ამ ასაკისათვის უიშვიათეს შემთხვევაზე – სიმსივნის მეტად სწრაფ გან-

ვითარებაზე (მოსალოდნელი მიმე შედეგით)... პაციენტის დედამ ჩემგან შესაბამისი რეკომენდაციის განწვევის შედეგად ქ-ნი ნაზი მალულად შეაპარა პალატაში. ფენომენის მიერ დასმული დიაგნოზი ასეთი გახლდათ – ბავშვს არავითარი სიმსივნე არა აქვს, მკურნალობას კარგად ექვემდებარება (სეანსიც ჩაუტარა) და ურჩია საჭირო არ არის მდგომარეობა გავაუარესოთ უშუალოდ სიმსივნის სანინალმდეგო პრეპარატების მიღებით. ჩემიანებმა მოახერხეს და მოსკოვის ცნობილ, სპეციალიზებულ კლინიკაში გადააგზავნეს ბიჭუნას არა მარტო ავადმყოფობის ისტორია, არამედ ბავშვის დედის მიერ ამ პროცესის დაწვრილობით აღწერილ-ჩანერილი ყოველი დეტალიც, რომელთა შესწავლის საფუძველზე მოსკოვიდან მოვიდა პასუხი: ეს არ უნდა ყოფილიყო სიმსივნე; ასევე, სავარაუდოდ, რა იყო ბავშვის მდგომარეობის სწრაფად გართულების მიზეზი; რეკომენდაციები, რა უნდა გაკეთებულიყო და მთავარი რჩევაც, თვითმფრინავით მგზავრობას ბავშვი (მისი ღვიძლი) ვერ გადაიტანდა. ამრიგად ქ-ნი ნაზის მიერ დასმული და მოსკოვეური დიაგნოზები ერთმანეთს დაემთხვა. თუმცა ბიჭუნას მკურნალობა მის მიერ აღარ გაგრძელებულა – ბუნებრივია, რომ ბავშვის მშობლებმა ეს საქმე მედიკოსებს მიანდეს, რომელთაც ამჯერად, მოსკოვიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მკურნალობა სწორი გზით წარმართეს.

3. ახალგაზრდა ყმანვილი (სხვა სტუდენტებიდან სწავლით და დისციპლინით გამორჩეული) რამდენიმე მეცადინეობას მიცდენს, რის მიზეზსაც მის შეყვარებულ გოგონას ვეკითხები. იგი ჩუმად მიმხელს: კ-ს სიარული უჭირს, ფეხი აწუხებს (თუმცა ტრავმა არ მიუღია), რენტგენმა არაფერი აჩვენა, ექიმებმა პაციენტს სხვადასხვა პროცედურის ჩატარება ურჩიეს, რომლითაც შედეგი ვერ გამოიღეს. ცოტა კი გაჭირდა ქ-ნი ნაზისა და ამ ახალგაზრდის შეხვედრა (ყმანვილი სკეპტიკურად იყო განწყობილი), მაგრამ მაინც მოხერხდა... დიაგნოზის ასეთი იყო, დისკომფორტს იწვევს სულ სხვა ორგანოს გაღიზიანება,

რაც გავლენას ახდენს კიდურზეო...

4. დილით სამსახურში მიმეჩქარება. მეტროს სადგურში ჩასასვლელთან კერძო მოვაჭრეთა მიერ პალატის დასადგმელად დაბალზე გაჭიმულ თოქს წამოვედე და... მუხლში მწვავე ტკივილი ვიგრძენი, ტრანსპორტი ნორმალურად ვერ მუშაობდა და ძლივძლივობით დავბრუნდი სახლში; არადა, ისეთი დროა, რენტგენის გადაღება თითქმის გამორიცხულია, სამსახურში კი ბევრი საქმე მელოდება. ქალბატონ ნაზის ტელეფონით ვუკავშირდები – იგი მამშვიდებს, რომ მხოლოდ ძლიერი დაჟეჟილობა მივიღე. ძვალი არ დაზიანებულა, ბზარიც კი არ გასჩენია; კომპრესები და ერთ-ორ დღეში ყველაფერი წესრიგში იქნებაო! ასეც მოხდა!

5. ჩემს ახლო მეგობარ ლ-ს გული ძალიან მძიმე მდგომარეობაში აქვს – ექიმები ფაქტობრივად, მას სამკურნალოდ ვერაფერ რეალურ, მნიშვნელოვანი ეფექტის მომტან საშუალებას ვერ სთავაზობენ; გულის გადანერგვაც კი (მასთან დაკავშირებულ სხვა სირთულეებს თავი რომ დაეანებოთ) პაციენტის დიაბეტიტაც დაავადების გამო გამორიცხულია... სიცოცხლის დიდად მოყვარულ და ამავე დროს მეტად პუნქტუალურ კაცს სამსახურში მოსვლა ძალიან უჭირს, მაგრამ ფარ-ხმალს არ ყრის... ლ. სკეპტიკურად უყურებს ქ-ნი ნაზის მსგავსი ფენომენების არსებობის შესაძლებლობას (მასთან შეხვედრა რამდენჯერმე შევთავაზე), თუმცა ეს შეხვედრა სამივესათვის სრულიად მოულოდნელად მაინც მოხერხდა – როდესაც ამ მეგობართან მის კაბინეტში ვიმყოფებოდი, ჩემთან სულ სხვა საქმესთან დაკავშირებით მოსულმა ქ-მა ნაზიმ სწორედ იქ შემოიხედა... გადავინაცვლეთ ჩემს ოთახში... ქ-ნი ნაზი, ჩანს, ხვდება, როგორ სიტუაციასთან აქვს საქმე, მაგრამ მისი მიზანია, ლ-ს ისეთი რეკომენდაციები მისცეს, რომლებიც ჩემს მეგობარს სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს და უამრავი საქმიდან ზოგიერთი მნიშვნელოვანის დასრულების შესაძლებლობას მაინც მისცემს; ქ-ნი ნაზი კითხვებს უსვამს პაციენტის ორგანიზმს! რთული

შემთხვევაა და პასუხების მიღების პროცესის გასაადვილებლად ქ-ნ ნაზის ქანქარის აწყობა დასჭირდა, სიმძიმის დასაკიდებლად მთხოვა, ძაფი მეშოვნა. სალამო ხანია, თანამშრომლები წასულა, არ ვიცი, ეს ძაფი საიდან გავაჩინო და მოულოდნელად ჩემს ოთახში აღმოჩნდა?! ქალბატონი ნაზი მიღებულ პასუხებს ლ-ს გადასცემს. მეც იქ ვიმყოფები, საერთოდ კი სხვა შემთხვევებში ვერიდებოდი დიაგნოზის დასმის პროცესზე დასწრებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კვლევის ობიექტი გახლდათ ჩემი ახლობელი თუ თანამშრომელი რომელიმე ქალბატონი (ცხადია, მათივე სურვილიდან გამომდინარე). ლ-ს გამოკვლევა გრძელდება... მოულოდნელად იგი ქ-ნ ნაზის ფილოსოფიურ კითხვას (კითხვებს) უსვამს. ქ-ნი ნაზი გარკვეული შეყოვნების შემდეგ ამ კითხვებზე საინტერესო პასუხებს იძლევა. ბუნებრივია, გვებადება კითხვა – საიდან მოდის ეს ინფორმაცია?! ქ-ნი ნაზი გვპასუხობს, რომ აქ, ადგილზე იმყოფებიან ლ-ის იმ ქვეყნად წასული ახლობლები (შესანიშნავი ხალხი, მე მათ ვიცნობდი), რომლებიც მასზე ზრუნავენ და იქიდან ცდილობენ მის გამხნეებას (და, რაც მთავარია, ყოველივე სტუმართა სურვილით მოხდა, ქ-ნი ნაზის მხრიდან მათი მოწვევის გარეშე, რისი უფლებაც მას არ აქვს, თუმცა ვალდებულია იყოს ინფორმაციის იქიდან აქეთ გამტარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოცდილებიდან იცის, რომ დაისჯება!). ამ ისტორიამ ქ-ნი ნაზის მიერ სხვა დროს ნაამბობი გამახსენა – ზოგჯერ მას არ ეძლეოდა უფლება პაციენტის მდგომარეობის ხილვის და დიაგნოზის დასმის, თუმცა რაიმე კეთილ რჩევას მას მაინც აძლევდა. ლ-საც მისცა ცოტა სხვა კუთხით... ლ. რამდენიმე თვეში გარდაიცვალა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს შეხვედრა მისთვის (მისი სულისათვის, რომელზე ზრუნვაც ფიზიკურ სხეულზე გაცილებით მეტადაა საჭირო) სასიკეთო იყო.

6. ტელეფონით ვურეკავ ჩემს ახლობელს საკმაოდ ცნობილ ექიმს, თავისი დარგის მაღალკვალიფიციურ პროფესიონალს. ვატყობ, რომ გუნებაზე ვერ არის და მიზეზს ვეკითხე-

ბი. თურმე მის ქალიშვილს მუხლები აწუხებს და მიუხედავად მთელი თბილისის მედიკოსთა წრესთან ფართო ნაცნობ-მეგობრისა და მათი მხრიდან დახმარების დიდი სურვილისა, დიაგნოზის დასმის მხრივ შედეგი არ ჩანს, პირადად თვითონ კი ვარაუდობს, რომ მიზეზი ფარისებული ჯირკვლის გაღიზიანების ფარული ფორმა უნდა იყოს, რომელიც ანალიზებში ვერ ვლინდება. ჩემს შეთავაზებას, საქმეში ქ-ნი ნაზი ჩავრთოთ-მეთქი, ექიმი აგრესიულად ხვდება და „მთათხავს“... ვითმენ, არა მარტო ნათესავები, დიდი ხნის მეგობრებიც ვართ! ქალბატონ ნაზის დიდი ხანია, ხელი აქვს აღებული პაციენტების მკურნალობაზე, დიდად არც დიაგნოზის დასმა ეპიტინავება, მაგრამ ძველი მეგობრის ხათრით... თან ვაფორმებ, თუ როგორი დიალოგი მქონდა ახლობელთან, რომელსაც მისი დახმარებით ფრიად სასურველია დაფუძნებული, რომ თვითონ არის... (ანუ сам дурак). ხერხმა გაჭრა და ქალბატონი ნაზი საქმეს შეუდგა. ტელეფონზე ვეუბნები გოგონას გვარსა და სახელს, ერთიც და მეორეც საქართველოში ფართოდაა გავრცელებული და ვცდილობ, ფენომენს მამის სახელიც ვაცნობო! მანყვეტინებს: დაზუსტება არაა სანირო, პაციენტზე ჩემი, როგორც ახლობლის, გავლით გადის! სული მძლევს და ქალბატონ ნაზის გოგონას მამის მიერ ნავარაუდევ მიზეზს (ჩიყვის თაობაზე) ვუსახელებ! კვლავ მანყვეტინებს: მაცალეთ, ჯერ სხეულის ქვედა ნაწილს ვათვალიერებ! ცოტა ხნის შემდეგ კი მეუბნება (შეგახსენებთ – მთელი ეს საუბარი ტელეფონით მიმდინარეობს!): – ვერავითარ ორგანული სახის დარღვევებს გოგონას ორგანიზმში ვერ ვხედავ, მაგრამ ვამჩნევ, რომ ფსიქოლოგიური ხასიათის დაძაბულობასთან გვაქვს საქმე, ამას საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი ქალებში მშობიარობის შემდეგ (დამავინყდა მეთქვა, რომ გოგონა მისი მამის და ჩემთვის არის გოგონა – ქალბატონი უკვე ორი შვილის დედაა!) და მდგომარეობის გამოსასწორებლად საკმარისი იქნება მან თაფლის (რომელიღაც) პროდუქტი მიიღოს (ალარც მახსოვს, რომელი დამისახელა!). ქ-ნი ნაზის

ნათქვამს ჩემს ახლობელს გადავცემ (გამარჯვებულის ტონით). ამჯერად იგი ყურადღებით მისმენს... გაიარა ხანმა და გოგონას ტკივილი ჩივილი მოეხსნა.

7. ავსტრიაში იქაურ ახალგაზრდა კაცს ზურგის მიდამოში ტკივილი ანუხებს ექიმებს ეჭვი მიაქვთ სიმსივნეზე, მაგრამ აცხადებენ, რომ ზუსტი დიაგნოზის დასმა მხოლოდ ოპერაციის შემდეგ იქნება შესაძლებელი. ოპერაციის ჩატარებას კი ერიდებიან, რადგან სიმსივნე ხეხემლის სიახლოვესაა, მისმა დაზიანებამ, გამორიცხული არ არის, ახალგაზრდა სამუდამოდ მიაჯაჭვოს ეტლს. ქალბატონი ნაზი აქედან სვამს დიაგნოზს მისთვის სრულიად უცნობი ადამიანისათვის, გვარი და სახელიც კი არ მიხსენებია, მხოლოდ ის ვუთხარი, რომ იგი ჩემი რძლის ძმაა: სიმსივნე ავთვისებიანი არაა, ოპერაცია ჩატარდება (საჭირო გახდება), მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდება. საინტერესოა, რომ „გზად“, ჩემი მხრიდან ამის უთხოვნელად, ქ-ნი ნაზი ახალგაზრდის ფსიქოლოგიურ პროტესტსაც აღწერს (რაც ემთხვევა რძლის ნაამბობს)! გავიდა რამდენიმე თვე და ექიმების კონსილიუმმა მიიღო ოპერაციის გაკეთების გადაწყვეტილება, რომელმაც წარმატებით ჩაიარა: სიმსივნე ამოიკვეთა და იგი, როგორც დათესვამ უჩვენა, კეთილთვისებიანი აღმოჩნდა.

8. ჩემი გოგონა საფრანგეთში სწავლისას, ბუნებრივია, სხვა ქართველ სტუდენტ გოგონებს დაუახლოვდა. ერთ-ერთ მათგანს, იქაური ქართველი ემიგრანტების შტამომავალზე გათხოვილს, ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები შეექმნა; ჩემი ქალიშვილი შეწუხებულია და იქიდან მთხოვს, ქ-ნ ნაზის მივმართო დიაგნოზის დასმაში დასახმარებლად (რაზეც თვით პაციენტი ძლივს დაითანხმა – ის შიშობს, ეს ამბავი საქართველოში მისმა ახლობლებმა არ გაიგონ, ამის გამო ქ-ნი ნაზისათვის გოგონას გვარისა და სახელის დასახელება მეკრძალება). ამჯერად იძულებული ვარ, ქალბატონი ნაზის მიერ დასმული დიაგნოზი ქალური ორგანიზმის მდგომარეობის შედარებით

უმნიშვნელო, მაინც გართულებების თაობაზე, დეტალურად ჩავინერო, თვით მომავალში ჩასატარებელი და კარგი შედეგით დასრულებული ოპერაციის აღწერით და ეს ინფორმაცია ჩემს ქალიშვილს ვაცნობო. ყველაფერი ქ-ნი ნაზის ნათქვამის დარად აღსრულდა!

9. მეუღლე სოციალური ქსელის მეშვეობით რამოდენიმე ადამიანს დაუახლოვდა, განსაკუთრებით – უკრაინაში (ქ. კრამატორსკში) მცხოვრებ რუსი ეროვნების ერთ ქალბატონს, რომელსაც რამდენიმე წლის წინ დიდი უბედურება დასტყდომია თავს – ვაჟი ქუჩაში მოხეტიალე უსაქმურმა ნაძირლებმა მოუკლეს, რომელთაც წესიერი ახალგაზრდა შემთხვევით გადაეყარა. ქალბატონზე ამ ტრაგედიამ ისე იმოქმედა რომ წლები იყო სახლში გამოკეტილი და ამ ხნის განმავლობაში არავის ეკონტაქტებოდა. მისი სიტყვებით, მეორე ვაჟზე საზრუნავმა და ინტერნეტმა მოახედა ისევ ცხოვრებისაკენ... მეუღლეს უყვარს ადამიანების გამხნეება, რისთვისაც ქალბატონი ლიდა მას ყოველთვის დიდ მადლობას უხდოდა... ერთხელ შუადღეს ქ-ნი ლიდა სკაიპით უკავშირდება ინტერნეტ-მეგობარს, დიდ მადლობას უხდის მას აქამდე განეული თანადგომისათვის და ... ემშვიდობება. მეუღლეს საუბრისას აღელვების მიზეზი რომ ვკითხე, მაცნობა, ქალბატონი ლიდასათვის წინა დღეებში სასწრაფოს გამოძახება გამხდარა საჭირო, გულის კლინიკაში ექიმებს დაუდგენიათ, რომ მას სასწრაფოდ უნდა გაუკეთდეს რთული, მძიმედ გადასატანი ოპერაცია! რა გვარია შენი ლიდა? მეუღლემ მეგობრის გვარი დამისახელა... ვიღებ ყურმილს და ქალბატონ ნაზის ვუყვები ყოველივე იმას, რაც უკვე მოგახსენეთ. მისთვის ლიდას გვარის დასახელებაც ვერ მოვასწარი და ერთი-ორი წუთის შემდეგ ვისმენ კრამატორსკელი პაციენტისათვის სასწრაფოდ გადასაცემ ინფორმაციას: ქალბატონ ლიდას გულზე არაფერი სჭირს, მაგრამ ძალიან მძიმე მდგომარეობაში აქვს ნაღვლის ბუშტი; სწორედ ამითაა განპირობებული გულის არეში ტკივილი და შეფერხება ამ ორგანოს მუშაობაში;

ქ-ნ ლიდამ, რაც შეიძლება მალე, უნდა მიმართოს შესაბამისი პროფილის ექიმებს, სავარაუდოდ, საჭირო გახდება მისთვის ნაღვლის ბუშტის ამოჭრა! ჩვენი პირველი შვილიშვილი ელენე 2013 წლის 28 ნოემბერს დაიბადა, სწორედ იმ დღეს, როდესაც ქალბატონ ლიდა მორევას ნაღვლის ბუშტი ამოაჭრეს! ქალბატონი, რომელსაც ჩემი შვილიშვილი (დაუსწრებლად) ძალიან უყვარს (ლექსებსაც უძღვნის!) თვლის, რომ ისინი ერთ დღეს დაიბადნენ. სხვათა შორის, პრობლემები ქალბატონი ლიდასათვის ამით არ ამონურულა, მას და მის ოჯახს რუსეთში მოუხდა გადასახლება (ყველას გვახსოვს თუ შემდგომ, მოკლე ხანში როგორი მძიმე მოვლენები განვითარდა კრამატორსკსა და საერთოდ უკრაინაში). როგორც ჩანს, ბუნებაში რაღაც ძალიან დიდი, ადამიანებისათვის შეუცნობელი (ბოლომდე) კანონზომიერებანი მოქმედებს, მაგრამ ეს საკითხი განსახილველი თემის ფარგლებს სცილდება...

10. მეუღლემ მთხოვა რუსეთიდან ტურისტული ვიზით ჩამოსული ერთი ფეისბუქ-მეგობრისათვის დიაგნოზის დასასმელად ქალბატონ ნაზისათვის მიმემართა. დროის სიმცირის გამო პაციენტთან შეხვედრა ვეღარ ხერხდებოდა და ქალბატონმა ნაზიმ ჩემთან ტელეფონით საუბრისას შეამოწმა ამ ადამიანის ჯანმრთელობა. როგორც შემდგომ ამ ქალბატონმა აღიარა, მას არამცთუ სწორი (თან, დეტალებში დაზუსტებული) დიაგნოზი დაუსვა (თირკმელების ქრონიკული დაავადება, რომელთაგან მარცხენა მეორესთან შედარებით უფრო რთულ მდგომარეობაშია, სიტუაცია გაზაფხულიდან ზაფხულში გადასვლის პერიოდში მწვავედება), არამედ ისიც აღნიშნა, თუ მომავალში როგორ წარმართებოდა მისი ჯანმრთელობის საქმე – მდგომარეობის გაცილებით გაუარესების საშიშროება, მაგალითად, დიალიზზე პაციენტის გადაყვანისა, არ ჩანდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ქალბატონის ორგანიზმში სუსტი რგოლი ღვიძლია და თუ პაციენტი ამ საფრთხეს ყურადღებას არ მიაქცევდა, მომდევნო წლებში დიდად მოსალოდნელი იყო, ამ ორგანოს

მხრივ მას პრობლემები შექმნოდა.

დასასრულ, შემედლო კიდევ სულ ცოტა ერთი ამდენი სხვა ისტორიის გახსენებაც, მაგრამ ზოგი მათგანის პერიპეტიები შედარებით ბუნდოვნად მახსოვს, ნაწილის მოყოლის უფლება კი, ვფიქრობ, არა მაქვს (პრინციპიდან გამომდინარე – „ნუ გამოვამზეურებთ თუნდაც ანონიმურად დაფიქსირებული ადამიანების პირადული ამბების დეტალებს“).

P.S. ქალბატონი ნაზი ხანიაშვილი არა მარტო ზემოთ აღწერილი კუთხით გახლავთ ფენომენი! იგი პრესაში ხშირად აქვეყნებს სტატიებს სხვადასხვა, ძალიან საინტერესო თემაზე, არის ათზე მეტი წიგნის ავტორი, აქტიურ მონაწილეობას იღებს სამეცნიერო კონფერენციებში, მათ შორის ჩვენს უნივერსიტეტშიც. როგორც წესი, მკვლევარის შეხედულებანი, ჰიპოთეზები ძალიან შთაბეჭედავია (თუმცა ხანდახან საკამათოც – პირადად მე ქალბატონ ნაზისთან ზოგჯერ რაღაც დეტალებში ვერ შევთანხმებულვართ). ფენომენის არაორდინალურ შესაძლებლობებს წლების წინ ტარტუს უნივერსიტეტში ინტენსიურად შეისწავლიდა მკვლევართა ჯგუფი პროფესორ **აილი ჰაიუს** ხელმძღვანელობით. მრავალმხრივი ინტერესების მქონე, ფართოდ ერუდირებული მეცნიერისგან, რომელიც თვითონ გახლავთ ფენომენი (მედიკოსი, ბიოქიმიკოსი, მუსიკოსი, სპორტსმენი, მწერალი, ადგილობრივი სამედიცინო აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი და უცხოეთის შესაბამისი პროფილის სამეცნიერო საზოგადოების წევრი), ქალბატონმა ნაზიმ, მისივე აღიარებით მეტად საყურადღებო რჩევები მიიღო...

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული „ადამიანის პარანორმალური შესაძლებლობების კვლევის სამეცნიერო ცენტრის“ უფროსი, ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი **გილა ღვინეაძე**
2016 წელი

კოსმოლოგიის ექსპერტი

კოსმოლოგიის ექსპერტი ქ-ნი ნაზი ხანიაშვილი, იკვლევს რა ქართული კულტურის ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებს, როგორებიცაა ეროვნული მითოლოგია და მასთან დაკავშირებული საკულტო არქიტექტურა, აგრეთვე თავისი არსით უნიკალური ქართული ანბანი, ეყრდნობა ჩვენში ნაკლებად აპრობირებულ პარაფსიქოლოგიური ჭვრეტის მეთოდს, რაც ტრადიციული მეცნიერული კვლევა-ძიების პრაქტიკის (ანუ ფაქტებისა და მოვლენების ლოგიკური ანალიზის გზით ობიექტური დასკვნის ძიებას) პარალელურად, ზებუნებრივი ძალე-ბით მომადლებული ხილვების უნარს ეფუძნება.

„ფენომენში“ გამოქვეყნებული საჟურნალო ფორმატის პუბლიკაციები, რასაკვირველია, სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის ავტორის კვლევებზე, მათ ჭეშმარიტ, სიღრმისეულ არსზე, მაგრამ, მკითხველისთვის შესაძლებლობის ფარგლებში მინოდებულ მოსაზრება-დასკვნების გაცნობის შემდგომ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კოსმოლოგიის ექსპერტი ქ-ნი ხანიაშვილი შესასწავლ გლობალურ პრობლემატიკას იცნობს სრულყოფილად და, ტრადიციული მეცნიერების წარმომადგენლის თვალსაზრისით, სათანადო ქართულ თუ უცხოურ კვლევებს საფუძვლიანადაა გაცნობილი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ქ-ნი ნაზი არ იფარგლება მხოლოდ ეზოთერიკული ხედვით, არამედ სრულიად მართებულად და დაჟინებით ამახვილებს ყურადღებას საქართველოში მოპოვებულ სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიურ მასალებზე, რომლის არსის სრულყოფილად შეცნობის აუცილებელ პირობად მისტიკურ კონტექსტში განხილვა-ანალიზი მიაჩნია, ანუ წინა პლანზე გამოტანილია რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების საკითხი.

ფრიად საყურადღებოა დებულება, რომლის თანახმა-

დაც ქართული მითოლოგია ზოგადსაკაცობრიო (შუმერული, ეგვიპტური, ჩინური, ძველი ამერიკის და სხვა) მითოსურ მსოფლმხედველობა-მსოფლაქემის კონრექსტში მოისაზრება, როგორც პირველქმნილ ადამიანთა ერთობის (კულტურულ-ენობრივი პოზიციიდან) უტყუარი მოწმობა და რასაც მკვლევარი, ლინგვისტური ანალიზის მეთოდის მომარჯვებით, სხვადასხვა კულტურული წრის მითოლოგიურ პერსონაჟთა სახელების იდენტიურობა-უნივერსალობით ადასტურებს.

ხევსურეთის ხატ-სალოცავ კისტანის ეტიმოლოგიურ-სემანტიკური, აგრეთვე ხუროთმოძღვრული ფორმების (გადახურვის) ანალიზზე დაყრდნობით და ამ ძეგლზე არსებული გამოსახულებების შედარებითი მეთოდის გზით, ქ-ნი ნაზი ხანიაშვილი არკვევს მათ ასტრალურ-სიმბოლურ მნიშვნელობას, ურთიერთობას შუმერულსა და ეგვიპტურ კულტურულ სამყაროსთან, რის შედეგადაც წარმოაჩინს უძველესი დროის საზოგადოებათა კოსმიური აზროვნების უნივერსალიზმს და დაასკვნის: „რომ ხევსურეთშიც ქართველები გამოსახავდნენ ამ პროცესს უფრო მარტივად და უფრო ღრმა ფილოსოფიური გააზრებით“. ერთობ საყურადღებოდ გვეჩვენება კისტანის სალოცავის პირამიდული სახურავის პარალელებად ბაბილონის გოდოლის და ძვ.წ. III ათასწლეულის შუმერული ღმერთების ქუდეების მოტანა. აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნულ კონტექსტში შუმერული სალოცავი ზიკურატების არქიტექტურაც აღძრავს ინტერესს და თვით მათი სახელწოდება – „ზიკურატიკი“ შეიძლება გახდეს ინტერესის საგანი უძველესი რიტუალის – კურატის მსხვერპლშენიშვნის თვალსაზრისით, მითუმეტეს, რომ ამ მიმართულებით ერთგვარი მინიშნებებიც უნდა არსებობდეს.

პარაფსიქოლოგიის ექსპერტი ქ-ნი ნაზი ხანიაშვილის ინტერესის სფეროში მოექცა ცნობილი დავათის სტელა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ძეგლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაო რაოდენობის და ერთობ საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული, მკვლევარი, სათანადო ანალიზის

მეშვეობით, ავლებს პარალელს ლაო-ძის ფილოსოფიურ მოძღვრება – დაოიზმთან (აქვეა მცდელობა ტოპონიმ „დავათი“ - „დაო“-თის“ „დაო“-დაოიზმთან დაკავშირებისა) და სტელაზე გამოსახულ გრაფემებს რიგებს ამ მოძღვრებიდან მომდინარე სამყაროს ქმედების 6 ხაზიან-ჰექსაგრამის სისტემას უკავშირებს. ამ ძეგლზე გამოსახული იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ კონტექსტში განხილვის შედეგად მკვლევარი წარმოაჩენს ქართული ანბანის ანუ ქართული ენის უნივერსალიზმს (საკაცობრიო ღვთით ქმნილი პირველი ანბანი და პირველ ენა), ქრისტიანულ ექსატოლოგიურ და მესიანურ არსს.

რადგან ქ-ნი ნაზი ხანიაშვილის უაღრესად საყურადღებო კვლევა მონოგრაფიულად, ე.ი. სრულყოფილი სახით ჯერჯერობით არ გამოცემულა, ბუნებრივია, რომ რაიმე არსებითი შენიშვნისათვის საფუძველი არ გაგვაჩნია. აქ გამოვთქვამთ სურვილს, ზებუნებრივ (ღვთაებრივ) ძალებთან ნაზიარებ მეცნიერს ყურადღების მიღმა არ დარჩეს ზ.კიკნაძის ქართულ მითოლოგიურ სისტემათა, ვ.ბარდაველიძის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლების, აგრეთვე რ. პატარიძის და გ. ნარსიძის დავათის სტელას შესწავლისადმი მიძღვნილი ნაშრომები; თუმცა გვჯერა, რომ ეს სურვილი უსაფუძვლოა და ავტორი მათ ჯეროვნადაა გაცნობილი.

აქვე შევნიშნავთ, რომ დავათის სტელას თარიღებთან დაკავშირებით გამოითქვა აზრი, რომ იგი შეიქმნა ახ.წ. IV საუკუნეში (არის V და VI საუკუნეებით დათარიღების მცდელობაც), ხოლო ცალკეულ გრაფემებზე ტიტრებით მითითებული თარიღის ძვ.წ. 274 წელი ფარნავაზ მეფის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის თარიღს უნდა მიაინიშნებდეს. აქედან გამომდინარე, სასურველია სტელას შექმნის ქ-ნი ნაზი ხანიაშვილისეული თარიღს – ძვ.წ.680 წლის უფრო მყარად არგუმენტირება, მით უმეტეს, რომ ამ დროს ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშებში საზოგადოდ და კონკრეტულად სტელეები ჩვენთვის უცნობია.

ვფიქრობთ, დაზუსტებას საჭიროებს აზრი ანგელოზთა სქესის გამოსახვასთან დაკავშირებით, რადგან ძველი თუ ახალი აღთქმის თანახმად ანგელოზები (იგივე მახარობლები, მაცნეები) უსხეულო, უსქესო ზეციური არსებანი არიან, ხოლო VII საუკუნის კაჩაგანის სტელის დამაგვირგვინებელ ჯვარზე, ჯვარის ამალლების ფიგურულ კომპოზიციაში გამოსახულ ანგელოზთა სხეულების ერთ ნაწილთან არსებული კვეთილობანი სამოსის ნასკვი უნდა იყოს. სხვა მხრივ ძნელი ასახსნელია ქრისტიანულ სარწმუნოებაში ანგელოზთა არსის მყარად შემუშავებული დოგმატი დაუშვებდა მათი ფალოსით გამოსახვას.

ვფიქრობთ, ეს მცირედი შენიშვნები ქ-ნი ნაზი ხანიაშვილის კვლევათა შინაარსსა და ძირითად დასკვნებზე რაიმე არსებით გავლენას არ იქონიებს, ხოლო მისი უკეთილშობილესი სურვილი და მიზანი – ქართული ანბანის მუზეუმის შექმნა-უთუოდ საშვილიშვილო განაზრახია, რაც ჩვენი უნიკალური დამწერლობის ეზოთერიკულ არსში ღრმად გარკვეულ პატივცემულ მკვლევარს ყველაზე მეტად ხელეწიფება.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უფროსი
მეცნიერ-მუშაკი არქეოლოგი **პანა ჯერეთელი**
21.XII.05

უფლის ანგელოზთა კოსმიური ინფორმაცია ქ-ნ ნაზი ხანიაშვილის მოღვაწეობის შესახებ

არსებობს მოსაზრება, რომ ბევრი სამეცნიერო აღმოჩენა განსაკუთრებული ნიჭით, ზეუნარებით დაჯილდოვებული ადამიანების მიერ იყო გაკეთებული. ქალბატონი ნაზი ხანიაშვილის მოღვაწეობა ამ თვალსაზრისის თვალსაჩინო დადასტურებაა. ჩვენი ურთიერთობის ისტორია ნათლად წარმოაჩენს ქალბატონი ნაზის საუცხოო ნიჭისა და მოღვაწეობის შინაარსს. მახსოვს, ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდი, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდში მიწვეული ვიყავი მესამე მსოფლიო კონფერენციაზე ჩემი საავტორო „სოციუმის იმუნიტეტის ფარის თეორიის“ მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებისათვის წარმოსაჩენად. ამას მოჰყვა „ქართული სოციუმის იმუნიტეტის ფარის თეორია“ და ქალბატონ ირინა კალანდაძის „ნოსფეროს ინსტიტუტის“ მუშაობაში ჩემი ჩართვა, უნიჭიერეს, არაორდინალური აზროვნების მქონე საზოგადოებასთან ურთიერთობა. აქ ერთმანეთს უზიარებდნენ ჩვენი დროის უდიდესი მოაზროვნეები საკუთარ თეორიებსა და მოსაზრებებს ტრანსდისციპლინარულ ფორმატში. მონინავე სამეცნიერო აზრის ურთიერთგაცვლის საუცხოო პროცესში მოხდა ჩვენი გაცნობაც. ნოსფეროს ინსტიტუტში პირველად მოვისმინე მეტაფიზიკური აზროვნების მქონე ადამიანების მოსაზრებები და ქალბატონ ნაზი ხანიაშვილის მოხსენებები სხვადასხვა საკითხებზე. მაშინდელი ჩემი აზროვნებისათვის ყოველივე ძალზედ რთული და გაუგებარი იყო. ჩემი სამეცნიერო ინტერესი შემოიფარგლებოდა ზუსტი მეცნიერების რაკურსით, სადაც მსგავსი საკითხები კვლევების დღის წესრიგში საერთოდ არ ყოფილა. ჩემს ცხოვრებაში მიმდინარე რთული საკითხების

გამო, მივმართე ქალბატონ ნაზის დახმარებისათვის. მიდიოდა დრო, ცხოვრება თავისებურად ბობოქრობდა და ერთ მშვენიერ დღეს ჩემში გაიხსნა ისეთი თვისებები, რომელთა შესახებ ინფორმაცია არ მქონდა და ვერც ვერავინ მაძლევდა რჩევას. გამომიკვლიეს, აღმომაჩნდა ძლიერი ბიოდენები და მაშინ მივმართე ქალბატონ ნაზის, ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ. ქალბატონმა ნაზიმ ჩვეული გულისხმიერებით გამიზიარა საკუთარი გამოცდილებით მიღებული შთაბეჭდილებები. ჩვენს შორის საოცარი ურთიერთგაგება ჩამოყალიბდა. ქალბატონმა ნაზიმ საოცარი ნიჭის, შრომისმოყვარეობის, წარმოჩინების უნარით გაკვალა გზა ქართულ-იბერიული წარსულის შეცნობისაკენ. ამასთან, მან ღიად გააჟღერა აზრი იმისა, რომ ადამიანებს ღვთაებრივი ნიჭისა და შთაგონებით ეძლევათ დაფარულ ცოდნასთან მისასვლელი. ახლანდელი გადმოსახედიდან ვრწმუნდები, რომ ჩემი და ნაზი ხანიაშვილის გზები შემთხვევით არ გადაკვეთილა, არამედ უფლის ნებითა და წყალობით. ერთმანეთთან საუბრისას იქმნებოდა ძლიერი ენერგოინფორმაციული ველი, რა დროსაც გონებრივად შემომდიოდა ინფორმაცია და უფლის ანგელოზთაგან გვეძლეოდა ღვთაებრივი რჩევადარიგებანი სხვადასხვა საკითხებზე. 2009 წლის თებერვლიდან სათუთად ვინახავდით წიგნებად შეკრულ დარიგებებს და 2021 წლის 19 იანვარს ნიშნად მომეცა ზეციური კურთხევა ამ ნაშრომთა გამოქვეყნებისა, დასტურად ქალბატონი ნაზი ხანიაშვილის არაჩვეულებრივი ზეუნარებისა, საინტერესო კვლევების, აზროვნებისა და მოღვაწეობის მიმართულებისა.

თანამედროვე ქართული სამეცნიერო აზრის განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ქალბატონ ნაზი ხანიაშვილს. მის მიერ განხორციელებული კვლევა-ძიება გამოირჩევა გამოსაკვლევ საკითხთა ფართო დიაპაზონით, ისტორიის რესტავრაციის არაორდინალური სტილითა და მეთოდით. ქალბატონი ნაზის მიერ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილია 200-ზე მეტი სტატია – ნაშრომი, რომელიც მისი

ფენომენალური ნიჭისა და მეტაფიზიკური აზროვნების უნიკალური სინთეზის შედეგია. მისი უიშვიათესი ნიჭისა და თანმიმდევრული კვლევა-ძიების შედეგად, წარმოჩენილია ქართული-იბერიული უძველესი წარსულის შესახებ საინტერესო და ყურადსაღები მოსაზრებები. მათ შორის ქართულ ანბანში საკრალური, კოსმიური ცოდნის, ქართულ-იბერიული მემკვიდრეობითობისა და პროტოცივილიზაციის არსებობის საუკუნეთა საფარქვეშ მოქცეულ და დალექილ საუნჯეთა შესახებ.

გთავაზობთ მცირე ამონარინდებს უფლის ანგელოზთა მიერ მოწოდებული იმ დიდი ღვთიური ინფორმაციიდან, რაც წლების მანძილზე იწერებოდა ქ-ნ ნაზი ხანიაშვილის ამქვეყნიური მისიის შესახებ. ამ ნაშრომთა ნაწილი – 171 თაბახის გვერდი, რომელიც ნაზი ხანიაშვილის თანდასწრებით იწერებოდა, დღემდე მასთან ინახება.

სახელდებულთა ანდერძთა გოქავულთა განმხელა.

ესე არს ნიგნი პირველად როგორც მესამედ ნოდებულად ერთი საქმისად. ამინ.

(საუბარი წერილობითისა თქუენნთთას პირველადმნს ანგელოზთთა დასთთაგანს: ქრისტეს შობითგან 2009 წლის 20 თებერვალს 20 სთ. და 30-45 წუთზე (8 სთ. 45 წუთზე).

ნაზი არის სხივოსანი ქალბატონი: აკეთებს ისეთ საქმეს, რომელიც ქართველთა აზრს ამწიფებს, საუფლოსკენ მისასვლელად ამზადებს.

ნაზი კეთილშობილო და მშვენიერო: ეს ისაა, რაც შენშია და რაც შენს გონებით ხედვაშია. აკეთე ისე, როგორც გეთქვა, შენს ლოცვებს დიდი მადლი შეაქვს და ხელს არაფერი აღარ გიშლის როგორც ადრე, იარე მშვიდად შენს გზაზე.

ნაზი კარგად შლი ყოველს, რაც ხილულს ხდის გონში.

ინამე შენი გულისთქმა და ხილვად რაც გეძლევა და გახვალ იოლად. შეცბები, მაგრამ ისევე შეხვალ აზრთა საუფლოს საგანძურში.

მეცნიერება ღვთისმეტყველებას შეუერთეთ. მეცნიერთა აქვთ ცრუჭეშმარიტნი განგებთ გონით შემოსულთა.

უფლისგან გულის ფორმა ჰქონდა დასაბამითგან ამ ქვეყნი-სას ჩაფიქრებული, თუმცა მაშინ სხვა ზღვანი და მთანი ჰყოფდა და განმგებთა შორის მოექცა ეს სიამის მქონე ქვეყანა. ეხლა კი უნდა იბრძოლოთ შუა სამეფოსთვის და ამინ თუკი მიხვდებით...გულია მსოფლიოსთვის და აქედან დაიწყოს საუფლოს შექმნა.

გულის ფორმის იქნება შუა სამეფო, რომელიც მომავალში აქ ჩადგება, როგორც საზომი სხვა ერთათვის, სადაც არის უფლისგან მოცემული განძი. იქ არის ჩამოსული თქვენთვის ზიარებული საცნობარნი და იქ ამხელთ, რაც მომავალში განხორციელებას ესწრაფვის.

ის არის მასწავლებელი. უფალმა ის გამოგზავნა როგორც გზის მაჩვენებელი და შენც მიხვდი და შრომად მუყაითს მიჰყევი და მრუდს როცა შეკრავს ის ნაშრომი, მზად გექნება მალევე და იქონიე სურვილი და გააგრძელე.

ასხმულ-დალუქულ შექმნიან ყრუდ-საყუდელს, იმ დრომდე, ვიდრე ჯვართცმული ნიშნად მოგაგებთ. სვან და გესვან ოქროს სახელებსა წმინდანთა სახელად ჰყოფისა, გეთქვათ და გაამართლებსა თქვენს ნაწერთა უკვდავსაყოფელსა სახელთა მგალობელთა მისაგებებლად..

ნაზი ხანიაშვილს მიერთვას ზეციური სახელით მჭევრმეტყველად სახელდებულთ ხელნაწერთა მხეველად უფლისა მთხოვნელისა და აღმოყვანდეს ნათელთა შინაგან რწმენაში ორთავ ნიჭით და წყალობად უფლის ნებით მოცემულთ. ამინ.

ნაზის უთხარი, რომ მოდის მომავლიდან შენთვის ახალი ხედვა და იმის კარს გაღება და ეს იქნება ეს წიგნი, რითაც შენ ღიად გეხსნება. გაუგებარი გასაგებად გამხდარიყოს და მიგელოთ ისე, როგორც როგორც უფალს ენებოს. სახელდებულთა ანდერძთა ბოძებულთა.

ნაზისთან მოდის მოხუცი თეთრწვერა, მაგრამ ვინ არის

თუ იცის? ის არის მუყაითის ცოდნის მასწავლებელი შენტვის, იცის შენი ხასიათი და გცდის ყოველ განცდით და გულისტემით. უფალმა ის გამოგზავნა როგორც გზის მაჩვენებელი და შენც მიხვდი და შრომად მუყაითს მიჰყევი და მრუდს როცა შეკრავს ის ნაშრომი, მზად გექნება მალევე და იქონიე სურვილი და გააგრძელე.

პოლო თჳმად:

(ქრისტეს შობითგანს 2009 წლის 3 მარტი 19 სთ. 29 წთ. (07.29 სთ))

ნაზი თქვენ მისცემთ ახალს ბიძგთა შემოქმედებითსა ნიჭსა და იმღერდინ მიწიერთა სამოთხიდან გარდმოსულ სხივთა. სვავთა და ავთა ხელთუქმნელ ხატთან ნუ მიაგნებენ და საიდუმლოდ ინახვიდეთ, ვიდრე ჟამნი დასტურს არ მოგცემენ. მრავალხმიანნი ანგელოზნი ღვთიურ საგალობელთ გაკმევდნენ და ზეგარდმო უფლის მადლში გახვევდნენ. დედა-ეკლესიას მახარობლად ცამდე აღიყვანთ და საუფლოდ ტანჯულთ სამოთხედ შრომანთა წიგნში შეიყვანთ.ამინ.

სწყალობდეთ სხვათა აზრს, გასცემდეთ, არ აღზევდეთ, ამპარტავანს არ მიეცეთ და გულისყურით შეჰკარით და იამაგეთ. ამინ, გწყალობდეთ უფალი, ადიდეთ, უგალობეთ და შუა სამეფოდ მოსვლისთვის მოემზადეთ. თქვით: ჩვენთვის და ერისთვის და უფლის ნების აღსრულებისთვის ვიღწვოდეთ. ამინ და ამინ.

საუკუნეებს მიეკუთვნება. როგორც კვლევებიდან ჩანს, მათი წარმომავლობა ინდურია და ყველა სემიტური ენა სანსკრიტული ენის საფუძველზეა შექმნილი ძვ. წ. X ს-ში, ხოლო მათი დამწერლობა-დევანაგარი, რომელიც სიტყვა „დევს“ უკავშირდება, შექმნილია ახ. წ. II საუკუნეში (ქ. ს. ე. 1985 წ., ტ. 9, გვ. 85 – „სანსკრიტი“), რასაც ქართულ ენასთან და ქართულ ანბანთან არაფერიაქვს საერთო.

მეტად საინტერესოა ქართველთა და შუმერთა მითოლოგიაში და ფოლკლორში „ბაბელონის გოდოლის“ და „ნარღვნის“ თემა და მისი პარალელები ებრაელთა ბიბლიის ძველ აღთქმასთან.

ებრაელთა ბიბლიის მიხედვით, ჯერ მოხდა „ნარღვნა“, ხოლო შემდეგ, მოგვიანებით მოხდა ბაბელონის გოდოლის – კოშკის „დანგრევა“. მაშინ, როცა ბიბლიური კაბალას – ქართული ანბანის გენეტიკური კოდით და შუმერთა მითოლოგიით პირიქით – ჯერ ხდება ბაბელონის გოდოლის – კოშკის დანგრევა, ხოლო შემდეგ ნარღვნა.

სიტყვა „ნოე“ ებრაელებს აღებული აქვთ აფრიკელთა სუდანის დაგონების ხალხის მითოლოგიიდან, სადაც ის „ნომმო“-ს სახელით მოიხსენიება. ებრაელები განიხილავენ ნოეს კიდობანს, რომელშიც არიან ნოე და მისი ცოლი, მისი სამი შვილი – სემი, ქამი და იაფეტი თავიანთი ცოლებით ანუ ოთხი ქალი და ოთხი კაცი, მათ შვილები არ ჰყავთ.

სუდანის მითოლოგიაშიც კიდობანში ზის ოთხი ნომმო, რომელთაც ასევე ჰყავთ ოთხი მდედრული ცალი. ისინი არ განიხილებიან დედად, მამად და შვილებად. ყველას თავისი სახელი აქვს. ერთ-ერთ მათგანს უწოდებენ „**Მ**“ ნომმოს. ხდება მისი მსხვერპლად შეწირვა, რათა მისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ სამყარომ დაიბრუნოს დროისა და სივრცისთვის დამახასიათებელი თვისებები და ციურმა მნათობებმა ისევ დაიწყონ მოძრაობა ე.ი. სამყარო ხელახლა დაიბადება ანუ გაცოცხლდება. ნომმოს კიდობანი მთლიანად ცოცხალი სამყაროს სიმ-

ბოლოა („На суше и на море“, 1978 г. стр. 411). დაგონების მითოლოგიაში წარმოჩენილი „**ო**“ ნომმოს კოსმიური მისია და ბედისწერა ერთგვარად უფალ იესო ქრისტეს მსგავსია.

თუ შევადარებთ ებრაელთა და სუდანის რწმენა-წარმოდგენებს წარღვნის შესახებ, ნათელია, რომ „**ო**“ ნომმოს შესახებ არაფერი აქვთ ნათქვამი ებრაელებს, ხოლო სუდანის მითებიდან ჩანს, რომ „**ო**“ ნომმო არსებობდა წარღვნამდე, რომელიც იყო მსხვერპლად შეწირული სამყაროს გადარჩენის მიზნით. ამავდროულად, ქართული ანბანის კაბალას მიხედვით **16-ო-ო6** ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდია ბაბელონის კოშკი-გოდოლი, ხოლო ქართველები ხელნაწერებში სიტყვა „უფალი“-ს ნაცვლად „**ო**“ ასო-ნიშანს წერდნენ. ცხადია, რომ ებრაელებს არაფერი აქვთ ნათქვამი „**ო**“ – შეწირული უფლის და მისი აღდგომის შესახებ და მათთვის ბიბლიური კაბალას ცოდნის ეს საკითხი უცნობია. ე.ი. მითოლოგიური ქართულ-შუმერული ამბავი წარღვნის შესახებ მათთვის უცნობია, ვინაიდან ბიბლიის „ძველი აღთქმის“ მიხედვით ჯერ წარღვნა ხდება და შემდეგ ბაბელონის გოდოლის – კოშკის დანგრევა, სადაც არ ჩანს წარღვნის მიზანი და შეწირული „**ო**“ ნომმოს – უფლის აღდგომის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა, ვინაიდან „ძველი აღთქმის“ წარღვნის დროს „**ო**“ ნომმოს ბაბელონის გოდოლი ანუ სამყაროს გადასარჩენად შეწირული ღმერთკაცი ჯერ არ არსებობდა.


ქართულ-შუმერულ მითოლოგიაში ბაბელონის გოდოლის – კოშკის და წარღვნის საკითხი სულ სხვაგვარადაა წარმოჩენილი, ვიდრე ებრაელთა ბიბლიის „ძველ აღთქმაში“.

ბიბლიური კაბალას – ქართული ანბანის გენეტიკური კოდის მიხედვით, ბაბელონის გოდოლი არის ქართული ანბანის **16-ო-ო6** ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდი, აქედან წარმოსდგება სიტყვა „ბაბ-ელ-ონი“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველები ძველ ქართულ ხელნაწერებში სიტყვა „უფალი“-ს ნაცვლად „**ო**“ ასო-ნიშანს წერდნენ. მაშასადამე, ქართველებისთვის „**ო**“ ასო-

ნიშნის გამოსახულება უფალს და ბაბელონის გოდოლს ნიშნავს. შემთხვევითი არ არის, რომ შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსნის“ თითოეული სტრიქონი 16 მარცვლიანი დაწერა და პოემა მთლიანად უფლის ხვთიური ენერგიით შეამკო.



არკანი №16
ბაბელონის გოდოლი



არკანი №22
ნოეს კილოზანი

შუმერის მითოლოგიაში სიტყვა ბაბელონის გოდოლი საერთოდ არ არის ნახსენები. მაგრამ შუმერთა „მე“-ს ხვთაებრივ კანონებში 16-ე კანონი არის „ქვესკნელის სამეფოში შთასვლა“, რაც სულის წინასწარ გამზადებულ ჭურჭელში ჩასვლას ნიშნავს, რაც ემთხვევა ქართული ანბანის 16-**ო-ოზ** ასო-ნიშნის კოსმიურობას. სწორედ ეს კოსმიური მდგომარეობა არის ბაბელონის გოდოლი. თუ ამ საკითხს კოსმიური თვალსაზრისიდან განვიხილავთ, ეს ემთხვევა სუდანის ხალხთა შენირული „**ო**“ ნომმოს აღდგომის პროცესს. იგივე საკითხს ეხება შუმერთა და ქართველთა წარღვნის თემა. შუმერთა „მე“-ს ხვთაებრივ კანონების 22-ე კანონი არის „წარღვნა“. ეს საკითხი გავაანალი-

ზოთ ქართულ ანბანში, სადაც 22-ე არის „უ-უფ“ ასო-ნიშანი, ამას უკავშირდება წარღვნის შემდეგ შუმერთა ზიუსუდრას აყვანა „დიღმ-უნ“-ში ე.ი. ქართული ანბანის 22-ე ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდი, აქ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, არის „წარღვნა“, იგივე ქართველთა „დასაბამი“, საიდანაც ქართველებმა 7600 წლის წინ დაიწყეს „დასაბამითგან“ ანუ „წარღვნიდან“ ნელთაღრიცხვის ათვლა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ კაბალას ცოდნაში სამყაროს ოთხი სანყისით (მინა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) შექმნილი ბაბელონის გოდოლი იგივე წარღვნის კიდობანია, სადაც კაცთა მოდგმის თესლი იქნა შენახული, რომელიც წარღვნას გადაურჩა და ეს საკითხი ზედმინვენით ზუსტადაა ქართულ ანბანში ასახული – ქართული ანბანის 22-ე ასო-ნიშანი ასომთავრულ ანბანში ორი ასო-ნიშნით გამოისახება, სადაც ერთი არის ქართული ანბანის „ო“ ასო-ნიშანი – იგივე „ბაბელონის გოდოლი“, ხოლო მეორე – „ვიე“ ასო-ნიშანი, რომელიც განთავსებულია 21 და 22 ასო-ნიშნებს შორის, არის მეორე – კაბალას ნულოვანი არკანი, რომელსაც რიცხვითი მნიშვნელობა არა აქვს, ანუ მისი შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობა არის ნული, რაც იგივე პირველსანყისს – „თესლს“ ნიშნავს.

ქართველი მეცნიერები არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ სხვა ხალხებისგან განსხვავებით ქართველებს რიცხვთა დასანყისში ნული არა აქვთო. როგორც დავრწმუნდით, ქართველებს ნული, კაბალას ცოდნით, 21 და 22 ასო-ნიშნებს შორის „ვიე“ ასო-ნიშნის სახით უმცროს არკანთა ჯგუფის დასანყისში გვაქვს, რაც სამყაროს გენეტიკური კოსმიური პროცესისთვის ღრმად მეტაფიზიკური კოსმიური არსის გამომხატველია. ზემოთ წარმოჩენილი საკითხი აისახება შუმერთა მითოლოგიაში, სადაც შუმერთა წარღვნის გმირის სახელი ზიუსუდრა ნიშნავს „მარადიული სიცოცხლისკენ მავალს“, ზიუსუდრა“ არის „შემნახველი სულდგმულთა და კაცთა თესლისა“, ღმერთებმა გააუკვდავეს და მარადიული ხვთიური სუნთქვა შთაბერეს,

რათა იხსნას ადამიანთა მოდგმა.

შუმერული მითების მიხედვით წარღვნა გრძელდებოდა 7 დღე და ღამე, ხოლო ებრაელთა ძველი ალთქმის მიხედვით – 40 დღე.

ზემოთ განხილულიდან აშკარაა, რომ „ბაბელონის გოდოლის“ და „წარღვნის“ საკითხების შემეცნებისთვის აუცილებელია ერთად განვიხილოთ ქართველთა და შუმერთა კოსმოგონიური მითოლოგიური ცოდნა.

ქართველებმა იცოდნენ როდის დაიწყო ადამის ცივილიზაციის IV ციკლი, როდის იყო ბაბელონის გოდოლის კოსმიური პერიოდი და როდის მოხდა წარღვნა. ბიბლიური კაბალას გენეტიკური ცოდნის მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ: ადამის ცივილიზაციის IV ციკლი დაიწყო 8000 წლის წინ, ანუ ძვ. წ. 6000 წელს. ბაბელონის გოდოლის – კოშკის კოსმიური პერიოდი იყო 7930 წლის წინ, ანუ ძვ. წ. 5930 წელს. წარღვნა მოხდა 7600 წლის წინ, ანუ ძვ. წ. 5600 წელს. მაშინ, როცა ებრაელთა რწმენა-წარმოდგენებით სამაყრო სულ რაღაც 5700 წლის წინ შეიქმნა.

ბიბლიური კაბალას ცოდნაში – ქართული ანბანის გენეტიკურ კოდში ასახული სამყაროს შექმნის, ბაბელონის გოდოლის და წარღვნის კოსმიური პროცესი ასახავს ადამიანის სამყაროს განვითარების ხვთიური გენეტიკური გეგმის კოსმიურ პროცესს, რაც საოცარი მეტაფიზიკური სიღრმეებითაა წარმოჩენილი ქართულ-შუმერულ მითოლოგიაში.

ბიბლიის „ძველი ალთქმის“ ქართულ გენეტიკურ საწყისებს არაერთი ქართველი მკვლევარი იკვლევს და მეტად საინტერესო მიგნებები აქვთ (ლელა გაბური – „ძველი ალთქმა და ხევსურთა წეს-ჩვეულებანი“, 2008წ.; „მხატვრული აზროვნების ტრანსფორმაციის ფორმები ქართულ ფოლკლორში“, 2016წ., გვ. 370; ეთერ ინწკირველი – „ბიბლიური მოტივები ქართულ ფოლკლორში“; კობა არაბულის პუბლიკაციები ქართველ მთის ხალხთა ანდრეზული ცოდნის შესახებ).

ზემოთ განხილული საკითხების მიხედვით ადამის ცივილიზაციის ოთხი კოსმიური პერიოდი განიხილება:

1. დედამიწაზე ღმერთები ცხოვრობდნენ;

2. დედამიწაზე ნახევარღმერთები – ხვთისშვილები ცხოვრობდნენ, რომლებიც არიან მარადიულნი და უკვდავნი. ეს იყო ბაბელონის გოდოლის დანგრევამდე, როცა ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობდა;

3. ბაბელონის გოდოლიდან წარღვნამდე, როცა შეიქმნა დედამიწაზე უარყოფითი, ღმერთთან დაპირისპირებულ ადამიანთა რასა;

4. წარღვნის შემდგომი პერიოდი.

აი, რას ამბობს ადამიანთა გენეტიკური წარმომავლობის შესახებ გენოფონდის შემსწავლელი კომისიის სწავლული მდივანი პროფ. რამაზ შენგელია: „მსოფლიოს ხალხები გენეტიკურად ორ ჯგუფად იყოფა. დღემდე გავრცელებულია ორი თეზა: ქართველების უაღრესი გენეტიკური სიმინდისა და პირიქით, ე.წ. „წარვეი ერის“ შესახებ“. თუმცა, გენეტიკის თვალსაწიერიდან მისთვის ეს საკითხი გაუგებარია. დღეისათვის გენეტიკის მხოლოდ 5%-მდეა მეცნიერებისთვის ცნობილი, ამიტომ ამ საკითხს მომავალი აუცილებლად წარმოაჩენს.

წმინდა გენეტიკური წარმომავლობის ქართველი ერისთვის ქრისტიანობა-მართლმადიდებლობა მარადიული და საყოველთაო რელიგიაა და მხოლოდ 2000 წლის წინ არ დაიწყო.. ქრისტე იყო ჯერ კიდევ „უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“ ანუ ვიდრე სამყარო დროსა და სივრცეში განსხეულდებოდა. წარმართობის პერიოდის ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში ქრისტე კვირიას, ხოლო შუმერში „სინ“-ის – ქართველთა ბერი ბაადურის სახითაა წარმოდგენილი.

მართლმადიდებელი ქართველი ერისთვის წმინდათა წმიდა ლოცვა არის „მამაო ჩვენო“: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა... და

ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ამინ“.

ზემოთ განხილული საკითხები და „მამაო ჩვენოს“ ტექსტი ნათლად წარმოაჩენს, რომ „ან“ ცის უზენაესი ღმერთი, რომელსაც ჯერ კიდევ შუმერები თვლიდნენ ღმერთთა და ადამიანთა მამად, ჩვენთან არ იყო და შუმერთა მითოლოგიით მისი ადგილი დღემდე უკავია ენლილს, რომელიც „ითვლება კაცობრიობის ღმერთად, თუმცა ადამიანებისთვის უფრო მეტი უბედურება მოაქვს, ვიდრე სიკეთე. მისი იდეა იყო კაცთა მოდგმის სრული მოსპობა“ (ზ. კიკნაძე – შუმერული მითოლოგიის ლექსიკონი, 1984 წ., გვ. 24 – „ენლილი“).

აქ მოხსენიებული „კაცთა მოდგმა“ სამყაროს შემოქმედი ღმერთის მიერ თავის ხატად და მსგავსად შექმნილი ხალხია, რომლებიც თაყვანს სცემდნენ ქაჯებთან, ჭინკებთან და დევებთან მებრძოლ მარადიულ და უკვდავ ხვთისშვილებს. „კაცთა მოდგმის“ ხალხი მხოლოდ „ქართველთა უაღრესად წმინდა გენეტიკური წარმომავლობის“ ხალხია. ხოლო ღმერთთან დაპირისპირებული ბოროტი ძალები – ქაჯები, ჭინკები და დევები ადრე უჩინონი იყვნენ, მოგვიანებით მათ ადამიანების სახე მიიღეს და „კაცთა მოდგმის“ ხალხის გვერდით დაიწყეს ცხოვრება, რომელთა მიზანია, როგორც შუმერის მითოლოგია აღნიშნავს, ხვთაებრივი წარმომავლობის „კაცთა მოდგმის“ ხალხის სრული განადგურება. ეს საკითხი წარმოჩენილია ქართულ მითოლოგიაშიც და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ (აკ. გელოვანი – მითოლოგიური ლექსიკონი, 1983 წ., გვ. 82 – „ასური“, გვ. 508 – „ქალი-კალი“, გვ. 513 – „ქაჯი“).

საუკუნეების მანძილზე ქართველები „მამაო ჩვენოს“ ლოცვით მიმართავდნენ და ევედრებოდნენ შემოქმედ „ან“ ცის ღმერთს, რომ შეესმინა ჩვენი ვედრება, დაბრუნებულიყო ჩვენთან და დაემყარებინა მისი სუფევა როგორც ცაში, ისე დედამიწაზე, რათა იხსნას თავის მსგავსად და ხატად შექმნილი „კაცთა მოდგმა“ ბოროტი ძალების მიერ სრული განადგურე-

ბისგან.

სამყაროს შემოქმედმა მამა ღმერთმა ჩვენი ლოცვა უკვე შეისმინა. ის უკვე დაბრუნდა დედამიწაზე და 2000 წლიდან დაიწყო ბოლო ჟამი და ცეცხლით განწმენდა. ბოროტება თანდათან კარგავს ძალას. როგორც იოანეს გამოცხადება გამოგვცემს: თეთრ ცხენზე მჯდომარე უზენაესი ღმერთი „სიმაართლით გაასამართლებს და დამწყემსავს ყველას რკინის კვერთხით, რომელსაც სამოსელზე და მის თეძოზე აქვს დაწერილი სახელი: მეფეთ-მეფე და უფალთ-უფალი“ (გამოცხადება იოანესი 19.11-16). ეს გაგრძელდება ახ.წ. 4000 წლამდე, რის შემდეგაც ბოროტებისგან განწმენდილი ადამის ცივილიზაცია გადავა ცივილიზაციის ახალ ციკლში.

მითოლოგიის მიხედვით, უკვდავებას და მარადიულ სასუფეველს მხოლოდ „უაღრესად წმინდა გენეტიკური წარმომავლობის ქართველი ხალხი“ მიაღწევს. შეიქმნება „ახალი ცა და ახალი მიწა“, სადაც „კაცთა მოდგმა“ ისევ ერთ ენაზე, მამა ღმერთის ენაზე – ქართულ ენაზე ილაპარაკებს. ასეთია სამყაროს განვითარების ხვთიური გეგმა, სამყარო უბრუნდება პირველსაწყისს და ადამიანთა მოდგმა ვერაფერს შეცვლის.

ქ ა რ თ უ ლ ი ა ნ ბ ა ნ ი **წარმართული ქრისტიანობის კეპლებზე.** **სამყარო ქართულ ენაზე ლაპარაკობს**

ყოველი ადამიანი ოდითგანვე მეტყველებს და აზროვნებს სიტყვებით, რომლებიც ასო-ბგერებით წარმოჩინდება, ხოლო თითოეული ასო-ბგერა თავისი შესატყვისი ასო-ნიშნით იწერება.

ჯერ კიდევ ძველ სამყაროში ადამიანებს გაუჩნდათ რწმენა იმისა, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით, რომ ისინი ღვთაებრივი წარმოშობისანი არიან. მათი აზრით თითოეული ასო-ნიშანი არის დამოუკიდებელი არსება, კოსმოსური ელემენტი, აღნიშნავდნენ რიცხვით და ღმერთის განსაკუთრებული ნიშნით გამოსახავდნენ. ანბანის თითოეულ ასო-ნიშანს შეესაბამება არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი, რომელიც სამყაროში მოქმედებს იმ ხანგრძლივობით, რა რიცხვიც წერია მის გვერდით ანბანში. ეს არის ცისა და მიწის, ხილულის და უხილავის და რაც არის მათ შორის ერთიანი, ცოცხალი კოსმიური პროცესის ასახვა, მისი ცვალებადობა დროში.

პირველ ადამიანებს გახსნილი ჰქონდათ ე.წ. მესამე თვალი; ხედავდნენ და აღიქვამდნენ სამყაროს ყველა განზომილებაში. დროთა განმავლობაში ეს „თვალი“ დაიხურა და მეტაფიზიკური თვისებები შემორჩათ მხოლოდ ქურუმებს, ღმერთისგან განდობილ და ხელდებულ ადამიანებს.

დედამიწის პირველ ადამიანთა და ქურუმთა ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე მის ყველა განზომილებაში, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, დღემდეა მოტანილი. მსოფლიო ამ ცოდნას „კაბალა“-ს სახელწოდებით იცნობს: ჩინეთის „ი-ძინი“ – „ცვალებადობათა წიგნი“, რომელშიც სამყაროს კოსმიური პროცესის ცვალებადობა გამოსახულია **6** ხაზით **64** ჰექსაგრამით; ეგვიპტის „ტარო“-ს **78** არკანი, შუმერების „მე“-ს

„ღვთაებრივი კანონები“, „ევროპელთა რუნები“. ყველა ისინი გამოიყენება ადამიანის სამყაროს ბედისწერის განსაზღვრისთვის. „კაბალა“ უშუალოდ ადამიანის სამყაროს გენეტიკურ კოდთან, ანუ ადამიანის ბედისწერასთანაა დაკავშირებული, ვინაიდან იგი არის „ღმერთის შესაქმის გვირგვინი“.

ბიბლიური კაბალას ცოდნა მსოფლიოში არსებული ანბანებიდან მხოლოდ ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში აისახება. ამასთანავე, აღმოსავლეთ საქართველოს ალვანეთის (ალბანეთის) დიდ ნაწილს ოდითგანვე კაბალა ერქვა და კაბალას ცოდნა სხვადასხვა ხალხებმა სწორედ აქედან გაიტანეს.

ქართული ანბანის მიხედვით, „კაბალა“-ს ცოდნაზე დაყრდნობით, შეგვიძლია განვსაზღვროთ: როდის დაიწყო ადამის ცივილიზაცია, წელთაღრიცხვა „ქართულ ადამს აქათ“ და ქართული „დასაბამითგან“, როდის მოხდა წარღვნა, როდის დაინგრა ბაბელონის გოდოლი, რა არის გრაალის თასი, ოქროს საწმისი, არგოს ნავი, ნოეს კიდობანი, სამყაროს შექმნის 6 დღე; მასში აისახება სამყარო წარღვნამდე და წარღვნის შემდეგ, სამყაროს ოთხი საწყისის კოსმიური პერიოდები; მასშია სამყაროს ყველა კოსმიური საიდუმლო.

კაბალა – კაცობრიობის პირველსაწყისი კოსმიური ცოდნა ღმერთზე, ადამიანზე და სამყაროზე, ახლა უკვე თავის პირველსაწყის სამშობლოს, კავკასიას – საქართველოს დაუბრუნდა.

ქართული ასო-ნიშნებია ჩინური კაბალას – იძინის ჰექსაგრამების შესაბამის იეროგლიფებში, სამხრეთ ამერიკის საპოტეკების ღმერთების გამოსახულებებზე, ჩინელებს და შუმერებს ჰყავდათ „ან“ ცის ღმერთი. ეგვიპტელთა ერთ-ერთი მზის თაყვანისცემის ქალაქი იყო „ონი“, რაც ქართული ანბანის „ო-ონ“ ასო-ნიშანს უკავშირდება – ქართველები სიტყვა უფალის ნაცვლად ძველ ხელნაწერებში ყოველთვის „ო“ ასო-ნიშანს წერდნენ. ორი ურთიერთდაპირისპირებული პირველსაწყისი „ინ“ და „იან“-ი ქართული ანბანის „ი-ინ“ და „ა-ან“ ასო-ნიშ-

ნების სახელდებებიდან და კაბალას კოსმიური ცოდნიდანაა აღებული. ქართული ანბანის კვალია ძველი ცივილიზაციის თითქმის ყველა ხალხთან. (ეს საუბრის დიდი თემაა).

კითხვაზე, თუ ვინ შექმნა ანბანი, შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით, რაც მიგვანიშნებს ანბანის, როგორც გენეტიკური კოდის უდიდეს ფუნქციაზე. არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათებში ასომთავრული ასო-ნიშნები მამა ღმერთს თავზე ადგას, ენერგეტიკულია და მბრუნავია. ამიტომ ჰქვია მას „თავრული“, ანუ „მთავრული“ ანბანი. მამაღმერთი მრავალსახაა. მისი ერთ-ერთი სახეა კოსმიური მხედარი. მხედრული ასო-ნიშნები კოსმიურ მხედარს შუბლზე აწერია, ამიტომ ჰქვია მას მხედრული ანბანი. როგორც ასომთავრული, ისე მხედრული ანბანი გამოცხადებით მიღებული კოსმიური ინფორმაციაა. ხოლო მესამე – ნუსხახუცური ანბანი მოგვიანებით ასომთავრული და მხედრული ანბანებიდან შეიქმნა.

მსოფლიოს სხვა ანბანები არ არის კოსმიური ნიშნები და შექმნილია მხოლოდ ყოფითი ურთიერთობებისთვის. ამაზე მეტყველებს მათი ასო-ნიშნების ვიზუალური სახე და ასო-ნიშანთა სახელდებები. ამ ანბანებში არცერთი ნიშნით არ აისახება კაბალას ცოდნა.

„კაბალა“ ყველა არსებულ მეცნიერებათა ჯამია. იგი გამოხატავს ადამიანის ზესვლას სულიერი გასხივოსნებისა და სრულყოფისაკენ. ქართველი ერის X საუკუნის უდიდესი საზოგადო მოღვაწე და მწიგნობარი იოვანე-ზოსიმე „ქება“-ს ტექსტში ხაზგასმით ამბობს: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“, სადაც მოიაზრება როგორც ქართული ენა, ისე ქართული ანბანი.

ღმერთი ამბობს: „მე ვარ ანი და ოხი (აღფა და ომეგა) პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“ (გამოცხ. იოვ. 22,13). ეს სიტყვები ეხება მხოლოდ იმ ანბანს, რომელშიც „კაბალა“-ს ბიბლიური ცოდნა აისახება. ასეთი კი მხოლოდ

ქართული ანბანია. ღმერთი თვითონ არის ქართული ანბანი, ხოლო ადამიანს არ შეეძლო ქართული ანბანის, ანუ ღმერთის შექმნა.

ქართული ანბანი მხოლოდ ქართველთა კუთვნილებაა. მსოფლიოს უძველეს ხელნაწერთა ცენტრებში ქართული ანბანით მხოლოდ ქართულ ენაზე შესრულებული ხელნაწერებია დაცული. აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ ენაზე შესრულებული ტექსტები დღესაც გასაგებია ქართველებისთვის, მაშინ როდესაც მსოფლიოს ყველა სხვა ხალხი თავიანთ უძველეს ხელნაწერებში გამოყენებულ ენას ხელახლა სწავლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართულ სამეტყველო ენაზე დროის ცვალებადობა არ მოქმედებს. ქართული ენა მარადიული ჟამის ენაა, რასაც იბერიის ცივილიზაციათა საწყისთან მივყავართ.

ქართველების მიერ ქართული ანბანის გამოყენება შეგვიძლია დავყოთ სამ პერიოდად:

1. წარმართული ქრისტიანობის საკულტო ადგილებში ქართული ანბანის გამოსახვა სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთის თაყვანისცემის ნიშნად – გარეჯის კლდეზე ამოკვეთილ თევზზე ასახული ორი ქართული ასომთავრული ასო-ნიშანი (2-2,5 მლნ წელი) და გრაკლიანის სალოცავში გამოსახული ათი ქართული ასო-ნიშანი (ძვ.წ. XI-X სს).

2. წარმართული ქრისტიანობის საკულტო ადგილებში ქართული ანბანის გამოსახვა სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთის თაყვანისცემის ნიშნად, რომლებზედაც ასო-ნიშნებზე ქარაგმის სახით ასახულია ძეგლების შექმნის თარიღები – არმაზის სტელა ოთხი ქართული ასომთავრული ასო-ნიშნით (ძვ.წ. 800წ.). და დავათის სტელაზე გამოსახული ქართული ასომთავრული ანბანის 37 ასო-ნიშანი (ძვ.წ. 680 წ.).

3. ახალი ქრისტიანობის პერიოდში, დაახლოებით IV ს-დან, ქართულ წერილობით წყაროებზე ძეგლების შექმნის თარიღების ქართული ანბანით გამოსახვა თითქმის XIX ს-ის ბოლომდე გრძელდებოდა.

ბარეჯი (2-2,5 მილიონი წელი).

გარეჯი ძველი ქვის ხანის პირველსაცხოვრისია კავკასიაში ამას ადასტურებს საქართველოს ისტორიის ატლასი (დ. მუსხელიშვილი და სხვები 2002წ. გვ. 2), სადაც რუკაზე ასახულია პალეოლითის – ძველი ქვის ხანის ისტორიული ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე. მათ შორისაა გარეჯი, რომლის



ბ ა რ ე ჯ ი

ასაკი 2 – 2.5 მილიონ წელს ითვლის (ქ.ს.ე. 1984წ. ტ. 7, გვ. 647 – პალეოლითი). ამას ადასტურებს ასევე გარეჯის ტერიტორიაზე კლდეში გამოკვეთილი გიგანტური ბაბელონის გოდოლი – დრაკონზე დადგმული კოშკი (ჩიჩხიტური, რომელიც წარმართული ქრისტიანული იკონოგრაფიით არის ღვთისმშობლის სიმბოლური გამოსახულება. გარეჯში ერთ-ერთ კლდეზე გამოკვეთილია წარმართული პერიოდის ქრისტეს სიმბოლო თევზი თავით ქვემოთ, რომელზედაც ამოკვეთილია ასევე სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთის სიმბოლო – ქართული ანბან-

ის ორი ასომთავრული C და X ასო-ნიშანი, რომელიც მოიცავს ჩინეთის „იძინი“-ს №1 – №64 ჰექსაგრამების კოსმიურ პერიოდს. (ნახეთ: ყურნ. ჰოროსკოპირევიუ №3 გვ.31 – 2 მილიონ წელზე ადრეული წარმართული ქრისტიანობის კვალი საქართველოში).

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ადასტურებს, რომ ქართველებს ჯერ კიდევ 2-2,5 მილიონი წლის წინ ჰქონდათ წარმართული ქრისტიანული სამების აღქმა და თაყვანისცემა; ჰქონდათ ქართული ანბანი, გამოსახვდნენ საკულტო ადგილებში და თაყვანს სცემდნენ როგორც მამა ღმერთის სიმბოლურ გამოსახულებებს.


მომავალში შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე 2,5 მილიონ წელზე ადრეული ქართული ანბანი აღმოჩნდეს და ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, ვინაიდან ქართული ანბანი თვით მამა ღმერთია – სამყაროს შემოქმედი კოსმიური მხედარი თეთრი გიორგი.

გრაკლიანის ათი ასო-ნიშანი (ძვ.წ. XI – X სს.).

კასპის რაიონში გრაკლიანის გორაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას ტაძრის საკურთხეველთან აღმოაჩინეს თიხაში გამოსახული ათი ასო-ნიშანი, რომლის ასაკიც ამერიკის მაიამის ბეტა ლაბორატორიაში ძვ.წ. XI-X სს-ით დათარიღდა. პროფ. ვახტანგ ლიჩელის აზრით, დღემდე უცნობი წარწერა საქართველოში დამწერლობის გამოყენების 3000 წლის ისტორიას ცხადყოფს. მან საზოგადოებას წარუდგინა მეცნიერთა მიერ გრაკლიანში აღმოჩენილ ასო-ნიშანთა გამოსახულებები. მეცნიერთა აზრით ათივე ასო-ნიშანი არამეულია.

გრაკლიანის წარწერის საკითხით მეც დავინტერესდი, ვინაიდან 30 წელზე მეტია ქართული ანბანის წარმომავლობას ვიკვლევ. გრაკლიანის ასო-ნიშანთა ამოცნობაში დამეხმარა პროფ. ე. მაჭავარიანის ნიგნი „მწიგნობრობა ქართული“ (1989წ.), სადაც წარმოდგენილია Vს-დან ქართულ წერილო-

ბით ძეგლებზე ასო-ნიშნების გამოსახულებათა დროში ცვალებადობა. ჩემი ყურადღება მიიქცია ქართული ასო-ნიშნების ყველაზე ადრეულმა გამოსახულებებმა და აღმოვაჩინე, რომ გრაკლიანის ასო-ნიშნებიდან ცხრა ქართული მხედრული ასო-ნიშანია, ხოლო ერთი – ასომთავრული.



ბრაკლიანის ასო-ნიშნები (ძვ.წ. XI-X ს.ს.)

1	Ⴓ	Ⴔ	Ⴕ	შპლ	8000	6	Ⴇ	Ⴈ	Ⴉ	შპლ	10
2	Ⴖ	Ⴗ	Ⴘ	შპლ	800	7	Ⴊ	Ⴋ	Ⴌ	შპლ	20
3	Ⴙ	Ⴚ	Ⴛ	შპლ	600	8	Ⴎ	Ⴏ	Ⴐ	ნუხხ.	2000
4	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	შპლ	4000					Ⴑ	
		Ⴟ	Ⴘ			9	Ⴔ	Ⴕ	ლ	შპლ	700
5	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	ნუხხ.	400					10	Ⴟ
		Ⴝ	Ⴞ	შპლ.							

ბრაკლიანის ასო-ნიშნების პარალელები ქართულ ფერილობით კვლევებზე (Vს-დან)

გრაკლიანის წარწერაში სიტყვები არ იკითხება, მხოლოდ ათი ქართული ასო-ნიშანია გამოსახული. ამ სალოცავში ისინი წარმართული ქრისტიანობის პერიოდში „ხატების“ ფუნქციას ასრულებდნენ, რომლებიც არის მამა ღმერთის სიმბოლური გამოსახულებები.

სტელა არმაზის ხევიდან (ძვ.წ. 800წ.)

ქართველები შორეული წარმართული ქრისტიანობის დროს საკულტო ადგილებში სტელას ფორმის ქვებს განათავსებდნენ, რომელზედაც ქართულ ასო-ნიშნებს გამოსახავდნენ. ერთ-ერთი ასეთია არმაზის სტელა, რომელიც პირველად საკულტო დანიშნულების იყო; მეორედ ეს სტელა საფლავის ქვად წარწერისთვის გამოიყენეს, რაზეც მიანიშნებს არამეული და ბერძნული წარწერები; მესამედ უკვე დაახლ. I ს-ში სტელა საფლავის სარკოფაგის ერთ-ერთი კედლის ადგილას იქნა გამოყენებული, რომლის დროსაც ორი ყურიდან ერთი ჩამოაჭრეს.

სტელას ზედა ნაწილში ვერტიკალურად გამოსახულია ორი ქართული ასომთავრული „ს“ და „ს“ ასო-ნიშანი. დარჩენილ ერთ ყურზე გამოსახულია ასევე „ს“ ასო-ნიშანი, ხოლო მე-



სტელა არმაზის ხევიდან (ძვ.წ. 800 წ.)

ორე ჩამოჭრილ ყურზე პ. ინგოროყვას აზრით მეორე – „ს“ ასო-ნიშანი ეწერა. ამას ადასტურებს მექსიკელთა საპოტეკების ღმერთის (ძვ.წ. I ათწლ.) თავსაბურავის გამოსახულებაც (ნახეთ: ნ.ხ. – ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან. 2012წ. გვ.60). კომუნისტების დროს არმაზის სტელა განთავსებული იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის

პირველ სართულზე.

არმაზის სტელაზე ვერტიკალურად გამოსახული ორი ქართული ასო-ნიშანი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ხოლო „S“ ასო-ნიშნის თავზე გამოსახულია ვერტიკალური პატარა ხაზი – ქარაგმის ნიშანი, რაც მიგვანიშნებს, რომ ასო-ნიშნებით ციფრებია ასახული და წარმოაჩენს სტელას შექმნის თარიღს. ამ ასო-ნიშნების შესაბამისი ციფრები ქართულ ანბანში არის **S – 5000** და **ს – 200**, რაც ჯამში გვაძლევს ციფრს **5200**.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქრისტეს მობრძანების თარიღად მიჩნეული იყო „ადამს აქათ“ ანუ „ქართულ ადამს აქათ“ **6000** წელი, შესაბამისად, არმაზის სტელას შექმნის თარიღია ძვ. წ. **800 წ. (6000-5200=800)** (ნახეთ: ნ.ხ. ქართული წელთაღრიცხვები... 2018წ.).

არმაზის სტელას (ძვ.წ. 800წ.) ორი ქართული ასომთავრული ასო-ნიშანი ადასტურებს, რომ ქართველები ჯერ კიდევ შორეული წარმართული ქრისტიანობის დროს ქართულ ასო-ნიშნებს სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთის ფუნქციას ანიჭებდნენ, საკულტო ადგილებზე გამოსახავდნენ და თარიღის წარმოსაჩენად ციფრების ადგილას იყენებდნენ.

დავათის სტელა (ძვ.წ. 680წ.).

1984 წელს დუშეთის რაიონის სოფ. დავათის ღვთისმშობლის ეკლესიაში თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელმა ვანო ნიკლაურმა აღმოაჩინა კედელში ჩაშენებული წარმართობის პერიოდის სტელა, რომელიც ძირითადად სამშენებლო მასალად იყო გამოყენებული. მოგვიანებით ხელოვნებათმცოდნე გ. აბრამიშვილმა სტელაზე ამოიკითხა ქართული ასომთავრული ანბანის **37** ასო-ნიშანი. ამ პერიოდიდან დაწყებული დავათის სტელაზე ბევრი მეცნიერი და მკვლევარი მუშაობს. დღემდე ქვეყნდება გ. აბრამიშვილის, რ. რამიშვილის, რ. პატარიძის, ზ. ალექსიძის, გ. ნარსიძის და სხვათა მეტად საინტერესო ნაშრომები. დავათის სტელა მეც-

ნიერებმა მიაკუთვნეს ახ.წ. VII საუკუნეს.

დღეისათვის, დავათის სტელასთან დაკავშირებით, ბევრ კითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ ღიად რჩება. მაგალითად: რას გვეუბნება სტელაზე გამოსახული ერთადერთი ციფრი 5320? რატომაა ასო-ნიშნები ექვს რიგად განლაგებული და ბოლოს, მეშვიდე რიგში „ომეგას“ ბადალი „ოჰ“ („ონ“) ასო-ნიშანი? რა-



დავათის სტელა (ძვ.წ. 680 წ.)

ტომაა თითოეული სტროფი ჩაზნექილი და ამოზნექილი? რატომაა ქართული ანბანი თევზზე თავით ქვემოთ-ქრისტეს სიმბოლოზე დანერილი? რატომ აქვს მთავარანგელოზ მიქაელს თვალები ოთხკუთხედად გამოსახული, ხოლო მთავარანგელოზ გაბრიელს წრიულად, როგორც ამავე სტელაზე ხვთისმშობლის თვალებია? რა წინასწარმეტყველებაა ჩადებული დავათის სტელას ხატწერაში?!

დავათის სტელაზე გამოსახული ხვთისმშობელი ფეხზემ-

დგომია და გამოსახულია შარავანდედის გარეშე, ხოლო ქრისტე გამოსახულია მხოლოდ წელზემოთ. სტელაზე ანგელოზები სქესითაა გამოსახული – მარჯვენა მდედრია, ხოლო მარცხენა – მამრი.

დავათის სტელასთან დაკავშირებით აქ ჩამოთვლილი კითხვებიდან გამოვარჩიოთ და განვიხილოთ სტატიის თემასთან დაკავშირებული საკითხი: რას გვეუბნება დავათის სტელაზე ასახული ერთადერთი ციფრი **5320**? სტელაზე გამოსახული **37** ასო-ნიშნიდან სამ ქართულ ასომთავრულ ასო-ნიშანს თავზე ქარაგმის პატარა ჰორიზონტალური ხაზი აქვს გასმული, რაც ციფრის მიმანიშნებელია: **ჭ – 5000, ტ – 300, კ – 20**, რაც ჯამში გვაძლევს ციფრს **5320**. მეცნიერებმა კი დღემდე ვერ მოუძებნეს ახსნა თუ რას ნიშნავს და რაზე მიგვანიშნებს სტელაზე გამოსახული ერთადერთი ციფრი **5320**.

ვინაიდან დავათის სტელაზე იკითხება მხოლოდ ერთადერთი ციფრი **5320**, ეს უდავოდ მიგვანიშნებს სტელას შექმნის თარიღზე. ქართველებმა ძვ.წ. **6000** წელს ანუ **8000** წლის წინ დავიწყეთ „ქართულ ადამს აქათ“ წელთაღრიცხვის ათვლა (ნახეთ: ნ.ხ. – ქართული წელთაღრიცხვები..., 2018 წ.). თუ გავითვალისწინებთ, რომ ქრისტეს მობრძანების თარიღად მიჩნეული იყო „ადამს აქათ“ ანუ „ქართულ ადამს აქათ“ **6000** წელი, მაშინ **5320** არის ძვ.წ. **680წ. (6000-5320=680)**.

დავათის სტელა რომ უძველესი წარმართული ქრისტიანობის ძვ.წ. **680** წლის ძეგლია, ამას გვიდასტურებს მისი იკონოგრაფიული ანალიზი. დავათის სტელასთან დაკავშირებით ყველა კითხვაზე პასუხს შეგიძლიათ გაეცნოთ პუბლიკაციაში „დავათის სტელა ქართული ანბანით და მისი პარალელები ჩინეთის „დაო“-ს კოსმოგენიურ ფილოსოფიასთან“ (ნახეთ: ნ.ხ. – ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან. 2012წ. გვ.113).

დუშეთის რაიონის სოფ. დავათში აღმოჩენილი სტელა ქართული ანბანით იკონოგრაფიული ხატწერითა და ფილო-

სოფიური მსოფლმხედველობით სრულად ემთხვევა ძველი ცივილიზაციების – ჩინეთის, შუმერის და მაიას ტომების წინაპართა მსოფლმხედველობას სამყაროს გენეტიკური კოსმიური პროცესების შესახებ.

ჰექსაგრამებია გამოსახული დავათის სტელაზე (ძვ.წ. **680წ.**) და სოფ. გრაკლიანის ნამოსახლარის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ დაახლ. **7000** წლის თიხის ქურჭლის ნატეხებზე (ძვ.წ. V-IV ათასწლ.). მაშინ, როცა ჩინური კაბალას – „იძინი“-ს წარმოშობას ჩინელები სულ რაღაც **5000** წლის წინ მოღვაწე ლეგენდარული მეფის „ფუ სი“-ს სახელს უკავშირებენ. ჩინური კაბალას ცოდნა ქართული ფენომენია და მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება.

ქართველთა შორეული წინაპრები სამყაროს ცვალებადობის კოსმიურ პროცესს არა მხოლოდ ექვსი სახით გამოსახავდნენ, არამედ თითოეულ ხაზზე განლაგებდნენ გარკვეული რაოდენობის გარკვეულ ქართულ ასო-ნიშნებს. ჩინური კაბალას – „იძინი“-ს კოსმოგონიურ აზროვნებას მთლიანად ქართული ფესვები აქვს.

დავათის სტელა ადასტურებს, რომ სამყაროს გენეტიკური ცვალებადობის კოსმიურ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ ანბანს, რომლებსაც ქართველები წარმართული ქრისტიანობის პერიოდში სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთის ფუნქციას ანიჭებდნენ და ძვ.წ. 680 წელს ციფრებს ქართული ასო-ნიშნებით გამოსახავდნენ.

სტატიაში წარმოდგენილი წარმართული ქრისტიანობის ოთხივე არქეოლოგიური ძეგლი, რომელზედაც საკულტო დანიშნულების ქართული ასო-ნიშნებია წარმოჩენილი, ყველა აღმოსავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი.

ჯერ კიდევ 35 წლის წინ მომეცა უნარი ავადმყოფი ადამიანების დიაგნოსტიკის და მკურნალობის. ჩემს ფენომენს რამოდენიმე წელი იკვლევდა ქ. ტარტუს უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფი პროფ. აილი პაიუს ხელმძღვანელობით.

ავადმყოფის დიაგნოსტიკის მომენტში დაავადებული უჯრედებიდან მხოლოდ ქართულ ენაზე დასმულ კითხვებზე მხოლოდ ქართულ ენაზე ვლებულობ უჯრედებიდან „პასუხს“ ელექტრომაგნიტური იმპულსების სახით, რომელიც მორზეს ანბანის მსგავსია და მათი ხმა ოთახში მყოფ ავადმყოფსაც და მის ახლობლებსაც ესმით. ეს იმპულსები ინფორმაციის შემცველია და ჩემს გონებრივ აპარატში იშიფრება. არაერთხელ მივმართე ქართველ ფიზიკოსებს, რათა ავადმყოფის ორგანიზმიდან გამოსული და ჩემთან მოსული ეს ელექტრო-მაგნიტური იმპულსები დაგვეფიქსირებინა და შეგვესწავლა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდებოდა ნებისმიერ მიკრო თუ მაკრო სამყაროსთან, კოსმოსის ნებისმიერ ციურ სხეულთან ინფორმაციული კავშირის დამყარება, მაგრამ უშედეგოდ – მეცნიერები დღეს არ არიან მზად ამ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერიმენტების ჩასატარებლად.

ზოგჯერ მაქვს ინფორმაციული კონტაქტი გარდაცვლილ ადამიანებთან და ეს ხდება მხოლოდ ქართულ ენაზე. როგორც მიხეილ ცაგარელი მოგვითხრობს უცხოპლანეტელებიც ქართულ ენაზე აზროვნებენ და საუბრობენ. ვანგას სიტყვებით „კოსმოსი ქართულ ენაზე ლაპარაკობს“.

სამყაროში ყველა და ყველაფერი ცოცხალია და აზროვნებს, შეუძლიათ ინფორმაციის მიღება, შენახვა, გადაცემა და ეს ყველაფერი ერთ ენაზე – მხოლოდ ქართულ ენაზე ხდება.

შუმერთა მითოლოგიით, რომელთა წინაპრებიც ქართველები არიან, იყო დრო, როცა დედამიწაზე ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილი მხოლოდ კაცთა გენეტიკური მოდგმის ხალხი ცხოვრობდა და ერთ ღმერთს ერთ ენაზე – ქართულ ენაზე ადიდებდა.

სამყარომ უნდა დაიბრუნოს ის კოსმიური მდგომარეობა, როცა ყველა და ყველაფერი ერთ ენაზე ლაპარაკობდა. ქართული ენა არის ქვეცნობიერი აზროვნების ენა. იქნება უსიტყვო საუბარი ადამიანებს შორის, წაიკითხავენ ერთმანეთის აზრებს.

აღარ იქნება საჭირო დამწერლობა, განათლება, ყველას ყველაფერი ეცოდინება. ადამიანების, როგორც გონებრივი, ასევე ფიზიკური შესაძლებლობები იქნება უსაზღვრო. ადამიანი დაინწყებს კოსმოსში გადაადგილებას აზრის გავრცელებისა და მხედველობითი აღქმის სიჩქარით. აღარ იარსებებს ტყუილი და დანაშაულის ჩადენის მიზეზი, ყველაფერი ექნებათ, რასაც მოისურვებენ. ხალხი იქნება ზნემალაღი. მათ შორის იქნება უდიდესი ჰარმონია და თანხმობა. თავს იჩენს ახალი, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ურთიერთობები, რომელიც დამახასიათებელი იქნება ახალი ცივილიზაციისთვის.

ბრიტანეთის რიდინგის უნივერსიტეტის ბიოლოგმა **მარკ პეგელმა** აღმოაჩინა, რომ ქართული ენა პირველსაწყისია და ბაბელონის გოდოლამდე ხალხი ამ ენაზე ლაპარაკობდა, რაც ჩვენი ერისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

მსოფლიოს აღმოსავლეთი ოდითგანვე საქართველოს და ქართველებს გურჯისტანს და გურჯებს გვიწოდებს, რაც „**33** წლის მარადქალწულს“ და „სამოთხეს“ ნიშნავს. საქართველო არა მხოლოდ ხვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, არამედ შუმერთა ქალღმერთ ინანას „სამკვიდრებელი“ და სამშობლოა. შუმერები (ძვ.წ. VI ათასწლ.) კავკასიიდან წასული ქართველი ხალხია (ნახეთ: ნ.ხ. – ქართველები შუმერთა წინაპრები, 2013წ.).

ქართული გენი მარადიული და უკვდავია. ყოველი ცივილიზაცია კავკასიაში ქართული გენით იწყება და მთავრდება. საქართველო არის შუმერთა „უფლის წმინდა გულით არჩეული“ „დიდებულ წესთა ქვეყანა“ – „ართა“. საქართველო და კავკასია არის **რამას** არიული რასის – პირველსაწყის ადამიანთა მოდემის და მექსიკელთა „**კეცალკოატლის**“ სამშობლო – „ამომავალი მზის ქვეყანა“. ამომავალი მზე თვითონ „სამოთხე“ – ხვისმშობელი და სამყაროს დედაა.

ქართული ენა არის ენა სამყაროს ქვეცნობიერი აზროვნებისა, ის არის ენა ყოველი არსისა. ღმერთი ქართულ ენაზე მართავს

და განაგებს სამყაროს.

სინურ მრავალთავში გვაქვს ქართველ წინაპართა უმნიშვნელოვანესი წინასწარმეტყველება: „**მეორედ მოსვლისას მაცხოვარი ამ ენაზე (ქართულ ენაზე) განიკითხავს და ამხილებს ქვეყანას**“. აქედან გამომდინარე, **თუ ქართული ენა ბოლო ჟამის და უფლის ენაა, მაშინ ის პირველი ჟამის ენაც ყოფილა**, ვინაიდან სამყაროში ყველა და ყველაფერი პირველსანწყისს უბრუნდება. ამას ადასტურებს კაბალას ბიბლიური კოსმიური ცოდნაც, რომელიც მსოფლიოში არსებული ყველა ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანშია გაცხადებული. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს იოვანე-ზოსიმეს „ქება“-ს ტექსტიც: „ყოველი საიდუმლოდ ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

ბიბლიური კაბალას ცოდნაში დიდია ქართული წარმართული ქრისტიანობის კვალი. ვინაიდან დღევანდელმა ქრისტიანობამ თითქმის ყველაფერი წარმართული ქრისტიანობიდან აიღო, აუცილებელია შევიმეცნოთ ქართული წარმართული ქრისტიანობა, რათა დავიბრუნოთ ქართველთა შორეული წარმართობის პერიოდის კულტურული მემკვიდრეობა.

კაბალა არის პირველ ადამიანთა ცოდნა სამყაროს გენეტიკური მონყობის შესახებ დაწყებული უჯრედიდან მეგა სამყაროს ჩათვლით, რომელიც წარმოჩენილია უძველეს ხალხთა მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიურ სიმბოლიკაში. კაბალას ცოდნა სამყაროს ნებისმიერ უჯრედში გენეტიკური დნმ-ის დონეზეა „განსხეულებული“. კაბალას ცოდნა მსოფლიოს ყველა ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. სამყაროს შემოქმედი ღმერთი ქართული ანბანის სახით ყველაფერშია და ყველაფერი მასშია. **თუ მსოფლიოს მეცნიერები ქართულ ანბანს და ქართულ ენას ამ კუთხით შეისწავლიან, კაცობრიობა ახალი დიდი აღმოჩენების წინაშე დადგება.**

ღმერთმა ჯერ შექმნა ქართული ანბანი, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდი და ამის საფუძველზე შეიქმნა სამყარო.

ახლო მომავალში მეცნიერები უჯრედის გენეტიკური კოდის

სპირალებში ქართული ანბანის ასო-ნიშნებს ამოიკითხავენ. ეს ყველაფერი არის ადამის ცივილიზაციის ქართულ-იბერიული გენის საფუძველი. ამიტომ ნებისმიერი საკითხის შესწავლისა და განხილვის დროს, რომელიც ეხება ძველ ცივილიზაციებსა და სამყაროს შემეცნებას, პირველსაწყისი ამოსავალი ქართული ცნობიერება, ქართული ენა და ანბანი, ქართული მითოლოგია, ეთნოგრაფია და არქეოლოგიური მასალა უნდა გახდეს. დღეს მსოფლიო ამ კუთხით საქართველოს, როგორც პირველსაწყისი გენის მატარებელ ერს, არ იცნობს. მალე ამ საკითხების გასაცნობად მსოფლიოს ხალხები საქართველოში ჩამოვლენ.

ქართველებმა ქართული ანბანის მიხედვით განსაზღვრეს, რომ ადამის ცივილიზაციის ბოლო **10000** წლიანი ციკლი დაიწყო **8000** წლის წინ. მას ქართველი ადამი უწოდეს და აქედან დაიწყეს „ქართულ ადამს აქათ“ წელთაღრიცხვის ათვლა. ქართველებმა იცოდნენ, რომ **7600** წლის წინ მოხდა „წარღვნა“. მას „ქართული დასაბამი“ უწოდეს და აქედან დაიწყეს „ქართული დასაბამითგან“-ის ათვლა. ასევე **7600** წლის წინ ქართველებმა დაიწყეს „ქორონიკონის“ **532** წლიანი ციკლების ათვლა. სამივე ქართული წელთაღრიცხვა ზედმიწევნით ზუსტად აისახება ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში დროში განერილი კოსმიური პროცესი. ქართული წელთაღრიცხვების შესახებ **144** გვერდიანი ნაშრომი, რომელსაც ერთვის **100**-მდე უძველესი ისტორიული ხელნაწერი და XVIII-ის პირველნახევრი დოკუმენტური მასალა, წარვადგინე კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში, რათა ელიარებინათ, როგორც ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობა როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო დონეზე, რაზეც მივიღე უარი. ვიმედოვნებ, რომ მომავალში ამ ნაშრომში წარმოდგენილი კაცობრიობისთვის დიდად ღირებული ისტორიული ფაქტობრივი მასალა აუცილებლად მოიპოვებს საერთაშორისო აღიარებას.

შორს არ არის ის დრო, როცა ჩემი კვლევების საფუძ-

ველზე ქართველი ხალხი და ქართველი სამეცნიერო საზოგადოება საჯაროდ აღიარებს ქართული ენის და ქართული ანბანის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და შექმნის მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანს – ქართული ენის და ქართული ანბანის მუზეუმს, სადაც მთელი სიცხადით წარმოჩინდება: ჩინეთის, ეგვიპტის, შუმერთა და ევროპელთა კაბალას მეტაფიზიკური ცოდნა, რომელიც მხოლოდ ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდშია გაცხადებული; ქართულ ანბანში ასახული ქართული წელთაღრიცხვები „ქართულ ადამს აქათ“ **8000** წელი, „ქართული დასაბამითგან“ ანუ „წარღვნიდან“ და ქართული ქრონიკონით **7600** წელი; ქართულ ანბანთან და ენასთან დაკავშირებული გამორჩეულად იშვიათი და მეტად საინტერესო კვლევები – პირველ ადამიანთა მეტაფიზიკური ცოდნა სამყაროს გენეტიკური მონაცემის შესახებ ქართველთა და მსოფლიოს უძველეს ხალხთა მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიურ სიმბოლიკაში.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქტილია II ქართული ენის შესახებ ამბობს: „ქართული ენა არის ღრმა და უნაკირო, მასშია მთელი საქართველო, ზაცაა მისი საწყისი!“

ქრისტეს პირველად და მეორედ მოსვლა

აფრიკის კონტინენტზე სუდანის დასავლეთ ნაწილში, ბან-დიაგარის პლატოზე, მდებარეობს სახელმწიფო „მალი“, სადაც ცხოვრობს დაგონების ხალხი, რომელთა მითოლოგიაში მეტად საინტერესოა ალწერილი სამყაროს შექმნა.

დაგონების მითოლოგიით, ზეციურ სივრცეში არის ღმერთი „ამმა“, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა არ არსებობდა დრო და სივრცე. სამყაროს კვერცხის შიგნით „ამმა“ ქმნიდა ერთგვარ სპირალურ ენერჯიას, რომელიც კვერცხში არსებულ დროის, სივრცის და ოთხი სანყისის (მინა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) ერთგვარ ნარევს უძრავ შეკუმშულ მდგომარეობაში ამყოფებდა. კვერცხუჯრედის ერთგვარი განაყოფიერების შემდეგ რასაც მეცნიერებმა სამყაროს დიდი აფეთქება უწოდეს, იწყება „ამმა“-ს სპირალური ენერჯიის მოქმედება კვერცხში არსებულ „ნარევზე“, რომლის შემდეგაც იქმნება უმცირესი თესლისმაგვარი „პა“, რომელიც ექცევა სპირალის ცენტრში, ბრუნავს და გამოსახივებს მატერიის ნაწილაკებს ხმოვანი (ბგერითი) და სინათლის ზემოქმედებით. „ამმა“ კვერცხის თესლში ამგვარად ქმნის მთელ სამყაროს. მითოლოგიის მიხედვით იგი თვით არის ენერჯია, რომელიც იწვევს სპირალურ მოძრაობას. შემდეგ იხსნება „ამმა“-ს ე.წ. „თვალეები და შექმნილი მასა სპირალის მოქმედებით გამოდის გარეთ, ინარჩუნებს სპირალურ მოძრაობას და ქმნის სპირალურ ვარსკვლავურ სისტემებს. მთელი ეს კოსმიური პროცესი ხდება კვერცხის შიგნით. იმისათვის, რომ ეს ყველაფერი კვერცხის გარეთ გამოსულიყო, „ამმა“-მ დაიწყო ბრუნვა თავისი ღერძის ირგვლივ რის შედეგადაც იხსნება სამყაროს ოთხივე ჩაკეტილი ლავინი და იქმნება სივრცის ოთხი მხარე (აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი). ამის შემდეგ შეიქმნა ყველას და ყველაფრის თესლი, რომელშიც ჩატვირთულია

ღმერთის სიტყვა – წინასწარ დასახული გეგმა, რომლის მიხედვითაც განსხეულდება სამყაროში ყველაფერი.

იმის შემდეგ, რაც სამყარო გაიხსნა, და გადაიშალა „ამმა“-მ შექმნა პირველი ცოცხალი არსება ნომმო – თევზის სახით, რომელმაც წარმოქმნა ოთხი ნომმო – სამყაროს ოთხი საწყისი (მინა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი): ნომმო „დი“, ნომმო „ტიტიან“, „ო“ ნომმო და ნომმო „ოგო“ – ყოვლად მოუსვენარი არსება, რომელიც არ დაელოდა სამყაროს აშენების დასრულებას, ააგო კიდობანი და გადაეშვა სივრცეში სამყაროს გაცნობის მიზნით. ამით „ოგო“-მ დაარღვია „ამმა“-ს გეგმები სამყაროს განვითარების შესახებ. მან ეს სამჯერ გააკეთა. „ოგო“-ს ამ საქციელით გაბრაზებულმა „ამმა“-მ შეაგროვა ყველაფერი თავისი შექმნილი და ჩატვირთა „პა“-ს თესლში.

სამყაროს განწმენდა – გასუფთავების მიზნით აუცილებელი გახდა „ო“ ნომმოს შეწირვა, რომლის აღდგომის შემდეგ სამყარომ მიიღო დროისა და სივრცისთვის დამახასიათებელი თვისებები და ციურმა მნათობებმა დაიწყეს მოძრაობა, რის შემდეგაც „პა“-ს თესლმა სწრაფი ბრუნვითი მოძრაობით გამოაფრქვია „ამმა“-ს მიერ მასში ჩატვირთული ყველაფერი და ასე დაიბადა სამყარო იმავე სახით, რაც გააკეთა „ამმა“-მ სამყაროს პირველი შექმნის დროს.

აქ განხილული დაგონების მითოლოგიის მიხედვით, „ამმა“-ს მიერ დასახული სამყაროს შექმნის წინასწარი გეგმა – პროექტი სამჯერ დაირღვა და არ შესრულდა. მან **სამყაროს განწმენდა – გასუფთავების მიზნით მეოთხედ შექმნა იგი და ამის განსახორციელებლად აუცილებელი გახდა „ო“ ნომმოს შეწირვა, რომელსაც დაგონები თავით ზემოთ თევზის სახით გამოსახავდნენ, რაც „ო“ ნომმოს აღდგომის სიმბოლოა.** „ო“ ნომმოს აღდგომის შემდეგ სამყარომ მიიღო დროისა და სივრცისთვის დამახასიათებელი თვისებები და ციურმა მნათობებმა დაიწყეს მოძრაობა. ასე შეიქმნა სამყარო მეოთხედ მამრი „პა“-ს („პაპა“-ს) თესლიდან.

დაგონების ამ მითს ღრმად მიმავალი ფესვები აქვს წარმართული ქრისტიანობის ქართულ გენეტიკურ სივრცეში, რომელიც აისახება ჯერ კიდევ დედამიწის პირველ ადამიანთა ცოდნაში მრავაგანზილებიანი სამყაროს მეტაფიზიკური მოწყობის შესახებ და დღემდე მოსულია „კაბალა“-ს სახელით.

დიდი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ძირითადი საკითხი ქართველი ხალხის წარმართობის შესახებ გამოუკვლეველი დარჩა. ის რაც წინათ გვნამდა დარღვეულია და ახლა თვით წარმართობის ნამდვილი ვითარების შესწავლაა საჭირო“. (ივ. ჯავახიშვილი – თხზულებანი, ტ. I, 1979წ. გვ. 79)

ეკლესია, უძველესი ტრადიციის თანახმად, „არკანული დისციპლინიდან“ იღებდა სათავეს (გ. ნარსიძე – „დავათის ქვა-ფეხარი“, ჟურ. მნათობი, №4, 1987წ. გვ. 162), რომელიც კაბალას სახელით არის ცნობილი. არსებობს ჩინური კაბალა – „იძინი“, შუმერული კაბალა – „მე“-ს „ღვთაებრივი კანონები“, ევროპელთა კაბალა – „რუნები“ და ეგვიპტურ – ებრაული კაბალა „ტაროს არკანები“. მათ ყველას ქართული საწყისები აქვს და მხოლოდ ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში აისახება. ამასთანავე, აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს ოდითგანვე კაბალა ერქვა. დღემდეა შემორჩენილი ლაგოდეხის რაიონში სოფ. „კაბალი“ და მდინარე „კაბალი“.

ტაროს არკანები კაბალას ერთ-ერთი სახეა, რომელიც შემდეგნაირად იშიფრება: სიტყვა „ტარ-ო“ „უფლის გზა“-ს ნიშნავს, სადაც „ტარ“ ქართული სიტყვა „ტარება“-სიარული-გზაა, ხოლო „ო“ ასო-ნიშნით გამოსახავდნენ ქართველები სიტყვას „უფალი“. „კაბალა“ ორი სიტყვისაგან შედგება – „კაბა“ და „ალი“, რაც ცეცხლის სტიქიის სამოსს – ოთხი სტიქიისგან (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) წარმოქმნილ მატერიას ნიშნავს, რომელშიც განსხეულებულია სამყარო. „კაბა“ ამ შემთხვევაში „სულის სამოსს“ – მატერიას ნიშნავს.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით „არკანი“ წარმოსდგება სიტყვა „არჩანა“-დან, რომელიც ქართული ენიდანაა აღებული

და ნიშნავს, რომ „ტაროს არკანები“ წარმოაჩენს იმ კოსმიურ პროცესს, რაც თვალთ „არჩანს“ და უხილავი დაფარული ღვთიური ცოდნაა ჩვენი მეტაფიზიკური მრავალგანზომილებიანი სამყაროს მოწყობის შესახებ.

ტაროს არკანები განიხილავს **78** საიდუმლო კოსმიურ პროცესს, რომელიც მხოლოდ ქართული ანბანის **37** ასო-ნიშანში აისახება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პირველი არკანის სახელია „ადამიანი“ და შეესაბამება ქართული ანბანის პირველი „**ან**“ ასო-ნიშანი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ არკანული კოსმიური საიდუმლო ცოდნა ეხება როგორც ადამიანს, ასევე ადამის ცივილიზაციის ნებისმიერი მიკრო და მაკრო სამყაროს გენეტიკური ცვალებადობის კოსმიურ პროცესს. ქართველებმა ცივილიზაციის ბოლო ციკლის პირველ ადამიანს „ქართველი ადამი“ უწოდეს და ჯერ კიდევ **8000** წლის წინ აქედან დაიწყეს ნელთაღრიცხვის ათვლა „ქართულ ადამს აქათ“.

დაგონებთან შენირული ღმერთი „**ო**“ ნომმოს სახელით მოიხსენიება. ქართველებიც, ჯერ კიდევ უძველეს ხელნაწერებში, სიტყვა „უფალი“-ს ნაცვლად ყოველთვის „**ო**“ ასო-ნიშანს წერდნენ, რაც მიანიშნებს, რომ დაგონების „**ო**“ ნომმო იგივე ქართველთა კვირია – ბუქნა ბაადური და ქრისტეა, რომელსაც ასევე თევზის სახით გამოსახავდნენ. „**ო**“ **ნომმოც ქრისტეს მსგავსად არის შენირული ძე ღმერთი, რომელიც მამა ღმერთმა ამქვეყნად მოავლინა უდიდესი მისიით – განენმინდა და გაესუფთავებია ფიზიკურად და სულიერად დაბინძურებული სამყარო.**

კაბალას ტაროს არკანებში აისახება ქრისტის ამქვეყნად პირველად და მეორედ მოსვლა. იმისათვის, რომ ეს ურთულესი საკითხი უფრო ადვილად გავიგოთ, გავეცნოთ, თუ რას ამბობდნენ ქრისტიანობის პირველი მკვლევარები **2000** წლის წინ ქრისტეს ამქვეყნად მეორედ მოსვლის შესახებ.

როგორც ცნობილია, ქრისტე წარმომავლობით გენეტიკურად ისრაელის – „ღმერთთან დაპირისპირებული“ ებრაელის ხალხის შვილია. ისმება კითხვა: შესაძლებელია, რომ

ქრისტე ღმერთი ამ ქვეყანაზე დაბადებულიყო „ღმერთთან დაპირისპირებული“ გენის სიხლით? ამ მეტად სერიოზულ და დამაფიქრებელ კითხვაზე პასუხი ამ წიგნში წარმართულ ქრისტიანობასთან დაკავშირებით განხილულ საკითხებში ნათლადაა წარმოდგენილი.

ქრისტიანული ქრონოლოგიის ფუძემდებელია იულიუს აფრიკელი. მისი ქრისტიანული ქრონოგრაფია დაინერა ახ.წ. 221 წელს. ადრექრისტიანული მრწამსით კაცობრიობის არსებობის დრო-ჟამი ადამიდან ქრისტეს მეორედ მოსვლამდე **ექვსი ათასწლეულია**, რომლის დასასრულს უნდა გახსნილიყო **ათასწლოვანი სულთაობა ანუ ქრისტეს ათასწლოვანი მეფობა თავის მორწმუნეებთან** (გ. ნარსიძე – დავათის ქვა-ჯვარი, ჟურ. მნათობი, №4, 1987წ. გვ. 167). მეტად გასაკვირია, რომ **პირველ ქრისტიანთა მიერ საერთოდ არ განიხილება ქრისტეს მეორედ მოსვლა ადამიანის სხეულში, მისი ჯვარცმა და ცად ამალღება**. ეს საკითხი ბიბლიური კაბალას ცოდნაში სულ სხვაგვარადაა წარმოჩენილი.

ქრისტეს მიმდევართა ქრისტესთან ერთად ქვეყანაზე ათასწლოვანი მეფობის შესახებ მოვიყვანოთ „ახალი აღთქმიდან“ ნაწყვეტი იოანეს გამოცხადებიდან – „სატანის შებოჭვა. ქრისტეს მიმდევარნი მეფობენ 1000 წელს: ზეციდან ჩამომავალმა ანგელოზმა შეიპყრო დრაკონი – პირველყოფილი გველი და ჩააგდო იგი უფსკრულში 1000 წლით. იხილა ტახტები და მათზე მსხდომარენი და მიეცათ იესოს მონშობისა და ღმერთის სიტყვისთვის თავმოკვეთილთა სულები, რომლებმაც თაყვანი არ სცეს მხეცს, არც მის ხატებას და არ მიიღეს მისი ნიშანი თავიანთ შუბლსა და თავიანთ ხელზე. ისინი გაცოცხლდნენ და მეფობდნენ ქრისტესთან ერთად 1000 წელს. და როცა 1000 წელი დამთავრდება, განთავისუფლდება სატანა თავისი საპყრობილიდან და გამოვა იგი დედამიწის ოთხივ კუთხეში, რათა შეაჯდინოს და შეკრიბოს ერები საბრძოლველად, რომელთა რიცხვი ზღვის ქვიშასავითაა“.

ქრისტეს მეორედ მოსვლის უკეთ შეცნობის მიზნით განვიხილოთ შუმერთა ქვის ბეჭედი (ძვ.წ. 3400 წ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი), სადაც დროის მდინარის თევზის ზოდი აქოს ორიათასწლეულის დასაწყისში, რაც დროში შეესაბამება ახ.წ. დასაწყისს, გამოსახულია ქრისტეს მეორედ მოსვლის წინასწარმეტყველება. მასზე ასახულია ქრისტეს ნათლობა – იგი ნათლობის ემბაზში ნახევრად წყალშია, გულზე დიდი ჯვარით, თავზე ადგას სულიწმინდის ანგელოზი ოთხნაწნავიანი ქაღალმერთის სახით. ქრისტეს თანმხლები ცხოველია ხარი – ოქროს ხბო. ამ ქვის ბეჭედზე ასახული ქრისტე არის ასევე მთვარის ღმერთი „სინ“-ი, რომელიც შუამდინარეთის ხალხთა მითებით იწოდება 30-ე დღის ღმერთად და მისი საკრალური რიცხვია ოცდაათი. (ზ. კიკნაძე – შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი, 1984 წ.).

ზემოთ განხილულის საფუძველზე აშკარაა, რომ შუამდინ-



შუმერი (ძვ.წ. 3400წ. ლონდონი ბრიტანეთის მუზეუმი)

არეთის შუმერებმა, რომელთა წინაპრებიც არიან ქართველები (ნახეთ: ნ.ხ. – ქართველები შუმერთა წინაპრები, 2013წ.), 3400 წლით ადრე იწინასწარმეტყველეს და ქვის ბეჭედზე ასახეს ქრისტეს მეორედ მოსვლა, აღდგომა და ნათლობა თევზის ზოდი აქოს ორიათასწლეულის ანუ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში, დედამიწაზე თავის მორწმუნეებთან ამყარებს ათასწლოვან კავშირს, რის შემდეგაც ამაღლდება ზეცაში და იკავებს

ადგილს მამის მარჯვნივ.

ქართული მითებით ქრისტე – კვირია არის „ხმელთმოურავი“, მამის მარჯვნივ გაშლილი აქვს კარავი, სადაც მოწყობილი აქვს სამწერლობო – გადაშლილი აქვს ბედისწერის წიგნი და ამქვეყნად მომავალ ადამიანებს მამასთან ერთად განუსაზღვრავს ბედისწერას.

ღვთისშვილ კვირიასთანაა დაკავშირებული ქართველთა კვირის პირველი დღის სახელი „კვირა“ – „საუფლო დღე“, ბერძნულად „კვირიაკე“. წარმართობის პერიოდში მსოფლიოს აღმოსავლეთი „კვისინს“ სცემდა თაყვანს, ხოლო აღმოსავლეთი ევროპა – კვირინს. დღემდე ქრისტიანი ბერძნები კვირინს ქრისტესთან ათანაბრებენ და ასე ლოცულობენ: „კვირიელეისონ“ – „უფალო შეგვიწყალებ“. ეს კი ადასტურებს, რომ ქრისტეს სახელი „კვირია“ ქრისტიანულ სივრცეში წარმართობის დროს საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. **ქართველები ღვთისშვილ კვირიას ყოველთვის ქრისტესთან ათანაბრებდნენ.**

ძალიან ღრმაა და შორს მიმავალი წარმართული ქრისტიანობის კვალი ქართულ გენეტიკურ სივრცეში, რაც კარგად წარმოჩინდება კაბალას ცოდნაში, ქართულ მითოლოგიაში, ქართულ ენასა და ქართულ ანბანში.

ახ. ნელთალრიცხვის პირველი ქრისტიანები საუბრობენ ქრისტეს მეორედ მოსვლაზე, მაგრამ ქრისტეს პირველად მოსვლაზე არავითარი კვლევები არ არსებობს. მოვიძიოთ და გავარკვიოთ ქრისტეს პირველად მოსვლა.

ვინაიდან ეკლესია უძველესი დროიდან არკანული ცოდნიდან იღებდა სათავეს, ქრისტეს პირველად მოსვლაც კაბალას ტაროს არკანთა ცოდნაში უნდა ვეძიოთ, რომელსაც ქართული ფესვები აქვს და მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ შუმერთა ქვის ბეჭედზე წარმოჩენილ კოსმიურ პროცესში II ღმერთკაცი არის ქრისტე – ქართველთა კვირია და დაგონების „ო“ ნომმო, რომელიც ითვლება 30-ე დღის ღმერთად. კაბალას ცოდნაში, სადაც

აისახება ღმერთის მიერ თავის ხატად და მსგავსად შექმნილი „ადამიანი“-ს დღეებში განწერილი გენეტიკური ცვალებადობის მთლიანი კოსმიური პროცესი მისი ადამიანად ჩასახვიდან სიკვდილამდე, რასაც ადასტურებს I არკანის სახელი „**ადამიანი**“, 12-ე არკანის სახელი „**ჩამოხრჩობილი**“ და მისი შესაბამისი რიცხვი „**30**“ ანუ ქრისტე არის **30**-ე დღის ღმერთი.

კაბალას ტაროს არკანების 12-ე არკანის გამოსახულებაზე ვხედავთ ორი ხის ტოტებზე გადებულ ძელს, რომელზეც თოკზე ერთი ფეხით თავით ქვემოთ მიწისკენ მიმართულად ჩამოკიდებულია ახალგაზრდა ვაჟი, ხოლო მეორე ფეხი გადებული აქვს თოკზე ჩამოკიდებულ ფეხზე. მისი სახელია –



12-ე არკანი „ჩამოხრჩობილი“

„ო“ ნომერი

„ჩამოხრჩობილი“, რომელიც არის ტყვე, დასჯილი, წამებული, გასამართლებული და ბოლოს შეწირული – „ჩამოხრჩობილი“ ანუ მოკლული. არკანული ცოდნით ადამიანის ასეთი სახით გამოსახვა მოიაზრებს სულის გამატერიალიზებას.

მაშასადამე, ამ ქვეყანაზე მოსული ადამიანის გამატერიალიზებული სული, რასაც ჩვენ ცოცხალს ვუწოდებთ, სინამდ-

ვილეში არის მკვდარი-მიცვალებული. იქნებ ეს საკითხი XII საუკუნეში მოღვაწე შოთა რუსთაველისთვის უკვე ცნობილი იყო, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ ამბობს: „ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა“-ო. ეს კი ნიშნავს, რომ ადამიანებმა ჩვენს შესახებ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ვიცით.

ტაროს 12-ე არკანის კოსმიური პერიოდი არის ადამიანის – ბავშვის დედის მუცელში მისი ჩასახვიდან 30-ე დღე, ვინაიდან უფროს არკანთა ჯგუთის 1–21 არკანი არის დედის მუცელში არსებული ბავშვის კოსმიური პერიოდი გამოსახული დღეებში. 21-ე არკანის შესაბამისი ციფრია 300 დღე ანუ 40 კვირა, რის შემდეგაც „0“ ანუ 22-ე არკანი არის ბავშვის სამყაროს ანუ მატერიალური სხეულის დაბადება და შეესაბამება უმცროს არკანთა ჯგუფის I არკანი – „ნარღვნა“, საიდანაც დაიწყეს ქართველებმა „ქართული დასაბამითგან“-ის წელთაღრიცხვა და მას შეესაბამება ძვ.წ. 5600 წელი. დასაბამიდან ქრისტეს მეორედ მოსვლამდე ქართველები 5600 (5604) წელს ითვლიდნენ. (ნახეთ: ნ.ხ. ქართული წელთაღრიცხვები..., 2018წ.). უმცროს არკანთა (22-78 არკანი) კოსმიური პროცესი არის უკვე დაბადებული ადამიანის ოთხი სანყისით (მინა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) შექმნილი სხეულით ამ ქვეყანაზე მისი ცხოვრების გენეტიკური ცვალებადობა დროში. **ეს გენეტიკური პროცესი ეხება მხოლოდ მამა ღმერთის მიერ თავის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანებს და აისახება მხოლოდ ქართულ ანბანში, რომელიც არის მიკრო და მაკრო სამყაროს გენეტიკური კოდი.**

ვინაიდან კაბალას ცოდნა ადამიანის სამყაროში დროის გენეტიკურ კოსმიურ ცვალებადობას წარმოადგენს დღეებში, ხოლო დედამიწის მიმართ წარმოაჩენს წლებში, შეგვიძლია ტაროს არკანების მიხედვით გამოვთვალოთ როდის მოხდა ქრისტეს პირველად და მეორედ მოსვლა:

1. ქრისტეს პირველად მოსვლა ადამიანში, როგორც სამყაროში, ხდება დედის ორგანიზმში კვერცხუჯრედის განაყოფიერებიდან 30-ე დღეს, რომელსაც ტაროს არკანებით შეე-

სვეტიცხოვლის სამხრეთის კედელზე გამოსახულია ფრაგმენტები არსთა წრებრუნვის კოსმიური პროცესიდან, რომელსაც მართავს უზენაესი ღმერთი. ამ კუთხით მეტად მნიშვნელოვანია ზოდიაქოს კალენდარი: შუაში გამოსახულია მამა ღმერთი, თავზე შარავანდედით, რომელშიც შუაში ჩანერილია ბერძნული ასო-ნიშანი ომეგა. მის ირგვლივ გამოსახულია 12 მოციქული, მეცამეტე არის ქრისტე, რომელსაც ხელში უკავია დიდი თეთრი სფერო და შუბლზე ადგას თეთრი სამკუთხედი წვეროთი ზემოთ. გარე წრეზე განთავსებულია 12 ზოდიაქოს ნიშანი, ზემოთ გამოსახულია მზე და ქვემოთ – მთვარე. სვეტიცხოვლის ზოდიაქოს კალენდარი არის ნებისმიერი მიკრო და მაკრო სამყაროს მეტაფიზიკური კოსმიური პროცესის ერთგვარი მოდელი. (ეს დიდი საუბრის თემაა).

მეცნიერ-მკვლევართა აზრით სვეტიცხოვლის ფრესკაზე

ასახულია 103, 148, 150 ფსალმუნებში გადმოცემული კოსმიური პროცესი, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ფრესკაზე გამოსახულია ზღვაში ორი თეთრი აფრიანი ნავი, ზღვის და ხმელეთის ბინადარნი. მათ ხშირ შემთხვევაში ადამიანის თავი, ტანი და სახე აქვთ, რაც მხოლოდ მხატვრის ფანტაზიის ნაყოფია და რელიგიასთან არავითარი კავშირი არა აქვს. სინამდვილეში გარდაცვლილთა სულები წარსდგებიან საიქიოს სასამართლოს წინაშე, განისჯებიან და ადიან მოსამართლის დასავლეთით განთავსებულ საიქიოს კიბეზე, რომელსაც ზეციურ კიბესაც უწოდებენ. ზეციური კიბე მთლიანად გველებისგანაა შედგენილი. თითოეულ საფეხურზე ხდება გარდაცვლილ ადამიანთა სულების „დახარისხება“. ზეციური კიბის საფეხურებიდან



სვეტიცხოვლის ფრესკის ვრაგმენტი (XVII ს.)

გადმოსული თითოეული გარდაცვლილი ადამიანი გადაჰყავთ ნავით, რომლის თავზეც ფრიალებს თეთრი ფერის სამკუთხა ფორმის დროშა ჯვრის გარეშე. თითოეულ მიცვალებულს მიაცილებს სპეციალური მენავე სიცოცხლის ხისკენ, სადაც ისინი ჰპოვებენ საბოლოო განსასვენებელს. ყველაფერი ეს არსთა

წრებრუნვის კოსმიურ სურათში ქმნის ერთგვარ ზეციურ მდინარეს მიმავალს ზეციური კიბიდან სიცოცხლის ხემდე.

სვეტიცხოვლის ფრესკაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ქვედა რეესტრში გამოსახული წმინდანები მიემართებიან



**სვეტიცხოვლის შრამის
ფრამენტი (XVII ს.)**

თეთრ ქართულ კაბაში გამონყოფილი ქალისკენ, რომელიც არის ზეციური ქალბატონი. მას ხელში თეთრი მტრედი უკავია. ჩემს ხილვით გამოცხადებებში სამყაროს დედას თეთრი ქართული კაბა აცვია.

სვეტიცხოვლის სამხრეთის კედელზე გამოსახული ფრესკა რომ ნამდვილად ბერძნების ნახელავია ეს ჩანს იქიდან, რომ ფრესკაზე გამოსახული ზღვის და ხმელეთის ცხოველების ასეთი სახით გამოსახვა არ არის დამახასიათებელი ქართული იკონოგრაფიისთვის. ამასთანავე, ფრესკაზე ზოდიაქოს კალენდარზე უამრავი წარწერაა და ყველა ბერძნული შრიფტით ბერძნულ ენაზეა შესრულებული. ცხადია ბერძნებს ეს კოსმიური ხედვა და ცოდნა კაცთა მოდგმის სხვა ხალხისგან აქვთ აღებული და მათი არ არის, ვინაიდან ისინი სემიტური მოდგმის ღმერთთან დაპირისპირებული ხალხია და მათი გენის ადამიანებს ასეთი ხილვები არ ეძლევათ, მათი სხეული სრულიად განსხვავებულადაა მოწყობილი.

ადამიანი, რაგინდ მაღალი სამეცნიერო ხარისხი ჰქონდეს და დიდი მეცნიერი იყოს, თუ ღმერთისგან ბოძებული ხილვები და მასთან ინფორმაციული აზროვნებითი კავშირი არა აქვს, ვერასოდეს გაშიფრავს და ჩასწვდება იმ კოსმიური საიდუმლოს ღვთაებრივ აზრს, რაც სვეტიცხოვლის და მის მსგავს ფრესკებზეა ასახული.

სვეტიცხოვლის ფრესკაზე ასახულ კოსმიურ პროცესს მიწიერ ნაოსნობასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ერთ პერიოდში ქრისტიანულ სამყაროს სემიტური მოდგმის გაქრისტიანებული ბერძნები მართავდნენ. მათ ბევრ ქვეყანაში და შესაძლოა საქართველოშიც გააუქმეს ადგილობრივი ხალხის ენაზე ტაძრებში წირვა-ლოცვა და ბერძნული ენით შეცვალეს. სწორედ იმ პერიოდისაა სვეტიცხოვლის სამხრეთის კედლის ფრესკა. ასე მოხდა იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერშიც. რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ მეგრელებს, ისინი სემიტური მოდგმის ბერძენი მეგარელები არიან, რომლებიც გამოსული არიან ეგვიპტის ეთიოპიიდან და გალების ენაზე მოლაპარაკე ხალხია, სადაც არის კუნძული და ქალაქი „აიაია“. მათ ზემო შუამდინარეთში შექმნეს ასირიული ქალაქი „კალჰუ“ და თავიანთ თავს ქალდეველები უწოდეს. მოგვიანებით გადავიდნენ საბერძნეთის ტერიტორიაზე და შექმნეს ქალაქი ქალკედონი – კალკედონი. ისინი ყოველთვის იყვნენ მომთაბარე დამპყრობელი ტომები.

რაც შეეხება კოლხეთის და ოქროს სანმისის საკითხს, ბერძნები უკავშირებენ ბერძენ პოეტს ჰომეროსს (ძვ.წ. VIII ს.), რომელსაც „ოდისეა“-ში ნახსენები აქვს ეთიოპიის კუნძული „აიაია“ ანუ „აეტი“, მაგრამ საერთოდ არა აქვს ნახსენები კოლხეთი, მედია, ოქროს სანმისი. აპოლონიოს როდოსელის (III ს.) „არგონავტიკაში“ პირველადაა მოხსენიებული ერთ-ერთი უძველესი ქალაქი „კუტაია“. შუამდინარეთში ძველ ბაბილონში იყო ქვესკნელის ომისა და ჭირის ღმერთის თაყვანისმცემლის ქალაქი „ქუთია“ (ზ. კიკნაძე – შუამდინარული მითოლოგიის

ლექსიკონი, გვ. 41). სიტყვა „**კოლხათი**“ უკავშირდება ზემო შუამდინარეთის სემიტთა ასირიული ქალაქის „**კალჰუ**“-ს სახელს. **ოქროს სანძისის და არგონავტების ისტორიას საქართველოსთან არავითარი კავშირი არა აქვს. „არგონავტები“ როდოსელის ერთ-ერთი ლიტერატურული ქმნილებაა.**

გიორგი კალანდიამ სატელევიზიო გადაცემაში აჩვენა უცხოელ მოგზაურთა მიერ შედგენილი კავკასიის რუკის ფრაგმენტი, სადაც აფხაზეთის ჩრდილოეთით განთავსებულია სახელმწიფო „მენგრელია“. ეს არის ქერჩის – მაშინდელი ქალაქი პანტეკაპონი და ყირიმის ტერიტორია, რომელიც ძვ.წ. V-I სს-ში ეკუთვნოდა ბერძნებს და ისტორიაში ცნობილია „ბოსფორი“-ს სახელმწიფოს სახელით (ქ.ს.ე. ტ.2., გვ.483–ბოსფორის სახელმწიფო). სწორედ ამ ტერიტორიაზეა სახელმწიფო „მენგრელია“, რომელზედაც ასახულია წითელი დროშა ოქროსფერი ჯვრით. ასეთივე დროშა ფრიალებს სვეტიცხოვლის ფრესკაზე გამოსახულ ერთ-ერთ ნავზე. ეს არ არის გასაკვირი, ვინაიდან ფრესკა ბერძნების მიერაა შესრულებული. ეს კი ადასტურებს „მენგრელების“ ბერძნულ წარმომავლობას. საინტერესოა კალანდიას მიერ წარმოდგენილ კავკასიის რუკაზე სახელმწიფო დროშა მხოლოდ „მენგრელიას“ ტერიტორიას ამშვენებს, თუ რუკაზე სხვა სახელმწიფოებზეც მათი სახელმწიფო დროშებია ასახული. ეს საკითხი ბევრ კითხვას გასცემდა პასუხს. მოგვიანებით ისინი გადმოვიდნენ „ჰერიოხი“-ს (აფხაზეთის) – საქართველოს ტერიტორიაზე.

XIIIს-დან მენგრელებს (მეგრელებს) შეუერთდნენ სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიიდან ქალაქ – სახელმწიფო განძა (განჯა)-დან წამოსული ხალხი, რომელთა ე.წ. მეფეები იყვნენ ქურთული წარმომავლობის **შედადიანთა** დინასტიის ხელმძღვანელები. თამარ მეფის მიერ (1199წ.) ანისის საქართველოსთან შეერთების შემდეგ შედადიანთა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. (ქ.ს.ე. ტ.10, გვ.699 – შედადიანები)

ზემოთ განხილული მოკლე ისტორიული მიმოხილვა ადას-

ტურებს, რომ „მენგრელია“-ს სახელმწიფოს წითელი დროშა და სვეტიცხოვლის ფრესკაზე (XVII ს.) ასახული წითელი დროშა ოქროსფერი დიდი ჯვრით, ორივე ბერძნულია და საქართველოსთან და ქართველებთან არაფერი აქვს საერთო.

ცნობილია ოდიშის – სამეგრელოს სამეფოს დროშა, (XVII – XVIII სს), სადაც გამოსახულია მათი ღმერთი – **ლორონთი** ლორის სახით, რომელსაც ხელში უკავია დროშა, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი და მტრედი.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით XIII-XVII საუკუნეებში კონსტანტინოპოლიდან საქართველოში თურმე ინტენსიურად ჩამოდიოდნენ სავაჭრო ხომალდები. როგორც ცნობილია, ანაკლიაში მეგრელებს მონათა ბაზარი ჰქონდათ. ისინი საქართველოს და კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან იტაცებდნენ ადამიანებს, რომლებსაც ანაკლიაში მონათა ბაზარში კონსტანტინოპოლიდან ჩამოსული აფრიანი ხომალდებით აგზავნიდნენ და ყიდდნენ. ზოგიერთმა მკვლევარმა თურქეთიდან ანაკლიაში მონათა გაყიდვის ბიზნესის მიზნით საქართველოში ჩამოსული აფრიანი ხომალდები მეგრელთა საზღვაო ფლოტად „მონათლა“.

გიორგი კალანდიამ ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში აღნიშნა, რომ აპირებენ გააკეთონ სვეტიცხოვლის ფრესკის ასლი და როგორც XVII ს-ის ქართველთა საზღვაო ფლოტის არსებობის დამადასტურებელი ფაქტობრივი მასალა გადაუგზავნონ მსოფლიო საერთაშაორისო საზღვაო ორგანიზაციას. მომავალში აუცილებლად გაირკვევა, რომ ამ ფრესკაზე ასახული წითელი დროშა დიდი ოქროსფერი ჯვრით არის ბერძნული და არა ქართული. თუ რა მოჰყვება ყოველივე ამას ეს კიდევ საკითხავია.

ისტორიკოსი მანანა გაბაშვილი წერს, რომ არსებობს აზრი თითქოს ქართველები შავ ზღვასთან გაუცხოებულნი იყვნენ. ეს არ არის გასაკვირი, ვინაიდან შავ ზღვას მაშინდელი მოგზაურები ასე ახასიათებდნენ: შავი ნიშნავს საშინელს, სახიფათო, ულმობელი, ბერძნულად „პონტო ავქსინოსი“ – არასტუმართმოყ-

ვარე ზღვა. ადრე შავი ზღვა ტბა იყო. მოგვიანებით ადამიანთა ხელოვნური ჩარევით იგი დააკავშირეს მარმარილოს ზღვასთან – ხმელთაშუა ზღვასთან. შავი ზღვა კოსმოსიდან შავი ფერისაა, თითქმის სავსეა გოგირდით, შესაძლოა იყო შემთხვევები ადგილ-ადგილ მისი აალებისაც. ქართველები მას საიქიოს გოგირდის ტბასთან ადარებდნენ, სადაც გასამართლებულ ცოდვილ ადამიანთა სულები იყრებიან. ქართველებს ყოველთვის სამყაროს აღქმის უდიდესი კოსმოგონიური ცოდნა ჰქონდათ. ამას ადასტურებს ქართველთა მითოლოგია, ეთნოგრაფია და არქეოლოგიურ ძეგლებზე ასახული სხვადასხვა გამოსახულებები.

2020 წლის 26 ივლისს ტელევიზიის იმედის არხზე აჩვენეს გოდერძი შარაშიას და ლაშა ბერძენიშვილის საავტორო გადაცემა „საუკუნის ელფერი“, რომელიც ეხებოდა ქ. გორის ახლოს მდებარე კლდეში ნაკვეთ ადამიანთა პირველსაცხოვრის ციხე-ქალაქს „უფლისციხეს“. ამ გადაცემის მიხედვით ქართველთა ამ ისტორიული ძეგლის ავტორები თურმე არიან მეგრელები, რომლებმაც ჯერ კიდევ 3500 წლის წინ უფლისციხის კლდეში გამოკვეთეს მეგრელთა დედა „ნანა“-ს სალოცავი, რომელიც არის შუმერების ქალღმერთი „ინანა“. ამ სალოცავის იატაკზე გამოსახულია ხვლიკი „ჯოჯო“, რომელიც უკავშირდება მეგრელთა დედა „ნანას“ სახელს. „ჯოჯო“ ხვლიკი არის ე.წ. შუამავალი მეგრელთა „ნანა“-სა და მომლოცველ ადამიანებს შორის. ვფიქრობ აქედან წარმოიქმნა ქართული სიტყვა „ჯოჯოხეთი“, რაც სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით არის „ქვეყანა“. შუამდინარეთის მოსახლეობა ქალღმერთების გამოსახულებებთან ერთად ხშირად მორიელს გამოსახავდნენ და არა ხვლიკს.

მომლოცველი ქალები „ჯოჯოს“ შესთხოვდნენ სურვილების შესრულებას, ცოდვების პატიებას და იქვე დაუდებდნენ შაქრის ნატეხს. თუ მეორე დღეს შაქრის ნატეხი ადგილზე აღარ იყო, ეს იმას ნიშნავდა, რომ ჯოჯომ მათ აპატია ცოდვები და შეის-

მინა მათი თხოვნა. საინტერესოა 3500 წლის წინ თუ არსებობდა საერთოდ შაქრის ნატეხი?! ამ გადაცემაში აქტიურად მონაწილეობდა გიდი მედეა ბერიანიძე.

გადაცემაში ითქვა, რომ მეგრელები „ნანა“-ს უწოდებენ დედას. მეგრულ ენაში „დედა“ არის „დიდა“ და არა „ნანა“. შუმერებთან ქალღმერთი „ნანა“ არ არსებობს და არის „ინანა“, რომელიც დღისით წვეროსანი მეომარი მამაკაცია, ხოლო ღამით სიყვარულის ქალღმერთია. (ზ. კიკნაძე – შუამდნარული მითოლოგია 1984 წ. გვ.31-33, ინანა – იშთარი). შუმერთა ქალღმერთი „ინ-ან-ა“-ს სახელი ორი ქართული „ინ“ და „ან“ ასო – ნიშნისგან შედგება, რომელიც კაბალას ცოდნით და მსოფლიოს აღმოსავლეთ ნაწილში არის ორი – მდედრი და მამარი სანყისის გამოხატულება, რაც ადასტურებს „ინანა“-ს ზემოთ განხილულ ორბუნებოვნებას.

სემიტური მოდგმის აქადელებმა მთელი თავიანთი მითოლოგია შუმერებისგან აიღეს და ღმერთებს სახელები შეუცვალეს. აქადელთა „სინ“ – მთვარის ღმერთი არის შუმერთა „ნანა“ – მამრი ღვთაება. შუმერულ მითოლოგიაში ქალღმერთი „ინანა“ მთვარის ღმერთის „ნანა“-ს შვილად მოიხსენიება. (ს.ნ. კრამერი – ისტორია იწყება შუმერიდან, 1988წ. გვე 113 , 114). **შუმერთა „ნანა“ მამრი ღვთაებაა და არა მეგრელთა დედა „ნანა“.**

2020 წლის 28 ივლისს – ორი დღის შემდეგ განმეორებით ვნახე ეს გადაცემა და აღმოვაჩინე, რომ ამ სატელევიზიო სიუჟეტის დიდი ნაწილი ამოჭრილია.

რამდენიმე ათეული წელია ვმუშაობ ქართველთა სანყისი ფესვების შესწავლისა და წარმოჩენის საკითხზე. მეგრელ-ქალდეველები არიან სემიტური მოდგმის ეთიოპიელ არაბთა მომთაბარე ტომები, რომლებიც დედამიწაზე გაჩნდნენ სულ რაღაც 5700 წლის წინ. ქალდეველებმა ძვ.წ. I ათწლ. პირველ ნახევარში ზემო შუამდინარეთში დააარსეს ასურელთა ერთ-ერთი ქალაქ – სახელმწიფო „კალჰუ“ მათი სამყაროს სატანური ძალის „კალი“-ს მიმართ თაყვანისცემის ნიშნად. მოგვი-

ანებით ისინი გადმოვიდნენ საბერძნეთის ტერიტორიაზე. მეგრელები საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდნენ მხოლოდ XIII ს-დან. ამას ადასტურებს ქართველთა მეფის დავით აღმაშენებლის მიერ შედგენილი საქართველოს რუკა „ნიკოფსიტგან დარუბანდისა ზღუადმდე“ (1125წ.), სადაც არ არის ნახსენები სამეგრელო, ეგრისი, კოლხეთი, ფაზისი და ამასთან დაკავშირებული რაიმე მინიშნება. მხოლოდ ქუთაისთან არის „ჭყონდიდი“, რომელსაც სინამდვილეში „ჭყორდიდი“ ერქვა – ქართულ ენაში სიტყვა „წყორი“ დატბორილ ჭაობიან ადგილს ნიშნავს (ნახეთ: ნ.ხ. – კოლხეთი ისტორიული ასურეთია და არა საქართველო, 2020წ). **მეგრელები 3500 წლის წინ არ იყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე და არც უფლიციხე არ არის მათი კლდეში ნაკვეთი პირველსაცხოვრისი.**

ქართველები ჯერ კიდევ 8000 წლის წინ უკვე ვიყავით მაღალცივილიზებული ერი: ქვევრში ვწურავდით ყურძენს, ვამუშავებდით ლითონს, გვექონდა ქართული ასომთავრული და მხედრული ანბანები და როგორც უზენაესი ცის მამა ღმერთის სიმბოლოებს გამოვსახავდით საკულტო ადგილებზე, 8000 წლის წინ ქართველებმა დავინწყეთ „ქართულ ადამს აქათ“ ნელთალრიცხვა, 7600 წლის წინ დავინწყეთ დასაბამითგან-ის ნელთალრიცხვა, გვექონდა პირველ ადამიანთა კოსმოგონიური ცოდნა „კაბალა“ და ა.შ. (ეს საუბრის დიდი თემაა).

დღეს საქართველოში მცხოვრები მეგრელები თავს ქართველებად თვლიან, თუმცა მათ ქართულიდან მეგრულ ენაზე თარგმნეს „ბიბლია“ და „ვეფხისტყაოსანი“. მათი უმეტესი ნაწილი რომ ქართველებია, ამას ადასტურებს მათი გვარების ქართული წარმომავლობა.

ქართველები არიან შუმერთა წინაპარი არიული თეთრი რასის პირველსაწყისი გენის ხალხი, რომლებიც ყოველთვის დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.

სინას მრავალთავის წინასწარმეტყველებით „ბოლო ჟამს ღმერთმა ქვეყანა ქართულ ენაზე უნდა განიკითხოს“.

გრაკლიანის ასო-ნიშნები

ქ ა რ თ უ ლ ი ა

კასპის რაიონში, გრაკლიანის გორაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას ტაძრის საკურთველთან აღმოაჩინეს თიხაში გამოსახული ათი ასო-ნიშანი, რომლის ასაკიც ამერიკის, კერძოდ მაიამის ბეტა ლაბორატორიაში ძვ. წ. XI-X სს. დათარიღდა.

გრაკლიანის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელმა პროფ. ვახტანგ ლიჩელმა საზოგადოებას წარუდგინა აქ აღმოჩენილ წარწერაზე მეცნიერთა მიერ ამოკითხული ათი ასო-ნიშანი. მისი აზრით, დღემდე უცნობი წარწერა ყველაზე ადრეულია და საქართველოში დამწერლობის გამოყენების 3000 წლის ისტორიას ცხადყოფს.

გრაკლიანის ასო-ნიშანთა ამოცნობაში დამეხმარა პროფ. ელენე მაჭავარიანის წიგნი „მნიგნობრობად ქართული“ (1989წ.), სადაც წარმოდგენილია V ს-დან ქართულ წერილობით ძეგლებზე ასო-ნიშნების გამოსახულებათა დროში ცვალებადობა. ჩემი ყურადღება მიიქცია ქართული ასო-ნიშნების ყველაზე ადრეულმა გამოსახულებებმა და აღმოვაჩინე, რომ **გრაკლიანის ასო-ნიშნებიდან ცხრა ქართული მხედრული ასო-ნიშანია, ხოლო ერთი – ასომთავრული.** გრაკლიანის ასო-ნიშანთა გამოსახულებაზე სიტყვები არ იკითხება, მხოლოდ ათი ქართული ასო-ნიშანია გამოსახული, რომლებიც ამ სალოცავში ერთგვარ „ხატების“ ფუნქციას ასრულებდა.

გრაკლიანზე ადრეული ქართული ასო-ნიშნებია გარეჯის ერთ-ერთ კლდეზე ამოკვეთილ თევზზე გამოსახული ორი ქართული ასომთავრული ასო-ნიშანი (2 – 2,5 მლნ წელი). არმაზის ხევის მზის თაყვანისცემის სტელაზე (ძვ. წ. 800წ) ორი ქართული ასომთავრული ასო-ნიშანია გამოსახული. სოფ. დავათის ეკლესიაში აღმოჩენილ დავათის სტელაზე (ძვ.წ. 680წ.)

ამოკანრულია ქართული ასომთავრული 37 ასო-ნიშანი. უძველესი წარმართობის პერიოდში ქართველები ქართულ ასო-ნიშნებს ღმერთების ფუნქციას ანიჭებდნენ და მხოლოდ რელიგიურ საკულტო ადგილებში გამოსახავდნენ.



ბრაკლიანის ასო-ნიშნები (ძვ.წ. XI-X ს.ს.)

1	Ⴀ	Ⴁ	Ⴂ	შპლ.	8000	6	Ⴅ	Ⴆ	Ⴇ	შპლ.	10
2	Ⴃ	Ⴃ	Ⴃ	შპლ.	800	7	Ⴉ	Ⴊ	Ⴋ	შპლ.	20
3	Ⴄ	Ⴅ	Ⴆ	შპლ.	600	8	Ⴇ	Ⴈ	Ⴉ	ნსხ.	2000
4	Ⴊ	Ⴋ	Ⴌ	შპლ.	4000					Ⴈ	
		Ⴋ				9	Ⴊ	Ⴋ	Ⴌ	შპლ.	700
5	Ⴍ	Ⴎ	Ⴏ	ნსხ.	400						
		Ⴏ		შპლ.							

ბრაკლიანის ასო-ნიშნების კარაღელები ქართულ ფერილობით კვლევებზე (Vს-ღან)

ქართველები სიტყვა „უფალს“ არ წერდნენ და მის ნაცვლად „ო“ ასო-ნიშანს გამოსახავდნენ, რომელიც ქართულ ანბანში 16-ე ასო-ნიშანია, ხოლო ბიბლიური კაბალას ცოდნაში იგი „ბაბ-ელ-ონი-ს გოდოლის“ სახელითაა მოხსენიებული.

ქართველთა ასეთი დამოკიდებულება ანბანის მიმართ ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ქართველებმა

იცოდნენ, რომ ასომთავრული ასო-ნიშნები მამა ღმერთს თავზე გვირგვინის სახით ადგას, იგი ასევე არის ცხენზე მჯდომი კოსმიური მხედარი და მხერდრული ასო-ნიშნები შუბლზე აწერია. ბიბლიის მიხედვით კოსმიურ მხედარს, რომელიც არის „უფალთ – უფალი“, თავზე მრავალი გვირგვინი ადგას – ეს ქართული ასო-ნიშნებია. ქართული ასო-ნიშნების გამოყენება ტექსტებში ქართველებმა ქრისტიანობის შემდეგ, ახალი წელთაღრიცხვის პერიოდში დაიწყეს და XIX ს-მდე ციფრებს ქართული ასო-ნიშნებით გამოსახავდნენ.

შუმერები, რომელთა წინაპრები ქართველები არიან (ნ.ხ. – ქართველები შუმერთა წინაპრები, 2013 წ.), ქართველების მსგავსად წერდნენ თიხაზე და ღმერთებს ქართული ასო-ნიშნების გვერდით მიწერილი ციფრებით მოიხსენიებდნენ. ეს არ არის გასაკვირი, ვინაიდან მათ უზენაესი „ან“ ცის ღმერთი და „ენ“ წყლის ღმერთი ჰყავდათ.

მეცნიერთა გამოკვლევით, გრაკლიანის ასო-ნიშნებიდან შვიდი ფინიკიურ-არამეულია. განვიხილოთ ეს საკითხი ქართულ ანბანთან მიმართებაში. ქართული ანბანი კოსმიური ნიშნებია, ამას ადასტურებს ასო-ნიშანთა სახელდება: ან, ბან, გან და ა. შ. ქართული ანბანი გამოცხადებით მიღებული კოსმიური ნიშნებია და ადამიანის შექმნილი არ არის. დანარჩენი ყველა ანბანი ადამიანთა მიერ ყოფითი საქმიანობისთვისაა შექმნილი. ეს აისახება ფინიკიური ანბანის ასო-ნიშანთა სახელდებებში: ხარი, სახლი, აქლემი, კარი, გისოსი, ნამგალი, სასწორი, მესერი, გორგალი, ხელი, სახრე, წყალი, თევზი, პირი, თავი, ანკესი, კბილი და ა. შ. სულ 22 ასო-ნიშანია, რომელთა გამოსახულებები ხშირ შემთხვევაში მათი სახელდებების სქემატური გამოსახვაა ან ქართული ანბანიდანაა აღებული, ვინაიდან ფინიკია იგივე ქანაანია, სადაც მომთაბარე ებრაელთა ბელადი მოსე პირველად დასახლდა დაახლ. ძვ.წ. XIII ს-ში. იმ პერიოდისთვის ქანაანელი ხეტების ხალხს უკვე ჰქონდა ქართული ანბანი, სხვაგვარად ისინი თავის ქალაქ-სახელმწიფოს „ქა-

ნანს“ ვერ დაარქმევდნენ, რომელიც ქართული „ქან“ და „ან“ ასო-ნიშანთა სახელდებიდანაა შედგენილი. მაშასადამე, **ბრაკ-ლიანის ასო-ნიშნებს შორის არცერთი არ არის სემიტიურ-არამეული და ათივე ასო-ნიშანი ქართულია.**

ქართული გენის თვით სამყაროს შემოქმედი უზენაესი ღმერთია – ქართველებმა კაბალას „**ა-აფ-1**“ ასო-ნიშნის კოსმიურ ქმნილებას „**ქართველი ალაგი**“ უწოდეს და 8000 წლის წინ დაიწყეს წელთაღრიცხვა „ქართულ ადამს აქათ“ (ნ.ხ. – „ქართული ცივილიზაციის 8000 წელი – ქართული წელთაღრიცხვები“, 2018წ.). ქართული წელთაღრიცხვები: ქართულ ადამს აქათ 8000 წელი, ქართული დასაბამითგან (წარღვნიდან) და ქართული ქრონიკონით 7600 წელი, ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში აისახება. ეს კი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართველები 8000 წლის წინ მხოლოდ ყურძენს კი არ ვწურავდით და ღვინოს ვაყენებდით, არამედ ჯერ კიდევ მაშინ გვქონდა ქართული ანბანი, რომელიც გენეტიკურად მხოლოდ ქართველთა კუთვნილებაა და მასში სამივე ქართული წელთაღრიცხვა აისახება. მასში აისახება ასევე ქრისტიანული წელთაღრიცხვაც. ქართული ანბანი ქართველებს სისხლში დნმ-ის სპირალებში გვანერია. (ეს საუბრის სხვა თემაა). ქართული ენა თვით სამყაროს შემოქმედი ღმერთის და ბოლო ჟამის ენაა. ღმერთი ქართულ ენაზე აზროვნებს და განაგებს სამყაროს.

„იბერიის ცივილიზაციის“ სახელი უკავშირდება სამყაროს შემოქმედ მამა ღმერთს. ის მრავალსახაა – ქართველთა 64 ხვთისშვილის გაცხადებაა, რომლებიც არიან ბერები, ბედის ბედაურის მფლობელები და ნახევარღმერთები. მამა ღმერთი თეთრწვერა მოხუცია და ბერის სამოსი აცვია. ვინაიდან სამყაროს შემოქმედი თვითონ არის ბერი, ამიტომ მის მიერ შექმნილ ცივილიზაციასაც სახელი „იბერიის ცივილიზაცია“ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა დაარქვა. შეგახსენებთ, რომ სიტყვა „ბერი“ მხოლოდ ქართული ენის კუთვნილებაა.

მამა ღმერთი არის ერთარსი სამებისა, იგივე წარმართო-

ბის თეთრი გიორგი, რომელმაც შექმნა სამყარო. მას შეესაბამება ქართული ანბანის „ან“ ასო-ნიშანი და ციფრი „ერთი“. ეს კარგად აისახება თვით სიტყვაში „ღმერთი“ – „ღმ-ერთი“. შუმერების და ჩინელების სამყაროს შემოქმედი არის „ან“ ცის ღმერთი, რომელიც არის „ცათა შინა“. აი რას გვეუბნება შოთა რუსთაველი: „ჰე ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“.

სიტყვები „ქართ“ და „ქართველი“ წარმოსდგება სიტყვისგან „გულქართლი“ (წრფელი) ანუ გულმართალი. შუმერი უზენაეს ღმერთს მიმართავდა სიტყვით „წრფელო“. ბიბლია ნათლად წარმოაჩენს გულქართლ-გულმართალ კოსმიურ მხედარს. მოვიყვანოთ პატარა ამონარიდი „ახალი აღთქმის“ იოანეს გამოცხადებიდან: „ვიხილე ცა გახსნილი, და აი თეთრი ცხენი და ზედ მჯდომარე ინოდება ერთგულად და ჭეშმარიტად და სიმართლით ასამართლებს და იბრძვის. მისი თვალები ცეცხლის ალია, მის თავზე მრავალი გვირგვინი. ... მის სამოსელზე და მის თეძოზე აქვს დაწერილი სახელი: მეფეთ მეფე და უფალთუფალი“. (გამოცხ. 19. 11, 12, 16).

გრაკლიანის ტერიტორიის არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი არტეფაქტები წარმოაჩენს ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ადრეულ ქვის ხანაში – 8000 წლის წინ აქ მცხოვრებ ქართველთა უდიდეს ცივილიზაციას. აქ აღმოჩენილია 7-8 ათასი წლის თიხის ჭურჭლის მოზრდილი ნატეხები, რომელზედაც ექვსი მთლიანი ხაზით გამოსახულია ჰექსაგრამები. ჩინელებმა სამყაროს ცვალებადობის კოსმიური პროცესის ტრიგრამებით (სამი ხაზით) გამოსახვა დაახლოებით 5000 წლის წინ დაიწყეს, ხოლო ჰექსაგრამებით (ექვსი ხაზით) – გაცილებით გვიან. გრაკლიანში საკულტო ნაგებობის ნარჩენებზე აღმოჩენილ თიხაში გამოსახული 3000 წლის ქართული ასომთავრული და მხედრული ასო-ნიშნები ფასდაუდებელი ღირებულებისაა – ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ბიბლიურ ჭეშმარიტებას: გრაკლიანის წარწერაზე მხოლოდ ასო-ნიშნებია და სიტყვები

არ იკითხება; მათი გამოსახვა საკულტო დანიშნულების ადგილზე მიმანიშნებელია იმისა, რომ იმ პერიოდის ქართველები ქართულ ასო-ნიშნებს ღმერთებად აღიქვამდნენ და თაყვანს სცემდნენ; ქართულია ის ანბანი, რომლის შესახებაც ღმერთი ამბობს მე ანბანი ვარო; იგივეს ადასტურებს ბიბლიური კაბალაც, რომელიც არის პირველ ადამიანთა მეტაფიზიკური ცოდნა სამყაროს მოწყობის შესახებ და რაც მხოლოდ ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში აისახება.

გრაკლიანის არქეოლოგიური არტეფაქტების შესწავლა მთავალში ქართველთა 8000 წლოვანი ცივილიზაციის შესახებ მივიწყებულ არაერთ სიახლეს წარმოაჩენს.

კაბალას კოსმოგონიური ცოდნა თრიალეთის ოქროს და ვერცხლის თასებზე

გასული საუკუნის 40-50-იან წლებში საქართველოს თრიალეთში, ყორღანულ სამარხებში, აღმოაჩინეს (ძვ.წ. XVIII-XVIII ს.ს.) ოქროსა და ვერცხლის სარიტუალო თასები, რომლებიც ტომის ბელადს ეკუთვნოდა, რაც ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთა წინაპრების მაღალ კოსმოგონიურ ცნობიერებაზე მეტყველებს. მათი აღმოჩენა აკადემიკოს ბორის კუფტინის სახელს უკავშირდება, რომელიც 20 წელზე მეტ ხანს თრიალეთის კულტურას იკვლევდა. იგი საქართველოში თვით ივანე ჯავახიშვილს მოუწვევია.

სიმაღლით 108 მმ და დიამეტრით 99 მმ-ის მქონე მთლიანი ფურცლისგან დამზადებული თრიალეთის ვერცხლის თასი ორი იარუსად იყოფა. ზემოთა ნაწილში ცენტრალური ფიგურა ტახტზე მჯდომია, რომლის უკან სიცოცხლის ხეა განთავსებული, ტახტის ფეხებთან „X“ – დიაგონალური ჯვარია გამოსახული, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ტახტი ცეცხლის სტიქიის ღმერთს ეკუთვნის. თაყვანისცემის ნიშნად მისკენ მიემართება 22 მამაკაცი, სახესა და ტანზე მგლის-ძაღლის ნიღბითა და კუდით, ხელში უჭირავთ რაღაც ჭურჭელი, ფეხებზე აცვიათ ჭვინტიანი ფეხსაცმელები.

მგლის, ძაღლის, ლომის სახით ყველა ძველი ცივილიზაციის ხალხი მინის სტიქიას გამოსახავდა. ქართველთა მითების მიხედვით, კოპალამ ლომი მოიპოვა, რომელიც ქაჯთა ძაღლი ეგონა.

ტახტზე მჯდომისკენ მიმავალნი ქართველთა ხვთისშვილები, მითოლოგიის მიხედვით, არიან: ბერები, ნახევარღმერთები, მორიგის ნასახნი, ბედის ბედაურის მფლობელები, ანუ თითოეული დროის გარკვეულ მონაკვეთში ქართველთა უზენაესი

ღმერთის – „მორიგეს“ ადგილს იკავებს, ე.ი. განაგებს სამყაროს – იმ პერიოდის „ჭურჭელს“, ამიტომ ამ თასზე გამოსახულ ყველა ხვთისშვილს თავისი ჭურჭელი უჭირავს. ამავდროულად, ის ზეციური ნავია და თავისი სხეულით, ანუ თავისი სულის „ჭურჭელით“ უნდა გაიაროს ყოფიერების დროის მდინარეება. ამ აზრის სიმბოლური გამოხატულებაა ის, რომ თითოეულს ჭვინტიანი, ანუ ზეციური ნავის (არგოს ნავის) მსგავსი ფეხსაცმელი აცვია – ქართველთა ქალამნები. ასეთივე ფეხსაცმელები



თრიალეთის ვერცხლის თასი (მ.წ. XVIII – XVII სს.)

ეცვათ აღმოსავლეთის სახელმწიფოთა მეთაურებს და ახლაც აცვიათ ტიბეტში კაილასის – შამბალას სარიტუალო დღესასწაულზე. თრიალეთის ვერცხლის თასზე ასახულ კოსმიურ პროცესში მონაწილეობს 22 მამაკაცი, რაც, კაბალას ცოდნით, ნულოვან არკანს შეესაბამება, რომელშიც ჩატვირთულია და მოიცავს 21 არკანთა კოსმიურ ენერგიას. 21-ე არკანი კი, კაბალას მიხედვით, არის „გრაალის თასი“ და ქართული ანბანის კოდით შეესაბამება 21-**ტი-ტარ** ასო-ნიშანს. ვინაიდან კაბალას

ცოდნა გენეტიკური კოდით შეესაბამება ადამიანის სამყაროს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „გრაალის თასი“ თვითონ ადამიანია. კაბალას ცოდნაში 22-ე საიდუმლოს ქართული ანბანის კოდით შეესაბამება **22-შ-შ6** ასო-ნიშანი, კაბალას მიხედვით მისი სახელია „ნარღვნა“. ქართველებმა ჯერ კიდევ ძვ.წ. 5600 წელს იცოდნენ როდის მოხდა ნარღვნა და აქედან ანუ 7600 წლის წინ დაიწყეს ნელთალრიცხვის ათვლა „დასაბამითგან“ ანუ ნარღვნიდან. 22 არკანთან მთავრდება უფროს არკანთა ჯგუფი და იწყება უმცროს არკანთა ჯგუფი (ეს ცალკე საუბრის თამაა). თრიალეთის ვერცხლის თასი კაბალას კოსმოგონიური ცოდნის ასახვაა, რაც ქართული ფენომენია.

ვერცხლის თასის გარე გამოსახულებათა ქვედა ზონაში ერთმანეთის მიმდევრობით 9 ცხოველია გამოსახული – 5 ხარი-რემი და 4 ფურ-ირემი.

სარიტუალო ნივთებზე შემთხვევით არაფერს გამოსახავდნენ; ყველაფერი ერთიანობაში, სიმბოლიკის ენით, კოსმიური პროცესის რალაც საიდუმლო ინფორმაციას გადმოგვცემს.

ქართველთა მითოლოგიით, სულეთის ღმერთი თეთრწვერა მოხუცია, ხელში ოქროს კვერთხით, ზის ოქროს ტახტზე. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში სტრაბონს აღწერილი აქვს თეთრი გიორგობა კახეთში. სვანები მგლებს წმინდა გიორგის ძაღლებს ეძახიან. მიაჩნიათ, რომ წმინდა გიორგი მგლების მბრძანებელია. ქართველთა სწორედ ეს აზროვნებაა ასახული თრიალეთის ვერცხლის თასზე, რომელზედაც გამოსახულ ხვთისშვილებს სახეზე მგლის ნიღბები აქვთ, ხოლო ტანზე მგლის ტყავის ზედა სამოსი აცვიათ, რომელსაც კუდი აქვს შერჩენილი. ასეთ სამოსს ატარებდნენ სვანეთში და საქართველოს მთიანეთში მამაკაცები. მგელი, ძაღლი, ლომი, მიწის სტიქიის – დედამიწის ენერგეტიკული გააზრებაა. ქართველებს გვაქვს გამოთქმები: „ძაღლის ყბები გამოიმება“, „კაცი და ძაღლი ერთია“ (ქართულ აზროვნებაში დედაკაცი და მამაკაცი ორივე „კაცი“-ა), „ძაღლური ცხოვრება გვაქვს“, „ძაღლივით მშია“,

„მგელივით მშია“, „ო, რა ძალდი ხარ“, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანი თავის ყოფას, თავის თავს ხშირად ძალღს ადარებს და ამ ცხოველს თავის თავში, თავის სხეულში აღიქვამსდა. მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ დედის სხეულში ჩასახული ბავშვი ბევრი ცხოველის სახეს იღებს, ვიდრე ადამიანად ჩამოყალიბდება და გაჩნდება. ეს იმიტომ ხდება, რომ სამყაროში ყველა და ყველაფერი ერთი გენეტიკური კოდით – ქართული ანბანის კოდითაა შექმნილი, რომელშიც ბიბლიური კაბალას კოსმოგონიური ცოდნა აისახება.

ვერცხლის თასს ზედხედში თუ დავხედავთ, ზედა სართულის გამოსახულებები საათის ისრის საწინააღმდეგოდ მოძრაობენ, ხოლო ქვედა სართულის გამოსახულებები – საათის ისრის მიმართულებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი მიკრო თუ მაკრო სამყაროს და თვით დედამიწის გარე ენერგია მოძრაობს საათის ისრის საწინააღმდეგოდ, ხოლო შიდა ენერგია – საათის ისრის მიმართულებით, რაც ქმნის „ინ“ და „იან“ ენერგიათა ურთიერთსაპირისპირო მოძრაობას, მაშინ გასაგები ხდება, რომ თასზე ასეთი მიმართულებით განლაგებული გამოსახულებები შემთხვევითი არ არის, რაც რელიგიური რიტუალის დროს ქმნიდა განსაკუთრებულ კოსმიურ ენერგიას.

თრიალეთის ვერცხლის თასი არის სამყაროს მოდელის სიმბოლური გამოსახულება, „ღმერთის ბეჭედი“, „გრალის თასი“, „საწმისი“-თვით „ადამიანი“-ს კოსმიური ენერგეტიკული ასახვაა.

თრიალეთის ოქროს თასი (სიმაღლე 73 მმ, დიამეტრი 78 მმ) უნიკალური ტექნოლოგიითაა დამზადებული. იგი ბაჯაღლო ოქროს მთლიანი უნაკერო ფურცელია და დაკეცილია ისე, რომ ძირიდან იწყება და ძირშივე მთავრდება. მაშასადამე, **თასის კედელი ორმაგი ოქროს ფურცელია და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ორი თასია ერთმანეთში ჩადგმული, რაც დღევანდელი ტექნიკის პირობებშიც კი განუხორციელებელია. ამ სიმბოლიკით წინაპრე-**

ბი გვანვდიან ინფორმაციას, რომ „სამყარო“-„ჭურჭელი“ ორმაგი ჭურჭლისგან შედგება: სული და მატერია, „ინ“ და „იან“-ი, რომელიც არის ადამიანის „მე“-ს და მეორე „მე“-ს „ჭურჭლები“. „სული“ „მატერიით“ ნათელგამოვლინდება, ანუ ხორცშესხმული სული ორმაგი ჭურჭელია, უნაკერო და ერთიანია.

ოქროს თასი მოჭედულია ძვირფასი თვლებით, რომლებიც გრეხილ ოქროშია ჩასმული. მეტად საინტერესოა თასზე თვლების განლაგება. ზედა წრეში 30 თვალია ჩასმული. კაბალას



თრიალეთის ოქროს თასი (ძვ.წ. XVIII – XVII სს.)

მიხედვით, ციფრით „30“ გამოისახება შუმერთა „სინ“-ქრისტე, რომელიც არის 30-ე დღის ღმერთი და მისი სახელია „30“, რაც ქართული ანბანის კოდით, 12-ლ-ლას-30 ასო-ნიშნის კოსმიურობაა და კაბალას ცოდნით, მისი სახელია „ჩამოხრჩობილი“.

კაბალას ცოდნაში 24-ე არკანი ეკუთვნის „მატერიალურ სამყაროს“ – უმცროს არკანთა ჯგუფს. ქართული ანბანის

მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თვით შუმერების ქალღმერთ ინანას ქვესკნელის სამეფოში შვიდი კარის გავლის შემდეგ (ერთ-ერთი კარი არის „ნარღვნა“) გონდაკარგულს კავზე გადაჰკიდებენ, ანუ ჯვარზე გააკრავენ, რაც ემთხვევა ქართული ანბანის **24-ქ-ქან-600** ასო-ნიშნის შესაბამის კოსმიურ პერიოდს, ამავდროულად, ასომთავრული 24-ე ასო-ნიშანი ჯვრის სიმბოლოთი გამოისახება, რაც იგივე „კავი“ – ჯვარია.

თრიალეთის ოქროს თასის ქვედა წრეზე განთავსებული 24 თვალიდან ამოდის 5 ორმაგი სპირალი, თითოეულში 12 თვალთ. შეგახსენებთ, რომ სამყაროში 12 ზოდიაქო ქმნის „დროის ბორბალს“, „დროის სპირალს“ – „მანდალას“, რომლითაც ხდება ერთი განზომილებიდან მეორეში გასვლა-გარდასახვა. ხუთი სპირალი თითოეულში 12 თვალთ უკავშირდება სამყაროს ოთხ საწყისს (მინა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი). აღმოსავლეთში „ჰაერის“ სტიქია იყოფა ორად – „ხე“ და „ლითონი“, რაც ჯამში ხუთი ელემენტით გამოსახულ ოთხ სტიქიას მოიაზრებს.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ოქროს თასის ძირი, საყრდენი – ფუძე, რომელზედაც გამოსახულია სწორი და ბოლნური ჯვრები, როგორც სამყაროს სიმბოლური გამოსახულება. სამყარო ჯვრის პრინციპით არის განსხვავებული; მის ოთხივე დანაყოფში განთავსებულია ოთხი სამკუთხედი, რომლებიც ერთი წვეროთი უკავშირდებიან ჯვრის ცენტრში მდებარე წრეს და ქმნიან „ბოლნურ“ ჯვარს. სამყაროს თითოეული უჯრედი განსხვავდება 4 საწყისით წარმოქმნილი 64 სამწიქლოთ (ტრიპლეტით), რაც აისახება ჩინური კაბალას 64 ჰექსაგრამაში და ქართველთა 64 ხვთისშვილში, რომლებიც სამყაროს ძირითადი შემოქმედნი, მარადიულნი და უკვდავნი არიან, ყველა არის ერთის-გიორგი ნაღვარმშვენიერის ანუ თეთრი გიორგის 64 სახე – გამოვლინება. სწორედ ამ კოსმიურ პროცესს გამოსახავდნენ ჩვენი წინაპრები დაშიფრული კოდირებული ინფორმაციის – ბოლნური ჯვრის სახით თრიალეთის ოქროს თასზე.

ქართველთა წინაპრები რელიგიური რიტუალის დროს თრიალეთის ოქროს თასით სამყაროს უზენაესი ღმერთის – ცეცხლის სტიქიის, „ოქროს სანმისის“ ენერგიას ქმნიდნენ.

ოქროს თასი, რომ ერთიანი უნაკერო ფურცლისგანაა დამზადებული, მიგვანიშნებს იმაზე, რომ მომავალში აღარ იქნება სიკვდილი, ადამიანის სული და სხეული ერთად ამალდება. ქრისტე სხეულით ამალდა სულთან ერთად, იგი არის „სიკვდილითა სიკვდილისა დამრთგუნველი“, რაც ნიშნავს იმას, რომ **ადამიანის სხეული თავის სულს სამარადჟამოდ მხოლოდ ადამის ცივილიზაციის გავლით უნდა შეუერთდეს. „ინ“ და „იან“ – ორი პირველსაწყისის შეერთება არის ადამის ცივილიზაციის მიზანი.**

გიაბობთ ერთი შემთხვევის შესახებ, რომელმაც დამარწმუნა, რომ ადამიანის სხეული არის თასი-ჭურჭელი თავისი სულისა. დაახლოებით 25 წლის წინ ჩემთან სტუმრად მოვიდა სამი ახალგაზრდა. ვსაუბრობდით სხვადასხვა საკითხზე. უცებ, საუბრის დროს შემაჩერეს და მთხოვეს აღმეწერა სიტყვიერად, თუ რას ვგრძნობდი. დაუფკვირდი ჩემს შეგრძნებას, ვეცადე გამეზიარებინა მათთვის განცდილი: ვგრძნობდი, თავზე მედგა ძაბრისმაგვარი დიდი მბრუნავი კონუსი, ძაბრის ბოლო შემოსული იყო ჩემს ტვინში და მასში სპირალურად მოძრაობდა რაღაც სითხე თუ ენერგია, რომლის შეგრძნება შხაპის – მორბენალი წყლის წვეთების – წყვეტილი ენერგიის მსგავსი იყო. ამავე დროს, ნათლად ვგრძნობდი, როგორ ივსებოდა ჩემი სხეული ზედა კონუსის ქვედა წვეროდან შემოსული სითხით, რომელიც უკვე ჩემს სხეულში ქმნიდა ქვედა კონუსს, წვეროთი ზემოთ. შევსების სიბრტყის ზედა და ქვედა ნაწილებში მოქცეულ ჩემი სხეულის მონაკვეთებს შორის ისეთი განსხვავება იყო, როგორც დღე და ღამე; ეს იყო ცარიელი და სავსე ჭურჭლის შეგრძნება. ნათლად ვგრძნობდი, რომ ჩემი სხეული როგორც ჭურჭელი, ივსებოდა „ენერგეტიკული სითხით“ ზემოდან ქვემოთ. ეს სითხე არ ავსებდა ჩემს კიდურებს, რაც ძალიან მნიშ-

ვნელოვანია. ამ სისავსის შეგრძნება დღესაც მაქვს. ბოლოს ახალგაზრდებს ვკითხე, თუ რას ხედავდნენ ისინი ჩემს თავზე. მათ აღმინერეს, თუ როგორ შემოდიოდა ჩემში მამაკაცის „სილუეტი“ ხელში გადაშლილი ნიგნით.

ჩემი სხეულის, როგორც სამყაროს, „ენერგეტიკული სითხით“ ზემოდან ქვემოთ შევსება ნათლად წარმოაჩინეს ბიბლიურ კაბალაში ასახულ ცოდნას სამყაროს მეტაფიზიკური მონყობის შესახებ: აქეთა სამყარო, იქეთა სამყაროსთან მიმართებაში, ორმაგად გადაბრუნებულ სარკის პრინციპზეა მონყობილი.

ადამიანის სული ინფორმაციული ჭურჭელია, ხოლო ადამის ცივილიზაციაში მისი გამოვლენა არის თვით ადამიანის სხეული, რომელიც არის სულის ოთხი სანყისით (მინა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) ნათელგამოვლენა, ანუ იმ მატერიაში განსხეულება, რომლის თვალთ დაწახვაც ადამის ცივილიზაციაშია შესაძლებელი.

მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიით, თასი (ჭურჭელი) არის სამყაროს სივრცითი მიკრო მოდელი, რომელშიც ხორციელდება ხვთაებრივი სუბსტანციის გარდმოვლენა. ამ საკრალური ჭურჭლის მფლობელი თავადაც უკავშირდება ზეციურ ძალებს და იძენს მათ მადლმოსილებას. ამ საკითხთანაა დაკავშირებული „ოქროს სანძისის“ და „გრაალის“ თასის არსი. სწორედ მათი მიკრომოდელია თრიალეთის ოქოს და ვერცხლის თასები.

ძველი ხალხები ნადირობის ქალღმერთს გამოსახავდნენ ქვევრში – ჭურჭელში ლომზე მდგომს, ხელებანეულს. თავზე მასაც ისეთივე ქუდი ახურავს, ანუ სარქველი აქვს, როგორიც თვითონ ქვევრს – ჭურჭელს. ქართული კაბის ჩიხტიკოპიც ამ აზროვნების სიმბოლური გამოსახვაა.

ახ.წ. 2000 წელს, ქართული ანბანის გენეტიკური კოდით, დადგა „ X-ჯ-ჯან-8000“ ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდი – ცეცხლის სტიქიის ათასწლეული. ჯ-ჯან-8000 ასო-ნიშნის შესაბამისი არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესის კოსმიურ სურათს, ერთი შეხედვით, მაღალი მთის და წმინდა გიორგის

ხატის სახე აქვს, სახით მარცხნივ. შუბლზე ანერია მხედრული „ჯ“ ასო-ნიშანი, ხოლო თავზე ჰორიზონტალურად ადგას ასომთავრული „X“ (ჯ) ასო-ნიშანი – დიაგონალური ჯვარი. იგი ენერგეტიკულია, მბრუნავია, ამის გამო ბოლოები ნანვეტებულია და სვასტიკის სახე აქვს. სვასტიკა კოსმიურ მთას ჰორიზონტალურ მდგომარეობაში თავზე ადგას, სადაც არის ღმერთთა სამყოფელი – კოსმიური სამხრეთი.

ადამიანი ყველაზე ძვირფასს, თავის საკუთარ „მე“-ს – „ჯან“-ს აღიქვამდა როგორც სანმისს, თავისი სულის ტაძარს და იმ დროისათვის ყველაზე ძვირფასსა და მბრუნავს, ოქროს და ვერცხლს ადარებდა. ქართველი ადამიანის აზროვნებაში ასო-ნიშან „ჯ“-სთან დაკავშირებულია სიტყვები „ჯან“-ი, ჯან-გატეხილი, ჯან-მაგარი, ჯან-მრთელი და სხვა. ე.ი. ადამიანი ჯ-ჯან ასო-ნიშნის შესაბამის არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესის კოსმიურ სურათს ქვეცნობიერად უკავშირებდა საკუთარ „მე“-ს, სხეულს, თავისი სულის ტაძარს.

ქართული ანბანის თითოეული ასო-ნიშნის შესაბამისი არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესის კოსმიური სურათი არის „ღმერთის ბეჭედი“, სადაც ასახულია ცისა და მიწის და რაც არის მათ შორის – ხილულის და უხილავის ერთიანი კოსმიური პროცესი. ყოველივე ეს საფუძვლად უდევს მსოფლიოს უძველესი ხალხების მითოლოგიას, რომელიც არის ინფორმა-



ქალღმერთი ანათუ

ცია სამყაროს მოწყობის და მასში მიმდინარე კოსმიური პროცესის შესახებ. ეს არის ჯერ კიდევ პირველ ადამიანთა კოსმიური ცოდნა, რომელთაც გახსნილი ჰქონდათ ე.წ. მესამე – „გონითი თვალი“, აღიქვამდნენ და ხედავდნენ სამყაროს სხვადასხვა განზომილებაში. **მათ ეს საიდუმლო მომავალ თაობებს კოდირებული ცოდნის სახით დაუტოვეს, რომორც ცნობიარების შუქურა, რათა ადამიანმა შეიმეცნოს თავისი თავი და გარე სამყარო, დაუბრუნდეს პირველსაწყისს.**

თრიალეთის ოქროს და ვერცხლის თასები სიმბოლური ასახვაა „გრაალის თასის“, „ოქროს სანმისის“, „ნოეს კიდობანის“. ამ საკითხების საუდუმლო ცოდნა გადმოცემულია ბიბლიურ კაბალაში, რომელიც ქართული ფენომენია და მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. ქართული ანბანი კი მხოლოდ ქართველთა კუთვნილებაა. კაბალა არის პირველ ადამიანთა მეტაფიზიკური კოდირებული საიდუმლო ცოდნა ადამიანის სამყაროს – „უფლის შესაქმის გვირგვინის“ შესახებ, სადაც ნათლად ჩანს, რომ „ოქროს სანმისი“, „გრაალის თასი“, „ნოეს კიდობანი“, თვით ადამიანია.

თრიალეთის ოქროს და ვერცხლის სარიტუალო თასები, მათზე ასახული გამოსახულებები სიმბოლიკის ენით წარმოაჩენენ ქართველთა შორეული წინაპრების ღრმა პირველსაწყის ბიბლიური კაბალას კოსმოგონიურ ცოდნას მრავალგანზომილებიანი სამყაროს მეტაფიზიკური მოწყობის და მასში მიმდინარე კოსმიური პროცესების შესახებ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო და კავკასია ბიბლიური კაბალას ცოდნის სამშობლოა.

რუსთაველის ხელნაწერიდან დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ (15 მაისი რუსთაველის დღეა)

2016 წელი იუნესკომ გამოაცხადა შოთა რუსთაველის 850 წლის საიუბილეო წლად. ეს ქართველი ერისთვის დიდად სასიხარულო მოვლენა იყო. ამ საკითხს მიეძღვნა სატელევიზიო გადაცემები, საზეიმო ღონისძიებები. 2016 წელს რუსთაველის 850 წლისთავს მიეუძღვნა ჩემი წიგნი „ვეფხისტყაოსანი და მეტაფიზიკა“, რომელიც წარვადგინე რამდენიმე რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციაზე, გამოვაქვეყნე საპრეზენტაციო წერილები ჟურნალ-გაზეთებში. ტელეკომპანია ობიექტივის არხზე მოხდა ამ წიგნის პრეზენტაცია. ამ წიგნით დაიწყო ახალი მეტაფიზიკური თვალთახედვით ვეფხისტყაოსნის შესწავლა.

სულ ცოტა ხანში ყველაფერი მიჩუმდა და რუსთაველის 850 წლისთავის შესახებ თითქმის 2016 წლის ბოლომდე აღარ იყო ამ საიუბილეო თარიღის ხსენება. დიდად გაკვირვებულნი და გულდანწყვეტილი ვიყავი.

ერთ დღესაც გადავწყვიტე კულტურის სამინისტროში შემეტანა მოთხოვნა რუსთაველის ყოველწლიური აღსანიშნავი დღის დაწესების შესახებ. მივიღე მტკიცე სიტყვიერი უარი,



შოთა რუსთაველი
(XII ს. უცნობი მხატვარი)

სადაც განმიცხადეს, რომ რუსთაველი საერთოდ არ არსებობდა, გამოგონილი პიროვნებაა და ვეფხისტყაოსანი საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა პიროვნებების მიერ შეთხზული პოემააო. ეს აზრი გამოთქვეს კულტურის სამინისტროში, ელიტარულმა სამეცნიერო საზოგადოებამ, ხელნაერთა კვლევის ცენტრის თანამშრომლებმა, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარემ. თურმე ამის გამო იუნესკოს გადაწყვეტილება რუსთაველის 850 წლისთავთან დაკავშირებით 2016 წლის საიუბილეო წლად გამოცხადების შესახებ საქართველოში არ გაიზიარეს და საქართველოს სახელით არავითარი რეაგირება არ მოახდინეს.

მე მათ აზრს რუსთაველის და ვეფხისტყაოსნის შესახებ არ დავეთანხმე და ამ საკითხთან დაკავშირებით დავინყე დოკუმენტური მასალის შეგროვება. პირველ რიგში გავეცანი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მიერ რუსთაველის საიუბილეოდ 850 წლისთავთან დაკავშირებით შექმნილ 1712 წელს მეფე ვახტანგ VI-ის მიერ პირველნაბეჭდი ვეფხისტყაოსნის ელექტრონულ ვერსიას.

რუსთაველი რომ ნამდვილად თამარ მეფის დროს მოღვაწეობდა, ეს დასტურდება მეფე ვახტანგ VI-ის ვრცელ კომენტარებში, რომელიც დართული აქვს 1712 წლის პირველნაბეჭდ ვეფხისტყაოსანს: „რუსთაველის დროს ქალი ბატონობდა“, „მაშინდელი და ახლანდელი დრო შორის-შორს არის“, „... რუსთაველი შემძლე და კაი კაცი ყოფილა“.

რუსთაველის ვეფხისტყაოსნიდან სიტყვები „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“, XVIII ს-ის დასაწყისში აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა, ამიტომ ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილმა საგანგებო კომისიამ გადაამოწმა ეს ინფორმაცია. აი რას წერს ვახტანგ VI თავის კომენტარებში: „ეს ამბავი სპარსში არ არის და სპარსთ კარგი მელექსობა იცოდნენ და თამარ მეფე კარგი ძალიანი ხელმწიფე რომ იყო ვითომ ეს მასზედ მინდომა, ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო, რომ ქართლშიაც არ იყო-

სო და უბრძანა მის მდივანს რუსთაველს ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო. ეს იმას ამბობს, სპარსულის მიბაძვით რადგან ათქმევინა თამარ მეფემ რომ სპარსთაგან ვთარგმნეო. თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოვება. ამბავიც თვითონ გააკეთა და ლექსადაც იმისთვის უბნობს, რომ სპარსულის ლექსის ბაძვედ რომ სთქვა სპარსული ამბავი ქართულად ვთარგმნეო“.

ვახტანგ VI-ის რამდენიმე კომენტარი, რომელიც ასაბუთებს, რომ ვეფხისტყაოსანი თამარ მეფის დროს რუსთაველის მიერაა დაწერილი: „რუსთველს ...აქ შესავალში მეფის თამარის ქება მოუყვანია“. „თამარ ქალი იყო და მეფედ იჯდა“; „...ამ ქალს მეფეს მზეს თამარს ღანვ ბადანშ თმა გიშერს ხმარება რომ უხდებისო“; „თამარს ვაქებდეთ მეფესა“; რუსთაველი „ამას უბნობს თამარ მეფემ მიბრძანა იმ გმირების საკადრო ტკბილი ლექსები თქვიო“. რუსთაველი „...უბნობს მე რუსთველმან გავლექსე. აქამდის ამბავი იყო. ან მაგალიტად წყობილად გავხადეო“.



ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანში დართული მისი კომენტარები ადასტურებს და სადაო არ არის, რომ ვეფხისტყაოსანი ნამდვილად შოთა რუსთაველის მიერ თამარ მეფის დროსაა დაწერილი.

რუსთაველმა ვეფხისტყაოსანი 16 მარცვლიანი სტროფებით დაწერა. ეს არ არის შემთხვევითი, ვინაიდან იგი სამყაროს მეტაფიზიკური ცოდნის უბადლო მფლობელია. ქართველები

უძველეს ხელნაწერებში სიტყვა „უფალი“-ს ნაცვლად „ო“ ასო-ნიშანს წერდნენ, რაც ქართული ანბანის მე-16 ასო-ნიშანია. 16 მარცვლიანი სტროფებით რუსთაველმა ვეფხისტყაოსანი უფლის ენერგიით შეამკო.

ვახტანგ VI ვეფხისტყაოსნის კომენტარებში ადასტურებს, რომ როგორც რუსთაველის ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი, ისე ინფორმაცია თამარ მეფის და შოთა რუსთაველის მოღვაწეობის პერიოდის შესახებ, სამეფო კარზე კარგად იყო შემონახული და თაობიდან თაობას ლეგენდად გადაეცემოდა.

დღეისათვის ძველისძველი ხელნაწერები ვეფხისტყაოსნისა სამწუხაროდ, არ შენახულა. თარიღიანთაგან უძველესი ხელნაწერი 1646 წელს ეკუთვნის. ისტორიკოს პლატონ იოსელიანის სიტყვით ორი მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერი თავისი სიძველის მხრით, ერთი მე-15 საუკუნისა ქალაღზე, ხოლო მეორე კი იმაზე უძველესი შესრულებული ეტრატზე, თუმცა უთარილო და ნაკლული, მაგრამ ამ ხელნაწერების კვალი ამჟამად აღარსად ჩანს.

1712 წელს პირველნაბეჭდი ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი 1587 სტროფს შეიცავს, რომელიც მოიცავს 57 თავს, მაშინ, როდესაც ჩვენამდე მოღწეული მე-17 საუკუნის ხელნაწერები, რომლებიც პირველ ბეჭდურ გამოცემას უსწრებენ, გაცილებით მეტია თავისი მოცულობით.

საკითხი ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის დედანის რაობის შესახებ დაისვა ჯერ კიდევ 1841 წელს. ამ საკითხზე არაერთმა მკვლევარმა გამოთქვა თავისი აზრი.

ქართველი მწერალი და მეცნიერი დ. კარიჭაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით ამბობს: „არსაიდანა ჩანს და არ არის წარმოსადგენი, რომ ვახტანგ მეფეს თავის გამოცემაში რამე შესწორება შეეტანოს ან რამე შეეცვალოს – გამოეკლოს ან მიემატებინოს. ამ გამოცემის სხვა ხელნაწერებთან შედარება გვარწმუნებს, რომ მასში შესწორებული არაფერია, არ არის არც დამატებული. რაც შეეხება დაკლებას, არც ეგ არის

ჭკუაზე მოსასვლელი. თუ რაიმე აკლია ვახტანგის გამოცემას მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერთან შედარებით, ეს იმის ბრალია, რომ ეს მეტი არ იყო ვახტანგის დედანში და მისი აზრით არც შეადგენდა მის ნაწილს“.

პ. ინგოროყვა კიდევ უფრო დაჟინებით ამბობდა: „ყოველმხრივი შესწავლა ვახტანგისეული დედნისა ჩვენ გვიჩვენებს, რომ ვახტანგს უცვლელად დაუბეჭდავს ერთ-ერთი ძველი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა, აქ არ არის ხელოვნურად შემუშავებული დედანი, არამედ ისეთივე ტრადიციული ტექსტია, როგორც დანარჩენი ხელნაწერებიაო“.

თუ რას წარმოადგენდა 1712 წელს დაბეჭდილი ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის დედანი, ამ კითხვაზე პასუხს ვიპოვით თვით ამ ვეფხისტყაოსნის ბოლოს დართულ ვახტანგ VI-ის კომენტარებში, რომელსაც ეთმობა გამოცემის 66 გვერდი. ვახტანგისეული კომენტარები ასე იწყება: „**ან დავიგაჟდა სტამბა-ში პირველ ნაწარისა**“; „**რაც რუსთაველისა იმის გარდა არა მითქვამს რა**“; „**ან ასე ვითარგმნა ვითა მას მთქმელსა ეთქუა**“ (სიტყვა „თარგმნა“ სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით განიმარტება: „თარგმანება სიტყვის გაცხადების თქმა“ და არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს უცხოენიდან თარგმნას). **ვახტანგისეული ეს კომენტარები ადასტურებს, რომ მის მიერ 1712 წელს დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის დედანი თვით შოთა რუსთაველის ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი იყო და მას ამ ტექსტის არცერთი სიტყვა არ შეუცვლია, ამოულია ან დაუმატებია.**

1712 წელს პირველნაბეჭდი ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი ჩვენამდე ძალიან ცოტაა მოღწეული. ამის შესახებ აკად. აკაკი შანიძე წერს: „მე ვიცნობ სულ 18 ცალს რომელთაგანაც 16 ცალი თბილისში მოიპოვება, ორი კი პეტერბურგში. ამათგან 11 ცალი დაწესებულებებს ეკუთვნით, 7 კი – კერძო პირს“.

რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით ბ-ნ აკაკი შანიძის მიერ 1937 წელს ვახტანგისეული 1712 წლის პირველნაბეჭდი ვეფხისტყაოსანი განმეორებით პირველად

დაიბეჭდა, ხოლო მეორედ დაიბეჭდა 1975 წელს რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ვახტანგისეული 1712 წელს პირველნაბეჭდი ვეფხისტყაოსნის შესახებ ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის გარდა მოვიპოვე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საალაპო ჩანაწერები. აკად. ელენე მეტრეველის ნაშრომების მიხედვით, სადაც ის ამტკიცებს, რომ შოთა რუსთაველი იგივე შოთა მეჭურჭლეთუხუცესია და იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ყოველწლიური მოსახსენიებელი დღე იყო „სულიწმიდის გარდამოსვლის ორშაბათი“. მოვიპოვე XII-XIII სს-ში შესრულებული რუსთაველის ახალგაზრდობის პორტრეტი, რომელიც დართული ჰქონია მეფე ერეკლეს შვილის – თეკლა ბატონიშვილის ხელნაწერ ვეფხისტყაოსანს. ასე მოვიდა ჩვენამდე ეს პორტრეტი. თუ შევადარებთ ერთმანეთს რუსთაველის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ასაკოვან და ახალგაზრდობის პერიოდის პორტრეტებს, ადვილად დავასკვნით, რომ ორივე სურათზე ერთი და იგივე პიროვნებაა გამოსახული.

ჩემს მიერ შოთა რუსთაველის და ვეფხისტყაოსნის შესახებ მოძიებული დოკუმენტური მასალა წარვადგინე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, რის საფუძველზეც 2017 წლის 1 თებერვალს გაიმართა საგანგებო სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის, თსუ-ს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, საქართველოს მწერალთა კავშირის, საქართველოს ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის, საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის

სახელმწიფო მუზეუმის მიერ წარმოდგენილი პირები. მსჯელობა გაიმართა რუსთაველის დღის დაწესების თაობაზე. ხაზი გაესვა რუსთაველის დღის დაწესების მნიშვნელობას, როგორც ქვეყნის, ისე საზოგადოების ცხოვრებაში, ახალგაზრდა თაობის ღირსეულ მოქალაქეებად ფორმირებაში. საპატრიარქოს წარმომადგენელმა სხდომის მონაწილეებს გააცნო საქართველოს პატრიარქის ილია II-ის რჩევა: „ვინაიდან 14 მაისი არის თამარ მეფის დღე, რუსთაველის დღედ დაწესდეს 15 მაისი“. მსჯელობის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რუსთაველის დღედ 15 მაისის დაწესების თაობაზე.

2017 წლის 2 თებერვლის მთავრობის სხდომაზე (ოქმი №3) საქართველოს მთავრობის მიერ მონონებულ იქნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ინფორმაცია შოთა რუსთაველის დღედ 15 მაისის დაწესების თაობაზე.

შოთა რუსთაველის ყოველწლიურად აღსანიშნავ დღედ 15 მაისის დაწესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში რუსთაველის ფრესკის აღმომჩენის აკად. ირაკლი ანბაშიძის ვაჟმა ბ-ნ ზურაბ აბაშიძემ, კულტურის მინისტრის მოადგილემ ქ-ნ მანანა ბერიკაშვილმა და 2017 წლისთვის საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბ-ნ გიორგი კრვირიკაშვილმა, რომელმაც სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ „რუსთაველის 850 წლისთავთან დაკავშირებით უნდა დაწესდეს ყოველწლიურად აღსანიშნავი რუსთაველის დღე“, რამაც გადაწყვიტა ამ საკითხის ბედი. უდიდეს მადლობას ვუხდით ბ-ნ ზურაბ აბაშიძეს, ბ-ნ გიორგი კვირიკაშვილს და კულტურის მინისტრის მოადგილეს ქ-ნ მანანა ბერიკაშვილს რუსთაველის ყოველწლიურად აღსანიშნავი დღის დაწესების საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

საქართველოს განათლების, მეცნიერების და სპორტის სამინისტრო ყოველწლიურად აღნიშნავს რუსთაველის დღეს პროექტის „მრავალფეროვანი საქართველო“-ს ფარგლებში, რომელშიც გაერთიანებული არიან: სრულიად საქართველოს

რუსთაველის საზოგადოების, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, სამინისტროს დაქვემდებარებული ინსტიტუტების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები, ასევე საზოგადოებისთვის ცნობილი რუსთაველოლოგები, ხელოვანები. რუსთაველის დღე აღინიშნა: 2017 წლის 15 მაისი – ქ. ახალციხე და 26 მაისი – ქ. თბილისი, 2018 წლის 15 მაისი – ქ. მარნეული, 2019 წლის 15 მაისი – ქ. ბოლნისი. სამინისტროს მიერ რუსთაველის დღის აღნიშვნა დაგეგმილია მომავალშიც.

1960 წლის 6 ნოემბერს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართული სავანის სიძველეთა შემსწავლელმა სამეცნიერო ექსპედიციამ აკადემიკოსების ირაკლი აბაშიძის, აკაკი შანიძის და გიორგი წერეთლის შემადგენლობით ძველი ქართული წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე მდიდრულ საერო ტანსაცმლით შემოსილ მსცოვან შოთა რუსთაველის ფრესკულ გამოსახულებას მიაგნო. ეს იყო მე-20-ე საუკუნის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ექსპედიცია იერუსალიმის წმინდა მიწაზე.

იერუსალიმში რუსთაველის ფრესკის აღმოჩენიდან გავიდა 60 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით 2020 წლის 15 ნოემბერს იზრავლში საქართველოს ელჩის ლაშა ჟვანიას უდიდესი დახმარებით იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველს გადაუხადეს მოსახსენიებელი პანაშვიდი.

მკითხველი კარგად იცნობს ჩემს მეტაფიზიკურ თვისებებს. თითქმის 25 წელზე მეტია მაქვს კონტაქტი გარდაცვლილ ადამიანებთან. ისინი თვითონ მოდიან ჩემთან, როცა დგება ჟამი ამის აუცილებლობისა. ასეთი კონტაქტები ძირითადად ენერგეტიკულ-ინფორმაციულია, ზოგიერთ შემთხვევაში ვიზუალურიც – ზოგჯერ მათ ჩრდილის სახით ვხედავ, ზოგჯერ ცხადად, ხოლო საუბარი მიდის აზრებით მხოლოდ ქართულ ენაზე.

ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო შოთა რუსთაველის

გამოცხადება 2016 წლის 1 მარტს ღამის 12 სთ-ზე – ჩემს სახლში მოიყვანეს შოთა რუსთაველი. მე მას სილუეტის სახით ვხედავდი. მივიწვიე კაბინეტში. პირველი, რაც მითხრა იყო ის, რომ **მთხოვა სანთელი აჩენთო**. ამ დროისთვის წიგნი „ვეფხისტყაოსანი და მეტაფიზიკა“, რომელიც მივუძღვენი რუსთაველის 850 წლის იუბილეს, იყო დასრულებული და გამოსაცემად ვამზადებდი. სწორედ ამიტომ ისურვა რუსთაველმა ჩემთან შეხვედრა. მომიწონა ნაშრომი. ამ საკითხზე ღმერთის ნებითა და დავალებით მუშაობ, თქვენი ყველა მიგნება ტექსტის მიმართ სწორად მიმაჩნიაო. ვაჩვენე ჩემი გამოქვეყნებული წიგნები. მითხრა, მე ყველაფერი ვიცი, თქვენს მუშაობას თვალყურს ვადევნებო. ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ. იყალთოს აკადემიაში მიიღო განათლება, მეფის კარზე დიდი თანამდებობის პირი იყო. თამარზე შეყვარებული არ ყოფილა, როგორც მეფე უყვარდა და პატივს სცემდა (ჩემს ფიქრებში წარმოქმნილ კითხვებზე პასუხობდა). **ვკითხე, იყალთოს აკადემია უფრო ადრეულია თუ გელათის? მიპასუხა: „იყალთოს აკადემია, როგორც საგანმანათლებლო კერა, შორეული წარმართობიდან მოდის, არსენ იყალთოელსაც ამიტომ ჰქვია ეს სახელი“**. ვკითხე, თამარ მეფეზე ამბობენ ვარძიაშია დაკრძალული, რომელ ვარძიაზეა ლაპარაკი – ასპინძის თუ ხარაგაულის? გაუკვირდა: „რატომ დაარქვეს ასპინძის ანანაურს ვარძია?! რა თქმა უნდა, **ნამდვილი ვარძია ხარაგაულის ვარძიაა და თამარ მეფეც იქ არის დაკრძალული**“. შოთა რუსთაველი გარდაიცვალა 76 წლის ასაკში. 23 წუთის საუბრის შემდეგ სანთელი ჩაქრა და ჩვენი საუბარიც დასრულდა. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ჩვენი შეხვედრა და საუბარი თვით უფლისგან იყო დაშვებული.

2019 წლის ზაფხულში გავეცანი ბატონ იური ყეინაშვილის წიგნს „მტვრიანი მარგალიტები“ (2011 წ.), რომელიც XII-XIII სს.-ში საქართველოში სუფია-რინდთა ორდენის წევრებს და მათ ფილოსოფიურ აზროვნებას შეეხება. ამ წიგნში იური ყეინაშვილი, წარსულში კარატეს ოსტატი, შემდეგში თაი-ძი სი-

უანის მასწავლებელი, ქართული წარმართული რიტუალების უბადლო მცოდნე ადამიანი, გვთავაზობს სუფიზმის საფუძვლიან განხილვას. მისი აზრით სუფია უზენაესურ-ხვთაებრივ სიბრძნეს ნიშნავს, რომელიც ყველა რელიგიურ-ფილოსოფიური ცხოვრების წესს შეესაბამება და მეტაფიზიკური აზროვნების და ძალების მთლიან გახსნას ემსახურება, რაც მიიღწევა არა საუბრით და მტკიცებით, არამედ მათ ადამიანურ არსში წვდომით. სუფიზმი არის ჭეშმარიტების შეცნობა და აბსოლუტისკენ სვლა. ამ საკითხებით დიდად დაინტერესებული ყოფილან XI-XIII სს.-ის ქართველი მეფეები და მაშინდელი ქართველი საზოგადო მოღვაწეები.

სუფია-რინდები მოწინებით ეკიდებიან სიმბოლოებს. მათ აქვთ ასევე ფერების სიმბოლოთა საკუთარი სისტემა. თეთრი ფერის კოსმიური ცხენის ხილვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა გასხივოსნებული ადამიანისთვის, რაც სინათლის, უმანკოების, ჭეშმარიტების, უბინოების და ხვთაებრიობის სიმბოლოა. დიდ ყურადღებას უთმობენ სამოსის ფერებს. მწვანე ფერის მოსასხამები ჰქონდათ შუა საუკუნეების სუფიის ორდენების წევრებს. მათი სწავლებით, ზეციური ხე ნაყოფს, რომელიც მყისიერ გასხივოსნებას იწვევს, 30 წელიწადსა და 30 დღეში ერთხელ ისხამს (ეს საკითხი საუბრის დიდი თემაა).

იური ყეინაშვილის ამ წიგნის მიხედვით სუფიური მრწამსის მოაზროვნეებს შოთა რუსთაველი ერთ-ერთ გამორჩეულ გასხივოსნებულ ადამიანად მიაჩნდათ: „დიდებულთა სისხლი ჩქეფდა დიდ ქართველ მანისფერ შოთა რუსთაველში, რომელიც ტრადიციულად მეფის კარის პოეტად მიაჩნდათ. არადა, სუფიის შეიხი იყო, რაზეც ლაღადებს მისი „ვეფხისტყაოსანი“ და ასევე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკა, რომელზეც გამოსახულია მანისფერ შეიხთა სამოსელში გამონყობილი, მუხლმოდრეკით ხელაპყრობილი შოთა. ასეთ მომრგვალებულ თავსაბურავსა და ყარყუმის ბენვშემოვლებულ მენამული ფერის მოსასხამს ატარებდნენ მხოლოდ დიდი შეიხები – მანისფერ-

ები, უზენაესი სიბრძნით დაჯილდოებული, გასხივოსნებული ადამიანები“. (ი. ყვინაშვილი – მცვრიანი მარგალიტები, 2011წ. გვ. 346).

ი. ყვინაშვილის ამ მოსაზრებას შოთა რუსთაველის შესახებ ადასტურებს ამავე წიგნში განხილული ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: იდუმალი ცოდნის დიდ სუფიასთან შეხვედრის საშუალებას უზენაესი გვაძლევს მხოლოდ **ერთი ანთებული სანთლის** დანთების დროის ხანგრძლივობით. ახალ სანთელს ველარ გამოიყენებ – ეს სამყაროს მეტაფიზიკური კანონია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 2016 წლის 1 მარტს ღამის 12 საათზე თბილისში ბახტრიონის ქ. №24, ბ. 94-ში მქონდა შოთა რუსთაველის გამოცხადება (2016 წელი იყო შოთა რუსთაველის 850 წლის საიუბილეო წელი). საუბრის დაწყებამდე მან მთხოვა სანთლის ანთება. ჩვენი საუბრის ხანგრძლივობა უფალმა წინასწარ **ერთი ანთებული სანთლის** წვის – 23 წუთის ხანგრძლივობით განსაზღვრა. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ჩვენი შეხვედრა და საუბარი თვით უფლისგან იყო დაშვებული. ეს უმნიშვნელოვანესი შემთხვევა ერთ-ერთი დასტურია იმისა, რომ შოთა რუსთაველი არის იდუმალი ღვთიური ცოდნის დიდი სუფია, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ არის ღმერთისგან ბოძებული ღვთაებრივი კოსმიური ცოდნის ნაყოფი, რომელმაც განაპირობა შოთა რუსთაველის გასხივოსნება.

შემთხვევითი არ არის, რომ რუსთაველის 850 წლისთავთან დაკავშირებით დაწვერე წიგნი „ვეფხისტყაოსანი და მეტაფიზიკა“ (2016წ.). ჩემი უდიდესი დაინტერესება ვეფხისტყაოსნით თურმე ბედისწერით ყოფილა განპირობებული. შოთა რუსთაველი კოსმიური სიბრძნის დიდი სუფიაა, ჩვენი ერის ერთ-ერთი გასხივოსნებული ადამიანი.

„**ჯორჯია**“ თუ „საქართველო“

მსოფლიოს ხალხები საქართველოს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ. ეს ცნობიერება ძალიან შორეული წარსულიდან მოდის.

ყველასათვის ცნობილია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების დონეზე საქართველო „**ჯორჯია**“-ს სახელით მოიხსენიება. ბოლო პერიოდში საქართველოს ინტელიგენციის ერთი ნაწილი ჩვენი მთავრობისგან მოითხოვს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში დააყენონ საკითხი, რათა საქართველოს სახელი „**ჯორჯია**“ შეიცვალოს და საერთაშორისო ურთიერთობების დონეზეც იგი „საქართველო“-ს სახელით მოიხსენიებოდეს.

მე ამ საკითხის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ.

ჩვენ, ქართველებმა კი არ უნდა შევცვალოთ ეს სახელები, რასაც მსოფლიოს უძველესი ხალხები ოდითგან გვიწოდებდნენ, არამედ უნდა გამოვიკვლიოთ თუ რატომ გვიწოდებდნენ ამ სახელებს და რას ნიშნავს მათი კოსმიური არსი.

განვიხილოთ საკითხი რატომ გვქვია საქართველო და ქართველები.

ჯერ კიდევ **8000** წლის წინ ქართველებმა პირველ ადამიანს „ქართ ადამი“, ანუ „მართალი ადამი“ ვუწოდეთ და აქედან დავიწყეთ ათვლა „ქართ ადამს აქათ“. სიტყვა „ქართ“ დაკავშირებულია გულქართლთან და გულმართლთან.

სიტყვა „მართალი“-დან წარმოსდგება ქართული სიტყვები: მართლმსაჯულება, სიმართლე, სასამართლო, მართლმადიდებლობა.

ქართველი ადამიანი ოდითგანვე გულმართალს, გულწრფელს, გულქართლს უკავშირებდა ქართლის და საქართველოს სახელებს. ქართველები გენეტიკურად ვართ მართლმადიდებლები.

სიტყვა „ქართ-ველი“ შედგება ორი სიტყვისაგან „ქართ“ და „ველი“ – „ველოდები“, რაც ასევე ნიშნავს „ველს“ ანუ ტერიტორიას – ქვეყანას, ეს კი პირდაპირ მიანიშნებს ქართველი ერის ხვთაებრივ კოსმიურ მისიაზე. მაშასადამე, სიტყვები „ქართველი“ და „საქართველო“ ნიშნავს „უფალს ველოდები“, ანუ ქართველები და საქართველო არის ხალხი და ის ქვეყანა, სადაც სამყაროს გენეტიკური კოდით უზენაესი ღმერთის წინასწარდასახული გეგმის მიხედვით უფლის მოსვლას ელოდებიან. აქ მოიაზრება წინასწარმეტყველება, რომლის მიხედვითაც უფალი ბოლო ჟამს ქართულ ენაზე განიკითხავს ქვეყანას. ასეთი დიდი კოსმიური ხვთაებრივი მისიაა მინიშნებული სიტყვებში „ქართველი“ და „საქართველო“. ქართულ ენაში სიტყვის კოსმიური არსი თვით სიტყვაშია.

სიტყვა „ქართ“ ქართველებისთვის ჯერ კიდევ **8000** წლის წინ იყო უმნიშვნელოვანესი ხვთაებრივი არსის გამოვლინება, როცა პირველ ადამიანს „ქართ ადამი“ ვუწოდეთ.

სიტყვა „ქართ“ ნიშნავს გულქართლს და გულმართალს, რაც უკავშირდება სამყაროს შემოქმედს, „მეფეთ მეფეს“ და „უფალთ უფალს“.

გავიხსენოთ სიტყვები მრწამსის ლოცვიდან: „და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი **უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ღმერთი ჭეშმარიტი**“. ე.ი. უფალი იყო ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე სამყარო დროსა და სივრცეში განსხეულდებოდა და ის იყო „**ჭეშმარიტი**“, ანუ „**მართალი**“.

შეგახსენებთ რამდენიმე ადგილს ქრისტეს მოციქულ იოანეს გამოცხადებიდან: „მეფხედე და აი, თეთრი ცხენი და ზედ მჯდომარე, რომელსაც ჰქონდა მშვილდი და მიცემული ჰქონდა გვირგვინი; და გამოვიდა გამარჯვებით და რათა გაიმარჯვოს“ (6.2). „ვიხილე ცა გახსნილი, და აი, თეთრი ცხენი და ზედ მჯდომარე იწოდება ერთგულად და **ჭეშმარიტად და სიმართლით** ასამართლებს და იბრძვის. მის სამოსელზე და მის თქობზე

აქვს დაწერილი სახელი: მეფეთ მეფე და უფალთ-უფალი“.

მართლმადიდებლობის არსი მართალი სიტყვის დიდებასთანა დაკავშირებული. ქრისტიანობა-მართლმადიდებლობა საყოველთაო და მარადიული რელიგიაა.

მაშასადამე, ქართველებს მართლმადიდებლობა ჰქონდათ ჯერ კიდევ **8000** წლის წინ. (ნახეთ: ნ. ხ. – „ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან“. 2012 წ. გვ. 361 – „ქრისტიანობა-მართლმადიდებლობა საყოველთაო და მარადიული რელიგიაა“).

ქართველი ხალხი ოდითგანვე გულქართლი და გულმართალი იყო და ამ სიმართლით მართავდა ქვეყანას, ოჯახს. მართლმადიდებლობა – მართალი სიტყვის დიდება ქართველთა ცხოვრების წესი იყო.

ასეთივე ცხოვრების წესი ჰქონდათ შუმერებს, რომელთა წინაპრებიც ქართველები არიან, რასაც ადასტურებს ქართველთა და შუმერთა მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიური მასალის და სიმბოლიკის შედარებითი კვლევა (ნახეთ: ნ. ხ. – „ქართველები შუმერთა წინაპრები“. 2013 წ.). შუმერთა მმართველები თავს იმითი იწონებდნენ, რომ ქვეყანას სამართლიანად მართავდნენ.

შუმერთა „სინ“-ი იგივე ქრისტეა. მათ ჯერ კიდევ 3400 წლით ადრე იწინასწარმეტყველეს და გამოსახეს ქვის ბეჭედზე ქრისტეს მოსვლა თევზის ზოდიაქოს, ანუ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში, ნათლობის ემბაზში, თავზე ადგას სულიწმინდის ანგელოზი, გულზე ჰკიდია დიდი ჯვარი.

აი როგორ მიმართავდნენ შუმერები მთვარის ღმერთს – „სინ“-ს:

„მეფევ, მაღლა ცაში მიუწვდომელო,

მეფევ, **სინრფელის** მოყვარულო,

სინ, სინრფელის მოყვარულო, ბოროტის მოძულევ,

სინ, სინრფელის მოყვარულო, ბოროტის მოძულევ“.

როგორც ვხედავთ, შუმერები მთვარის ღმერთს „სინ“-ს,

იგივე – გულწრფელის, გულქართლის ეპითეტებით ამკობდნენ, როგორითაც ქრისტიანები უფალს. ყველაფერი ეს კი ადასტურებს, რომ **სიტყვაში „ქართველი“ და „საქართველო“ უფლის სახელის და მისი მოპრკანების მომლოდინე ხალხის და ქვეყნის მიმანიშნებელია**. აქვე შევნიშნავ, რომ ქართველებსაც გვაქვს სიტყვები: „**სინ-დისიერი**“ და „**უ-სინ-დისო**“ – „**სინ-დისგარეცხილი**“, რაც უღმერთოს ნიშნავს.

მაშასადამე, სიტყვა „ქართ“, საიდანაც წარმოსდგება სიტყვები ქართველი და საქართველო, ნიშნავს გულქართლს და გულმართალს, რაც უკავშირდება სამყაროს შემოქმედს, „მეფეთ მეფეს“ და „უფალთ უფალს“.

მსოფლიოს აღმოსავლეთი ქართველებს **„გურჯავს“** გვინოდებს, რაც **33** წლის მარადქალწულს და სამოთხეს ნიშნავს. (Мифы народов мира, т. 1, стр. 341 – «Гурии»).

შუმერთა მითები ასე ახასიათებენ სამოთხეს: „ოდეს გველი არ იყო, მორიელი არ იყო, აფთარი არ იყო, მგელი არ იყო, შიში არ იყო, ძრწოლა არ იყო, კაცთა მოდგმას მტერი არ ჰყავდა... შუმერის მხარე ტკბილმეტყველი, დიადი ქვეყანა დიდებულ წესთა, მთელი სამყარო, მორჩილი ხალხი, ენლილს (შუმერთა უზენაეს ღმერთს) ერთ ენაზე ადიდებდა“. შუმერთა „უფლის წმინდა გულით არჩეული დიდებულ წესთა ქვეყანა“ „არათა“-ს სახელით მოიხსენიება.

ჩემი კვლევებით „არათა“-ს ქვეყანა იგივე ქართველთა **რანი** – **არრანის** ქვეყანაა, რომელიც ერთ დროს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე კასპიის ზღვიდან თბილისამდე იყო გადაჭიმული. აქვეა მეორე მინიშნება: არათას ქვეყანაში ადგილზე უნდა დაემზადებინათ ოქროს ნაკეთობები, ჩაეტანათ შუმერში და ქალაქ ურში ენლილის ტაძარში უნდა დაებრძანებინათ, როგორც ქალღმერთ ინანას სამშობლო ქვეყნიდან წაღებული უდიდესი სინმინდები. მართლაც აღმოჩნდა, რომ შუმერთა ოქროს ნაკეთობების სინჯი დაემთხვა **5400** წლის საყდრისის საბადოს ოქროს სინჯს, რომელიც მდებარეობს სწორედ ბოლნისის

რაიონში ისტორიული რანის – არრანის – არათას ტერიტორიაზე. ქართველი მეფეები „რანთა“ მეფეებადაც მოიხსენიებიან. ისტორიული **რანი** იგივე **არ(ი)ან ქართლია**. მესამე მინიშნება: „უფლის წმინდა გულით არჩეული წმინდა წესების ქვეყანა – არათა“ რომ საქართველოა, ამაზე მიგვანიშნებს ისიც, რომ „უფლის წმინდა წესები“ შუმერთა „მე“-ს „ხვთაებრივი კანონებია“, რომელიც იგივე კაბალაა, ანუ უფლის წინასწარ შემუშავებული გენეტიკური გეგმა-კოდი, რომლის მიხედვითაც შეიქმნა სამყარო. კაბალა ქართული ფენომენია: კაბა-ალი უზენაესი ღმერთის – ცეცხლის სტიქიის სამოსს – მატერიას ნიშნავს; კაბალას ცოდნა მსოფლიოში არსებული ანბანებიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება; აღმოსავლეთ საქართველოს ოდითგანვე კაბალა ერქვა. ქალღმერთ ინანას სახელი „ინ“ და „ან“ – ორი ქართული ასო-ნიშნის სახელებისგან შედგება, რაც მის ქართულ წარმომავლობაზე მიანიშნებს. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველ ადამიანთა ცოდნა სამყაროს შესახებ გადმოგვცემს, რომ **სამოთხე** თვით სამყაროს დედა – ღვთისმშობელია, რომლის წილხვედრი სამშობლო ქვეყანა საქართველოა. შუმერთა მითებითაც საქართველო არის „უფლის წმინდა გულით არჩეული დიდებულ წესთა ქვეყანა“. (ნახეთ: ნ. ხ. – „ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან“, 2012 წ. გვ. 218 – „სამოთხე – სამყაროს დედის უძველესი გამოსახულებები. გული და გულისგული“ და „საქართველო – უფლის წმინდა გულით არჩეული დიდებულ წესთა ქვეყანა“ – 2013 წ.).

მსოფლიოს დასავლეთი საქართველოს **„ჯორჯია“**-ს უწოდებს. სიტყვა **„ჯორჯია“** – **„ჯ-ორ-ჯ“**-ია გვეუბნება ორი **„ჯ“** ასო-ნიშანიაო, ხოლო ქართულ მეტყველებაში **„ია“** სიტყვა „არის“ შემოკლებული ვარიანტია. მაგ.: კარგი – კარგია, მაგარი – მაგარია და ა.შ. **მაიას ტომების უშორესი წინაპრები ცეცხლის სტიქიის ღმერთს გამოსახავდნენ ორი ერთმანეთთან შეერთე-**

ბული ორმაგად გადაბრუნებული ქართული ასომთავრული X (ჯ) ასო-ნიშნით, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს სამყარო იქეთა – უხილავ სამყაროსთან მიმართებაში ორმაგად გადაბრუნებული სარკის პრინციპზეა მოწყობილი (ნახეთ: ნ. ხ. – „მითოლოგია და არქეოლოგია გლობალური დათბობის შესახებ“, 2014 წ.). წინასწარმეტყველებაა, რომ ბოლო ჟამს უფალი ცეცხლით მოახდეს ქვეყნის განკითხვას. ეს არ იქნება პირდაპირი გაგე-



მაიას ცივილიზაცია – ღმერთები ჩამოღიან ციფან

ბით, არამედ განკითხვა-გადარჩევა მოხდება უჯრედთა დნმ-ის დონეზე, რომელიც ოთხი სანყისისგანაა განსხეულებული – მინა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი. ე.ი. **ლაპარაკია არა ფიზიკურ, არამედ მეტაფიზიკურ თვალთ უხილავ ცეცხლზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და მსოფლიოს ხალხები მას ორი ერთმანეთ-თან შეერთებული ქართული ასომთავრული X (ჯ) – 8000 ასო-ნიშნით გამოსახავდნენ.** ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, ვინაიდან ღმერთი რომ ამბობს მე ვარ ანბანიო, ეს მხოლოდ ქართულ ანბანზეა ნათქვამი, ვინაიდან კაბალას ბიბლიური ცოდნა მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. ქართული ანბანი სამყაროს

გენეტიკური კოდია. ჩემი კვლევებით ახლა, 2000 წელს, დადგა X (ჯ) – 8000 ასო-ნიშნის – ცეცხლის სტიქიის კოსმიური პერიოდი, რაც ინვეს ე.წ. გლობალურ დათბობას.

სიტყვა „**ჯორჯ**-ია“-სთანაა დაკავშირებული სიტყვა „**ბიორ-ბი**“-ა. ამერიკაში არის ჯორჯიის შტატი, რომელიც ხშირად ემღებათ კავკასიის ჯორჯიაში.

აუცილებელია საქართველოს მსოფლიო „**ჯორჯია**“-ს სახელითაც იცნობდეს და საერთაშორისო დონეზე ერქვას „**ჯორჯია**“. სწორედ ეს დაეხმარება მომავალში ინდიგო ადამიანების თაობას სამყაროს კვლევის საკითხში, რითაც ისინი აუცილებლად აღმოაჩენენ საქართველოს და ქართველ ხალხს, როგორც თეთრი რასის ცივილიზაციის საწყის ფესვებს.

„ბერ“ – „ჯელეთი“ თბილისის ისტორიული სახელებია

თბილისში მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სადაც ახლა აღმართულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი, მუხრანის ხიდის რეკონსტრუქციამდე იყო ძველი თბილისის სახლები. სწორედ ერთ-ერთ სახლში 1943 წელს დავიბადე და გავატარე ჩემი ბავშვობის და ახალგაზრდობის წლები. ყოველ დილას სახლიდან გამოსვლისას ვუცქერდი მთანმინდას. ანუ დავიბადე და გავიზარდე მთანმინდის ენერგეტიკულ გარემოში. ხშირად მიფიქრია, თუ რატომ ჰქვია ამ მთას „მთანმინდა“.

1984 წელს უფლის ნებით მომეცა ავადმყოფ ადამიანთა დიაგნოსტიკის და განკურნების მეტაფიზიკური თვისებები. პარალელურად დამეწყო ხილვითი გამოცხადებები, რომელებიც აზრებით შემოდიოდნენ ინფორმაციულ კონტაქტში და მანვ-დიდნენ სხვადასხვა საკითხებზე კოსმიურ ინფორმაციას. მათ შორის მეცხადებოდა სამყაროს არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათები ანუ „ღმერთის ბეჭდები“ ბიბლიის ახალი აღთქმის „იოანეს გამოცხადების“ მსგავსად.

არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში ცენტრალური ადგილი უკავია სამყაროს შემოქმედ მამა ღმერთს, რომელსაც ერთი შეხედვით მაღალი მთის სახე აქვს და შემოსილია ბერის სამოსით, მარჯვნივ მიტრიალებული სახით და გრძელი თეთრი წვერით, თავზე გვირგვინებად ადგას ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები. ის მრავასახაა. მისი ერთ-ერთი სახეა კოსმიური მხედარი – თეთრი გიორგი, რომელსაც ქართული მხედრული ასო-ნიშნები შუბლზე აწერია. მამის მარჯვნივაა ქართველთა კვირია კარავიანი – ქრისტეს წარმართული სახე, რომელსაც სამწერლობო აქვს მოწყობილი. აღმოსავლური კოსმოგონიური სქემის მიხედვით ღმერთთა სამყოფელი კოსმიურ სამხრეთშია. კოსმიური აღმოსავლეთიდან მამა ღმერთისკენ მიემართება

სამყაროს დედა-ქალღმერთი ხელში ჩვილი ბავშვით, რომელსაც წარადგენს მამის და ძის წინაშე ბედისწერის დასადგენად და სიცოცხლის წიგნში გასატარებლად – კვირიას ხელში გადაშლილი წიგნი უკავია. ქალღმერთს თავზე ადგას მზის დისკო, ამიტომ მას მსოფლიოს ხალხები სამყაროს „**ამომავალ მზე**“-ს უწოდებენ. სწორედ მას უყურებს მამა ღმერთი მარჯვნივ მიტრიალებული სახით. მთის მთელ სიმაღლეზე, მთის-კლდის ერთგავრ გამოქვაბულში ბუდას პოზაში ზის საიქიოს მთავარი მოსამართლე, რომლის თავი განთავსებულია მამის გულის ადგილას. ეს არის მითოლოგიური მიჯაჭვული ამირანი, რომლის წინ ანუ კოსმიური მთის ძირში არის საიქიოს გოგირდის და ცეცხლის ტბა. მთის მოპირდაპირე მხარეს კოსმიური სიცოცხლის ხეა. გოგირდის ტბას ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გარს უვლის „საიქიოს მდინარე“.

ხშირად ვფიქრობდი არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათზე. არაერთხელ გამიჩნდა აზრი, რომ თბილისის მდებარეობა და გარემო ძალიან ჰგავდა არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათს: თბილისის სამხრეთით მთანმინდა სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთის და ღმერთთა სამყოფელის ასახვაა, რომელიც გადმოსცქერის თბილისის იმ ნაწილს, სადაც ამ მთის ძირში არაერთგან ამოდის გოგირდის ცხელი წყალი. მთანმინდას და გოგირდის წყლებს ჩრდილო-დასავლეთიდან ჩამოუდის და გარს უვლის მდინარე მტკვარი, რომელიც მიედინება სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ისევე, როგორც არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათშია. „მთანმინდა“ არის მთა, რომელსაც აქვს დღემდე შეუსწავლელი გამორჩეულად საინტერესო მეტაფიზიკური თვისებები.

მთანმინდაზე პანთეონის მხარეს გამოქვაბული არის. „სიცოცხლის ხის“ ასახვაა თბილისის ის ნაწილი, რომელიც შორეული წარმართობიდან იყო დასახლებული, არის მთანმინდის მოპირდაპირე მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე ე.წ. ბართაშვილის აღმართის მთა, ხოლო მტკვრის მარჯვენა მხარე

ითვლებოდა თბილისის საკრალურ წმინდა ტერიტორიად და იქ მოსახლეობა არ ცხოვრობდა. მოგვიანებით თბილისელებმა მთაწმინდის მარჯვენა მხარეს მთაზე განათავსეს ქართლის დედის – სამყაროს დედის მონუმენტური ქანდაკება.

თბილისის ტერიტორია სრულად ასახავს სამყაროს არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათს. ჯერ კიდევ შორეული წარმართობის პერიოდიდან ქართველებს ჰქონდათ ამისი ხილვითი გამოცხადებები და თავის საცხოვრებლად ირჩევდნენ არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათების მსგავს გარემოს და პირად საცხოვრებელსაც ამ სურათის მიხედვით აწყობდნენ.

არქეოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ ენეოლითის (სპილენძ-ქვის) ხანის პერიოდში (ძვ.წ. IV ათასწლ.), თბილისში ყოფილა ჯერ კიდევ ცალკეული ნამოსახლარები, შემდეგ კი ქალაქი მკვიდრი და ძლიერი ბინადარი მოსახლეობით, რომლებიც მისდევდა მონათმოქმედებას, მესაქონლეობას, ნადირობას, მეთევზეობას. ამზადებდნენ თიხის ჭურჭელს, სცოდნიათ ძაფის დართვა და ქსოვა. აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. III- II ათასწლ.) ე.წ. ყუადაქანებული, ორნამენტით შემკული ბრინჯაოს საბრძოლო ცული. ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურა უმეტესად ენეოლითურ კულტურათა გაგრძელებაა.

ძვ.წ. I ათასწლ. ბოლო საუკუნეების მასალებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნუმისმატიკური მასალის აღმოჩენა, რომელიც ადასტურებს, რომ თბილისი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების ორბიტაში ყოფილა მოქცეული.

თბილისი მტკვრის მარჯვენა მხარეს, ერეკლე II-ის სახ. მოედანთან მდებარე ბალის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის მიხედვით, აღმოჩენილია (Vს-დან) საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, წყალსადენის, კერამიკული საწარმოს და სხვა ნაშთები, სამეურნეო დანიშნულების ნივთები, მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი, სამკაული, იარაღ-საჭურველი,

Vს-ის აქატის საბეჭდავი.

ყოველივე ეს ადასტურებს, რომ თბილისი თავისი არსებობის ყველა პერიოდში იყო მაღალი კულტურის ქალაქი, რომელსაც მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებდა სხვა ქვეყნებთან. (ქ.ს.ე. ტ. 4, გვ. 604 – თბილისი).

მსოფლიოში ცნობილია არაერთი „წმინდა მთა“: ტიბეტში „კაილასის“ მთა, ჩინეთში კოსმიური მთა „მერუ“, ეგვიპტის და მექსიკის ხელოვნურად შექმნილი პირამიდები წმინდა კოსმიური მთების ანალოგია.

ბულგარეთში, როცა ბრმა ვანგამ გადაწყვიტა ტაძრის აგება, დიდხანს ეძებდა შესაფერის ადგილს. ბოლოს ის მიიყვანეს სოფ. რუპიში, სადაც არის წმინდა მთა „კოჟუხი“, რომლის ძირში არის ცხელი გოგირდის წყლებით დატბორილი სივრცე, სადაც შეჭრილია პატარა ნახევარკუნძული. სწორედ ამ ადგილზე ააშენა ვანგამ თავისი ტაძარი, რომლის ეზოშიც ჰპოვა თავისი საბოლოო განსასვენებელი. როდესაც 2001 წლის მაისში გავემგზავრე ბულგარეთში და მოვინახულე ვანგას ტაძარი, მაშინვე გავიფიქრე, რომ ეს ტერიტორიაც თბილისის მსგავსია და ძალიან ჰგავს არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათს. ბრმა ვანგამ თავისი უდიდესი მეტაფიზიკური სულიერებით შეიგრძნო ეს და ამიტომ აირჩია თავისი ტაძრის ასაგებად ეს ადგილი.

ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა (დაახლ. Vს-ის 40-იან წლებში) თბილისში განსაკუთრებით დიდი მშენებლობა ჩაატარა. მისმა ძემ – დაჩიმ VI ს-ის დასაწყისში დაასრულა მამის მიერ დაწყებული თბილისის ზღუდის მშენებლობა და მამის ანდერძის თანახმად სატახტო ქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა. (ქ.ს.ე. ტ.4, გვ. 336 – ვახტანგ გორგასალი).

რა ერქვა საქართველოს დედაქალაქ თბილისს უძველეს წარმართობის პერიოდში. ამ კითხვაზე პასუხი ასახულია ბერძენი ისტორიკოსის, გეოგრაფის და მოგზაურის სტრაბონის (ძვ.წ. 64/63 – ახ.წ. 23/24 წ.) მიერ შედგენილ ამიერკავკასიის

რუკაზე, რომელიც „კავკასიის ალბანეთის“ რუკის სახელითაა ცნობილი, თუმცა „ალბანეთს“ ჯერ კიდევ იმ დროს ქართული სახელი „ალვანეთი“ ერქვა. ამას ადასტურებს ქართული და



კავკასიის ალბანეთის (ალვანეთის) რუკის ფრაგმენტი (ძვ.წ. I ს.)

სომხური წყაროები. სტრაბონის რუკაზე გამოსახულია მდ. „კურა“ (მტკვარი), რომლის მარცხენა სანაპიროზე აღნიშნულ ორ ქალაქს – მცხეთასა და რუსთავს შორის, თბილისის ადგილზე, მონიშნულია ერთადერთი ასევე მნიშვნელოვანი ქალაქი, რომლის სახელია „ჯელეთი“. მაშასადამე, **თბილისის უძველესი წარმართობის სახელია „ჯელეთი“**. რას გვეუბნება საქართველოს ისტორია ამის შესახებ?!

მდინარე მტკვარს შორეული წარმართობიდან ერქვა „კურა“ ანუ კვირა – კვირია (ქართველები „ვი“ ასო-ნიშნის ადგილას ხშირად „უ“-ს წერდნენ, ისევე როგორც ქართულ ანბანშია). ქართული მითოლოგიით „კვირია“ – „კვირა“ წარმართობის პერიოდის ქრისტეს სახელია, რომელსაც სამყაროს შემოქმედი მამის მარჯვნივ კარავი აქვს გაშლილი, ამიტომ მას ქართველები კვირია კარავიანის სახელით მოიხსენიებდნენ. მაშასადამე **მდ. მტკვრის სახელი „კურა“ არის წარმართობის ქრისტეს სახელი „კვირა“ – „კვირია“.**

სტრაბონის რუკაზე (ძვ.წ. II ს.) გამოსახულ საქართველოს „**იპარია**“ აწერია.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს – კახეთის უძველესი ცენტრი მოხსენიებულია „**ჩალაითი**“-ს სახელით, რომლის **თავდაპირველი სახელია „ბარ“.** ვახუშტი ბაგრატიონის თანახმად (VIII ს.), „ჩელეთი“ იგივე გვიანდელი „ჟალეთია“, სავარაუდოდ მდებარეობდა მდ. ივრის ხეობის ზემო წელზე. V ს-ში მეფე ვახტანგ გორგასალმა დააარსა ჩელეთის საეპისკოპოსო. წყაროებში „**ჩელეთი**“ უკანასკნელად იხსენიება VIII ს-ში, როგორც ქართლის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ერთეული. (ქ.ს.ე. ტ.11, გვ. 93 – ჩელეთი).

სოფ. ჭიორაანთკარის აღმოსავლეთით, მდ. იორის მარცხენა მხარეს სანაპიროზე აღმართულ მთას, მასზე განლაგებული მცირე ეკლესიითა და ციხესიმაგრით ჰქვია „**ჯალაითი**“, რაც ემთხვევა სტრაბონის რუკაზე აღნიშნულ მაშინდელი თბილისის სახელს „**ჯალაითი**“. ჩემს მიერ მიღებული კოსმიური ინფორმაციით, თბილისის სიონის ეკლესია ვახტანგ გორგასალის მიერ V ს-ში აშენებული კათედრალური ტაძარია. თბილისის ტერიტორიაზე არსებული მთაწმინდა, რომელიც ზემოთ განხილულის მიხედვით არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში თავისი ენერგეტიკით და მდებარეობით არის მამა ღმერთის – „**ბარი**“-ს იდენტური ადგილი, სრულიად აშკარაა, რომ **ბარ** –

ჩაღვითი – ჯაღვითი არის საქართველოს დედაქალაქის თბილისის უძველესი სახელი, რასაც ადასტურებს სტრაბონის მიერ 2000 წლის წინ შედგენილი ამიერკავკასიის ისტორიული რუკა.

2000 წლის წინ სტრაბონის მიერ შედგენილი კავკასიის ალვანეთის (ალბანეთის) რუკაზე ცენტრალური ტერიტორია მოიხსენიება კაბალა – „კაპალაკი“-ს სახელით და მთლიანად კავკასიის ალვანეთის დედაქალაქიც კაბალა – „კაპალაკი“-ს სახელითაა წარმოდგენილი, რაც ადასტურებს, რომ დედამიწის პირველ ადამიანთა ცოდნის „კაბალა“-ს სამშობლო ისტორიულად კავკასია და საქართველოა. საქართველოში დღესაც გვაქვს ალვანი, მდ. კაბალი და სოფ. კაბალი.

სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთის სახელი „ბერი“-დან ეწოდა საქართველოს „იბერია“ და მის მიერ შექმნილ ცივილიზაციას „იბერიის ცივილიზაცია“. ამიტომ **საქართველოს ისტორიული ქალაქი „ბერ“ – „ჯაღვითი“** არის საქართველოს დედაქალაქი თბილისი, რომლის ასაკი 6000 წელზე გაცილებით შორს მიდის. ამის საფუძველს გვაძლევს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი პალეოლითის და ენეოლითის ხანის 8000 წელზე ადრეული არქეოლოგიური მეგალითური არტეფაქტები: ამირანის გორა, არუხლოს გორა, იმირის გორა, შულავერის გორა, თეთრინყაროს ნასოფლარი, მდ. იორის ხეობაში სიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უზარმაზარი ქვის ლოდებით ნაგები მეგალითური მინისქვეშა აკლდამა-სამარხი, პირველ ადამიანთა საცხოვრისები – კლდეში ნაკვეთი ქალაქები: ვარძია, უფლისციხე, გარეჟი და უამრავი კლდის სოფლები. ამის საფუძველს გვაძლევს ასევე ის, რომ ჩვენ დღემდე არ ვიცით, თუ როდის ეწოდა თბილისის „**მთაწმინდა**“-ს ეს სახელი.

კლდეში გამოკვეთილი ვარძია – კლდის სოფელი ანანაური

ვარძია – კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი – XII-XIII სს-ის ქართული კულტურის ძეგლი, მდებარეობს ისტორიულ ჯავახეთში ასპინძიდან **30** კმ-ში მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ვარძიის სამონასტრო კომპლექსი გამოკვეთილია ერუშეთის მთის კალთის შვეულ კლდეში, სიგრძით **500** მ-მდე, ზღვის დონიდან **1300** მ-ზე, სულ **430** სათავსია განთავსებული **15** სართულზე (მათგან ორ იარუსად განლაგებული **10** ნაკვეთი სათავსი სულ ახლახანს აღმოაჩინეს), ოთახების კედლებში გამოკვეთილია ნიშები – სანოლად, ლოგინის დასალაგებლად, მცირე ნიშები ჭურჭლისთვის და ჭრაქისთვის. ნიშები მეტწილად თაღოვანია. კლდის სიბრტყეები მთავარ სათავსებში დამუშავებულია ხორკლიანი ფაქტურით.

მეცნიერთა კვლევებით, ვარძიის გამოქვაბული კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობდა რამდენიმე ეტაპად. I ეტაპზე მეფე გიორგი III-ის დროს (1156-84 წწ.) შემუშავდა გეგმა და გამოიკვეთა პირველი სენაკები ეკლესიითურთ. II ეტაპზე თამარ მეფის მითითებით ჩატარდა მონასტრის ცენტრის რეკონსტრუქცია – კლდეში გამოკვეთეს ხვთისმშობლის მიძინების დარბაზული ტაძარი, რომელიც მოიხატა ქართლის ერისთავის რატი სურამელის თაოსნობით და სახსრებით. მთელი მონასტერი სამხრეთის მხარესაა მიმართული, ხოლო საცხოვრებლები კლდის სიღრმეში სამხრეთიდან ჩრდილოეთითაა მიმართული, ვარძია არ გამოირჩევა მდიდრული მორთულობით. ერთადერთი სამკაული კედლის მხატვრობაა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გიორგი III-ის, თამარ მეფის და ქართლის ერისთავის რატი სურამელის პორტრეტები. 1938 წელს ვარძიის სამონასტრო კომპლექსი მუზეუმ ნაკრძალად გამოცხადდა. 1970-71 წლებში აქ ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები (ქ.ს.ე. 1979 წ.,

ტ. 4, გვ. 315).

1985-87 წლებში საქმიანი ურთიერთობა მეონდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფოტოლაბორატორიის გამგესთან ბ-ნ იგორ გილგენდორფთან, რომელიც იმ დროის-



ჩვეულებრივი ფოტო



რენტგენოემისიოგრაფია ულტრაიისფერი სხივებით
პარაია. თამარ მეფე (ფოტოები ი. გილგენდორფისა)

ვის აწარმოებდა ისტორიულ ძეგლებზე უძველესი ფრესკების სპეციალური რენტგენო-ულტრაიისფერის სხივებით გამოკვლევას. ერთხელ, როცა მის ლაბორატორიაში ვსაუბრობდით, მან მაჩვენა ულტრაიისფერი დასხივების მეთოდით გადაღებული

ვარძიის თამარ მეფის ფრესკის სურათი, რომელიც იმ სურათის ქვეშაა, რომელსაც ვხედავთ ფრესკაზე. ბ-ნმა იგორმა მოახერხა პირველი ნახატი, ანუ თამარ მეფის ნამდვილი სახის გადაღება და მან მე სწორედ ეს სურათი მაჩვენა. ეს ჩემთვის უდიდესი ბედნიერების წუთები იყო. ვთხოვე მას, რომ ეს ინფორმაცია უფრო საჯარო გაეხადა – მალე საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით მან ამ საკითხს სპეციალური გადაცემა მიუძღვნა. სამწუხაროა, რომ ეს ინფორმაცია ისევ დავინწყებას მიეცა. გთავაზობთ ბ-ნ იგორ გილგენდორფის მიერ 1980-იან წლებში გადაღებულ თამარ მეფის ვარძიის ფრესკის სურათებს (И. Н. Гильгендорф – «Фреска открывает тайну», 1982 г.).

ასპინძის ვარძიის კომპლექსი შედგება **ორი ნაწილისგან – ვარძიის მონასტრისა და უფრო ადრინდელი ხანის კლდის სოფლის – ანანაურისგან. ამის გამომთვით ვარძიის მონასტრის ეკლესიაც ანანაურის ეკლესიის სახელითაა მოხსენიებული.**

ასპინძის ვარძია ოდითგანვე **ანანაურის** სახელითაა ცნობილი. საინტერესოა, როდის, რატომ და ვის მიერ დაერქვა ასპინძის ანანაურს სახელი ვარძია და რა კავშირშია ამასთან ხარაგაულის რ-ის სოფ. ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, აგებული ასევე XI-XIII სს-ში გიორგი III-ის და თამარ მეფის დროს, მდ. ბორიმელას მარცხენა მხარეს (მდ. ჩხერიმელას მარცხენა შენაკადი), ხარაგაულიდან **18** კმ-ში (ქ. ს. ე. 1979 წ., ტ. 4, გვ. 316).

როგორც ირკვევა მეფე გიორგი III-ის და თამარ მეფის დროს ერთდროულად პარალელურად **ვარძიის ორი სამონასტრო კომპლექსი „აიგო“**: ერთი – ვარძია ასპინძიდან **30** კმ-ში კლდეში ნაკვეთი **15** სართულიანი **430** სათავსით, ხოლო მეორე ვარძია – ხარაგაულიდან **18** კმ-ზე სოფ. ვარძიაში. რაში დასჭირდათ ამ ორ ქართველ ბრძენ მეფეს ორი ვარძიის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა ასეთი პატარა ერისთვის უდიდესი გაჭირვების და ბრძოლების პერიოდში, **თანაც ორივე**

სამონასტრო კომპლექსს დაარქვეს ვარძია, როცა ასპინძის ვარძიას დღემდე ჰქვია ანანაურის კლდის სოფელი?! აჲ რაღაც დიდი გაუგებრობაა!!! ან „იქნებ“ ვარძიის თემა მიზანმიმართულად ემსგავსება საყდრისის თემას, სადაც იკვეთება მავანთა მიზანმიმართული ზრახვა, რათა ქართველებმა ვერ მივაგნოთ და საბოლოოდ დავკარგოთ ჩვენი ქართული საწყისები.

რამდენიმე წლის უკან მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დაბაზში ჩატარებულ ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე ერთმა ხელოვნებათმცოდნე მეცნიერმა ქალბატონმა ნაიკითხა მოხსენება ასპინძის ვარძის კედლის მოხატულობის შესახებ. მოხსენების დასასრულს საჯაროდ მთელი დარბაზის წინაშე ვკითხე: თუ არსებობს რაიმე ისტორიული წყარო, რომელიც ადასტურებს ასპინძის ვარძიის სამონასტრო კომპლექსის „მშენებლობას“ გიორგი III-ის და თამარ მეფის მიერ XII-XIII სს-ში?! მან საჯაროდ მიპასუხა: „**ამის შესახებ არავითარი ისტორიული წყარო არ არსებობს**“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე XII-XIII საუკუნეებში გიორგი III-ის და თამარ მეფის მიერ ასპინძის რაიონში კლდეში ნაკვეთი ქალაქ-სახელმწიფოს ანანაური-ვარძიის ძეგლის გამოკვეთა – „მშენებლობა“, როგორც ურთულესად განსახორციელებელი საინჟინრო ნაგებობა, არარეალურია და საექვოდ მიმაჩნია.

აშკარაა, რომ ინფორმაცია გიორგი III-ის და თამარ მეფის მიერ XII-XIII სს-ში ვარძიის კომპლექსის აშენების შესახებ ეხება არა ასპინძის ანანაურ-ვარძიას, არამედ მხოლოდ ხარაგაულის რ-ნის სოფ. ვარძიის სამონასტრო კომპლექსს. ამავდროულად დასაფიქრებელია ის ფაქტი, რომ **ორივე სამონასტრო კომპლექსს ვარძია ჰქვია. იმის გამო, რომ ასპინძის ანანაურ-ვარძიის სამონასტრო კომპლექსში ერთ-ერთ კედელზე გამოსახულია გიორგი III-ის და თამარ მეფის ფრესკები, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ისტორიული ძეგლი აგებულია მათ მიერ.**

**კლდეში ნაკვეთი სოფელი ანანაური-ვარძია ათას-
წლეულების უკან პირველ აღამიანთა ხელით კლდეში
გამოკვეთილი ქალაქ-სახელმწიფოა, სადაც მოგვიანებით
ქრისტიანული სამონასტრო კომპლექსი გაიხსნა.**

ასპინძის ანანაურ-ვარძიის კომპლექსში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სათავსების თაღოვანი ქერი. ამ ძეგლისთვის დამახასიათებელი ეს, ასე ვთქვათ, სამშენებლო გადახურვითი კონსტრუქცია, იშვიათი მოვლენაა, ვინაიდან ევროპაში თალი გავრცელდა ძვ. წ. IV ს-ში ალ. მაკედონელის დროს. მაგრამ თაღოვანი კონსტრუქციები ფართოდ იყო გამოყენებული ჯერ კიდევ ბაბელონში – ნაბუქოდონოსორმა ისინი გამოიყენა ბაბელონის აღდგენის დროს ძვ. წ. 600 წელს. ჭიშკრის თაღოვანი გადახურვა შუმერულ სახლებში იხმარებოდა ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულში. ნიფურში არის წყლის თაროვანი საყრდენი, რომელიც თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულით, ხოლო ურის მეფეთა აკლდამების თაღოვანი გადახურვა კიდევ უფრო ადრეულია (კ. კერამი – ღმერთები, აკლდამები, მეცნიერები, 1972 წ. გვ. 264-293). ვინაიდან ჩვენ ქართველები ვართ შუმერთა წინაპრები (ნახეთ: ნ. ხ. – ქართველები შუმერთა წინაპრები, 2013 წ.), ცოდნა თაღოვანი კონსტრუქციების მოწყობის შესახებ ძვ. წ. IV-III ათასწლ. კავკასიიდან შუმერში ქართველებმა წაიღეს.

ასპინძის ანანაური-ვარძიის კლდეში ნაკვეთი ძეგლის შექმნის თარიღის განსაზღვრისათვის აუცილებელია დადგინდეს: რა აუცილებლობამ განაპირობა ამ ძეგლის შექმნა; ვის მიერაა შესრულებული ეს უდიდესი და ურთულესი შრომატევადი სამშენებლო სამუშაო; რა შრომის იარაღები იყო გამოყენებული და თუ არის აღმოჩენილი ეს შრომის იარაღები; რა სახის განათების საშუალებები იყო „მშენებლობის“ დროს გამოყენებული – ცეცხლის ალის სინათლეზე მუშაობდნენ თუ სანთლების შუქზე, არის თუ არა შიგნით კედლებზე იმ პერიოდის ჭვარტლის კვალი?! რა სავენტილაციო სისტემა მუშაობდა მაშინ და ახლა

430 სათავსოსთვის **15** სართულზე – თუ არის სპეციალისტების მიერ ეს საკითხი გამოკვლეული; რა პრინციპზეა შერჩეული და გამოკვეთილი სართულშუა გადახურვები და კედლის სისქე, რათა გაეძლო ერთმანეთზე დადგმული **15** სართულიანი ნაგებობის სიმძიმისთვის. ქანები რომ რბილი იყოს, როგორც ამას სპეციალისტები აცხადებენ, ასეთ ქანებში გამოკვეთილი ნაგებობა თავის საკუთარ წონას და ექსპლოატაციის დატვირთვებს ვერ გაუძლებდა. ნებისმიერ ქანებში **430** სხვადასხვა ფართის და მოცულობის სათავსების გამოკვეთა შვეული კედლებით, თარაზული იატაკით და თაღოვანი ქვით, საკმაოდ რთული საქმეა და არ არის ადვილი – მას აუცილებლად დიდძალი მუშახელი, საჭრელი იარაღები და უდიდესი დრო დასჭირდებოდა. რით იკვებებოდა ამდენი მუშახელი, ვინ ამარაგებდა მათ საკვებით, არის თუ არა ამისი კვალი?! რითი გამოჰქონდათ და სად და რითი გაჰქონდათ კედლის ნანგრევი ნაგავის უზარმაზარი მასა – თუ არის აღმოჩენილი ეს ნაგავსაყრელი; მეცნიერები ამ საკითხზე გამოქვეყნებულ წერილებში აღნიშნავენ, რომ ვარძიის კომპლექსი კლდეში ერთ წელიწადში იყო გამოკვეთილი. ამხელა მოცულობის ნანგრევი მასა ვერ ჩაიყრებოდა მტკვრის ვიწრო კალაპოტში, რაც საერთოდ გადაკეტავდა და მიმართულებას შეუცვლიდა მდინარე მტკვარს.

აუცილებელია ვარძიის კვლევაში ჩაერთოს გეოდეზისტების, გეოლოგების, გვირაბმშენებლების, ვენტილაციის და ფუძესაძირკვლების სპეციალისტების ინჟინერთა ჯგუფი.

რა ფიზიკური აღნაგობის იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც კლდეში გამოკვეთეს 3,5–5 კმ სიგრძის, 2 მ სიმაღლის და 0,5 მ – ნახევარი მეტის სიგანის წყლის შემომყვანი გვირაბი?!

ჩემს მიერ საფუძვლიანად იქნა შესწავლილი და გაანალიზებული ასპინძის ანაზური-ვარძიის კლდეში ნაკვეთი **15** სართულიანი სამონასტრო კომპლექსის საინჟინრო კონსტრუქციულ-გეგმარებითი და მშენებლობის წარმოების ტექნოლოგიის საკითხები და მიმაჩნია, რომ ამ ნაგებობის მშენებლობა განხ-

ორციელებული ვერ იქნება არათუ გიორგი III-ის და თამარ მეფის მეფობის ასე მოკლე პერიოდში, არამედ ახ. წ. II ათასწლეულის მთელ პერიოდშიც კი.

მაშინ, როცა XI-XIII საუკუნის მეფეთა მოღვაწეობის შესახებ ყველა წვრილმანი მემატრიანებს აღწერილი აქვთ, რატომ არაფერია ნათქვამი ანანაური-ვარძიის სამონასტრო კომპლექსის „მშენებლობის“ შესახებ. ეს მართლაც საოცარია!

საქართველოს ტერიტორიაზე ორი ვარძიის – ხარაგაულის ვარძიის მიწისზედა სამონასტრო კომპლექსის და ასპინძის ანანაურის ვარძიის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსის ერთ პერიოდში – XII-XIII საუკუნეებში აშენება, ჩემი კვლევებით, სიმართლეს არ შეესაბამება და ეს მხოლოდ ხარაგაულის ვარძიის სამონასტრო კომპლექსს ეხება.

საქართველოში ასპინძის ანანაური-ვარძიის გარდა არსებობს უფლისციხის და გარეჯის რამდენიმე კლდეში ნაკვეთი ქალაქი. ის გამოკვეთილია ერთი პერიოდის ადამიანთა მიერ – ასეთი იყო მათი ცხოვრების წესი და ამიტომ ერთ სივრცეში უნდა იქნას განხილული და შესწავლილი. **ეს ძეგლები დედამიწაზე ადამიანთა პირველსაცხოვრისებია.** ჩემი მეტაფიზიკური თვალთახედვით იმ დროს ადამიანები სხვა შესაძლებლობის მეტაფიზიკური თვისების იყვნენ და ჩვენნაირ ადამიანთა ცივილიზაციას არ ეკუთნოდნენ. ისინი ბნელშიც ისევე ხედავდნენ, როგორც დღის სინათლეზე, განუხაზღვრელი იყო მათი გონებრივი, ფიზიკური და მეტაფიზიკური შესაძლებლობები, მათ იცოდნენ ყველაფერი ყველაფერზე. მათ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა მიწისზედა ნაგებობები (ეს საუბრის დიდი თემაა).

გარეჯში კლდეში ამოკვეთილია გიგანტური ორთავიანი დრაკონი, რომელიც ზედმიწევნით მსგავსია ჩიჩენ-იცას პირამიდის დრაკონთა თავებისა. განსხვავება ის არის, რომ სამხრეთ ამერიკაში ჩიჩენ-იცას პირამიდის დრაკონები ზემოდან ქვემოთ არიან მიმართული, ხოლო გარეჯის დრაკონები მიწიდან ამოსულია, რომელთა თავები მთის წვეროზეა ცისკენ

ამართული. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. სრულიად შესაძლებელია, ჩიჩენ-იცაში გაზაფხულზე – 21 მარტს დრაკონის მინიდან „ამოსვლის“ და შემოდგომაზე – 21 სექტემბერს ისევ მინაში „ჩასვლის“ ამ ცნობილ „სანახობას“ გარეგნულად ჰქონდეს ადგილი. გარეგნის დრაკონებს სხეულზე კოშკი ადგიათ, ასე გამოსახავდნენ უძველესი ქართველები ბაბელონის კოშკს – გოდოლს.



ბარაჯი (ჩიჩენიტური)



მეხიკო. ჩიჩენ-იცა

მეხიკოს სამხრეთ გარეუბანში, კუიკუილკოს პირამიდაზე, ცეცხლოვანი ლავაა გადასხმული. მეცნიერებმა პირამიდა ახ. წ. IV საუკუნით დაათარილეს. მოგვიანებით არქეოლოგებმა გეოლოგების დახმარებით გაარკვიეს ლავას ასაკი, იგი 8000 წელზე ადრეული აღმოჩნდა (კ. კერამი – ღმერთები, აკლდამები, მეცნიერები, 1972 წ. გვ. 352, 382).

ზემოთ განხილულის საფუძველზე გარეგნის კომპლექსიც შეგვიძლია ჩავთვალოთ 8000 წელზე ადრეულ ძეგლად, მაგრამ საქართველოს სამეცნიერო საზოგადოება მზად არ არის ასეთი აღმოჩენებისთვის. **სწორად ცდებიან მეცნიერები არქეოლოგიური და ისტორიული ძეგლების დათარიღებაში, რის გამოც იკარგება ქართული ცივილიზაციის ისტორიული ფესვები.**

ასპინძის ანანაური-ვარძია, უფლისციხე და ბარაჯი ეგვიპტის პირამიდებზე ბატონობით ადრეული პერიოდის

ქებლებია და ისინი იმ ადამიანთა პირველსაცხოვრისებია,
რომლებსაც ჰქონდათ განსაკუთრებულად დიდ მატაფიზი-
კური შესაძლებლობები.

შეხვედრები მამა ბიორგი ბასილაძესთან

ბათუმელმა მეგობრებმა მაჩუქეს ქ. ქუთაისთან ახლოს მონამეთას ტაძრის მამა გიორგი ბასილაძის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ 2009-2010 წლებში გამოცემული სამი წიგნი. აღმოჩნდა, რომ მამა გიორგი ბასილაძე იკვლევდა ქართველი ერის საწყის ფესვებს და იყო ღრმად კოსმიურად მოაზროვნე რელიგიური პიროვნება. მასთან წლების განმავლობაში გასაცნობად, სასაუბროდ და რჩევების მისაღებად ჩადიოდნენ მომლოცველები საქართველოს ყველა რეგიონიდან.

ერთხელ, ბათუმში ვიზიტის დროს, თამილა მაკარიძემ დამარ მაკარაძემ შემომთავაზეს სტუმრობა მამა გიორგი ბასილაძესთან იმერეთის სოფ. ჭოგნარში. იყო საღამოს 10 საათი. ვესტუმრეთ მამა გიორგის. იგი იყო ავად და ჰქონდა მაღალი სიცხე. მას გაუხარდა ჩვენი მისვლა და გულთბილად მიგვიღო. მივხვდი, რომ ჩემი მოღვაწეობის შესახებ ყველაფერი იცოდა. მამა გიორგი მაძლევდა შეკითხვებს სხვადასხვა საკითხებზე და აინტერესებდა ჩემი პასუხები. ჩვენი საკმაოდ საინტერესო საუბარი დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა. დასასრულს სტუმრობისთვის მადლობა გადაგვიხადა და აღნიშნა, რომ ჩემთან საუბრის შემდეგ სიცხე აღარ ჰქონდა.

რამდენიმე თვის შემდეგ მამა გიორგის უკვე მონამეთას ტაძარში ვესტუმრეთ – იმავე ტერიტორიაზე მრევლთან შეხვედრის ცალკე ოთახი ჰქონდა. დიდად გაიხარა ჩვენი სტუმრობით, იქ დამსწრე და შემოსწრებული საზოგადოება ყველა გააჩუმა და ჩვენს საუბარს ისმენდნენ, სადაც ვიხილავდით ქართული ენის, ქართული ანბანის და ქართული გენის პირველსაწყისობის საკითხებს. ჩვენი აზრები და რწმენა-წარმოდგენები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ერთმანეთს ემთხვეოდა.

შემდეგში მამა გიორგისთან რამდენჯერმე მქონდა სატელეფონო საუბარი. არაერთ ჟურნალ-გაზეთში გამოვაქვეყნე მის

შესახებ სტატია, რომლის სათაურიც აღებულია მამა გიორგის ერთ-ერთი გამონათქვამიდან: „ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი“. (ნახეთ: ნ.ხ. – „ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან“, 2012წ. გვ. 315).

გავიდა ხანი. ერთ დღეს დამირეკა ჩემი ბავშვობის მეგობარმა **მეგი ტატიშვილმა**, რომელიც იყო ფილოლოგი, იმ პერიოდში მუშაობდა საპატრიარქოს რადიოს ჟურნალისტად (ერთხელ მეც ვყავდი მინვეული ერთ-ერთ გადაცემაში) და იყო ღრმად კოსმიურად მოაზროვნე პიროვნება. მომიყვა, რომ ის თავის მეგობართან ერთად ესტუმრა მამა გიორგი ბასილაძეს სოფ. ჭოგნარში. მამა გიორგი თბილად შეხვდა: „ნახეთ შემოსასვლელ ოთახში



მამა გიორგი (ბასილაძე)

დიდი ჯვარი რომ დევს? ნაზისტვის ვიყიდე, ხანიაშვილისთვის, 2000 მივეცი ბაზრობაზე, ჩემნაირია იგი, ჩემნაირი“, – აღფრთოვანებას ვერ მალავდა მამა გიორგი. მეც აღფრთოვანდი და ვუთხარი: ნაზი ხანიაშვილი ჩემი ბავშვობის მეგობარია-მეთქი, თავი მოვიწონე, ყურადღება არ მომაქცია, ნაზით იყო აღფრთოვანებული. როცა მეგი იქიდან ჩამოვიდა, მაშინვე დამირეკა და მითხრა: „შენთვის მამა გიორგის ჯვარი აქვს ნაყიდი, გელოდება როდის ჩახვალ, რომ გაჩუქოს. „**მამა გიორგისთან ვინც ჩადის, თითქმის ყველას შენზე ესაუბრება**“.

ეს არ იყო პირველი შემთხვევა – მამა გიორგისთან ვიზიტიდან დაბრუნებულმა არაერთმა ადამიანმა დამირეკა და მითხრა, რომ მრევლთან შეხვედრისას ჩემს შესახებ ხშირად საუბრობდა მათთან მამა გიორგი და სურვილი ჰქონდათ ჩემთან შეხვედრის. ამიტომ არ გამკვირვებია მეგი ტატიშვილის ამ საკითხზე საუბარი.

მამა გიორგის პირადად ჩემთვის ხშირად უთქვამს, რომ ის მე თავის სულიერ დად მთვლიდა და დილის და საღამოს ლოცვებში ყოველთვის მომიხსენიებდა.

მამა გიორგის გარდაცვალების ამბავი რომ შევიტყვე, მეგიმ დამირეკა და ქუთაისში დაკრძალვაზე დასასწრებად წასვლა შემომთავაზა. მას ამ შემოთავაზებაზე უარი ვუთხარი. შევატყვე ჩემი უარი ძალიან გაუკვირდა.

დაკრძალვიდან დაბრუნებული მეგი დამიკავშირდა. მაშინ უკვე გულწრფელად მოვუყევი, რომ გარდაცვალების შემდეგ დაკრძალვის დღემდე გარდაცვლილი მამა გიორგი ჩემთან სტუმრობდა სახლში, მუდმივად მისაღებ ოთახში ერთ-ერთ სავარძელში იჯდა. მითხრა: „ძალიან დაღლილი ვარ, მინდა დავისვენო“. მისი დაკრძალვის დღეს რომ გავიღვიძე და ავდექი, ის ჩემს სახლში აღარ იყო. სწორედ ეს იყო ჩემი მამა გიორგის დაკრძალვაზე დაუსწრებლობის მიზეზი.

კიდევ ერთი უცნაური რამ მოხდა – მიყვება მეგი ტელეფონზე: დაკრძალვიდან მანქანით ბრუნდებოდნენ, სადაც იმყოფებოდა მეგის მეგობარი ექიმი ლია ბადურაშვილი დასთან ერთად. მგზავრობის დროს დაათვალიერეს დაკრძალვის პროცესში მობილურით გადაღებული სურათები. **აღმოჩნდა ერთი სურათი, რომელზედაც აღგაჭილი იყო ეკლესიიდან გამოსვინებული მამა გიორგი თავზე შარავანდედით და იქვე კარავში შემართულად მღვთმი თვითონ მამა გიორგი. ეს მართლაც ღიღი საოცრებაა!**

ამით მამა გიორგიმ გაგვიმხილა ჩვენი ამ ქვეყანაზე ყოფიერების ერთი დიდი საიდუმლო, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს,

რომ გარდაცვლილი ადამიანი თვითონ ესწრება თავის გასვენებას და დაკრძალვის ყველა რიტუალს.

ჩემს მეგობარს მეგის ვთხოვე ამ უცნაური და დიდად მნიშვნელოვანი ამბის შესახებ დაენერა და ჩემთვის ერქუქებია. ასეც მოხდა – მეგი ტატიშვილის ხელით დაწერილი ეს წერილი (2016წ. 23 ივლისი) დღემდე ინახება ჩემს არქივში. აწ უკვე გარდაცვლილმა ჩემმა ბავშვობის მეგობარმა ამ წერილში თავისი ბოლო საუკეთესო სურვილებიც დამიტოვა: **„მე ძალიან ვამაყოზ ჩემი საყვარელი მეგობრით ნაზი ხანიაშვილით, ღმერთმა შეაძლებინოს იმ ყველაფრის აღსრულება და ჩვენამდე მოტანა, რასაც უკვე რამდენი წელია რუდუნებით თავს დასტრიალებს“**

ჩემთვის დღემდე გაურკვეველია იმ ჯვრის ბედი, რომელიც მამა გიორგიმ ჩემთვის შეიძინა.

ბედნიერი ვარ, რომ უდიდესი ქართული სულიერების რელიგიურ მოღვაწეს მამა გიორგის პირადად ვიცნობდი. მასთან ხშირად მისაუბრია როგორც მისი სიცოცხლის პერიოდში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგ იმ საკითხებზე, რასაც 35 წელია ვიკვლევ, ვწერ და ვაქვეყნებ. ასეთი საუბრები ყველასთან არ შემეძლო. მამა გიორგი იყო ყველასგან გამორჩეული ღრმად კოსმიურად მოაზროვნე დიდი ქართველი და ჩემი საუკეთესო მეგობარი.

ქართული ფელთაღრიცხვები:

„ქართულ ადამს აქათ“ 8000 წელი

„ქართული დასაბამითგან“ 7600 წელი

„ქართული ქრონიკონით“ 7600 წელი

აღმოსავლეთ საქართველოში არქეოლოგიური კვლევებით მოძიებული არტეფაქტების შესწავლით დადგინდა, რომ ჯერ კიდევ **8000** წლის წინ ქართველები ღვინოს ქვევრში წურავდნენ. მაშინდელ საქართველოში ღვინო პირველი ცივილიზაციის რიტუალის ნაწილი იყო. ქართველები **8000** წლის მანძილზე მუდმივად და უწყვეტად ცხოვრობდნენ კავკასიაში დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე. კახელი და ქართლელი გლეხების მარნებში დღემდე ხმარებაშია ისეთი თიხის ნივთები და ქვევრები, როგორც ჰქონდათ **8000** წლის წინ აქ მცხოვრებ ქართველებს. ასევე აღსანიშნავია, რომ ქართველებს **8000** წლის წინ ჰქონდათ ქვევრის და საერთოდ თიხის ქურჭლის დამზადების ისეთი ტექნოლოგია, რომ **8000** წლის წინ დამზადებულმა თიხის ნაკეთობებმა ამდენი ათასწლეული გაუძლეს თოვლს, ყინვას, წვიმას, არ დაიშალა და მიწად არ იქცა.

საქართველო რომ ღვინის აკვანია და აქ ქართველები ღვინოს **8000** წლის წინ აწარმოებდნენ, ამის გამო იუნესკომ **2017** წელს საქართველო დედამიწაზე პირველი ღვინის სამშობლოდ აღიარა. აღსანიშნავია, რომ ღვინის დამზადება ევროპამ **5000** წლით გვიან დაიწყო. ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ **8000** წლის წინ, მაშინდელი ქართველები იყვნენ განვითარებული დიდი კულტურის ხალხი. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არაერთი არტეფაქტი მიანიშნებს, რომ საქართველო მსოფლიოს ხალხთა პირველსაწყისი ცივილიზაციის ცენტრია. ეს საკითხი მომავალში უფრო ნათლად წარმოჩინდება. ასეთ აღმოჩენათა რიცხვს მიეკუთვნება ამ ნაშ-

რომში წარმოდგენილი კვლევა უძველესი ქართული წელთაღრიცხვების შესახებ, რომელიც ქართველებმა ჯერ კიდევ **8000** წლის წინ დაიწყეს.

სამყაროს პირველი ადამიანების რწმენა-წარმოდგენებით ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით. ასო-ნიშნებს ციფრების სახით გამოსახავდნენ და ღმერთს ფუნქციას ანიჭებდნენ. პირველ ადამიანთა ეს ცოდნა დღემდე **კაბალას** სახელითაა ცნობილი: ეგვიპტურ-სემიტური კაბალა – „ტაროს არკანები“, შუმერთა „**მე“-ს** „ხვთაებრივი კანონები“, ჩინეთის იძინის **64** ჰექსაგრამა, ევროპელთა რუნები. კაბალას ცოდნაში აისახება პირველ ადამიანთა გენეტიკური მეტაფიზიკური ცოდნა სამყაროს დროში ცვალებადობის კოსმიური პროცესის შესახებ. ტაროს **22** არკანს ებრაელებმა თავისი **22** ასო-ნიშანი მიუწერეს. **30** წელზე მეტია ვიკვლევ კაბალას საიდუმლო კოსმიურ ცოდნას. აღმოჩნდა, რომ კაბალას ცოდნა ქართველი გენეტიკური ფენომენია და მსოფლიოში არსებული ანბანებიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. კაბალას ცოდნის სამშობლო საქართველოა – აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს ოდითგანვე კაბალა ერქვა. კავკასიის ალვანეთის (ალბანეთის) დედაქალაქი იყო ქ. კაბალა. სიტყვა კაბალა (კაბალა) ქართული წარმომავლობისაა, რაც ცეცხლის სტიქიის სამოსს – მატერიას ნიშნავს.

ბიბლიური კაბალას ცოდნა, რომ ქართული ფენომენია და სამყაროს კოსმიური პროცესის გენეტიკური კოდი ქართულ ანბანში აისახება, ეს ქართველებმა უხსოვარი დროიდან იცოდნენ. გავიხსენოთ გიორგი მერჩულეს (Xს) სიტყვები: „... ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის...“. ეს სიტყვები გვეუბნება, რომ სამყაროს მეტაფიზიკური დროის მდინარეა ქართულ ანბანში აისახება. გავიხსენოთ იოვანე-ზოსიმეს (IXს) სიტყვები „ქება“-დან: „ყოველი საიდუმლოდ ამას ენასა შინა დამარხულ არს“. ამ სიტყვებით იოვანე – ზოსიმე მიგვანიშნებს ქართული ენის და ანბანის განსაკუთრებულ მისიაზე. ამავე დროს შეგვახსენებს,

სამყაროს გენეტიკური კოდი

ძართული ანბანი				კაბალა	ძართული ფუნქციონირება	კაბალა თაროს არქანები №
1	ა	ბ	1	აღაზი - ავი	ძართ. აღაზი ძვ.წ. 6000 წ.	1
2	გ	დ	2			2
3	ე	ვ	3			3
4	ზ	თ	4			4
5	ი	კ	5			5
6	ლ	მ	6			6
7	ნ	შ	7			7
8	ო	ჩ	8			8
9	პ	ც	9			9
10	ყ	ძ	10			10
11	ჩ	ც	20			11
12	ც	ძ	30			12
13	ძ	ჩ	40			13
14	წ	ჭ	50			14
15	ჭ	წ	60			15
16	ხ	ჯ	70	ბაბელონის გოგონი		16
17	ჯ	ხ	80			17
18	ღ	ყ	90			18
19	ყ	ღ	100			19

20	ს	ს	200			20
21	ღ	ტ	300	ბრალის თახი		21
	ძ	ც				6ულო
22	Qd	უ	400	ვატლმვა	ძარო. მანბბა80 ძ. წ. 5600 წ.	6ულო
23	ფ	ფ	500			22-36-50-64
24	ქ	ქ	600			23-37-51-65
25	ნ	ლ	700			24-38-52-66
26	ყ	ყ	800			25-39-53-67
27	ყ	მ	900			26-40-54-68
28	ხ	ჩ	1000			27-41-55-69
29	ც	ც	2000			28-42-56-70
30	ძ	ძ	3000			29-43-57-71
31	ჩ	წ	4000			30-44-58-42
32	ს	ჭ	5000			31-45-59-73
33	ქ	ხ	6000		ძონტონ მანბრვა ძარო. კანბოვან 6000 წ.	32-46-60-74
34	ყ	ფ	7000			33-47-61-75
35	ჯ	ჯ	8000		ან.წ. 2000 წ. ძარო. კანბოვან 8000 წ.	34-48-62-76
36	ღ	ჭ	9000			35-49-63-77
37	ტ	ჭ	10000			78

რომ ამ ქვეყანაზე დადგება დრო, როცა ქართული ანბანის კოსმიური საიდუმლო გაცხადდება: „დამარხულ არს ენად ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა სანამებელად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“ ანუ ქართული ენით. ამ მინიშნებით მესიის მოსვლის წინასწარმეტყველება არ მოიაზრება, არამედ ქართული ანბანის კოსმიური საიდუმლოს წარმომჩენი იქნება ღმერთის რჩეული ჩვეულებრივი ქართველი ადამიანი. „ქებად“-ს წინასწარმეტყველება ახ. წ. **2000** წელზე მიაწინებს – დადგა დრო ქართული ანბანის საიდუმლო კოდის გახსნისა. ყველაზე დიდი კოსმიური საიდუმლო ცოდნა კაბალას არკანებია.

სიტყვა „არკანი“ ქართული სიტყვაა და „არჩანა“-დან მოდის, ე.ი ის რაც უხილავია, საიდუმლოა და არ ჩანს. ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია; სამყაროს ყოველი საიდუმლო ქართულ ენასა და ანბანში საიდუმლო კოდითაა ჩადებული.

ღმერთი ამბობს: მე ანბანი ვარო. ეს სიტყვები მხოლოდ იმ ანბანს ეკუთვნის რომელშიც ბიბლიური კაბალას ცოდნა აისახება, ასეთი კი მხოლოდ ქართული ანბანია. მამა ღმერთს თავზე გვირგვინად ადგას ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები, ის ასევე არის კოსმიური მხედარი და მხედრული ასო-ნიშნები შუბლზე აწერია. ვინაიდან ქართული ანბანი თვით ღმერთია, ის ქართულ ენაზე აზროვნებს („ლაპარაკობს“) ამიტომ სამყაროს შემოქმედმა თავის მსგავსად და ხატად შექმნილ ადამიანს „ქართველი ადამი“ უწოდა, რომლის შესატყვისი სიტყვა არის „ადამი-ანი“ და ქართული ანბანის „ა-ან-1“ ასო-ნიშნით წარმოჩინდება, საიდანაც ქართველებმა **8000** წლის წინ დაიწყეს წელთაღრიცხვა „ქართულ ადამს აქათ“. სიტყვა „ღმერთი“ (ღმ-ერთი) „ა-ან-1“ ასო-ნიშნის კოსმიურ პროცესთანაა დაკავშირებული. შუმერებიც, რომელთა წინაპრები ქართველები არიან, ღმერთებს ქართული ასო-ნიშნების გვერდით მიწერილი ციფრების სახელებით მოიხსენიებენ. (ნახეთ: ნ.ხ. – ქართველე-

ბი შუმერთა წინაპრები. 2013 წ.).

ქართველები რომ ქართულ ასო-ნიშნებს უხსოვარი დროიდან ღმერთების ფუნქციას ანიჭებდნენ და საკულტო ადგილებზე გამოსახავდნენ, ეს პირველსაწყისი ცნობიერება საქართველოში დასტურდება: გარეჯის კლდეებზე ამოკვეთილია **2-2,5** მლნ წლის ქრისტიანობის სიმბოლოები, სადაც თევზზე ამოკვეთილია ორი ქართული ასომთავრული ასო-ნიშანი – მამა ღმერთის სიმბოლური გამოსახულება, გრაკლიანის არქეოლოგიური გათხრებით – აღმოჩენილ სამლოცველოს ტიპის ნაგებობის კედლების ნარჩენებზე ასახულია ქართული ასო-ნიშნები (ძვ.წ. **XI**ს), არმაზის სტელა (ძვ.წ. **800** წ.), დავათის სტელა (ძვ. წ. **680** წ.).

კაბალას ცოდნა და შუმერები ცის ღმერთს „ან“-ს უწოდებენ. იგივეს ადასტურებს ქრისტიანთა ლოცვა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“, ე.ი. ამ სიტყვებითაც მამა ღმერთი ცაშია – ცის ღმერთია, სამყაროს შემოქმედია და მის შექმნამდეც არსებობდა, დაუსაბამო და მარადიულია. ქართული ანბანი თვით მამა ღმერთია. ამიტომ ქართული ანბანის შექმნელი ადამიანი ვერ იქნება. ქართული ანბანი გამოცხადებით მიღებული კოსმიური ნიშნებია და ფინიკიური ანბანიდან და სომხების შექმნილი არ არის.

ქართველები წელთაღრიცხვების გამოსახატავად ოდითგანვე ქართულ ასო-ნიშნებს იყენებდნენ: არმაზის სტელა (ძვ.წ. **800** წელი); დავითის სტელა (ძვ.წ. **680** წელი) და უამრავი თარიღიანი უძველესი ქართული ხელნაწერები. იერუსალიმში – საბანმინდის ლავრაში იოვანე-ზოსიმეს მოღვაწეობის დროს (**IX**ს.) ჰქონდათ მყარად დაფუძნებული ქართული წელთაღრიცხვები „დასაბამითგან“ და „ქრონიკონით“ – ორივე სათვალავი ქართული სისტემით არის მოცემული; მეტად საინტერესოა სვეტიცხოვლის აღმოსავლეთის გარე კედლის ნარწერა – „ქ. (ქართულ) ადამს აქათ შვიდიათას ას ოთხმოცდა ექვსი“ (**7186**) წელი და მაღალაანთკარის – მაღალაძეების მამულში

ერთ-ერთი კედლის ქვაზე წარწერა – „ქ. (ქართულ) ადამს აქათ შვიდიათას ას ოთხმოცდაათი“ (7190) წელი. ქართლის ცხოვრების ერთ-ერთ ხელნაწერში აღმოჩენილია ჩანაწერი ქართველთა მეფე ფარნავაზის შესახებ რომელმაც შექმნა მნიგნობრობა ქართული: „აქა მნიგნობრობა დაინყეს ქართველთა ქართულ ადამს აქათ ძლიზ (3712) წელს“, რაც არის ძვ. წ. 2288 წელი; ახ.წ. 2012 წელს შესრულდა ფარნავაზის მეფობის 4300 წელი.

წინასწარმეტყველებაა, რომ „ბოლო უამს ღმერთმა სოფელი (ქვეყანა) ქართულ ენაზე უნდა განიკითხოს“. ჩემი კვლევებით, სამყაროში ყველა და ყველაფერი, რაც მამა ღმერთმა შექმნა ცოცხალია, შეუძლიათ ინფორმაციის მიღება, გაცემა, შენახვა და ეს ყველაფერი ქართულ ენაზე ხდება. ქართული ენა სამყაროს ქვეცნობიერი აზროვნების ენაა.

ქართულ წელთაღრიცხვებთან დაკავშირებული წიგნის სახით დაბეჭდილი 144 გვერდიანი ნაშრომის პირველ და მეორე დანართში ასახულია ჩემს მიერ მოძიებული ისტორიული და არქეოლოგიური დოკუმენტური მასალა, სადაც ასახულია ათასწლეულების მანძილზე ქართული წელთაღრიცხვები. წიგნში წარმოდგენილი ასზე მეტი თარიღიანი დოკუმენტური მასალა მცირე ნაწილია იმ უდიდესი ისტორიული მასალისა, რაც საქართველოს სხვადასხვა საცავეებში მოიპოვება. (ნ.ხ. – ქართული წელთაღრიცხვები ... 2018 წ.). იუნესკოს მიერ 8000 წლის წინ, საქართველოს ღვინის სამშობლოდ გამოცხადებით, მსოფლიომ ქართველი ხალხი ჯერ კიდევ იმ დროისათვის უაღრესად განვითარებულ უდიდესი კულტურის ხალხად აღიარა, რომლებიც დღემდე კავკასიაში – საქართველოში ცხოვრობენ. ეს საფუძველს გაძლევთ აღიაროთ ჩემს მიერ ამ ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა – ქართული წელთაღრიცხვები: „ქართულ ადამს აქათ“ 8000 წელი, „ქართული დასაბამითგან (წარღვნიდან)“ 7600 წელი, „ქართული ქრონიკონით“ 7600 წელი, რაც წარმოაჩენს და ადასტურებს, რომ ქართველებს ჯერ კიდევ 8000 წლის წინ უკვე ჰქონდათ ქართული ანბანი და იცოდნენ, რომ

ქართული ანბანი კოსმიური ნიშნებია, რომელიც ადამიანთა შექმნილი არ არის და მასში აისახება დროში განერილი სამყაროს მეტაფიზიკური კოსმიური ცვალებადობა, რის საფუძველზეც ჯერ კიდევ 8000 წლის წინ ქართველებმა დაიწყეს „ქართულ ადამს აქათ“ ნელთალრიცხვის ათვლა.

სამივე ქართული ნელთალრიცხვა ქართულ ანბანში შემდეგნაირად აისახება: „ა-ან-1“ ქართული ასო-ნიშნის პირველსაწყისი კოსმიური პერიოდიდან – ძვ.წ. 6000 წელს დაიწყეს ქართველებმა ათვლა „ქართულ ადამს აქათ“ (დანართი პირველი); 300 წლის შემდეგ „22-უ-უნ-400“ კოსმიური პერიოდის დასაწყისში დაიწყო „ნარღვნის“ კოსმიური პერიოდი, რომელიც გაგრძელდა 100 წელი. „ნარღვნის“ დამთავრების შემდეგ – „ქართულ ადამს აქათ“ 400 წელს, ანუ ძვ.წ. 5600 (5604) წელს, ქართველებმა დაიწყეს ნელთალრიცხვების ათვლა „ქართული დასაბამითგან“ და „ქართული ქრონიკონით“ (დანართი მეორე); იულიუს აფრიკელის (221 წ.) ქრონოლოგიური კვლევების მიხედვით, ქრისტეს მეორედ მოსვლა მოხდა „ადამს აქათ“ 6000 წელს, რომელიც არის იგივე „ქართულ ადამს აქათ“ 6000 წელი და რომელსაც ქართულ ანბანში შეესაბამება „33-ხ-ხან-6000“ ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდი, რაც „ქართული დასაბამითგან“ და „ქართული ქრონიკონით“ არის 5600 (5604) წელი. აქედან დაიწყო ქრისტიანული ნელთალრიცხვა. ახ.წ. 2000 წელს დამთავრდა „33-ჯ-ჯან-8000“ ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდი, რაც „ქართული დასაბამითგან“ და „ქართული ქრონიკონით“ არის 7600 წელი.

ადამის ცივილიზაციის 10000 წლიანი კოსმიური ციკლის დასრულებამდე, რომელიც 8000 წლის წინ დაიწყო, ქართული ანბანის გენეტიკური კოდით დარჩა 2000 წელი, ანუ ახ.წ. 4000 წელს კაცობრიობა ცივილიზაციის ახალ ციკლში გადავა.

ზემოთ განხილულის მიხედვით, ქართული ანბანის გენეტიკურ კოდში აისახება არა მხოლოდ სამი ქართული ნელთალრიცხვა, არამედ აისახება მეოთხე – ქრისტიანული ნელთალ-

რიცხვაც.

ქართული ანბანი გენეტიკურად ოდითგანვე ქართველთა კუთვნილებაა. ქართველი ხალხი მსოფლიოში ერთადერთია, რომელთა ანბანშიც აისახება პირველ ადამიანთა კაბალას მეტაფიზიკური ცოდნა სამყაროს დროში განერილი გენეტიკური კოსმიური ცვალებადობის შესახებ, სადაც წარმოჩინდება ქართველთა სამივე უძველესი წელთაღიწივა. ქართველებს **8000** წლის წინ უკვე ჰქონდათ ქართული ანბანი, სხვაგვარად ისინი წელთაღიწივას ვერ დაიწყებდნენ, რომელსაც **XIX** საუკუნის მეორე ნახევრამდე უწყვეტად იყენებდნენ და წლებს ქართული ასო-ნიშნებით გამოსახავდნენ.

ამ ნაშრომში მოყვანილი ისტორიული არტეფაქტები ღირსეულად და საკმარისად მიმაჩნია გახდეს საფუძველი იმისა, რათა საქართველოს კულტურის სამინისტრომ და გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO) ქართული უძველესი წელთაღიწივები – „ქართულ ადამს აქათ“ **8000** წელი, „ქართული დასაბამითგან“ და „ქართული ქრონიკონით“ **7600** წელი, რომელიც აისახება ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში, აღიარონ საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის **8000** წლის ძეგლად.

მითოლოგია და არქეოლოგია გლობალური დათბობის შესახებ

მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებისთვის დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი **გლობალური დათბობის** საკითხია, რომელიც მომავალში უდიდესი კატასტროფების მიზეზი გახდება. მეცნიერთა ვარაუდით, ყოველივე ამის მიზეზია დედამიწაზე მზის მოქმედებით გამონვეული $1\div 5^{\circ}\text{C}$ -ით ტემპერატურის მომატება, ტრანსპორტის და ქარხნების გამონაბოლქვი, რომელიც დედამიწის ირგვლივ ამცირებს ოზონის შრეს. **ასეთ დასკვნებს არ ვეთანხმები.**

დღეს, ე.წ. გლობალური დათბობის ზეგავლენით, თითქმის მთლიანად დნება დედამიწის პოლუსებზე ყინულის საფარი, დნება გიგანტური მოცულობის აისბერგები, გახშირდა ცუნამები, მიწისძვრები, ვულკანური ამოფრქვევები.

აუცილებელია სწორად შევიმეცნოთ ე.წ. „**გლობალური დათბობის**“ ნამდვილი მიზეზი, რათა მიზანმიმართულად გატარდეს სათანადო ღონისძიებები. აუცილებლად და დროულად მიმაჩნია გაგიზიაროთ ამ საკითხზე ჩემი კვლევები და მოსაზრებები.

ჩვენი სამყარო ვაკუუმში შექმნილი უსასრულო განზომილებათა ღრონისა და სივრცის მეტაფიზიკური კოსმოსური სხეულია. ეს საკითხი ყველაზე დიდი სიღრმით ქართულ მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიურ სიმბოლიკაში აისახება.

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ქართველებმა იწინასწარმეტყველეს, როდის დადგებოდა ე.წ. „გლობალური დათბობის“ დრო დედამიწაზე და რა იქნებოდა ამის გამომწვევი მიზეზი; უჯრედის დონეზე იცოდნენ თუ როგორ არის სამყარო მოწყობილი; რომ უჯრედში გენეტიკური კოდის არა ორი, არამედ სამი სპირალია და მომავალში „ი-ან“-ის ორი სპირალი ერთ სპირალში

გაერთიანდება; სამყაროს ოთხი სანყისი (მინა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) ქმნის თითოეული უჯრედის 64 ნუკლეინის მუავას სამწუნულეს. ყოველივე ამას კოსმიური პროცესის სახით წარმოაჩენდნენ 64 ხვთისშვილის სახით და მიაჩნდათ სამყაროს ძირითად შემომქმედებად, რომლებიც არიან ნახევარღმერთები, ბერები, ბედის ბედაურის მფლობელები, მარადიულნი და უკვდავნი; ყველა ისინი არიან ერთის – გიორგი ნაღვარმშვენიერის 64 სახე – გამოვლინება. ბიბლიური კაბალას ეს ცოდნა აისახება მხოლოდ ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდი.



შუმერი (ძვ.წ. 3400 წ.)

ეს კოსმიური ცოდნა სამყაროს მოწყობის შესახებ, კავკასიიდან – საქართველოდან შუამდინარეთში წასულმა ქართველებმა წაიღეს და დააარსეს შუმერი (ნახეთ: ნ. ხ. – ქართველები შუმერთა წინაპრები, 2013 წ.). განვიხილოთ შუმერთა ქვის ბეჭედი (ძვ. წ. 3400 წ. ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი), სადაც გამოსახულია კოპალა, ბუქნა ბაადური, თერგვაული, დობილიანი იახსარი და მათი თანმხლები არსებები – ლომი, ხარი, არწივი, ქალი, რომლებიც ერთიანობაში ქმნიან სფინქსის ფენომენს და ასახავენ სამყაროს ოთხ სანყისს.

ქვის ბეჭედზე თევზის ზოდიაქოს ბოლოს გამოსახულია ორსახა

ღმერთი, რომლის ერთი სახე ქალია, ხოლო მეორე სახე – თეთრწვერა მოხუცი, იგივე ქართველთა დობილიანი იახსარია. ქართული მითების მიხედვით, იახსარი და მისი დობილი არიან ნახევარმზებები. ისინი შეერთდნენ თევზის ზოდიაქოს ბოლოს,

ანუ ახ. წ. 2000 წელს და ქმნიან გამთლიანებულ მზეს, ანუ ცეცხლის სტიქიას. მაშასადამე, შუმერთა ქვის ბეჭედზე ასახულია წინასწარმეტყველება, რომლის მიხედვითაც სწორედ ახლა, **ახ. წ. 2000 წელს დედამიწაზე დადგა სამყაროს მეოთხეა სან-ყისის – ცეცხლის სტიქიის აქტივობის პერიოდი, რაც დედამიწაზე აისახება არა ტიპიკურად ანაწილად, არამედ, ნებისმიერ უჯრედში დემ-ის დონეზე წარმოჩინდება ცეცხლის სტიქიის აქტიური მოქმედებით, რომელიც თავის თავში მოიცავს დანარჩენი სამი სტიქიის (მინა, წყალი, ჰაერი) გააქტიურებასაც.**

ბიბლიური კაბალას კოდით, რომელიც მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება, ახ. წ. 2000 წელი შეესაბამება ქართული ანბანის X – ჯ – 8000 ასო-ნიშანს და ეს თარიღი ქართული წელთაღრიცხვით არის „ქართ ადამს აქათ“ 8000 წელი. (ეს საუბრის დიდი თემაა). ქართული ასომთავრული ანბანის X ასო-ნიშანი ფაქტიურად არის დიაგონალური ფვარი, რომელიც არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში მამაღმერთს თავზე ადგას; უძველესი ხალხები **ცეცხლის სტიქიას დიაგონალური ჯვარის სახით გამოსახავდნენ**, რომლის სიმბოლური ასახვა არის „მზე“ და „ოქრო“. მიაჩნდათ, რომ ხვთაებრივი ცეცხლი არის უხილავი ღმერთის ხილული სახე.

მაიას ტომების წინაპრები თვლიდნენ, რომ მექსიკის და, საერთოდ, ცენტრალური ამერიკის ტერიტორიაზე მეტაფიზიკურ-კოსმოგონიური ცოდნა ღმერთზე, ადამიანზე და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, აღმოსავლეთიდან – „ამომავალი მზის“ ქვეყნიდან თეთრწვერა ღმერთმა კეცალკოატლიმ ჩაიტანა. ჩემი კვლევებით, „ამომავალი მზე“ თვითონ სამყაროს და ღმერთების დედა – ღვთისმშობელია, რომელსაც არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში თავზე ადგას მზის დისკო. თვითონ ხვთისმშობელია „ამომავალი მზე“, ხოლო მისი წილხვედრი ქვეყანა არის საქართველო. აქედან გამომდინარე, „ამომავალი მზის“ ქვეყანა სწორედაც საქართ-

ველოა და პირველ ადამიანთა – ქართველთა კოსმოგონიური რწმენა-წარმოდგენები სამყაროს მეტაფიზიკური მონყობის შესახებ რომ ემთხვევა მექსიკელთა და, საერთოდ, ცენტრალური ამერიკის ადამიანთა აზროვნებას, აღარაა გასაკვირი.

განვიხილოთ მსხვერპლშენიერვის რიტუალი მაიას ტომების უშორეს წინაპრებთან, სადაც ქურუმი შენიღული ადამიანის გულს უძღვნიდა მზის – ცეცხლის ღმერთს, ხოლო მოჭრილ თავს ჩამოაცვამდა ორი შეერთებული ქართული ასომთავრუ-



მაიას ცივილიზაცია – ღმერთები ჩამოღიან ცილან

ლი ანბანის X (ჯ) ასო-ნიშნის ორმაგად გადაბრუნებულ – X გამოსახულებაზე, რომელიც არის იგივე დიალონალური ჯვარი – ცეცხლის სტიქიის ღმერთის სიმბოლური გამოსახულება, რაც ასევე მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს სამყარო იქეთა სამყაროსთან მიმართებაში ორმაგად გადაბრუნებულ სარკის პრინციპზეა მონყობილი.

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე ქართველები, შუმერები და მაიას ტომები ცეცხლის სტიქიის უზენაეს ღმერთს, რომელიც სამყაროს ოთხი სანყისი სტიქიის (მინა, წყალი,

ჰაერი, ცეცხლი) გაერთიანებული კოსმიური ენერჯის გამოვლინებაა, გამოსახავდნენ ორი დიაგონალური ჯვრის სახით, რომელიც ქმნის სიტყვას „ჯ-ორი-ჯ“ ანუ „ჯორჯ“ იგივე „გიორგი“, რაც საქართველოს სახელთანაა დაკავშირებული. აი რატომ მოიხსენიებს მთელი მსოფლიო საქართველოს „ჯორჯია“ – „გიორგია“-ს სახელით, რომელიც სამყაროს უზენაეს ცეცხლის სტიქიის შემოქმედ ღმერთს, წარმართობის თეთრ გიორგის უკავშირდება. ბოლო ჟამს სწორედ თეთრ ცხენზე მჯდომი თეთრი გიორგი ცეცხლით და მახვილით განიკითხავს ქვეყანას.

ეს საკითხი კარგადაა გადმოცემული ქართულ მითებში. ერთ-ერთი ქართული მითის მიხედვით, ქაჯეთის მბრძანებლის ქალს მონადირე შეუყვარდა. ქალმა გრძელი ფრჩხილები დაიჭრა და **ცეცხლში ჩაყარა**. მონადირესაც შეუყვარდა ქალი და ცოლად შეირთო. ქალს მშობლები მოენატრა, ქმართან ერთად სამშობლოში დაბრუნდა და ქმარი ქაჯთა მბრძანებელს წარუდგინა. ქაჯთა მბრძანებელი **ამობრუნებულ ტახტზე იჯდა და თავზე გვირგვინი უკულმა ეხურა**. ამობრუნებული ტახტი სამყაროს ვერტიკალურად, ხოლო შებრუნებული გვირგვინი ჰორიზონტალურად, ანუ ორმაგად გადაბრუნებულ სარკის პრინციპზე მოწყობილ სამყაროზე მიგვანიშნებს. იგივე აზრია წარმოჩენილი ბიბლიური კაბალას ცოდნაშიც. კაბალას სამშობლო კი აღმოსავლეთი საქართველოა. (ნახეთ: ნ. ხ. – ქართული ანბანის სომხების შექმნილი არ შეიძლება იყოს, 2013 წ.). მაშასადამე, სამყაროს ჯერ კიდევ პირველმა ადამიანებმა – ქართველებმა იცოდნენ, რომ **აქეთა სამყარო იქეთა სამყაროსთან მიმართებაში ორმაგად გადაბრუნებული სარკის პრინციპითაა მოწყობილი**.

მექსიკის ტერიტორიაზე მნიშვნელოვნადაა ქართული ანბანის კვალი, რომლის შესახებ კოსმოგონიური ცოდნა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათთან უზენაესმა ღმერთმა კეცალკოატლიმ „ამომავალი მზის“ – სამყაროს დედის – ღვთისმ-

შობლის წილხვედრი ქვეყნიდან – საქართველოდან ჩაიტანა.

მაშასადამე, **მექსიკის უძველესი ხალხიც ცეცხლის სტიქიის ღმერთს ქართულ ასომთავრულ X – (ჯ) ასო-ნიშანთან – დიაგონალურ ჯვართან აიგივებდა.**

როგორც ამერიკის კონტინენტზე, ისე აზიასა და ევროპაში ყველაზე დიდი სასჯელი დიაგონალურ ჯვარზე გაკვრა იყო, რომელსაც ცეცხლის სტიქიის ღმერთის სიმბოლურ-ენერგეტიკულ გამოხატულებად თვლიდნენ.

ქრისტიანულ სამყაროში დიაგონალური ჯვარი ანდრია პირველწოდებულის სახელითაა ცნობილი. წმინდა მოციქული ჯვარზე გაკრული სიკვდილის წინ ორი დღე ქადაგებდა. ბოლოს უღმრთო ეგაეტმა განკარგულება გასცა, გაენტავისუფლებინათ წმინდანი, მაგრამ ანდრიამ მხურვალედ შესთხოვა უფალს დიაგონალურ ჯვარზე აღსრულების ღირსი გაეხადა.

ბიბლიიდან ასევე ცნობილია, რომ უფალი ბოლო ჟამს ცეცხლის სტიქიის ენერგიით მოახდენს განმწმენდას. ბოლო ჟამის შესახებ პეტრე მოციქული მეორე წერილში ამბობს: **„...ახლანდელი ცანი და დედამინა... გამზადებულნი არიან ცეცხლისთვის უღმრთო კაცთა გასამართლებისა და მოსპობის დღისთვის. ხოლო მოვა უფლის დღე ქურდივით, და მაშინ ზეცანი გრგვინვით გადაივლიან, გაპარპარებულნი სანყისებო დაიშლენ, დედამინა და მისი საქმენი რაც მასზეა, დაიწვებიან“** (2 პეტრე 3.5, 6, 7, 10, 11, 12).

ჟურნალ „ფენომენი“-ს ერთ-ერთ ნომერში (რედაქტორი გიგლა გობეჩია) გამოქვეყნდა ინფორმაცია მსოფლიოში საოცარი შემთხვევების შესახებ. ნახეს არაერთი შემთხვევა, როცა ადამიანის სხეული მთლიანად დაფერფლილია – „დამწვარია“, ხოლო სამოსი, რომელიც ზედ ეცვათ, ხელუხლებელია. ეს შემთხვევები ადასტურებს, რომ ადამიანთა სხეულებში ხდება პირველსაწყისი ელემენტების (მინა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) დაწვა-დაფერფლვა ისე, რომ **ადამიანს ცეცხლი არ უკიდია და ეს ხდება უჯრედის დნმ-ის დონეზე მიმდინარე ქიმიური ენ.**

„გლობალური დათბობის“ კოსმიური პროცესის შედეგად. მომავალში ეს საკითხი უფრო გლობალურ ხასიათს მიიღებს.

დედამინის პირველმა ადამიანებმა – ქართველებმა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იცოდნენ დედამინაზე ე.წ. „გლობალური დათბობის“ დრო და მიზეზი. ქართ ადამს აქათ 8000 წლიდან, რომელიც ბიბლიური კაბალას კოდით არის ქართული ანბანის X (ჯ) – 8000 ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდის შესაბამისი, ანუ ა.წ. 2000 წლიდან, დედამინაზე დადგა ცეცხლის სტიქიის, ორ – „ინ“ და „იან“ ურთიერთსაპირისპირო ძალთა შეერთების ათასწლეული, რომელიც ჩვენს პლანეტაზე უჯრედის დნმ-ის დონეზე ყველაზე და ყველაფერზე აისახება, რაც იწვევს ე.წ. „გლობალურ დათბობას“.

ბაბელონის გოდოლი, ოქროს საწმისი, გრაალის თასი, ნოეს კიდობანი, თვით ადამიანის სხეულია და შესაბამის საკითხებზე მითები იმ კოსმოსური პროცესების აღწერაა, რაც მიმდინარეობს თვით ადამიანის სხეულში.

ორი ურთიერთსაპირისპირო პირველსაწყისის გაერთიანება გამოიწვევს ურთიერთსაპირისპირო ენერგიების ერთი მიმართულებით მოძრაობას ე.ი. მიკრო და მაკრო სამყაროთა გარე ენერგია იცვლის მიმართულებას და იწყებს სამყაროს ცენტრის მიმართულებით – საათის ისრის მიმართულებით მოძრაობას. სამყაროში მიმდინარე პროცესის აღქმა ჰქონდათ ჯერ კიდევ პირველ ადამიანებს, რაც აისახებოდა რელიგიურ რიტუალებში, არქეოლოგიურ ძეგლებზე. დღესაც კი, მამაო ეკლესიაში წირვის დროს უვლის საათის ისრის მიმართულებით, ხოლო ეკლესიას გარედან უვლის საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით. ეკლესია განასახიერებს მიკრო და მაკრო სამყაროს განსხეულებულს – გამატერიალიზებულს 4 საწყისით. ამის გამოხატულებაა ტაძრის საკურთხეველში 4 საწყისის სიმბოლური გამოსახულებები: ლომი – მინა, ხარი – წყალი, არწივი – ჰაერი, ქალი (ადამიანი) – ცეცხლი.

იხ და იან ორი პირველსაწყისის გაერთიანება მეტაფიზი-

კურ დონეზე გამოიწვევს აქეთა და იქითა სამყაროთა შორის, ზღვარის წაშლას, რომლებიც ორმაგად გადაბრუნებულ სარკის პრინციპზეა მოწყობილი. ე.ი. აღარ იქნება ზღვარი იქეთა და აქეთა სამყაროთა შორის, ანუ საიქიოსა და სააქაოს შორის. ნებისმიერი მიკრო და მაკრო სამყარო შედგება „მე“ და მეორე „მე“-სგან. **ი6** და **ი16** პირველსაწყისთა შერწყმის შედეგად ისინი ერთ „მე“-ში გაერთიანდებიან, ანუ გაერთიანდება სული და მატერია და სიკვდილი აღარ იქნება. სწორედ ახლა, ახ. წ. 2000 წლიდან დაიწყო ეს პროცესი, რომელსაც მეცნიერებმა ე.წ. „**გლობალური დათბობა**“ უწოდეს. **ეს პროცესი დადამინაზი ყველაზე და ყველაფერზე დ66-ის 4 საწყისის დონეზე აისახება. აქედან გამომდინარე, გლობალურ დათბობას კავშირი არა აქვს დედამიწაზე მზის ტემპერატურის აწევასთან და ავტომობილების და საწარმოთა გამონაბოლქვთან.**

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე ქართველები, შუმერები და მაიას ტომები ცეცხლის სტიქიის უზენაეს ღმერთს, რომელიც სამყაროს ოთხი საწყისი სტიქიის (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) გაერთიანებული კოსმიური ენერჯის გამოვლინებაა, გამოსახავდნენ ორი დიაგონალური ჯვრის სახით, რომელიც ქმნის სიტყვას „ჯ-ორი-ჯ“ ანუ „ჯორჯ“ იგივე „გიორგი“, რაც საქართველოს სახელთანაა დაკავშირებული. აი რატომ მოიხსენიებს მთელი მსოფლიო საქართველოს „ჯორჯია“ – „გიორგია“-ს სახელით, რომელიც სამყაროს უზენაეს ცეცხლის სტიქიის შემოქმედ ღმერთს, წარმართობის თეთრ გიორგის უკავშირდება. ბოლო ჟამს სწორედ თეთრ ცხენზე მჯდომი თეთრი გიორგი ცეცხლით და მახვილით განიკითხავს ქვეყანას.

ი6 და **ი16** პირველსაწყისთა შერწყმა-გაერთიანება დასრულდება ახ. წ. 4000 წელს, რის შემდეგაც ქართული ანბანის გენეტიკური კოდით კაცობრიობა გადავა ცივილიზაციის ახალ ციკლში. სამყარო უბრუნდება პირველსაწყისს.

საკრალური საიდუმლო ცოდნა ქართველი ერის ღვთაებრივი სულის წიაღიდან

მრავალი ათასწლეულების წიაღში 35 წელი ვიკვლევდი ქართველი ხალხის შორეულ სანყის ფესვებში დაკარგულ და მიმობნეულ ქართული გენეტიკური სანყისების ზოგადსაკაცობრიო ღირებულების უძვირფასეს განძს, რომელიც დღემდე მოგვიტანეს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მოღვანე ქართველმა ქრისტიანმა წმინდა მამებმა.



„ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითაჲ ჟამი შეინირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების“.

გიორგი მერჩულე (X ს.), ქართველი მწერალი, ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელია. პ. ინგოროყვას განმარტებით „მერჩულე“ სამართლის სპეციალისტ თეოლოგს, რჯულის მეცნიერს ნიშნავს. მოღვანეობდა ხანძთის სავანეში.

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“-დან მოვიყვანოთ ქართველი ერისთავის ერთი მნიშვნელოვანი გამონათქვამი: **„ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითაჲ ჟამი შეინირვის და ლოცვად ყოველი აღესრულებს“.** სადაც „ფრიადი ქვეყანა“ ძველი ქართული ენით ნიშნავს „მთელ ქვეყანას“.

ამ სიტყვებმა ჩემი აზროვნება გადაიყვანეს იბერიის ცივილიზაციათა შორეულ შუმერთა პერიოდში, რომელთა მითებშიც აისახება გიორგი მერჩულეს ზემოთ მოყვანილი გამონათქვამები. „იყო დრო, როცა ამ ქვეყანაზე არ იყო გველი, მორიელი, აფთარი, ლომი, ძაღლი, მგელი, შიში არ იყო, ძრწოლა არ იყო, კაცთა მოდგმას მტერი არ ჰყავდა. შუმერის მხარე ტკ-

ბილმეტყველი, დიადი ქვეყანა დიდებულ წესთა, მთელი სამყარო, მორჩილი ხალხი ერთ ღმერთს ერთ ენაზე ადიდებდა“ (ს.ნ. კრამერი – ისტორია ინყება შუმერიდან, 1988წ. გვ. 32-33). იმ პერიოდში შუმერიდან ჩრდილოეთით, შვიდი მთაგრეხილის იქეთ, მდებარეობდა „არათა“-ს ქვეყანა, რომელიც შუმერთა მითებით არის სამყაროთა დედოფლის – ქალღმერთ ინანას „სამკვიდრებელი სახლი და განსასვენებელი“.

ჩემი კვლევებით აღმოჩნდა, რომ „არათა“-ს ქვეყანა არის ქართველთა „რანთა“ და „არანთა“ ქვეყანა, იგივე შუმერთა „უფლის წმინდა გულით არჩეული დიადი ქვეყანა დიდებულ წესთა“ ანუ „მე“-ს „ღვთაებრივი კანონების“-ს – შუმერთა „კაბალა“-ს სამშობლო ქვეყანა. შუმერთა ამ მითიდან ჩანს, რომ საქართველოს მიწა-წყალი ჯერ კიდევ მაშინ ითვლებოდა „სამყაროთა დედოფლის“, ქალღმერთ ინანას სამშობლოდ და სამკვიდრებელ ქვეყანად. ჯერ კიდევ იმ დროს კაცთა მოდგმას მტერი არ ჰყავდა, დედამიწაზე მხოლოდ ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილი ხალხი ცხოვრობდა და ერთ ღმერთს ერთ ენაზე – „არათა“-ს ხალხის ენაზე ადიდებდა და ეს იყო ქართული ენა. (ნახეთ: ნ.ხ. – ქართველები შუმერთა წინაპრები, 2013წ.).

შუმერთა ერთ-ერთი მითის მიხედვით, ქალღმერთი ინანა აგზავნის მოციქულს თავის სამშობლო ქვეყანა „არათა“-ში და ავალებს ადგილზე დაამზადონ ოქროს ნაკეთობები, ძვირფას ქვებთან ერთად ჩაიტანონ შუმერში და როგორც დიდი სინმინდები დააბრძანონ სპეციალურად აგებულ ტაძარში. დღევანდელი საყდრისის ოქროს საბადო მდებარეობს სწორედ „რანთა“ (არანთა) ქვეყნის ანუ მაშინდელი „არათა“-ს ტერიტორიაზე. მეცნიერთა გამოკვლევით საყდრისის ოქროს სინჯი დაემთხვა მსოფლიოში ყველაზე ძველი ცივილიზაციის შუმერთა ნაკეთობებს ევროპის ქვეყნების სხვადასხვა მუზეუმებიდან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო არის შუმერთა ქალღმერთ ინანას სამშობლო და სამკვიდრებელი ქვეყანა „არათა“, სადაც მსოფლიოს ყველა ადამიანი ერთ ღმერთს ერთ

ენაზე – ქართულ ენაზე ადიდებდა.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

1. გიორგი მერჩულეს სიტყვები – **„ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების“** გადმოგვცემს ისტორიულ გენეტიკურ ინფორმაციას, რომ იყო დრო, როდესაც მთელი ქვეყანა ერთ ენაზე – ქართულ ენაზე ლაპარაკობდა. ეს იყო მაშინ, როცა ამ ქვეყანაზე ჯერ კიდევ არ იყო ბოროტება.

2. სიტყვები: **„რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის“**, წარმოაჩენს ქართველთა უძველეს აზროვნებას, რომელთა ცნობიერებაში დრო-ჟამი ქართული ანბანით აისახებოდა, როგორც დროში განერილი სამყაროს გენეტიკური კოდი. ქართველებმა ჯერ კიდევ 8000 წლის წინ დაიწყეს „ქართულ ადამს აქათ“ ნელთაღრიცხვა, ხოლო „ქართული დასაბამითგან“ – „ნარღვნიდან“ ნელთაღრიცხვა დაიწყეს 7600 წლის წინ. ორივე ნელთაღრიცხვა აისახება ქართულ ანბანში (ნახეთ: ნ.ხ. – „ქართული ნელთაღრიცხვები“, 2018წ.).

3. სიტყვები: **„ქართულითა ენითაღ ლოცვაჲ ყოველი აღსრულების“** გვეუბნება, რომ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში მცხოვრებმა ქართველებმა იცოდნენ, რომ ღმერთი მხოლოდ ქართულ ენაზე აზროვნებს და ამყარებს ინფორმაციულ კავშირს ადამიანებთან. ღმერთი მხოლოდ ქართულ ენაზე წართმეულ თხოვნას და ლოცვას შეისმენს და აღასრულებს.



„ყოველი საიდუმლოჲ ამაჲს ენასა შინაღ დამარხულ არს“.

იოვანე-ზოსიმე არის X ს-ის სასულიერო მწერალი, ჰიმნოგრაფი, მთარგმნელი. მოღვაწეობდა ჯერ პალესტინაში, საბანშინდის ლავრაში, ხოლო შემდეგ სინას მთაზე. მას ეკუთვნის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „საგალობლნი იადგარნი“, რომელიც სხვადასხვა ლიტერატურული ძეგლიდან ამოკრებილ თხზულებათა კრებულია. განსაკუთრებით აღსანი-

შნავია ცხოველი პატრიოტიზმით გამორჩეული საგალობელი „ქება და დიდება ქართულისა ენისა“, რომელიც ე.წ. „სინას მრავალთავი“-ს განხილულ საკითხთა ჩამონათვალში **„შესხმა ქართველთა და ქართველთა ენისა“**-ს სახელითაა წარმოჩენილი. სწორედ ამ სათაურითაა დაბეჭდილი 2010 წელს ჩემი კვლევა იოვანე-ზოსიმეს „ქება“-ს საგალობელის შესახებ. იოვანე-ზოსიმეს სამ ხელნაწერს ბოლოში მიწერილი აქვს მისი სახელი – „იოვანე-ზოსიმე“, რაც ადასტურებს, რომ „ქება“-ს ტექსტის ავტორი არის იოვანე-ზოსიმე.

განვიხილოთ პატარა ნაწყვეტი „ქება“-ს ტექსტიდან: **„ყოველი საიდუმლოა ამას ენასა შინა დამარხულ არს“**, რომელშიც აისახება ქართული ენის, ქართული ანბანის და ქართული გენის ღრმად კოსმიური ღვთიური წარმომავლობა. ქართულ ენაში მოიაზრება ასევე ქართული ანბანი.

ჩემი კვლევებით სამყაროს ყველაზე დიდი კოსმიური საიდუმლო არის პირველ ადამიანთა გენეტიკური ცოდნა სამყაროს მეტაფიზიკური მონყობის შესახებ, რომელიც დღემდე მოსულია „კაბალა“-ს სახელით და რომელიც მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. არსებობს ჩინური, ევროპული, შუმერული და ეგვიპტურ-ებრაული კაბალა. მათ ყველას ქართული სანყისი აქვთ და ერთ დროს გატანილია აღმოსავლეთ საქართველოდან, რომელსაც ოდითგანვე კაბალა ერქვა. (ნახეთ: ნ.ხ. – ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან, 2012წ. გვ. 8 – **„კაბალას ცოდნა თავის სამშობლოს – საქართველოს დაუბრუნდა“**). კაბალას ცოდნით, ქართული ანბანის თითოეულ ასო-ნოშანს შეესაბამება თავისი შესატყვისი კოსმიური პროცესი განწერილი დროში, რომელიც წარმოჩინდება ქართულ ანბანში ასო-ნიშნების გვერდით მიწერილი ციფრებით. კაბალას ცოდნაში აისახება ნებისმიერი მიკრო და მაკრო სამყაროს გენეტიკური კოდი დროის ფარდობითობის გათვალისწინებით. სიტყვებში **„ყოველი საიდუმლოა ამას ენასა შინა დამარხულ არს“**, მოიაზრება ქართული ასომთავრული ანბანის ჭეშმარიტი

კოსმიური არსი. იგი არის გენეტიკური კოდის ერთიანი ჯაჭვი და თითოეული ასო-ნიშანი ამ ჯაჭვის შემადგენელი რგოლია, ხდება მათი მონაცვლეობა დროში.

თითოეული ქართული ასო-ნიშანი წარმოადგენს „**ღმერთის ბეჭედს**“, არსთა წრებრუნვის მარადიული კოსმიური პროცესისას, რომელიც მოიცავს ღმერთთა სამყოფელს, სიცოცხლის ხეს, გოგირდის და ცეცხლის ტბას და ა.შ. მთლიანად სამყარო ამ პროცესის ასახვაა და დროის ნებისმიერი მომენტისთვის მას შეესაბამება თავისი გარკვეული ადგილი გენეტიკური გზის მთლიან პროცესში. ქართული ასომთავრული ანბანი თავისი კოსმიური გენეტიკური არსით ერთდროულად შეიცავს სამყაროს როგორც წარსულს, ისე აწმყოს და მომავალს.

ქართულ ენაში აისახება თვით სიტყვის კოსმიური არსი და შინაარსი. სამყაროს ყველა საიდუმლო ქართულ ენასა და ქართულ ანბანშია ჩატვირთული, დაუნჯებელი, გასაიდუმლოებული, მიძინებული, „დამარხული“, ყველა და ყველაფერი მასშია.

ქართველი ენათმეცნიერი **აკად. ნიკო მარი** ქართულ ენას შემდეგნაირად ახასიათებს: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც შეიძლება გამოითქვას რაგინდრა ენით. აზრი არ მოიპოვება არცერთ ენაზე, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული სამწერლობო ენაა. ქართული ენის შეუსწავლელად ვერცერთი კულტურული სიძველის საკითხი ვერ გადაწყდება. **ქართულ ენას ფრიალი პატივისცემა და დიდება მოელის მეცნიერებაში**“.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ქართული ენის შესახებ ამბობს: „ქართული ენა არის ღრმა, უნაპირო, თავმდაბალი და მიუწვდომელი, ვითარცა გონება და სიყვარული. მასშია მთელი საქართველო... ზეცაა მისი სანყისი, უფალია მისი მყოველი და მფარველი“.



„ბოლო ჟამს ღმერთი ქვეყანას ქართულ ენაზე განიკითხავს!“

სინას მთაზე მოღვაწე სასულიერო მწერლის და ჰიმნოგრაფის იოვანე-ზოსიმეს (Xს.) მიერ შედგენილ „**სინას მრავალთავში**“ არის წინასწარმეტყველება, რომ „**ბოლო ჟამს ღმერთი ქვეყანას ქართულ ენაზე განიკითხავს**“.

არაერთი მკვლევარი იკვლევდა ამ საკითხს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კითხვაზე პასუხი, თუ რატომ უნდა „**განიკითხოს ღმერთმა ქვეყანა ბოლო ჟამს ქართულ ენაზე**“, დღემდე ღიად რჩება. ჩვეულებრივი მეცნიერისთვის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია, ვინაიდან ეს საკითხი უკვე მეტაფიზიკაა.

თითქმის 35 წელია ვმუშაობ მეტაფიზიკაში, ვიკვლევ ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობას და ვმკურნალობ ავადმყოფებს. ამ საკითხებზე მუშაობამ საშუალება მომცა გამომეკვლია ადამიანის უჯრედების მეტაფიზიკური უნარ-თვისებები. აღმოვაჩინე, რომ ადამიანის და კოსმოსის ნებისმიერი მიკრო თუ მაკრო სამყარო ცოცხალი უჯრედია, შეუძლია ინფორმაციის მიღება, შენახვა, გადაცემა და აზრებით საუბარი. ეს დაედო საფუძვლად ადამიანთა ავადმყოფობის დიაგნოზის გამოკვლევას. უჯრედებიდან ვღებულობ მორზეს ანბანის მსგავს ერთგვარ იმპულსებს, რომელიც ინფორმაციის მატარებელია და ჩემს გონებრივ აპარატში იმიფრება და წარმოჩინდება ინფორმაციის სახით. ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ის არის, რომ უჯრედები მპასუხობენ და მანვდიან ინფორმაციას მხოლოდ ქართულ ენაზე დასმულ კითხვებზე, მიუხედავად იმისა იციან თუ არა მათ ქათული ენა. ასეა მიცვალებულებთან ინფორმაციული კონტაქტის დროსაც – მხოლოდ ქართულ ენაზე მიდის აზრებით საუბარი. სამყაროს ნებისმიერი უჯრედი – მიკრო და მაკრო სამყარო ერთმანეთს აზრებით უკავშირდება მხოლოდ ქართულ ენაზე. ეს კი ნიშნავს, რომ შემოქმედი მამა ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო მხოლოდ ქართულ ენაზე

აზროვნებს და მეტყველებს.

არაერთხელ მივმართე სხვადასხვა შესაბამისი დარგის სპეციალისტებს, რომ დაეფიქსირებიათ, გამოეკვლიათ და შეესწავლათ ავადმყოფთა ორგანიზმიდან გამოსული და ჩემს გონებრივ აპარატში შემოსული ინფორმაციის მატარებელი მორზეს ანბანის მსგავსი ელექტრო-მაგნიტური იმპულსები, რომლებიც ავადმყოფების დიაგნოსტიკის დროს ახლოს მდგომ ადამიანებს ყველას ესმოდათ. მაგრამ თანამედროვე მეცნიერები ამ კვლევებისთვის არ აღმოჩნდნენ მზად.

რამდენიმე წლის წინ მქონდა გარდაცვლილი ნათელმხილველის და წინასწარმეტყველის ვანგას გამოცხადება, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე აზრებით მელაპარაკებოდა. ჩემს კითხვაზე: **„რატომ მელაპარაკები ქართულ ენაზე?“, ვანგამ მიპასუხა: „კოსმოსი ქართულ ენაზე ლაპარაკობს“.**

წინასწარმეტყველება ბოლო ჟამის შესახებ, რომელიც გვამცნობს, რომ ბოლო ჟამს **„ღმერთი ქართულ ენაზე განიკითხავს ქვეყანას“**, ეს იმას ნიშნავს, რომ თვითონ ღმერთი ქართული გენის მოდგმისაა, მისი აზროვნების და მეტყველების ენა ქართულია. მამა ღმერთი ქართულ ენაზე განაგებს და მართავს სამყაროს. მან თავის მსგავსად და ხატად დედამიწაზე მხოლოდ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა მოდგმა შექმნა.

ყოველივე ზემოთ განხილულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ბოლო ჟამს ღმერთი აუცილებლად მხოლოდ ქართულ ენაზე განიკითხავს ქვეყანას. ცეცხლის სტიქიის უზენაესი ზეციური ღმერთი – თეთრ ცხენზე მჯდომი კოსმიური მხედარი ახ.წ. 2000 წელს უკვე მოვიდა დედამიწაზე და დაიწყო ბოლო ჟამის განკითხვა, რომელიც გაგრძელდება ახ.წ. 4000 წლამდე, რის შემდეგაც ცივილიზაცია დედამიწაზე გადავა ახალ კოსმიურ ციკლში.



„მე ვარ ალფა და ომეგა, დასაბამი და დასასრული“.

დედამიწის პირველ ადამიანთა რწმენა – წარმოდგენებით ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით. მათ ღმერთის ფუნქციას ანიჭებდნენ და თაყვანს სცემდნენ.

ტახტზე მჯდომარე ღმერთი ამბობს: **„მე ვარ ალფა და ომეგა, დასაბამი და დასასრული,“** რომელიც არის **„თეთრ ცხენზე მჯდომარე, მისი თვალები ცეცხლის ალი და მის თავზე მრავალი გვირგვინი. მის სამოსელზე და მის თქობზე დაწერილი აქვს სახელი: მეფეთ – მეფე და უფალთ – უფალი, ღმერთი ყოვლისმპყრობელი“.** (გამოცხ. იოან. 19-6,11,12,16).

მართალია ბიბლიაში მოხსენიებულია „ალფა და ომეგა“ – ბერძნული ანბანის პირველი და უკანასკნელი ასო-ნიშნები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ღმერთმა ბერძნული ანბანის მიმართ თქვა: „მე ვარ დასაბამი და დასასრული, პირველი და უკანასკნელი“. ბერძნების მიერ შედგენილ ბიბლიას ქართული გენეტიკური საწყისები აქვს და სრულიად განსხვავდება ბიბლიური „კაბალა“-ს ცოდნისგან, რომელსაც ასევე ქართული გენეტიკური საწყისები აქვს და მასში ასახული პირველ ადამიანთა გენეტიკური ცოდნა სამყაროს მეტაფიზიკური მოწყობის შესახებ ქართული ანბანის 37 ასო-ნიშანში აისახება. ამასთანავე ბერძნები სემიტური მოდგმის ხალხია და დედამიწაზე არსებობის სულ რაღაც 5700 წლის ისტორია აქვთ. ბიბლიაში ასახული კოსმოგონიური ცოდნა სამყაროს მეტაფიზიკური მოწყობის შესახებ ბერძნებმა შუმერებისგან აიღეს, რომელთა წინაპრები არიან ქართველები (ნახეთ: ნ.ხ. – წარმართული ქრისტიანობის კვალი საქართველოში, 2020წ. გვ.3 – „ბიბლიის ძველი აღთქმის ქართული გენეტიკური საწყისები“).

ბიბლიური „კაბალა“-ს ცოდნა ადასტურებს, რომ ანბანი, რომლის შესახებაც ღმერთი ამბობს: **„მე ვარ ანი და ოხი (ალფა და ომეგა), დასაბამი და დასასრული“**, არის მხოლოდ ქართული

ანბანი.

ქართულ ანბანში „პირველი“ ასო-ნიშანი „ან-1“ სამყაროს შემოქმედი ცის ღმერთია. ჩინური კაბალას – „იძინი“-ს პირველ ჰექსაგრამაში – „ციან“-ის იეროგლიფურ გამოსახულებაში ქართული ასომთავრული „**ა**ნ) – 1“ ასო-ნიშანია გამოსახული.

ქართულ ანბანში „უკანასკნელი“ ასო-ნიშანია „**ჟ** (ოხი) – 37“, რომელიც არის იგივე ბერძენთა „**ო**-დიდი“ (ომეგა) და ქართულ წერილობით ტექსტებში გამოიყენება მხოლოდ გრძელი „**ო**“-ს ადგილას. ქართველები ძველ ხელნაწერებში სიტყვა „უფალი“-ს ნაცვლად „**ო**“ ასო-ნიშანს წერდნენ. მაშასადამე, „**ო**“ ასო-ნიშანი ქართულ ანბანში უფლის კოსმიური არსის გამომხატველია.

ქართველები უხსოვარი დროიდან სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთის თავყანისცემის ნიშნად საკულტო ადგილებზე ქართულ ასო-ნიშნებს გამოსახავდნენ. ამის მაგალითებია: გარეჯის კლდეზე ამოკვეთილ თევზზე ასახულია ორი ქართული ასომთავრული ასო-ნიშანი (ძვ.წ. 2,5 მლნ.წ.); გრაკლიანში აღმოჩენილია ათი ქართული ასო-ნიშანი, რომელთაგან ცხრა მხედრულია, ერთი – ასომთავრული (ძვ.წ. XI ს.); არმაზის სტელაზე ამოკვეთილი ორი ასომთავრული ასო-ნიშანი (ძვ.წ. 800 წ.); დავათის სტელაზე ასახული 37 ქართული ასომთავრული ასო-ნიშანი (ძვ.წ. 680წ.). **ყველაფერი ეს წარმოაჩენს ქართველთა წარმართულ ქრისტიანობას.**

ჩემს ხილვით გამოცხადებებში მამა ღმერთი თეთრწვერა მოხუცია და ბერის სამოსი აცვია, რომელსაც თავზე მრავალი გვირგვინი ადგას – ეს ქართული ასომთავრული ასო-ნიშნებია. ის მრავალსახაა, მისი ერთ-ერთი სახეა თეთრ ცხენზე მჯდომი კოსმიური მხედარი, რომელსაც შუბლზე ქართული მხედრული ასო-ნიშნები აწერია. ვინაიდან სამყაროს შემოქმედ ღმერთს ბერის სამოსი აცვია, აქედან დაერქვა „იბერიის ცივილიზაცია“ ეს სახელი.

ქართული ანბანი არის სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთი, „ანი და ოხი, პირველი და უკანასკნელი – დასაბამი და დასასრული“, რომელიც ყველგან მყოფია. ის ყველაფერშია და ყველაფერი მასშია.

უკვე ათასწლეულებია ადამიანები შესთხოვენ „ან“ – „ცის“ ღმერთს: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა...“ ახ.წ. 2000 წლისთვის ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ვედრება ღმერთმა შეისმინა და მობრძანდა ბოლო ჟამის ცეცხლის სტიქიის ღმერთი – თეთრ ცხენზე მჯდომი კოსმიური მხედარი, რათა დაამყაროს თავისი წესრიგი როგორც „ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“.

დედამინაზე დადგა „ცის მუფების პერიოდი“.

არიული თეთრი რასა ქართველები და საქართველო

ძველ ინდურ და ირანულ ენებზე „არია“ კეთილშობილს ნიშნავს. XIX საუკუნის შუა წლებიდან ამ ტერმინს უმართებულოდ იყენებდნენ ინდოევროპულ ოჯახში შემავალ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა კრებით სახელად, რასაც საფუძვლად ედო მცდარი წარმოდგენა ამ ხალხთა რასობრივი და კულტურული ერთიანობის შესახებ. ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს არ ახასიათებთ რაიმე განსაკუთრებული საერთო თვისებები და არ წარმოადგენენ განსაკუთრებულ რასას.

ფაშისტურ გერმანიაში „არიული რასის“ ტერმინს ანტიმეცნიერული შინაარსი მიანიჭეს და რასობრივი დისკრიმინაციის იარაღად გამოიყენეს. გერმანელები თვლიდნენ, რომ ისინი არიან არიული თეთრი რასის ყველაზე წმინდა წარმომადგენლები.

სამყაროს ბოროტ სანყისად ითვლება „კალი“, რომელსაც **არა აქვს არიული სანყისი წარმომავლობა** ანუ არიული რასა არსებობდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა დედამიწაზე ბოროტი ძალა არ არსებობდა და, შუმერული მითოლოგიის მიხედვით, კაცთა მოდგმას მტერი არ ჰყავდა. («Мифы народов мира» в 2-х томах, 1980г; т.1, ст. 615 – Кали). კალის კულტის სემიტური რასის ხალხებს, მათ შორის კალჭუ-კოლხებს, რომელთა სამშობლო ზემო შუამდინარეთშია მდ. ტიგროსის მარჯვენა ნაპირზე, **არა არიული სანყისები აქვთ**. მათი ჟამი ერთხელია, მაშინ როცა ქართველები „მრავალჟამი ერი“ ვართ.

XIX საუკუნის რუსი სწავლული რელიგიათმცოდნე და ფილოსოფოსი ელენა ბლავატსკაია არიული რასის შესახებ წერს: **არიული რასა ერთ-ერთი უძველესია დედამიწაზე და ითვლის დაახლოებით მილიონ წელს; უკანასკნელია ებრაულ-სემიტური რასა, რომელიც არ არის 8000 წელზე ადრეული.** (Журн.

„Наука и религия“, 2-1989г., Е. Блаватская –Тайная доктрина). თვით სემიტური მოდემის ხალხთა რწმენა – წარმოდგენებით მათთვის სამყარო სულ რაღაც 5700 წლის წინ შეიქმნა, მაშინ როცა 8000 წლის წინ ქართველებს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე გვექონდა საკულტო ადგილები, სადაც ზედაშეს ქვევრში ყურძენს ვწურავდით და ღვინოს ვაყენებდით; გვექონდა ქართული ანბანი, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდი, რომელშიც აისახება ქართული ნელთაღრიცხვები – ქართულ ადამს აქეთ 8000 წელი და დასაბამითგან ანუ წარღვნიდან 7600 წელი. დმანისის არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილია 1,7 მილიონი წლის ადამიანთა ჩონჩხების ნაშთები. ასეთი ძველი ცივილიზაციის ხალხი, როგორც არიან ქართველები, დედამიწაზე იშვიათია. ამიტომ აუცილებელია დავადგინოთ რა კავშირი აქვს პირველსაწყის არიულ რასას საქართველოსთან და ქართველებთან.

ირანის თანამედროვე სახელია „**არიანა ვეჯა**“ – **არიელთა ძველი ტომების სამშობლო**, საიდანაც იწყება „კეთილი ქვეყნების ჩამონათვალი და რომელიც ღმერთმა კაცობრიობის საკეთილდღეოდ შექმნა“. ეს ქვეყანა მდებარეობდა ირანის ჩრდილო-დასავლეთით სამხრეთ კავკასიაში. ირანელები „არიანა ვეჯას“ ასევე „**ირანის ქართლს**“ **უნოდებენ და მოიხსენიებენ არიული რასის საწყის ქვეყანად**.

ქართული წყაროებით „რანი“ და „არანი“, სომხური – „რანი“, სირიული – „არანი“, ბერძნული „არიანი“, კავკასიის ალვანეთის (ალბანეთის) არაბიზირებული სახელწოდებაა. მაშასადამე, ქართული „რანი“ – „არანი“ იგივე „არიანი“-ა. ამ სახელმწიფოს მმართველთა დინასტიის ტიტულია „არან-შაჰი“.

პირველი ქართული ისტორიული თხზულებების „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით, ქართველი ხალხის თავდაპირველი სამშობლო არის „არიან ქართლი“. ქართველი მკვლევარებისთვის „არიან ქართლის“ საკითხი ერთ-ერთ კარდინალურ პრობლემას წარმოადგენს.

დიდი ქართველი მეცნიერი აკად. ე. თაყაიშვილი ერთ-ერთ თავის პუბლიკაციაში „არიან ქართლის“ შესახებ წერს: „აკად. სიმონ ჯანაშია ერთ თავის უმნიშვნელოვანეს გამოკვლევაში წერს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილი, შემდეგ გადაკეთებული, რომელსაც მანამდე ყველა მკვლევარი კითხულობდა „არან ქართლი“, უნდა იკითხებოდეს „არიან ქართლი“. სიტყვა „არიან“-ი, როგორც ცხადად ირკვევა „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელს ამოუღია აპოკრიფული მოთხრობიდან „ქუბი საგანძური“, ხოლო ივ. ჯავახიშვილი მას „განძთა ქვაბს“ უწოდებს. ყველა ზემოთქმული ცხადყოფს, რომ „არიან ქართლი“ არ წერებულა „ქვაბი საგანძურის“ აპოკრიფში, არამედ იკითხებოდა სოფლის სახელი „არიანი“. მან თვითნებურად, ტენდენციურად მიუმატა სიტყვა „ქართლი“ და თავის მიერ შეთხზული „არიან ქართლი“ დასახა სამეფოდ, რომლის მეფის შვილიც იყო აზო, ალ. მაკედონელის მიერ მცხეთაში მეფედ დადგენილი. აზო „წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა“, იქიდან წამოიყვანა „რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი და დაასახლა მცხეთას“. ამათგან წარმოიშვნენ მცხეთის სამეფოს ქართველები, ხოლო აზო იყო პირველი მეფე ქართლისა და, უნდა ვიფიქროთ, მამამთავარი ქართლის შემდეგი მეფეებისაო. ასეთია უცნაური ფანტასტიკური ლეგენდა ქართლის მოქცევის შემდგენლის მიერ შეთხზული. ჩვენი ქრონიკის მიხედვით ქართველები საქართველოში არ ყოფილან ალ. მაკედონელამდე (ძვ. წ. IV ს.); ლეონტი მროველის ცნობით კი საქართველოს სახელმწიფო მანამდეც არსებობდა და მას განაგებდა მამასახლისი სამარა. (საქ. მეცნ. აკად. მოამბე ტ. IX, №9-10, 1948 წ., ე. თაყაიშვილი – საიდან და როგორ გაჩნდა „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკაში სახელწოდება „არიან ქართლი?“).

ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ ქართლის ცხოვრების ჩანაწერებში სიტყვა „არიან“ შეცდომით წერია, მასში „ი“ ასო-ნიშანი ჩამატებულია და სინამდვილეში არის „არან ქართლიდან მო-

სულნი“. ეს კი სრულიად ცვლის ამ საკითხის გაგებას. ივ. ჯავახიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით მოყვანილ ნაშრომებში ყველგან იყენებს „არან“-ს. იგი თვლიდა, რომ უძველეს ხელნაწერებში შეცდომით წერია სიტყვა „არიან“.

პირველშენებულსა კახეთისასა ერქვა „ბერ“ – იგივე „ჩელეთი“. „ბერ“ იგივე „იბერიის“ ექვივალენტია, ეს მიგვითითებს იმაზე, რომ კახეთის ტერიტორიაზე ერთ-ერთი უძველესი მოსახლეობა იბერიული ტომი იყო. მდ. იორის ზემონელში, საქართველოს ძველ რუკებზე ასახულია კახეთის უძველესი ციხე-ქალაქი „ბერ“.

საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მოსახლე ქართველები „არიან ქართლს“ „ირანის ქართლს“ უწოდებდნენ. XVIIIს-მდე ირანი სპარსეთისგან ცალკე იყო. ზენდების დინასტიის დამაარსებელმა ქერიმ ხანმა 60-იან წლებში ირანი დაიმორჩილა და გააერთიანა სპარსეთთან. 1935 წლამდე მას სპარსეთი ერქვა, შემდეგ კი – ირანი, ხოლო სახელმწიფო ენა სპარსულია. ძველ ირანულ ენაში ბევრი სიტყვა ქართულია. ამ საკითხზე არაერთი ქართველი მეცნიერი მუშაობდა (ეს ცალკე საუბრის თემაა).

ირანელებს ჰქონდათ ზენდური (ფეჰლეური) ანბანი. ზენდები ირანულენოვანი ტომია დასავლეთ და სამხრეთ ირანში. XIXს-ის ქართველი საზოგადო მოღვაწის და მეცნიერის ილია ოქრომჭედლიშვილის მიერ შესწავლილი და გამოკვლეული იქნა ზენდური ანბანი. მისი კვლევებით და დასკვნით „ზენდური ანბანის 25 ასო-ნიშანი სრულიად მიაგვანან ქართულსა“ (ივერია №10, 1881წ., ილია ოქრომჭედლიშვილი – „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“).

საინტერესოა პარალელები სიტყვა „ზენდურსა“ და ქართველთა წარმართულ ხვთაება „ზადენს“ შორის. მრავალი სოფლის მთის, მონასტრის, ქალაქის სახელი საქართველოში იწყება სიტყვებით: „ზემო“, „ზედა“, „ზენა“. ისტორიაში ქართლი „ზენა სოფელად“ მოიხსენიება.

რანი-არანის (არრანი) სახელმწიფოს კავკასიაში ტერიტო-

რიული მდებარეობის დასადგენად გავეცნოთ ერთ საინტერესო ინფორმაციას. „არაბი გეოგრაფი ისთარხი (Xს.) ასე განმარტავდა „არანის“ ფარგლებს: „Арран простирался от Дербенда до Тбилиси и Нахичевана на Араксе“. (თენგიზ პაპუაშვილი – „რანთა და კახთა სამეფო“, 1982წ., გვ. 219).

როგორც ზემოთ გავარკვიეთ „არიან ქართლი“ ყოფილა „არიანა ვეჯა“ ანუ არიელთა ქვეყანა, რომელიც ითვლება ირანელთა სანყის სამშობლოდ კავკასიაში და მას „ირანის ქართლს“ უწოდებენ, იგივე რანთა – არანთა ქვეყანა. მაშასადამე, სიტყვა „არან“ ნიშნავს „არიელს“, „არან ქართლს“ და „ირანის ქართლს“.

სიტყვები „ირანი“ და „არანი“ ქართულ ენაში იქეთა-აქეთა ქვეყნებს ნიშნავს, როგორც „ჰერეთი“ და „იმჰერეთი“ (იმერეთი), კავკასია – ამიერკავკასია და ა.შ. „რანთა – არანთა“ ქვეყანა კავკასიის ალვანეთის არაბიზირებული სახელწოდებაა. საქართველოში დღესაც გვაქვს ალვანი და ალვანის ველი. ჯერ კიდევ ძვ.წ. I ათასწლ. აღმოსავლეთ კავკასიის ალვანეთი ერქვა, რომელსაც ბერძენმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა სტრაბონმა (IIს.) ალბანეთი უწოდა.

რანთა და კახთა ანუ ჰერეთ-კახეთის სამეფო შეიქმნა 1020 წელს კვირიკე III-ის დროს, იგივე კახეთის სამეფო. მან იგი აღადგინა მისი ისტორიული საზღვრების ფარგლებში, როგორც იყო VIIIს-ში მეფე არჩილის დროს, როდესაც ჰერეთი კახეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მას კვლავ „რანთა და კახთა“ სამეფო ეწოდა. **კახებმა, კუხებმა და ჰერებმა ჩაუყარეს საფუძველი რანთა და კახთა სამეფოს მოსახლეობის ძირითად ბირთვს.** კახეთის მეფეები რანთა მეფის ტიტულის მიღებით რეალურად ხელს ადებდნენ რანთა ქვეყანას და მისი ფლობის პრეტენზიას აცხადებდნენ. „რანთა და კახთა“ სამეფოს შექმნა ძირითადად განაპირობა ეროვნული ერთიანობის შეგნების ტენდენციამ. ჰერთა მეფეები ატარებდნენ არან-შაჰის ტიტულს ანუ რანთა მეფეების ტიტულს. კახეთის მეფეები XI საუკუ-

ნიდან „რანთა და კახთა“ სამეფოს მეფეებად იწოდებოდნენ. გაერთიანებული საქართველოს მეფეები „რანთა მეფის“ ტიტულის მატარებელნიც იყვნენ. ისტორიულ წყაროებში „რანი“ იგივე „არანია“.

ძვ.წ. II-ათასწლ. დასაწყისისთვის კახეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს უკვე გააჩნდათ ნათლად გამოხატული ეთნოკულტურული სპეციფიკა, რომელიც ატარებდა ხანგრძლივ განვითარებულ მაღალკულტურულ ტრადიციებს. ამას ადასტურებს აღმ. საქართველოს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი 8-10 ათას წელზე ადრეული არქეოლოგიური მასალა. აქ ადამიანის პირველ ნაკვალევს პალეოლითის დროიდან ვხვდებით. VIII საუკუნემდე იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მკაფიოდ შეინიშნება მატერიალური კულტურის უწყვეტი განვითარება.

ქართულ მითოლოგიაში სამყაროს ძირითადი შემოქმედნი არიან ხვთისშვილები, რომლებიც არიან ნახევარღმერთები, ბერები, ბედის ბედაურის მფლობელები, მარადიულნი და უკვდავნი.



ქართველთა კვირია – ბააღური.
უზმერი (ძვ.წ. 3400წ)

ყველა ისინი არიან ერთის – გიორგი ნაღვარმშვენიერის 64 სახე-გამოვლინება, რომლებიც მუდმივად ებრძვიან დევებსა და ქაჯებს. ქართველთა გიორგი ნაღვარმშვენიერი წარმართობის თეთრი გიორგია. ზეციური თეთრი ცხენის მფლობელი კოსმიური მხედარი არის სამყაროს შემოქმედი უზენაესი ცის მამალმერთი, რომელსაც ქრის-

ტიან კაბადოკიელ გიორგისთან არაფერიაქვს საერთო. ქართველთა თეთრი გიორგი ასევე არის აღმოსავლეთის ქვეყნების თეთრ ცხენზე ამხედრებული კოსმიური მხედარი „ტენგრი“ – სამყაროს შემოქმედი ცის უზენაესი ღმერთი. ჩემს გამოცხადებებში თეთრი გიორგი არის თეთრი ნვერით და ბერის სამოსით ანუ სამყაროს შემოქმედი მამალმერთი თვითონ არის ბერი. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ კახეთის პირველშენებულ ციხე ქალაქს ქართველებმა „ბერ“ დაარქვეს. სიტყვები „ბერი“, „ბებერი“, „ბერიკაცი“, „დედაბერი“, მხოლოდ ქართული ენის კუთვნილებაა. იბერიის ცივილიზაციას ეს სახელი ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართველმა ხალხმა დაარქვა. „ბაბელონის გოდოლამდე“ დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი ერთ ღმერთს ერთ ენაზე ადიდებდა და ეს იყო ქართული ენა (ნახეთ: ნ.ხ. – „ქართველები შუმერთა წინაპრები“, 2013წ. და „საქართველო – შუმერთა უფლის წმინდა გულით არჩეული დიდებულ წესთა ქვეყანა“, 2013წ.).

დღეისათვის ცნობილია, რომ დედამიწის პირველი ადამიანები შუმერები არიან. შუმერული მითოლოგიის მიხედვით, ქალღმერთი ინანა ქურუმს აგზავნის „არათას“ ქვეყანაში, რომელიც მდებარეობს შუმერის ჩრდილოეთით შვიდი მთაგრეხილის იქეთ, რომელიც ასევე არის ქალღმერთის სამკვიდრებელი და სამშობლო ქვეყანა. ავალებს



ქართველთა ორსახა ღმერთი
– ღობილიანი იასხარი. შუმერი
(ძვ.წ. 3400წ)

მას ადგილზე დაამზადონ ოქროს ნაკეთობები, ჩაიტანონ შუმერში და ტაძარში განათავსონ. ქართველმა და გერმანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ **შუმერის ოქროს ნაკეთობები საყდრისის ოქროთია დამზადებული**, რაც ადასტურებს, რომ მითში მოხსენიებული პირველსაწყისი ცივილიზაციის ქვეყანა „არათა“ საქართველოს რანთა-არანთა ქვეყანაა, რომელიც გადაჭიმული იყო დერბენდიდან თბილისამდე და საყდრისის ოქროს საბადო ამ ტერიტორიაზე მდებარეობდა. მაშასადამე, შუმერთა მითში მოხსენიებული „არათა“ – „უფლის ნმინდა გულით არჩეული დიდებულ წესდა ქვეყანა“, კავკასია და საქართველოა, სადაც ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა და ცხოვრობს. **ვინაიდან შუმერთა მითებში „არათას“ ქვეყანა მოიხსენიება ქალღმერთ ინანას სამშობლოდ და სამკვიდრებელ ქვეყანად, ამიტომ ქალღმერთის მშობლიური ენა იყო და არის ქართული. კავკასია და საქართველოს ტერიტორია დღემდე სამყაროს და ღმერთების დედის წილხვედრია.** ამას ადასტურებს ისიც, რომ ქალღმერთ „ინანა“ –ს სახელი ქართული ანბანის „ინ“ და „ან“ ასო-ნიშნების სახელდებითი მარცვლებისგან შედგება. შუმერებს ასევე ჰყავდათ „ან“ ცის და „ენ“ წყლის ღმერთები. „შუ-მე-ერი“ ქართული სიტყვებია.

იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო მგელი, ლომი, გველი, აფთარი, ძაღლი, მორიელი, კაცთა მოდგმას მტერი არ ჰყავდა, მთელი ქვეყანა – მორჩილი ხალხი ერთ ღმერთს ერთ ენაზე – ქართულ ენაზე ადიდებდა.

შუმერთა მითში მოხსენიებული „ნმინდა წესები“ არის შუმერთა „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“-შუმერული კაბალა, რომლებიც შექმნის დღიდან განაგებენ და აწესრიგებენ სამყაროს მუდმივ მიმოქცევას.

შუმერული კაბალა პირველ ადამიანთა კოსმოგონიური ცოდნაა მეტაფიზიკური მრავალგანზომილებიანი სამყაროს მოწყობის შესახებ. რომელიც მხოლოდ ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში აისახება. კაბალას სამ-

შობლო აღმოსავლეთი საქართველოა – ალვანეთის (ალბანეთის) ტერიტორიის დიდ ნაწილს, რომელშიც თითქმის მთლიანად შედიოდა ჰერეთი და კახეთი, ერქვა კაბალა და ალვანეთის ერთიანი სახელმწიფოს დედაქალაქსაც ერქვა „კაბალა“ (ნახეთ სტრაბონის მიერ I ს-ში შედგენილი კავკასიის ალვანეთის – ალბანეთის რუკა). შუმერს ჰყავდა „ან“ ცის ღმერთი, „ენ“ წყლის ღმერთი, თუმცა მათ არ ჰქონდათ ქართული ანბანი და ჰქონდათ ლურსმული დამწერლობა. შუმერთა ქვის ბეჭდებზე ასახულია ქართველთა ხვთისშვილები, ხოლო შუმერულ მითოლოგიაში ცოდნა მათ შესახებ თითქმის დაკარგულია, რაც ქართულ მითოლოგიაში სრულადაა შემორჩენილი.

მაშასადამე, შუმერთა ცივილიზაციის პირველსაწყისი ქვეყანა კავკასიის აღმოსავლეთი საქართველოს რანთა – არანთა ქვეყანაა, რომელიც ამავე დროს, არის ირანელი – არიელი ხალხის წინაპართა სამშობლო.

ამერიკის მაიას ტომების უშორესი წინაპრების ცივილიზაცია სულ მცირე 8000 წელს ითვლის. ლეგენდის თანახმად მათი უზენაესი ღმერთი კეცალკოატლი მათთან მივიდა „ამომავალი მზის ქვეყნიდან“, ეცვა გრძელი თეთრი სამოსი და ატარებდა წვერს. მან ადამიანებს ასწავლა მეცნიერება და კანონები, შექმნა სამეფო, სადაც სიმინდის ტარო ადამიანის სიმაღლეს აღწევდა, ხოლო ბამბა უკვე შეღებილი იზრდებოდა. მაგრამ რატომღაც იძულებული გახდა მიეტოვებია ეს ქვეყანა, მან აიღო თავისი კანონები, დამწერლობა, სიმღერები, გემში ჩაჯდა და იმავე ქვეყანაში დაბრუნდა, საიდანაც მოვიდა. მაგრამ მას დაბრუნების აღთქმა დაუდვია. (კ. კერამი – ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები, 1972წ., გვ. 384-385).

მკვლევარები თვლიან, რომ კეცალკოატლის თეთრი სამოსი თეთრ კანად უნდა აღვიქვათ. იგი წვერს ატარებდა, ეს კი მეტად საინტერესო დეტალია ხალხისთვის, რომელიც თვითონ მთლად უწვერული იყო. მაიას უშორესი წინაპრები ცხენზე მჯდომ კოსმიურ მხედარს სცემდნენ თაყვანს, თუმცა

ცხენი არასოდეს ენახათ. ბორბალი არასოდეს ენახათ, თუმცა მას თაყვანისცემის ადგილებზე გამოსახავდნენ. უამრავ ისტორიულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ღმერთების გამოსახულებებზე ამოკვეთილია როგორც ქართული ასომთავრული, ისე მხედრული ასო-ნიშნები, თუმცა მათ არ ჰქონდათ ქართული ანბანი. ეს ადასტურებს, რომ მექსიკელთა უშორეს წინაპრებს ქართული ასო-ნიშნები ღმერთებად მიაჩნდათ.
